

ლია სულაქველიძე, ომარ მინდორაშვილი
თინათინ კოპალიანი

მუსიკა

მასწავლებლის წიგნი



გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“

გრიფინიჭებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტროს მიერ 2018 წელს

მუსიკა მასწავლებლის წიგნი I კლასი



ავტორები:
ლია სულაქველიძე,
ომარ მინდორაშვილი,
თინათინ კოპალიანი

სახელმძღვანელოზე მუშაობდნენ პედაგოგები:
რუსუდან დათუკაშვილი, თინათინ კოპალიანი, ნინო ჟორჯოლიანი

მუსიკალური რედაქტორი

მაია სიგუა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
მუსიკოლოგი, თბილისის სახელმწიფო
კონსერვატორიის ასისტენტ-პროფესორი

ლიტერატურული რედაქტორი

მანანა ბალიაშვილი

ილუსტრატორი

ნინო აფციაური

კომპიუტერული უზრუნველყოფა

ლია სულაქველიძე

კომპიუტერული გრაფიკა

ომარ მინდორაშვილი

ყველა უფლება დაცულია

© გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, 2018

© ლია სულაქველიძე, 2018

© ომარ მინდორაშვილი, 2018

© თინათინ კოპალიანი, 2018

გამოცემის წელი და რეგისტრაცია – 2018 წელი.



გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“

ტელ: 568105467; 574 400 857

მის: ქ.თბილისი, ე. მაღალაშვილის 5

ელ-ფოსტა: saqmatsne@mail.ru; sakmacne@gmail.com

web: <http://saqmatsne.ge/>

ISBN 978-9941-16-644-0

სარჩევი

სახელმძღვანელოს/სერიის კონცეფცია.....	4
მუსიკა დაწყებით საფეხურზე – შესავალი	5
I-IV კლასების სტანდარტი.....	7
მასწავლებლის ნიგნის მიმოხილვა და სტრუქტურა	9
მეთოდური რეკომენდაციები	12
მოსწავლის შეფასების სისტემა.....	14
ელექტრორესურსების ჩამონათვალი	20
გაკვეთილების შინაარსისა და მიზნების რუკა	24
გაკვეთილების სცენარები	32
I თავი. გარესამყარო მუსიკაში	
თემა – ხმების მრავალფეროვნება	
უკვე პირველკლასელი ვარ	34
ხმების მრავალფეროვნება	37
წვიმის მელოდია	38
მუსიკა თუ ხმაური	42
ვარკვევთ ხმის წარმოქმნის წყაროს	45
ვიმხიარულოთ ერთად	50
რიტმის ანბანი	54
ბგერის თვისება – გრძლიობა	56
ბგერის თვისება – ტემბრი	60
გარესამყაროს ხმები – „ფერმა“	62
გასაუბრება ვიოლინოსთან	65
ფორტეპიანო	69
ნელა, ზომიერად, ჩქარა	71
მუსიკალური საკრავი – ქსილოფონი	73
ავდივართ და ჩავდივართ	75
ხმამალა და ხმადაბლა	77
საშობაო სიმღერები	80
„თოვლი, თოვლი, თოლიგე“	83
„გამეორება ცოდნის დედა“ – შემაჯამებელი გაკვეთილი	85
II თავი. მუსიკა და ჩვენი ყოფა	
თემა: ყოფითი საგნები მუსიკაში	
„ტიკ-ტაკ“ საათი	87
ამღერებული ზარი	94
„ნკარუნა“ ჭიქები	98
პატარა მატარებელი	100
გამოვიცნოთ ხმები.....	106
„პური და კარაქი“	108
მელოდია – ბგერათა სამეფოს დედოფალი	109
განწყობა	112
ყოფითი საგნები მუსიკაში	116
საცეკვაო რიტმები	119
გარესამყარო მუსიკაში – გაზაფხული	122
ვიპოვოთ ბგერა.....	126
გამოვიცნოთ საკრავი	127
თემა – თამაშები მუსიკაში	
„ასკინკილა კინკილა“	129
„თქვენთან გვინდა თამაში“	132
თოჯინები	134
თამაში შინ და გარეთ	135
II თავი. ეთნოგრაფია	
თემა: გარესამყაროს ხმები სხვადასხვა ქვეყნის ხალხურ მუსიკაში	
ჟუჟუნა წვიმა	139
ჩემი ლამაზი სამშობლო	141
ამღერებული ლერწამი – სალამური	144
„მზე შინა“	146
გუდასტვირი	149
„იმა მთაზედა“	151
ვიმღეროთ ერთად – „კრიჭი, კრიჭი“	153
„გამეორება ცოდნის დედა“ – შემაჯამებელი გაკვეთილები	156
დანართი	159
მუსიკალური ლექსიკონი	181
გამოყენებული ლიტერატურა	182

სახელმძღვანელოს/სერიის კონცეფცია

პირველი კლასის მუსიკის საგნის სწავლების სახელმძღვანელო წარმოდგენილია მასწავლებლის წიგნით, რომელიც დაყოფილია თავებად. თითოეული თავში შესულია სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და ქვეთემები, რომლებიც მოიცავს სასწავლო მიზნებისა და მისაღწევ შედეგებზე ორიენტირებულ საკლასო აქტივობებს.

I თავი – გარესამყარო მუსიკაში, თემა – ხმების მრავალფეროვნება;

II თავი – მუსიკა და ჩვენი ყოფა; თემები: ყოფითი საგნები მუსიკაში; თამაშები მუსიკაში.

III თავი – ეთნოგრაფია და მუსიკა. თემა: გარესამყაროს ხმები სხვადასხვა ქვეყნის ხალხურ მუსიკაში.

საკავშირებელი სცენარების შინაარსი, ვფიქრობთ, სრულად შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ შინაარსსა და მიზნებს და მასწავლებელს დაეხმარება ძირითადი კონცეფციის განხორციელებაში, ვანვდით წლის განმავლობაში ჩასატარებელი საკავშირებლის სანიმუშო სცენარებს, სადაც მასწავლებლები გაეცნობიან ავტორთა რეკომენდაციებს სტანდარტით გათვალისწინებული მიზნების შედეგზე გასასვლელად. პედაგოგებს აქვთ თავისუფლება, თავის მხრივ, განავრცონ და მოიძიონ დამატებითი ინფორმაცია, რომელიც დაეხმარება მათ სწავლა-სწავლების ხალისიანად და ეფექტურად ჩატარებაში.

წინამდებარე წიგნში პედაგოგები გაეცნობიან საკავშირებლის მიხედვით დალაგებულ თემატურ-კალენდარულ გეგმებს. მოცემული გვაქვს მიზნებისა და შედეგების რუკა, თითოეული საკავშირებლის სტრუქტურის მითითებით.

სახელმძღვანელო/სერიას თან ახლავს ელექტრონული რესურსი – აუდიო და ვიდეოჩანაწერები, სასწავლო ბუკში ჩასატვირთი ილუსტრაციები.

სახელმძღვანელოს თან ერთვის დანართი, საკავშირებლებზე განხილული მუსიკალური ტერმინების ლექსიკონი და გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი.

სასწავლო კომპლექტის თითოეული კომპონენტის ამომწურავად და სრულყოფილად გამოყენება საუკეთესო შედეგის მიღწევის საწინდარია. ვფიქრობთ, ჩვენ მიერ შემოთავაზებული სახელმძღვანელო/სერია პედაგოგებს ჯეროვან დახმარებას გაუწევს ამ საქმეში.

მუსიკა დაწყებით საფეხურზე

შესავალი

დაწყებით საფეხურზე განსაკუთრებით დიდია მუსიკის, როგორც საგნის მნიშვნელობა, მაშინ, როდესაც ბავშვის თანდაყოლილი, ბუნებრივი უნარები, მიდრეკილებები ჯერ ბოლომდე არ გამოვლენილა და მათ გახსნა, წარმართვა სჭირდება. ამ ასაკში ბავშვს უჭირს მუსიკის აბსტრაქტული სახეების აღქმა და ორიენტირებისთვის მუსიკის აღსაქმელად მას ნაცნობი ხილული ანალოგიები სჭირდება. ამის განხორციელება შესაძლებელია მოსწავლისთვის ნაცნობი აქტივობებით – სიმღერა, ცეკვა, იმპროვიზაცია, თამაში, დაკვირვება და ა. შ., რომლებიც გარემოში არსებული ხილული სახეების მუსიკაში ამოცნობას ისახავს მიზნად. ეს კი, თავის მხრივ, ითვალისწინებს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების ამოქმედებას, ერთობლივ შემოქმედებით პროცესებში მათ ჩართვას.

მიმართულებების აღწერა

მუსიკის სწავლება ორი მიმართულებით იშლება:

1. შემოქმედებითობა და პრაქტიკა;
2. მუსიკის აღქმა კონტექსტში და ინტერპრეტაცია.

სწავლება ორივე მიმართულების ფარგლებში მიმდინარეობს პარალელურად და ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში.

1. შემოქმედებითობა და პრაქტიკა

ამ მიმართულების უშუალო მიზანია მოსწავლის შემოქმედებითი უნარების განვითარება. მოსწავლე ეუფლება გარესამყაროში არსებული მოვლენების, სახეების მუსიკალური გამოხატვის სხვადასხვა ფორმას და გამომსახველობით ხერხს; მას უვითარდება პრაქტიკული უნარები, რაც ხელს უწყობს საკუთარი თავის აღმოჩენაში, გამოხატვასა და განვითარებაში: მღერის, უკრავს, ცდილობს შექმნას მუსიკა – მარტივი მელოდიურ-რიტმული კომპოზიციები. მხატვრული სახის, განწყობილების, ემოციის გადმოცემისას მოსწავლე იყენებს და ეუფლება ხელოვნების სხვა დარგების გამომსახველობით საშუალებებსაც – ცეკვავს, გაითამაშებს თეატრალურ ეტიუდებსა და სცენებს, ხატავს, თხზავს ტექსტს.

ამ მიმართულების ფარგლებში მოსწავლეს უვითარდება მუსიკალური სმენა და მეხსიერება, რიტმის გრძნობა, რასაც ხელს უწყობს რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოები. მეოთხე კლასიდან ამას ემატება იმპროვიზაციული ელემენტები, რითიც შემოქმედებითი საწყისის მეტი დატვირთვა ენიჭება. მოსწავლე პრაქტიკულად ეუფლება და იყენებს მუსიკალური ენის ნასწავლ ელემენტებს – განარჩევს და სხვადასხვა ხერხით გამოხატავს ბგერას, მეტრს, ტემპს, რეგისტრს, დინამიკურ ნიუანსებს; იმეორებს და აბოლოებს თანაკლასელის ან მასწავლებლის მიერ წამოწყებულ მელოდიას და ა. შ. მოსწავლე სწავლობს სიმღერას, ასევე სწავლობს მუსიკალურ დამწერლობას – ამოიცნობს, ჩაწერს და იყენებს ნასწავლ ნიშნებს.

შემოქმედებითი აქტივობების დროს – სიმღერა, დაკვრა, ცეკვა, პრეზენტაცია, სცენის გათამაშება – მოსწავლე წარდგება აუდიტორიის წინაშე, ეჩვევა და უყალიბდება წარდგენის, აუდიტორიასთან ურთიერთობის უნარ-ჩვევა და ეჩვევა საკუთარი ემოციების, ქცევის მართვას. ეს აქტივობები შეიძლება იყოს ინდივიდუალური, როდესაც მოსწავლე პერსონალურადაა პასუხისმგებელი საკუთარ გამოსვლაზე ან ჯგუფური. ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის დროს მოსწავლე ჩართულია შემოქმედებით თანამშრომლობაში, რომლის დროს საკუთარი ემოცია, თვალსაზრისი, ინტერპრეტაცია საერთო ხედვას უნდა შეუთან-

ხმოს. მოსწავლეს უვითარდება პასუხისმგებლობის გრძნობა თანაგუნდელების მიმართ, ყალიბდება კოლექტივის ნევრად და არ არღვევს გუნდის (სიმღერა, ცეკვა, ფერხული, სცენის გათამაშება) მთლიანობას.

ამავე მიმართულების ფარგლებში მოსწავლე იყენებს ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს (ისტ-ს) – აკეთებს აუდიოჩანაწერს; აუდიო და ვიდეოინფორმაციის გასაზიარებლად იყენებს ინფორმაციის შესანახ მონყობილობას; აჟღერებს ხმას, მუსიკალურ საკრავს ელექტრონულ გარემოში; შეარჩევს გამომსახველობით ხერხებს და ფონს მელოდიისთვის; იყენებს ჩანერილ ხმას იმპროვიზაციის პროცესში.

2. მუსიკის აღქმა კონტექსტში და ინტერპრეტაცია

მუსიკა, რომელიც აღიარებულია საკომუნიკაციო ენად, მრავალგვარი და მრავალჯერადი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. მოსწავლე მუსიკის შესახებ მიღებულ ინფორმაციას აკავშირებს გარემოსთან, ყოველდღიურ მოვლენებთან და საკუთარ გამოცდილებასთან, სხვა საგნობრივ დისციპლინებთან. აღიქვამს მუსიკას, როგორც სამყაროს ნაწილს, იკვლევს და აკვირდება ხმის წარმოქმნის წყაროებს; ერევა ხმოვან სამყაროსთან, მუსიკასთან კომუნიკაციას – მუსიკის მოსმენას, მუსიკისა და პერფორმანსის შეფასებას, აზრის ნათლად გამოთქმას, საკუთარი შეხედულების დასაბუთებას კამათის, მსჯელობის დროს შესაფერისი ტერმინოლოგიის გამოყენებით, წიგნიერი ენით და ქცევის ნორმების დაცვით.

კამათისა და მსჯელობის დროს მოსწავლე აცნობიერებს, რომ მუსიკა ყველა დროისა და ხალხის კულტურისა და ყოფის განუყოფელი ნაწილია. ეცნობა და პარალელს ავლებს ეროვნულ და მსოფლიო ხალხთა მუსიკალურ ტრადიციებს შორის. ქართულ ხალხურ საკრავებს აკავშირებს სხვა ერების ხალხურ საკრავებთან. მოსწავლე განასხვავებს ქართულ და მსოფლიო ხალხურ, კლასიკურ და თანამედროვე მუსიკალურ ნაწარმოებებს.

I-IV კლასების სტანდარტი

- ა) IV კლასის ბოლოს მისაღწევი შედეგები
ინდექსების განმარტება
დანეყებით საფეხურზე სტანდარტში განწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., მუს.დანყ.(I).1.:
„მუს.“ – მიუთითებს მუსიკის საგანს;
„დანყ.“ – მიუთითებს დანეყებით საფეხურს;
„(I)“ – მიუთითებს, რომ სტანდარტი მოიცავს I-IV კლასებს;
„1“ – მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

მუსიკის სტანდარტი (I-IV კლასები)	
შედეგების ინდექსი	1. მიმართულება: შემოქმედება და პრაქტიკა
	სტანდარტის შედეგები მოსწავლემ უნდა შეძლოს:
მუს.დანყ.(I).1.	გარესამყაროში ბუნებრივად არსებული და ხელოვნურად შექმნილი ხმის, ბგერის, ხმაურის და მუსიკალური ენის ცალკეული ელემენტების (მაგ.: რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) გამოყენება გარკვეული ემოციური მდგომარეობის გადმოსაცემად;
მუს.დანყ.(I).2.	ხმის, ხმაურის და მუსიკალური ელემენტების (მაგ.: რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა. შ.) მეშვეობით გარესამყაროს ასახვა;
მუს.დანყ.(I).3.	ხმოვანი გზავნილის სხვადასხვა სიმბოლოთი ჩანერა.
	2. მიმართულება: მუსიკის აღქმა კონტექსტში და ინტერპრეტაცია
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
მუს.დანყ.(I).4.	მოსმენის დროს სახე-ხატების შექმნაში მუსიკალური ენის ცალკეული ელემენტების (მაგ.: რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა. შ.) როლის განსაზღვრა;
მუს.დანყ.(I).5.	ცალკეულ მუსიკალურ ელემენტებს (მაგ.: რიტმს, ტემპს, მელოდიას და ა. შ.), ხმაურსა და ვიზუალურ რიგს შორის ასოციაციური კავშირების გაბმა;
მუს.დანყ.(I).6.	ხალხური მუსიკის თავისებურებების ამოცნობა.

- ბ) შინაარსი
ცნებითი კატეგორიების ჩარჩო და სასწავლო თემები
მუსიკის საგანი ხმოვანი გზავნილის შინაარსის ამოკითხვას მუსიკალურ-გამომსახველობით ელემენტებსა და გარესამყაროში არსებულ სახეებს შორის ასოციაციური კავშირების საშუალებით შეისწავლის. საგნის სწავლება შემდეგი ცნებითი კატეგორიებითა და თემებით წარმართება:
ცნებები და ტერმინები:
საგნის სწავლა-სწავლების პროცესი უნდა წარმართოს შემდეგი ცნებების დამუშავების საფუძველზე:
1. მუსიკალური ენის ძირითადი ელემენტები: რიტმი, მელოდია;
2. მუსიკალური ენის არაძირითადი ელემენტები: ტემპი, რეგისტრი, ტემბრი, ფაქტურა;
3. მეტრი: ორწილადი, სამწილადი, ოთხწილადი;
4. ბუნებრივი და ხელოვნურად შექმნილი ხმები;
5. ბგერის თვისებები: სიმაღლე, სიძლიერე, გრძლიობა;
6. მელოდიის შემადგენელი ნაწილები: ინტონაცია, მოტივი;

7. კომპოზიტორული ხერხები: რიტმული და მელოდიური ოსტინატო, რიტმული და მელოდიური მონაცვლეობა, კონტრაპუნქტი, მუსიკალური კოლაჟი;

8. მუსიკალური დამწერლობა: ტრადიციული: ნოტები, ხუთხაზიანი სანოტო სისტემა; არატრადიციული: შტრიხები, ხაზები, პიქტოგრამები;

9. ხალხური მუსიკის სხვადასხვა ჟანრი: საცეკვაო, სარიტუალო სიმღერები.

მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ცნებების დამუშავება უნდა მიმდინარეობდეს თვალსაჩინო მაგალითების საფუძველზე. მოსწავლე კონკრეტული მაგალითების მეშვეობით გაიაზრებს მათ მნიშვნელობას და გამოიყენებს შესაბამისად. ამ ეტაპზე დაუშვებელია ცნებებისა და მათი განმარტებების თეორიული სწავლება.

მასწავლებლის წიგნის მიმოხილვა და სტრუქტურა

გაკვეთილის სცენარებში მოცემულია საკლასო აქტივობების მაგალითები, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს სტანდარტის მიხედვით დასახული შედეგების მიღწევას, მოცემულია ძირითადი ცნებები, რომელთა დამუშავებასაც სტანდარტით გათვალისწინებული კონკრეტული შედეგების დასაძლევად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

ყოველი თემის ბოლოს მოცემულია შემაჯამებელი გაკვეთილების ნიმუშები.

მასწავლებლის წიგნში მოცემულია:

- ◇ სახელმძღვანელოს/სერიის კონცეფცია;
- ◇ საქართველოს განათლების სამინისტროს სტანდარტი მუსიკაში;
- ◇ მასწავლებლის წიგნის მიმოხილვა და სწავლების მეთოდები;
- ◇ სასწავლო მასალის თემატური განაწილების ცხრილი – თავი, თემატური ბლოკი;
- ◇ მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომების სპეციფიკა საგნის სწავლების პროცესში;
- ◇ მოსწავლის შესაბამისი შეფასების სარეკომენდაციო სქემები;
- ◇ სასწავლო აქტივობების ჩატარებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები;
- ◇ ელექტრონული რესურსები: ჩამონათვალი აუდიოჩანაწერებისთვის – მთელი წლის განმავლობაში შესასწავლი თემების მიხედვით მოსასმენი მასალა; ანიმაციური და საკონცერტო შესრულების ვიდეოჩანაწერების ნუსხა; მოსწავლის ბუკში ჩასატვირთი ილუსტრაციები;
- ◇ გაკვეთილების სარეკომენდაციო სცენარები;
- ◇ დანართი.

წინამდებარე მასწავლებლის წიგნში შესასწავლი მასალის ზოგიერთ თემას თანდართული აქვს საინტერესო ამბები, ზღაპრები ან თამაშები („ვინ იპოვის“, „გამოიცანი მელოდია“, „გამოიცანი საკრავი“, „დირიჟორობანა“, „გავაცოცხლოთ ბგერები“, „პატარა მოგზაურები“, „ვიპოვოთ ბგერა“, „ბგერების თამაში“, „დაასრულე მელოდია“, „კენჭაობა“), რომლებიც წარმოადგენენ დამატებით რესურსს თემის უკეთ აღქმისთვის.

წლის მანძილზე დაგეგმილი თითოეული გაკვეთილი რამდენიმე აქტივობას მოიცავს, რომლის დაწვრილებითი აღწერა, თანდართული სანოტო ჩანაწერებითა და რიტმული ნახაზებით, მოცემულია გაკვეთილების საკლასო აქტივობებში. ესენია:

1. გამის საფეხურების გამლერება მიმართულია მოსწავლეების სმენის, ვოკალური შესაძლებლობების, სუფთად ინტონირების განვითარებისთვის და სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა დატვირთვა აქვს, მაგალითად:

ა) გამის (მაგ., დო მაჟორი) გამლერება ხდება ეტაპობრივად, მოსწავლეთა უნარებისა და მზაობის გათვალისწინებით – ხმოვნებზე, გაორმაგებული ბგერებით ქვედა ტეტრაქორდის ბგერებზე აღმავალი და დაღმავალი მიმართულებით;

ბ) იგივე სავარჯიშოები ერთი ოქტავის ფარგლებში, აღმავალი და დაღმავალი მიმართულებით;

გ) გამის გამლერება ჩქარა, ნელა, გადაბმულად, წყვეტილი ბგერებით (ლეგატო, სტაკატო), ხმამაღლა, ხმადაბლა (ფორტე, პიანო);

დ) გამლერება ნახტომებით ტერციაზე (მაგ., დო-მი, რე-ფა, მი-სოლ, ფა-ლა... და იგივე დაღმავალი მიმართულებით);

ვ) გამის მთავარი საფეხურების (სამხმოვანება) გამლერება აღმავალი და დაღმავალი მიმართულებით.

2. რიტმული სავარჯიშოები. მეხსიერების, მეტრი-რიტმის გასავითარებელი სავარჯიშოები სრულდება ტაპით, კაკუნით, დასარტყამი ან საჟღარუნო საკრავებით.

3. რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოები. ეს აქტივობა ხელს უწყობს ბავშვის როგორც სმენის, მეხსიერების, რიტმის, ვოკალური შესაძლებლობების დახვეწას, ასევე ჯგუფურად მუშაობის უნარების განვითარებას.

რიტმულ-ინტონაციურ სავარჯიშოებს ტექსტები აქვს თანდართული, რაც მოსწავლეთა ვოკალური უნარების, მუსიკალური სმენის განვითარებას და მარტივად დამახსოვრებას უწყობს ხელს. ამ დროს ბავშვს ეძლევა თავისუფლება, მელოდიას აჰყვეს ხმით, მოძრაობებით – ტაპით, მაგიდაზე კაკუნით, ფეხის ბაკუნით, საჟღარუნო საკრავითა და პატარა ჯოხების ერთმანეთზე შეხებით. ეს აქტივობა (რიტმული თანხლება) საშუალებას იძლევა გუნდურ მუშაობაში სრულყოფილად ჩაერთონ ისეთი მოსწავლეები, რომელთაც ჯერ კიდევ უჭირთ ვოკალური შესაძლებლობის სრულად გამოვლენა – ინტონაციურად სუფთად მღერა. ჯგუფურად მუშაობისას სასურველია გუნდებად დაყოფა და რიტმული სავარჯიშოების მონაცვლეობით გაკეთება. აქტივობა შემდგომში ხელს შეუწყობს გუნდურად მღერის უნარ-ჩვევების განვითარებას. ასეთი სახით მონოდებული მუსიკალური მასალა მასწავლებელს ეხმარება გაკვეთილი საინტერესოდ და ხალისიანად ჩაატაროს.

მასწავლებლის წიგნში მოცემული რიტმული სავარჯიშოების სანოტო ჩანაწერები მხოლოდ მასწავლებლისთვისაა განკუთვნილი. მოსწავლეებისთვის, სტანდარტის მიხედვით, პირველ კლასში სანოტო ჩანაწერების გაცნობა არაა გათვალისწინებული.

4. გაკვეთილის თემის ძირითადი ნაწილი – თემის მასალის მიწოდება და გააზრება.

ასათვისებელი თემის ბავშვებისთვის უკეთ გასააზრებლად მასალას ვაწოდებთ ასაკისთვის ადვილად აღსაქმელი ტექსტებით, ზოგიერთ შემთხვევაში ვურთავთ თემის შესატყვის ლიტერატურულ ნაწარმოებებს, ლექსებს, გამოცანებს, საინტერესო ამბებს.

5. სიმღერის შესწავლა რამდენიმე გაკვეთილზე გრძელდება, ამიტომ ერთ გაკვეთილზე მხოლოდ ამ აქტივობისთვის დიდი დროის დათმობა მიზანშეწონილი არ არის, რადგან ბავშვები იღლებიან და პროცესი უინტერესო ხდება.

6. მუსიკის მოსმენა/ვიდეოჩვენება. მასწავლებლის წიგნს თან ერთვის აუდიოჩანაწერები და სიმღერებისა და ნაწარმოებების საფორტეპიანო ფონოგრამები, სადაც, გაკვეთილების მიხედვით, მთელი წლის განმავლობაში შესასწავლი და მოსასმენი მასალაა ჩაწერილი, რომელსაც მასწავლებელი გამოიყენებს გაკვეთილის თემის შესაბამისად.

გთავაზობთ აგრეთვე ანიმაციური და საკონცერტო შესრულების ვიდეოჩანაწერებს, რომელიც, აგრეთვე, თემის უკეთ ათვისების საილუსტრაციოდაა განკუთვნილი.

7. კომპოზიცია – ტექნოლოგიები

სტანდარტის მიხედვით, მოსწავლე უნდა ფლობდეს მუსიკის აღქმისა და ხმების/ინტონაციის კომპიუტერულად ასახვის მინიმალურ უნარებს, რის ათვისებაშიც მასწავლებელი დაეხმარება (პროგრამები: Audacity, LMMS, საიტები: Youtube, Google).

მოსწავლე ქმნის მარტივ კომპოზიციას (მელოდიურ/რიტმულ ნახაზს) მუსიკალური საკრავის, ხმის, ხმოვანი ეფექტების გამოყენებით და აკეთებს მის აუდიოჩანაწერს; კომპიუტერული პროგრამების დახმარებით განასხვავებს ხმებს, ინტონაციას, გარკვეული ვარჯიშის შემდეგ თავად ქმნის მუსიკალურ კოლაჟს.

8. მუსიკალურ-განმავითარებელი თამაშები. ამ აქტივობას არა მარტო განტვირთვის, არამედ შემეცნებითი დატვირთვაც აქვს. მუსიკალურ-განმავითარებელი თამაშების გამოყენება ხდება თემის შინაარსიდან გამომდინარე, რომელსაც მასწავლებელი მიმართავს მასალის მარტივად აღსაქმელად.

მასწავლებლის წიგნის ბოლოს, დანართში, მოცემულია სიმღერების სანოტო ჩანაწერები, რომლებსაც მასწავლებელი სურვილისამებრ გამოიყენებს; იქვე გთავაზობთ სცენარს კლასგარეშე ღონისძიებებისთვის: მერაბ მერაბიშვილი – საბავშვო მიუზიკლი „მხიარული გოჭები“.

საკლასო დავალებების ტიპები:

- შემოქმედებით საქმიანობაში მონაწილეობა: სიმღერა, იმპროვიზაცია, მუსიკალურ-დრამატულ კომპოზიციები, მუსიკალურ-კომპიუტერულ პროგრამებში მუშაობა;
- კონცერტის, წარმოდგენის რეპეტიციებში მონაწილეობა;
- მუსიკის მოსმენასთან დაკავშირებული დავალებების შესრულება;
- საკუთარი და სხვისი შესრულების/შემოქმედების განხილვაში მონაწილეობა;
- მუსიკალური ნაწარმოების კონტექსტის განხილვა;
- სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვა და მომზადება;
- საკუთარი ნაშრომის, შემოქმედებითი საქმიანობის წარდგენა;
- სხვადასხვა საკლასო დავალების შესრულებისას არატრადიციული დამწერლობის (შტრიხები, სიმბოლოები, პიქტოგრამები და სხვ.) გამოყენება.

შემაჯამებელი დავალებების კომპონენტი

შემაჯამებელი დავალების კომპონენტი უკავშირდება სწავლა-სწავლების შედეგს. ამ კომპონენტში მოწმდება ერთი სასწავლო მონაკვეთის (თავის) შესწავლა-დამუშავების შედეგად მიღწეული შედეგები. კონკრეტული სასწავლო ერთეულის დასრულებისას მოსწავლემ უნდა შეძლოს მუსიკის სტანდარტით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების წარმოჩენა. შესაბამისად, შემაჯამებელი დავალებები უნდა ამოწმებდეს მუსიკის სტანდარტებით განსაზღვრულ შედეგებს.

შემაჯამებელ დავალებათა ტიპები:

რეკომენდებულია შემაჯამებელ დავალებათა მრავალფეროვანი ფორმების გამოყენება. მუსიკის შემაჯამებელ დავალებათა ტიპები შეიძლება იყოს:

- კონცერტი/ წარმოდგენა;
- ვიქტორინა;
- პრეზენტაცია;
- ტესტირება;
- კონკურსი-შეჯიბრი;
- პროექტის პრეზენტაცია.

შემაჯამებელ გაკვეთილებზე მასწავლებელი დაფაზე ხაზავს ცხრილს მოსწავლეთა თვითშეფასებისთვის და ბავშვების პასუხებს ჩანერს გრაფებში.

რა ვიცოდი	რა ვისწავლე	რა მინდა ვიცოდე

მეთოდური რეკომენდაციები

სიმღერა

მოასმენინეთ მოსწავლეებს წინასწარ შერჩეული სიმღერები, ჰკითხეთ მათ, რომელი მათგანი მოუსმენიათ მანამდე და რომელია მათთვის ახალი, რომელი სიმღერა მოსწონთ ყველაზე მეტად. შეარჩიეთ შესასწავლი სიმღერა და რამდენჯერმე მოასმენინეთ ის.

ტექსტი დაწერეთ დაფაზე ან დაასწავლეთ ზეპირად (დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მარტივი სიმღერა შეარჩიეთ). აუხსენით მოსწავლეებს სიმღერის სტრუქტურა (მაგალითად: სიმღერა შეიცავს 2 სტროფსა და მისამღერს). თავდაპირველად მოსწავლეებს სთხოვეთ, აჰყვნენ სიმღერის მისამღერს – ჩანაწერის მოსმენისას, შემდეგ უკვე დაამატეთ სტროფი – სტრიქონებად, ასე თანდათან „ააშენეთ“ სიმღერა.

როდესაც მოსწავლეები დარწმუნდებიან, რომ სიმღერა მთლიანად შეისწავლეს, ამღერეთ ჩანაწერის გარეშე.

სიმღერის დროს აღნიშნეთ მოსწავლეთა წარმატება, შეაქეთ ისინი. ინდივიდუალური შესრულებისას მსმენელებს მოუწოდეთ, აღნიშნონ თანაკლასელის წარმატება.

მოსწავლე გუნდში სიმღერის, ინსტრუმენტულ ანსამბლში (დასარტყამი საკრავები, სა-თამაშოები), წარმოდგენაში მონაწილეობის, რეპეტიციების დროს სწავლობს შემოქმედებით კოლექტივში მოქცევას, ითვალისწინებს ანსამბლის წევრების ინტერესებსა და საჭიროებებს და ცდილობს, არ დაარღვიოს გუნდის მთლიანობა.

აქტივობები – ინდივიდუალური და ჯგუფური.

რიტმული კომპოზიცია

მოსწავლე ქმნის მარტივ კომპოზიციას (მელოდიურ/რიტმულ ნახაზს) მუსიკალური საკრავის, ხმის, ხმოვანი ეფექტების (სემპლების) გამოყენებით და აკეთებს მის აუდიო-ჩანაწერს.

აჩვენეთ მოსწავლეებს, რომ რიტმული კომპოზიცია შეიძლება შეიქმნას კლასში არსებული ნივთების საშუალებით. გამოიკვლიეთ მათთან ერთად, საკლასო ოთახში მოცემული რომელი ნივთის ხმოვანება შეიძლება გამოვიყენოთ კომპოზიციის შექმნისას. დაგეგმეთ და ააჟღერეთ მათთან ერთად კომპოზიცია, რომელსაც სიმბოლურად ჩაწერთ დაფაზე. შეიძლება, ვოკალური ფრაზების, ინსტრუმენტული ხმოვანების, აუდიოჩანაწერის, ტაშის, ფეხების ბაკუნის, სხვა ხელოვნური ხმების ჩართვაც. მოსწავლეები შეიძლება დაიყონ ჯგუფებად და მონაცვლეობით შეასრულონ ზოგიერთი ფრაგმენტი.

შეასრულეთ მარტივი რიტმული ნახაზი და მოსწავლეებს სთხოვეთ, გაიმეორონ ის. აქტივობის დასასრულს დასვით კითხვები: რა განსხვავება იყო ერთი და იმავე რიტმული ნახაზის შესრულებისას და რა განაპირობებდა ამ განსხვავებას? მაგალითად, იყო თუ არა ბგერა უფრო ხანგრძლივი მაშინ, როდესაც მოსწავლე გამოიყენებდა სამკუთხედს, ვიდრე – ხის კოვზებს? აჩვენეთ მოსწავლეებს, როგორ შეიძლება ბგერის ხანგრძლივობის მართვა. მაგალითად, გააჟღერეთ სამკუთხედი და ხელის შეხებით მალევე შეაწყვეტინეთ ხმოვანება.

მას შემდეგ, რაც მოსწავლეები შეძლებენ რიტმული ნახაზის მეტ-ნაკლებად სწორად გამეორებას, გამოიყენეთ ხელთარსებული სხვა საკრავები, გაართულეთ რიტმული ნახაზი. შემდეგ რომელიმე მოსწავლემ, თავისი სურვილის მიხედვით, თავად შეთხზას მარტივი რიტმული ნახაზი და დანარჩენებმა გაიმეორონ ის წრეში. მნიშვნელოვანია, რომ თითოეულ მოსწავლეს მიეცეს შანსი (ცხადია, მისი სურვილის გათვალისწინებით), თვითონ შექმნას რიტმული ნახაზი. სასურველია, მოსწავლეებმა გაცვალონ საკრავები, რათა თითოეულ მათგანს ჰქონდეს სხვადასხვა ინსტრუმენტთან შეხების შესაძლებლობა.

მოსწავლეებთან ერთად ისაუბრეთ გამოყენებულ საკრავებზე. დასვით კითხვები: რომელ ინსტრუმენტზე დაკვრა იყო შედარებით იოლი? ისაუბრეთ განსხვავებულ ხმებზე – სადმე ხომ არ მოუსმენიათ მსგავსი ხმები მანამდე? და ა. შ.

აქტივობები – ინდივიდუალური და ჯგუფური.

3. საკრავები (დაკვრა-გაჟღერება; ამოცნობა ვიზუალურად და ჟღერადობით; მოკლე ინფორმაცია)

- მოსწავლე ამოიცნობს და ასახელებს ნაცნობ მუსიკალურ საკრავებს მუსიკის მოსმენის, კონცერტის დროს.

რეკომენდებული აქტივობა – ინდივიდუალური და ჯგუფური.

- თამაში „გამოვიცნოთ საკრავი“ (საკრავის ამოცნობა ვიზუალურად და ჟღერადობით).
- თამაში „გამოვიცნოთ მელოდია“ (მოკლე ფრაგმენტებად დაყოფილი მელოდიის ამოცნობა და დასრულება).
- მოსმენის შემდეგ მოსწავლეებს აჩვენეთ საკრავების ამსახველი ფოტომასალა. მათ უნდა ამოიცნონ და დაასახელონ ის საკრავები, რომლებიც ჟღერდა.
- თამაში „ხმების სამყარო“ (მოსწავლე აღმოაჩენს ხმის წარმოქმნის სხვადასხვა წყაროს, გზას, ცვლის და იყენებს ხმას სხვადასხვა მიზნისთვის).

მიეცით მოსწავლეებს მცირე ზომის დასარტყამ საკრავებთან ან მყარ საგნებთან შეხების შესაძლებლობა, რათა, ექსპერიმენტების გზით, თავად აღმოაჩინონ განსხვავებული ხმის, ბგერის წარმოქმნის წყარო. სთხოვეთ მათ, სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით „დაუკრან“ ამ საკრავებზე, მაგალითად, დოლს შეეხონ ხელით, ჯოხით, ფუნჯით, საშლელით, წკიპურტით და ა. შ. დასვით კითხვები: როგორ იცვლება ხმა, ბგერა? როგორ ახერხებთ ხმის, ბგერის შეცვლას? რა საერთო აქვთ წარმოქმნილ ხმებს? (მათ არ გააჩნიათ კონკრეტული სიმაღლე); რა განასხვავებს ამ ხმებს? (ხმოვანების სიძლიერე, ხანგრძლივობა, ტემბრი, ხმის მიღების ხერხი).

აქტივობები – ინდივიდუალური და ჯგუფური.

შემოქმედებითი თვითგამოხატვა (პროგრამის შინაარსში რეკომენდებული მასალის გამოყენებით)

- მოძრაობა, სიმღერა, ცეკვა;
- თეატრალური ეტიუდები;
- ხატვა.

ეს აქტივობები მოიცავს საგაკვეთილო პროცესში მცირე გათამაშებას, თემატურ ლონსძიებაში – სპექტაკლში მონაწილეობის მიღებას (როლის შესრულება; სიმღერა). ეს აქტივობები მოსწავლეს თვითგამოხატვის, იდეების სხვადასხვა ფორმით განხორციელების საშუალებას აძლევს.

გაუწიეთ რეკომენდაცია მშობლებს, შეძლებისდაგვარად ხშირად დაესწრონ თეატრალურ წარმოდგენებს (დრამატულ, საოპერო, საბალეტო) შეილებთან ერთად.

კომპიუტერული ტექნოლოგიები

მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარების მიზნით, ახალი სტანდარტით გათვალისწინებულია მოსწავლეთა ჩართვა კომპიუტერული პროგრამის (LMMS) გამოყენებით სხვადასხვა ხმოვანი ეფექტის მისაღებად. ამ რესურსის მუსიკის გაკვეთილებზე გამოყენების პროცესი მიმდინარეობს ეტაპობრივად. დასაწყისში, სანამ მოსწავლეები გაეცნობიან და შეისწავლიან ხმოვანი ეფექტების (sample-ბის) ჩანერას, ისინი მარტივ დავალებებს შეასრულებენ – მოისმენენ მასწავლებლის მიერ ბუკებში ჩატვირთულ ხმოვან ეფექტებს, თანდათანობით აითვისებენ პროგრამაში მუშაობის ელემენტარულ უნარებს. შემდეგი კლასიდან თანდათან თავადაც შეეცდებიან სემპლების შექმნას, მათ თანმიმდევრულად განლაგებას. შემდეგ წლებში მოსწავლეები სემპლებად გამოიყენებენ საკრავების ჟღერადობას, ბუნებრივი მოვლენებისა თუ სულიერი არსებების ხმებს, პროგრამა audacity-ს დახმარებით ამოჭრიან მოკლე ფრაგმენტებს მუსიკალური ნაწარმოებებიდან და ისწავლიან მუსიკალური კოლაჟის, კომპოზიციის შექმნას.

ინდივიდუალური თავისებურებებით გამორჩეულ მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომები

ყველა კლასში არიან მოსწავლეები, რომლებიც ინდივიდუალური თავისებურებებით გამოირჩევიან. ეს ბავშვები განსაკუთრებული ყურადღების მიქცევას საჭიროებენ. ფაქტია, რომ ყველა მოსწავლე განსხვავებულია. არ არსებობს „სტანდარტული“ მოსწავლე და არ არსებობს იდეალური ხერხი, რომლითაც მასწავლებელი ყველა მოსწავლის პრობლემებს გაუმკლავდება. მასწავლებლის უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა მათი აქტიურად ჩაბმა სწავლების თითოეულ პროცესში. შეეცადეთ გახსნათ მათი „დამალული უნარები“. ვისაც მღერის სურვილი აქვთ, პირადი მაგალითით აჩვენეთ, როგორ აიღონ ინტონაციურად სუფთა ბგერა: თავად წაიმღერეთ ეს ბგერა და სთხოვეთ ბავშვებს, იგივე გაიმეორონ ხმოვან ბგერაზე (ა-ა, ი-ი, ე-ე, ო-ო, უ-უ), დაიხმარეთ საკრავები, რომელსაც ხმით აჰყვებიან. შემდეგ ეტაპზე ბგერა მარცვლებით გაამღერეთ ერთ ტონზე (მა, მო, მი, მო, მუ; ი-ა, ნა-ნა, ლა-ლა, ტა-ტა და სხვ.), მოგვიანებით კი უკვე შეიძლება მათი ხმის დიაპაზონის გაზრდა – აღმავალი და დაღმავალი მიმართულებით გაიმღერებენ გამის საფეხურებს (I-II-I, I-II-III-II-I), შემდეგ – გამის ქვედა ტეტრაქორდზე, წაიმღერებენ საკუთარ სახელს და ა. შ. ვისაც სიმღერა სიამოვნებას ვერ ანიჭებს, ჩართეთ რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოების შესრულებაში, სთხოვეთ ძლიერ დროზე რიტმულად აახმიანონ საჟღარუნო ან დასარტყამი საკრავი. რა თქმა უნდა, შედეგს მყისიერად ვერ მივიღებთ, მაგრამ მთავარია, მათ ნაბიჯ-ნაბიჯ გამოუმუშავდეთ ვოკალური უნარები, სიამოვნება მიიღონ მუსიკირებით, სრულფასოვნად ჩაერთონ გუნდურ მუშაობაში. შეაქეთ და წახალისეთ, როცა კარგად გამოუვათ, გაამეორებინეთ და გაამხნევეთ – როცა შეეშლებათ. ამით ისინი თანდათან თავდაჯერებულნი გახდებიან.

მოსწავლის შეფასების სისტემა

მუხლი 27. მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები

1. მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და, მეორე მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს. შეფასება უნდა იძლეოდეს ინფორმაციას მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის შესახებ.

2. მოსწავლის შეფასება არის სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილი. თანამიმდევრული საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად, მოსწავლის შეფასება უნდა დაეფუძნოს სწავლის კონსტრუქტივისტულ პრინციპებს.

3. მოსწავლის შეფასების ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:

ა) აჩვენოს როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება;

ბ) ახალი სასწავლო საკითხის/თემის დაწყებამდე დაადგინოს მოსწავლის წინარე ცოდნა და წარმოდგენები;

გ) გამოავლინოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად;

დ) მოიცვას სამივე კატეგორიის ცოდნა;

ე) აჩვენოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში.

4. ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი მიენიჭება კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ.

მუხლი 29. განმავითარებელი შეფასების აღწერილობა

I-IV კლასებში მხოლოდ განმავითარებელი შეფასება გამოიყენება.

განმავითარებელი შეფასება ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე.

განმავითარებელი	
მიზნები	სწავლის ხარისხის გაუმჯობესება; მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშეწყობა.
ამოცანები	ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესის შეფასება; წინარე ცოდნის/წარმოდგენების დადგენა; მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარის შეფასება; მოსწავლის მიერ საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად გააზრებული ნაბიჯების გადადგმის უნარის შეფასება; ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესის შეფასება; ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარის შეფასება.
წარმატების კრიტერიუმი	განხორციელებული წინსვლა წინარე შედეგებთან/ წინარე დონესთან შედარებით.
შემფასებელი და შეფასების ფორმები	მასწავლებელი: ზეპირსიტყვიერი ან წერილობითი უკუკავშირი, წამახალისებელი მითითებები, სიმბოლური ნიშნები და ა. შ. მოსწავლეები: თვითშეფასებით; ურთიერთშეფასებით.

წლის ბოლოს საგნის მასწავლებელმა უნდა დაწეროს მოსწავლის მოკლე წერილობითი შეფასება, რომელშიც დაახასიათებს მოსწავლეს, აღნიშნავს მის წარმატებებს და მიუთითებს, რაში სჭირდება მოსწავლეს დახმარება საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოსავლენად.

მუხლი 32. მოსწავლის შეფასების კომპონენტები

სემესტრის განმავლობაში მოსწავლეები ფასდებიან შემდეგი სამი კომპონენტის მიხედვით:

- ა) მიმდინარე საშინაო დავალება;
- ბ) მიმდინარე საკლასო დავალება;
- გ) შემაჯამებელი დავალება.

მასწავლებელს შეუძლია სემესტრის განმავლობაში განმავითარებელი შეფასება გამოიყენოს ნებისმიერ კომპონენტში.

ცოდნა და უნარ-ჩვევები ფასდება შემდეგი დავალებებით:

მუსიკალური ფრაგმენტების და ხმების შეხამება	შერჩეული ხმები და მუსიკალური ფრაგმენტები ესადაგება ერთმანეთს და ეხმარება ემოციური და ვიზუალური ასოციაციური კავშირების დამყარებას.
რესურსების მოძიება	მოიძია დავალებისთვის შესაფერისი რესურსი.
კომპოზიციური გადაწყვეტა	უწყობს ხელს კომპოზიციის შინაარსის და კონცეფციის ამოცნობას (დამაკმაყოფილებელი, კარგი, ძალიან კარგი).
თხრობა	ნათლად გამოხატავს საკუთარ აზრს ლიტერატურული თუ მოსმენილი მუსიკალური თვალსაჩინოებების შესახებ.
პრობლემის ერთობლივი გადანწყვეტა	• ითვალისწინებს თანაგუნდელების შეხედულებებს და ერთობლივად ირჩევს ოპტიმალურ გადაწყვეტილებას; • აქტიურად მონაწილეობს კონცერტის, წარმოდგენის დაგეგმვასა და რეპეტიციებში.
კრიტიკული აზროვნება	• სამყაროს ასახვის დროს განსაზღვრავს და იყენებს გარე სამყაროში არსებული ბუნებრივი მოვლენების, სულიერი არსებების, სხვადასხვა მოქმედებისთვის დამახასიათებელ რიტმულ ფორმულებს; • გარკვეული ემოციური განწყობის გადმოსაცემად იყენებს სათანადო რიტმულ ფორმულებს.

მოსწავლეთა შეფასების მექანიზმები

მასწავლებელი იყენებს შეფასების სხვადასხვა ფორმას. ეს შეიძლება იყოს სახალისო ტიპის სტიკერები, ყვავილი, მზე, „ღიმილები“, პეპელა, რაიმე მუსიკალური სიმბოლო, გეომეტრიული ფიგურა (ვარსკვლავი) და სხვ.



საგნის სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლე ფასდება შემდეგი ტიპური აქტივობებით:



1. სასწავლო და კლასგარეშე პროცესებში ჩართულობა, აქტიურობა გუნდური მუშაობისას;
2. პლასტიკა, მოსმენილი ნაწარმოების ირგვლივ თავისი დამოკიდებულების ნათლად გამოხატვა;
3. ინფორმაციის მოძიება და კომპიუტერული პროგრამის ფლობა;
4. იმპროვიზაციული სავარჯიშოების შესრულება: მოტივის და ცალკეული ინტონაციის ვარიანტების შექმნა და მათი სხვადასხვა კონტექსტში გამოყენება;
5. მოთხრობის, ფოტოების, ანიმაციური/მხატვრული ფილმის, ვიდეორგოლის, მუსიკალური კლიპის, ყოფითი შემთხვევის განხილვა და მათი მუსიკალური ანალოგიების შექმნა;
6. დისკუსია (დებატი).
7. შესრულებული დავალების პრეზენტაცია.

ამ აქტივობებში მოსწავლის ჩართულობისას მასწავლებელს საშუალება ეძლევა განსაზღვროს მოსწავლის ინტერესების სფერო, რა მიმართულებით უნდა გაღრმავდეს მუშაობა კონკრეტულ მოზარდთან და შემდგომი გაკვეთილების დაგეგმვის სტრატეგია.

განათლების სამინისტროს ეგიდით პედაგოგები პერმანენტურად ესწრებიან ტრენინგებს საგნებსა და სწავლების მეთოდებში. ამიტომ, პედაგოგთა კომპეტენციის გათვალისწინებით, ზედმეტად მივიჩნიეთ ავტორების მიერ კომპიუტერული პროგრამით *LMMS* და *audacity*-ით სარგებლობის ფუნდამენტური ახსნა. მასწავლებლის წიგნში პედაგოგებს ვთავაზობთ *LMMS*-ში სემპლების ჩატვირთვისა და პროგრამით სარგებლობის რამდენიმე რჩევას.

რამდენიმე რჩევა LMMS-ით სარგებლობისთვის:

პროგრამის გახსნისას, პანელზე დაინახავთ სემპლების ჩამონათვალს (1).



რომელ სემპლზეც ორჯერ დააწკაპებთ, ის ჩაისმევა ზედა მარჯვენა კუთხეში. ასევე ორჯერ დააწკაპებთ შავ კვადრატზე მარჯვენა კუთხეში, სემპლის გასწვრივ კლავიატურის გვერდით და სემპლი ჩაჯდება მწვანედ (2).

სემპლის ჩასართავად დაკერის ლილაკით ისარგებლეთ, გასათიშად დააწკაპებთ გათიშვის ლილაკს. თუ ზედმეტად ჩასმული სემპლის ნაშლა დაგჭირდებათ, მოძებნეთ საშლელი. სემპლის დამატების სურვილის შემთხვევაში, ისარგებლეთ ფანქრით. თავგით შესაძლებელია სემპლების გადაადგილება და ფერების შეცვლა (3).



სემპლი იშლება ბრძანებით: **Remove this track** (4).

Project menu+import-ზე დაწკაპებით შეგიძლიათ სხვა სემპლის ჩასმა და მისი ხანგრძლივობის გაზრდაც (5).





მარცხენა მხარეს ორი კვადრატია, რომელზე დაწკაპებითაც შეძლებთ სასურველი სემპლი ჩართოთ, სხვები კი ღროებით გათიშოთ.


პროექტის გათიშვა ხდება **Project**-ზე დაწკაპუნებით, შემდეგ – **Export**; გამოსულ ფანჯარაში (**File name**) ჩაწეროთ სახელს + **save** და შეინახავთ ნაშრომს.

სემპლების (ციფრული ხმოვანების) ჩანერა LMMS პროგრამაში


შედიტ My Computer-ში, შემდეგ აირჩიეთ – C:\Program Files (x86)\LMMS\data\samples. samples -ში შესვლისას შექმენით ახალი საქალაქი (New Folder) და მასში ან samples-ის საქალაქის ცარიელ არეში დააკოპირეთ სემპლები (wav ფაილები). ახალი საქალაქის შექმნის შემთხვევაში, სემპლები LMMS პროგრამაშიც დაჯგუფებულად გამოჩნდება.



Clipboard Organise New Open Select				
← → ↕ ↑ This PC > Local Disk (C:) > Program Files (x86) > LMMS				
flash 1	Name	Date modified	Type	Size
IV	data	9/18/2017 17:04	File folder	
Imms	plugins	9/18/2017 17:04	File folder	
mister rabbit	libfft3f-3.dll	7/6/2014 15:26	Application extens...	2,120 KB
Dropbox	libFLAC-8.dll	1/19/2015 2:11	Application extens...	787 KB
Camera uploads	libfltk.dll	2/12/2015 2:22	Application extens...	5,866 KB
Workshopfotos	libfluidsynth.dll	3/21/2014 14:41	Application extens...	1,536 KB
	libglib-2.0-0.dll	3/21/2014 14:42	Application extens...	3,115 KB



გახსნილი სემპლის საქალაღდეში მონიშნეთ დასამატებელი სემპლი, მაუსის მარჯვენა ღილაკზე დაწკაპებით გამოიღახეთ კონტექსტური მენიუ და Copy + Paste-თი სემპლების საქალაღდიდან გადაიტანეთ სემპლი.



აუდიოჩანაწერები:

1. სიმღერები „ბასტი-ბუბუს“ რეპერტუარიდან
2. „ოდელია დელა“ – მაია ჯაბუა და ანსამბლი „ბასტი-ბუბუ“
3. ე. გრიგი – „დილა“ სუიტიდან „პერ-გიუნტი“
4. ლ. ბოკერინი – მენუეტი მი მაჟორი
5. ა. ვივალდი – „ზაფხული“, „წელიწადის დრონიდან“
6. კამილ სენ-სანსი – „ვირი“, „ცხოველების კარნავალიდან“
- 6-1. კამილ სენ-სანსი – „ანტილოპა“, „ცხოველების კარნავალიდან“
7. მ. აროშიძე – სიმღერა „თუ, თუ, თუ“
8. ი. შტრაუსი – პოლკა „გუგული და ბულბული“
9. ლიტავრის ხმოვანება
10. ი. ჰაიდნი – სიმფონია №104;
11. ი. ს. ბახი – პარტიტა №2 (ვიოლინოს სოლო)
12. დოლის რიტმი
13. სალამურის პოპური
14. სიმღერა „ფერმა“ (Old Mcdonald)
15. წვიმის ხმა
16. ქექა-ქუხილის ხმა
17. ზღვის ტალღების ხმა
18. ჩიტის ჭიკჭიკის ხმა
19. ი. ჰაიდნი – სონატა D dur.
20. ლ. დაკენი – „გუგული“ (ჩიტების გადაძახილი)
21. კ. სენ-სანსი – „გუგული“
22. ი. გურგულია – სიმღერა – „აჩუ-აჩუ
23. ი. ბრამსი – „ნანა“
24. ა. ხაჩატურიანი – ბალეტი „გაიანე“, ცეკვა ხმლებით
25. სენ-სანსი – „სპილო“, „ცხოველების კარნავალიდან“
26. ი. შტრაუსი – „რადეცკი მარში“
27. სენ-სანსი – „გუგული“
28. სიმღერა „IL BALLO DEL QUA QUA“
29. სიმღერა „საქათმეში შეპარულა მელა“.
30. ჯ. ლორდ პიერპონტი – „Jingle Bells“
31. ქართული „ალილო“
32. სომხური საშობაო
33. ებრაული სიმღერა ბზრიალაზე
34. გერმანული საშობაო
35. კედლის საათის ხმოვანება
36. პატარა საათის ხმოვანება.
37. ლ. ანდერსონი – „სინკოპირებული საათი“
38. ლიტვური იავნანა
39. ქ. გაბისიანი – სიმღერა „ტიკ-ტაკ“
40. დიდი ზარის ხმოვანება
41. პატარა ზარის ხმოვანება
42. ალ. ალიაბიევი – სიმღერა – „Вечерний звон“
43. ფრანგულ საბავშვო სიმღერა „Frere Jacques“
44. ლ. ვ. ბეთჰოვენი – „ელიზეს“
45. მოტოციკლეტის ხმოვანება
46. მსუბუქი ავტომანქანის ხმოვანება

47. სატვირთო მანქანის ხმოვანება
48. თვითმფრინავის ხმოვანება
49. მერი დავითაშვილი – „პატარა მატარებელი“
50. ო. მინდორაშვილი – „ძველი ორთქლმავალი“
51. თეფშების გატეხის ეფექტი
52. ჭიქაში კოვზის მორევის ხმის ეფექტი
53. სამკუთხედის ხმოვანება
54. არფის ხმოვანება
55. ზარის ხმოვანება (campane tubolari)
56. ქსილოფონის ხმოვანება
57. სენ-სანსი – „პიანისტი“, „ცხოველების კარნავალიდან“
58. ჟან ბატისტ ლიული – გავოტი
59. თანამედროვე „დრამ“-ის ხმოვანება
60. ნ. პაგანინი – კაპრისი №5
61. ვ. ა. მოცარტი – საფორტეპიანო პიესა „პური და კარაქი“
62. პ. ჩაიკოვსკი – „თოჯინას დასაფლავება“
63. პ. ჩაიკოვსკი – „ხის ჯარისკაცების მარში“
64. ი. შტრაუსი – პოლკა trisch-trasch
65. ე. გრიგი – „მთის მეფის გამოქვაბული“, „პერ-გიუნტიდან“
67. ნ. პაგანინი – კაპრისი 24
68. გია ყანჩელი – სიმღერა – ქაფჩა და აგური
69. ქართული ხალხური სიმღერა „გლესავ და გლესავ ნამგალო“
70. რუსული ხალხ. სიმღერა „валенки“
71. ზ. ფალიაშვილი – „ცეკვა ქართული“ ოპერიდან „დაისი“
72. ლელა თათარაიძე – მელოდიები გარმონზე
73. მიკის თეოდორაკისი – ბერძნული ცეკვა „სირტაკი“
75. ა. ვივალდი – „გაზაფხული“, „წელიწადის დრონიდან“
76. კ. ვ. გლუკი – მელოდია ოპერიდან „ორფეუსი“ ფლეიტის სოლოთი
77. ფ. კულაუ – „ფანტაზია“, სოლო ფლეიტისთვის
78. ნ. რიმსკი-კორსაკოვი – „კელას გაფრენა“ (ქსილოფონი)
79. ჯ. სეფიაშვილი – „ჯადოსნური ეკრანი“
80. ძროხის ღმუილის ხმოვანება
81. ძაღლის ყეფა
82. ცხენის ფლოქვების ხმა
83. ცხენის ჭიხვინი
84. თვითმფრინავის ხმა
85. მოტოციკლეტის ხმა
86. მსუბუქი ავტომობილის ხმა
87. დიდი სატვირთო მანქანის ხმა
88. რ. შუმანი – საფორტეპიანო პიესა „მამაცი მხედარი“
89. ი. შტრაუსი – „რადეცკი მარში“ (საორკესტრო)
90. ფ. შოპენი – ვალსი ლა მინორი
91. პ. ჩაიკოვსკი – „თოჯინას ავადმყოფობა“
92. პ. ჩაიკოვსკი – „ახალი თოჯინა“
93. რ. ლალიძე – „საჭიდაო“
94. მ. ფარცხალაძე – საბავშვო სიმღერა „წვიმა“
95. ჯ. კახიძე – „ჟუჟუნა წვიმა“ (სამხმიანი)
96. ხალხური სიმღერა – „ლალე“

97. პოპური სალამურის სოლოთი
98. „მზე შინა და მზე გარეთა“
99. ს. ცინცაძე – კვარტეტი №2, II ნაწილის ფრაგმენტი „მზე შინას“ თემაზე
100. ქართული გუდასტვირის ხმოვანება
101. შოტლანდიური გუდასტვირის ხმოვანება
102. ხალხური სიმღერა – „იმა მთაზედა“
103. გ. დარახველიძე – სიმღერა „ფიფქები“
104. მ. აროშიძე – „კანფეტების თოვლი“
105. მ. აროშიძე – „კანფეტების თოვლი“ (კარაოკე)
106. ლ. იაშვილი – სიმღერა – „კრიჭი-კრიჭი“
107. გურული კრიმანჭული
108. გერმანული იოდლი
109. ლეო დელიბი – „პიციკატო“, ბალეტიდან „სილვია“
110. „ცანგალა და გოგონა“
111. ვ. დოლიძე – ცეკვა „ქართული“, ოპერიდან „ქეთო და კოტე“
112. ხმები კალათხურთის თამაშის მატჩის მიმდინარეობისას
113. დ. შოსტაკოვიჩი – „თოჯინების ცეკვა“
114. ვ. ა. მოცარტი – სონატა №15

ვიდეოჩანაწერები:

1. ანიმაცია – „ფერმა“ (Old Mcdonald) (1)
2. ფ. შოპენი – ნოქტიურნი დო მინორი
3. ვიტორიო მონტი – „ჩარდაში“ ორკესტრის, ქსილოფონისა და ვიბრაფონისთვის
4. ანიმაცია – „ფორტე, პიანო“
5. მულტფილმი: უ. დისნეი – „საათების მაღაზია“
6. ი. ჰაიდნი სიმფონია „სათამაშოებით“
7. ა. ვივალდი – „გაზაფხული“ (I ნაწილი), „წელიწადის დრონიდან“
8. მულტფილმი „ჯადოსნური კვერცხი“
9. ცეკვა „ქართული“, „სუხიშვილების“ შესრულებით.
10. ცეკვა „აჭარული“
11. ცეკვა „მთიულური“
12. ცეკვა „ოსური“
13. ცეკვა მთიულური
14. ანიმაცია – „ყვავილები და ხეები“
15. ანიმაცია „შაქრო და ზაქრო“
16. ანიმაცია – გოჭი პეპა და მუსიკალური საკრავები.
17. სვანური საფერხულო „შაივოდი“
18. ვ. ა. მოცარტი – „თურქული მარში“ (ბოკლებით შესრულება)
19. ცეკვა „ხორუმი“
20. ბერძნული ცეკვების კოლაჟი
21. ლ. ანდერსონი – „პიესა საბეჭდი მანქანისთვის“
22. სალამურის გაკეთების ვიდეოგაკვეთილი
23. შოტლანდიური გუდასტვირი
24. ქსილოფონი – თანამედროვე რიტმები
25. ლეო დელიბი – „პიციკატო“, ბალეტიდან „სილვია“ (ვიდეოგაკვეთილი „თითების თამაში“)

26. ლეო დელიზი – „საათების ვალსი“ ბალეტიდან „კოპელია“
27. ანიმაცია – „შეშლილი პინგვინი“ (ფრაგმენტი)
28. „ტომი და ჯერი“ (ფრაგმენტი)
29. კალათბურთის მატჩი.

სიმღერების საფორტეპიანო ფონოგრამები:

- მ. დავითაშვილი – „პატარა მატარებელი“
- მ. დავითაშვილი – „თოჯინები“
- თ. კოპალიანი – „თოვლი, თოვლი, თოვლიგე“
- თ. კოპალიანი – „თოვლი მოდის, თოვს“
- მ. აროშიძე – „კანფეტების თოვლი“
- თ. კოპალიანი – „წვიმის მელოდია“
- მერაბ მერაბიშვილი – „შემოდგომამ გაგვახარა“
- მ. აროშიძე – „თუ, თუ, თუ“
- გ. ცაბაძე – „საათი“.

გაკვეთილების შინაარსისა და მიზნების რუკა

I თავი – გარესამყარო მუსიკაში

თემა – ხმების მრავალფეროვნება

I.1-2. უკვე პირველკლასელი ვარ

სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).4,5.

მოსმენა: სიმღერები „ბასტი-ბუბუს“ რეპერტუარიდან.

ცნებები: ხმა, ბგერა, ხმაური; ტონის სიმაღლე; გრძლიობა, სიძლიერე (ხმამაღალი, ხმადაბალი); სიმღერის შესწავლა – „დილა“ – ჩან. დ. გოდერძიშვილმა.

რესურსი: ფორტეპიანო, მოსასმენი აპარატურა, აუდიოჩანაწერი.

I.3. ხმების მრავალფეროვნება

სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).1,2,4,5.

მოსმენა: ე. გრიგი – „დილა“ სუიტიდან „პერ-გიუნტი“.

განმარტება: კომპოზიტორი.

ცნებები: ხმა, ბგერა, ხმაური; ტონის სიმაღლე; გრძლიობა, სიძლიერე (ხმამაღალი, ხმადაბალი); ხმაბაძვითი სიტყვები.

რესურსი: ფორტეპიანო, მოსასმენი აპარატურა, აუდიოჩანაწერი.

I.4. წვიმის მელოდია

სტანდარტის შედეგები: (მუს.დანყ.(I).4,5).

ცნებები: რიტმი, ბგერის გრძლიობა; მელოდია.

სიმღერის შესწავლა: თ. კოპალიანი „წვიმის მელოდია“.

რესურსი: ფორტეპიანო, მოსასმენი აპარატურა, აუდიოჩანაწერი.

I.5-6. მუსიკა თუ ხმაური

სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).1,2,4,5.

მოსმენა: ლ. ბოკერინი – მენუეტი მი მაჟორი, ა. ვივალდი – „ზაფხული“, ციკლიდან „წელიწადის დრონი“.

ცნებები: ბუნებრივი და ხელოვნურად შექმნილი ხმები, ხმაური, განწყობა; ბგერა – მუსიკალური და ხმაურის გამომცემი; ტონის სიმაღლე, ემოცია, მელოდია.

რესურსი: ილუსტრაციები, მოსასმენი აპარატურა, აუდიოჩანაწერი.

I.7-8. ვარკვევთ ხმის წარმოქმნის წყაროს

სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).1,2,3,4,5.

მოსმენა: ლეო დელიბი – „პიციკატო“, ბალეტიდან „სილვია“; სენ-სანსი – „ვირი“, „ანტი-ლოპა“, „ცხოველების კარნავალიდან“; იოჰან შტრაუსი – პოლკა „გუგული და ბულბული“.

ვიდეოგაკვეთილი „თითების თამაში“: ლ. დელიბის მუსიკაზე – „პიციკატო“, ბალეტიდან „სილვია“.

ცნებები: მუსიკალური და არამუსიკალური ბგერები; ბგერის ხანგრძლივობა (მოკლე, გრძელი), სიძლიერე (ხმამაღალი, ხმადაბალი); ხმაბაძვითი სიტყვები.

რესურსი: ფორტეპიანო, მოსასმენი და ვიდეოს საჩვენებელი აპარატურა, სხვადასხვა მასალის მუსიკალური საკრავები; პლასტმასის ქილები, საგნები საჟღარუნო საკრავის დასამზადებლად.

I.9. ვიმხიარულოთ ერთად
სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).1,2,3. მოსმენა: მ. აროშიძე – სიმღერა „თუ, თუ, თუ“. ცნებები: განწყობა, ტონის სიმაღლე, ბგერის გრძლიობა, რიტმი. სიმღერის შესწავლა: მაკა აროშიძე – „თუ, თუ, თუ“. რესურსი: ფორტეპიანო, მოსასმენი აპარატურა, აუდიოჩანაწერი.
I.10-11. რიტმის ანბანი
სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).1,2,4,5,6. ვიდეორჩვენება: ცეკვა „ხორუმი“. ცნება: რიტმი, ბგერის გრძლიობა. თამაში „გამოვიცნოთ სიმღერა“. რესურსი: ფორტეპიანო, ვიდეოს საჩვენებელი აპარატურა; პატარა ზომის პლასტმასის ბოთლები, თეთრი ლეიკოპლასტიკური, ფლომასტერი, ბრინჯი, ხორბლის, სიმინდის ან ლობიოს გამხმარი მარცვლები.
II. 12-13. ბგერის თვისება – გრძლიობა
სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).1,2,3,4,5. მოსმენა: ი. ჰაიდნი – სიმფონია №104; ქართული დოლის ხმოვანება. ცნებები: მუსიკალური ბგერა; ბგერის თვისება – ხანგრძლივობა; სოლო, სოლისტი. რესურსი: ფორტეპიანო, დოლი, მოსასმენი აპარატურა, აუდიოჩანაწერი.
I.14-15. ბგერის თვისება – ტემბრი
სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).1,2,3,4,5. მოსმენა: დოლის რიტმი, სალამურის სოლო. ცნებები: ხმა, ბგერა, ხმაური; ტონის სიმაღლე, ტემბრი, გრძლიობა, სიძლიერე (ხმამაღალი, ხმადაბალი); ხმაბაძვითი სიტყვები, დასარტყამი და სიმებიანი საკრავი, ხემი. რესურსი: ფორტეპიანო, მოსასმენი აპარატურა, აუდიოჩანაწერი, ილუსტრაციები.
I.16-17. გარესამყაროს ხმები – „ფერმა“
სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).1,2,3,4,5. მოსმენა – სიმღერა „ფერმა“ (Old Mcdonald) ვიდეორჩვენება – ანიმაცია „ფერმა“. ცნებები: ხმა, ბგერა, ხმაური; ტონის სიმაღლე; გრძლიობა (გრძელი, მოკლე), სიძლიერე (ხმამაღალი, ხმადაბალი); ხმაბაძვითი სიტყვები. სიმღერის შესწავლა – „ფერმა“. ინტონაციური სავარჯიშო – „წინილები“. მუშაობა კომპიუტერულ პროგრამაში LLMS. რესურსი: ფორტეპიანო, მოსასმენი და ვიდეოს საჩვენებელი აპარატურა, აუდიო და ვიდეოჩანაწერები.
I.18. გასაუბრება ვიოლინოსთან
სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).1,2,4,5. მოსმენა: ი. ს. ბახი – პარტიტა №2 (ვიოლინოს სოლო); ვიდეორჩვენება: ფ. შოპენი – ნოქტიურნი დო მინორი. ცნებები: ხმაბაძვითი სიტყვები. ბგერის გრძლიობა, სიძლიერე; მევიოლინე. სიმღერის შესწავლა: ჩეხური ხალხური სიმღერა – „ვიოლინომ იწკრიალოს სულ“. რესურსი: ფორტეპიანო, აუდიო და ვიდეოს საჩვენებელი აპარატურა.

I.19-20. ფორტეპიანო
სტანდარტის შედეგები: მუს. დაწყ.(I).1,2,4,5, მოსმენა: ბუნების ხმები (წვიმა, ქექა-ქუხილი, ზღვის ტალღების ხმა, ჩიტის ჭიკჭიკი); ი. ჰაიდნი – სონატა D dur; სენ-სანსი – „გუგული“; ლ. დაკენი – „გუგული“ (ჩიტების გადა- ძახილი). ცნებები: ტემპი, რეგისტრი, ტონის სიმაღლე, ხანგრძლივობა, სიძლიერე; კლავიატურა, კლავიშები, კომპოზიტორი. რესურსი: ფორტეპიანო, მოსასმენი აპარატურა, აუდიოჩანაწერი.
I.21. ნელა, ზომიერად, ჩქარა
სტანდარტის შედეგები: მუს.დაწყ.(I).1,2,4,5. მოსმენა: ს. დოლიძე – ცეკვა „ქართული“, ოპერიდან „ქეთო და კოტე“; ი. ბრამსი – „ნანა“ (საორკესტრო შესრულება). ვიდეორჩვენება: ფრაგმენტები ანიმაციიდან – „შეშლილი პინგვინები“; კალათბურთის თა- მაში, „ტომი და ჯერი“. ცნება – ტემპი. რესურსი: ფორტეპიანო, მოსასმენი აპარატურა, აუდიოჩანაწერი.
I.22. მუსიკალური საკრავი – ქსილოფონი
სტანდარტის შედეგები: მუს.დაწყ.(I).1,2,4,5. მოსმენა: ა. ხაჩატურიანი – ბალეტი „გაიანე“, ცეკვა ხმლებით (ფრაგმენტი); კამილ სენ- სანსი – „სპილო“, „ცხოველების კარნავალიდან“; ი. შტრაუსი – „რადეცკი მარში“. ვიდეორჩვენება: მონტი – „ჩარდაში“ ორკესტრის, ქსილოფონისა და ვიბრაფონისთვის. თამაში: „ღირიჟორიდან“. ტერმინები: ორკესტრი, ღირიჟორი, პიუპიტრი. რესურსი: აპარატურა აუდიოჩანაწერისა და ვიდეორჩვენებისთვის, სხვადასხვა მუსი- კალური საკრავი.
I.23. ავდივართ და ჩავდივართ
სტანდარტის შედეგები: მუს.დაწყ.(I).1,2,4,5. მოსმენა: კ. სენ-სანსი – „გუგული“, „ცხოველების კარნავალიდან“. ცნებები: ბგერის თვისება – სიმაღლე, ტონის სიმაღლე. რესურსი: ფორტეპიანო, მოსასმენი აპარატურა, აუდიოჩანაწერი.
I.24-25. ხმამაღლა და ხმადაბლა
სტანდარტის შედეგები: მუს.დაწყ.(I).1,2,4,5. მოსმენა: სიმღერები: „IL BALLO DEL QUA QUA“; „საქათმეში შეპარულა მელა“. ვიდეორჩვენება: ანიმაცია – „ფორტე, პიანო“. ცნებები: ხმა, ბგერა, სიძლიერე, განწყობა. 24-25 რესურსი: მოსასმენი და ვიდეოს საჩვენებელი აპარატურა, აუდიო/ვიდეოჩანაწ- ერი, ფორტეპიანო.
I.26-27. საშობაო სიმღერები
სტანდარტის შედეგები: მუს.დაწყ.(I).1,2,4,5,6. მოსმენა: ჯეიმზ ლორდ პიერპონტი – „Jingle Bells“; ქართული ალილო; სომხური საშობაო სიმღერა. სიმღერის შესწავლა: „ალილო“ („Jingle Bells“ ქართული ტექსტით). ცნებები: ბგერის სიმაღლე, სიძლიერე, გრძლიობა. რესურსი: მოსასმენი აპარატურა, აუდიოჩანაწერი.

I.28. „თოვლი, თოვლი, თოლიგე“

სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).1,2,4,5.

მოსმენა: გ. დარახველიძე – „ფიფქებო“.

სიმღერის შესწავლა: თ. კოპალიანი „თოვლი, თოვლი, თოლიგე“.

რესურსი: ფორტეპიანო, მოსასმენი აპარატურა, აუდიოჩანაწერი.

I.29. „გამეორება ცოდნის დედა“ – შემაჯამებელი გაკვეთილი

სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).1,2,4,5.

რესურსი: ფორტეპიანო, ბურთი.

**II თავი. მუსიკა და ჩვენი ყოფა
თემა: ყოფითი საგნები მუსიკაში**

II.30-31. „ტიკ-ტაკ“ საათი

სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).1,2,3,4,5.

მოსმენა: კედლის საათისა და პატარა საათის ხმოვანება; ლ. ანდერსონი – „სინკოპირებული საათი“; ლიტვური იავნანა; ქეთევან გაბისიანი – სიმღერა „ტიკ-ტაკ“.

ვიდეორჩვენება: მულტფილმი: უ. დისნეი – „საათების მაღაზია“; ლეო დელიბი – „საათების ვალსი“, ბალტიდან „კოპელია“; ლეო დელიბი – „პიციკატო“, ბალეტიდან „სილვია“ (ვიდეო-გაკვეთილი – „თითების თამაში“).

ცნებები: ბგერის სიმაღლე, სიძლიერე, გრძლიობა, პერსონაჟი.

სიმღერის შესწავლა: გიორგი ცაბაძე – „საათი“.

რესურსი: ფორტეპიანო, მოსასმენი აპარატურა, აუდიოჩანაწერი.

II.32-33-34. ამღერებული ზარი

სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).1,2,4,5.

მოსმენა: დიდი და პატარა ზარების ხმოვანება; რუსული ხალხური სიმღერა – „Вечерний звон“; ჯეიმს ლორდ პიერპონტი – „Jingle Bells“.

ცნებები: ბგერის სიმაღლე, სიძლიერე, გრძლიობა; ხმაბაძვითი სიტყვები.

რესურსი: ფორტეპიანო, მოსასმენი აპარატურა, აუდიოჩანაწერი.

II.35. „ნკარუნა“ ჭიქები

სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).1,2,4,5.

მოსმენა: ლ. ვ. ბეთჰოვენი „ელიზეს“ (საფორტეპიანო).

ვიდეორჩვენება: მოცარტი – „თურქული მარში“ (ბოკალებით).

ცნებები: ბგერის სიმაღლე, სიძლიერე, გრძლიობა.

რესურსი: ფორტეპიანო, აუდიო და ვიდეოაპარატურა.

II.36-37. პატარა მატარებელი

სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).3,4,5.

მოსმენა: სხვადასხვა ტრანსპორტის (მოტოციკლი, მსუბუქი და სატვირთო ავტომანქანის, თვითმფრინავის) ხმოვანება; მერი დავითაშვილი – „პატარა მატარებელი“; ომარ მინდო-რაშვილი – „ძველი ორთქლმავალი (საფორტეპიანო ციკლიდან „მგზავრული ჩანახატები“).

სიმღერის შესწავლა: მ. დავითაშვილი – „პატარა მატარებელი“.

ცნებები: ბგერის სიმაღლე, სიძლიერე, გრძლიობა, ტემპი.

რესურსი: ფორტეპიანო, მოსასმენი აპარატურა, აუდიოჩანაწერი.

II.38-39. გამოვიცნოთ ხმები
სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).1,2,4,5. მოსმენა: თეფშების გატეხვის ეფექტი; ჭიქაში კოვზის მორევის ხმის ეფექტი; სამკუთხედის (ტრიანგოლო) ხმოვანება; არფის ხმოვანება; ზარის ხმოვანება (საორკესტრო); ქსილოფონის ხმოვანება; სენ-სანსი – „პიანისტი“, „ცხოველების კარნავალიდან“. ცნებები: ბგერის სიმაღლე, სიძლიერე, გრძლიობა, მოტივი. რესურსი: ფორტეპიანო, მოსასმენი აპარატურა, აუდიოჩანაწერი.
II.40. „პური და კარაქი“
სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).4,5. მოსმენა: ნ. პაგანინი – კაპრისი №5; მოცარტი – საფორტეპიანო პიესა „პური და კარაქი“. ცნებები: ბგერის სიმაღლე, სიძლიერე, გრძლიობა, განწყობა; პოლკა, პიესა, ვუნდერკინდი. რესურსი: ფორტეპიანო, მოსასმენი აპარატურა, აუდიოჩანაწერი.
II.41-42. მელოდია – ბგერათა სამეფოს დედოფალი
სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).1,2,3,4,5. მოსმენა: ი. შტრაუსი – პოლკა trisch-trasch; ე. გრიგი – „მთის მეფის გამოქვაბულში“, სიმფონიური სიუტიდან „პერ-გიუნტი“. ცნებები: ბგერის სიმაღლე, სიძლიერე, გრძლიობა, განწყობა, პოლკა. რესურსი: ფორტეპიანო, მოსასმენი აპარატურა, აუდიოჩანაწერი, ორი პლასტმასის ქილა, ლობიოსა და ბრინჯის მარცვლები, აკვარელის საღებავები, ფუნჯი.
II.43-44-45. განწყობა
სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).1,2,3,4,5. მოსმენა: ნ. პაგანინი – „კაპრისი“ №24; გია ყანჩელი – სიმღერა „ქაფჩა და აგური“, ტექსტის ავტორი – პეტრე გრუზინსკი. ვიდეორჩვენება: ი. ჰაიდნი – სიმფონია „სათამაშოებით“; მულტფილმი „ჯადოსნური კვერცხი“. ცნებები: ბგერის სიმაღლე, სიძლიერე, გრძლიობა; განწყობა, მოტივი. რესურსი: ფორტეპიანო, აუდიო და ვიდეოს საჩვენებელი აპარატურა.
II.46-47. ყოფითი საგნები მუსიკაში
სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).1,2,4,5,6. მოსმენა: ქართული ხალხური სიმღერა: „გლესავ და გლესავ ნამგალო“; რუსული ხალხური სიმღერა „валенки“. ებრაული სიმღერა ბზრიალაზე. ცნება: ბგერის სიმაღლე, სიძლიერე, გრძლიობა; ფოლკლორი; შრომის სიმღერა. რესურსი: მოსასმენი აპარატურა, აუდიოჩანაწერი.
II.48-49. საცეკვაო რიტმები
სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).1,2,4,5,6. მოსმენა: ქართული ხალხური ცეკვები; ლელა თათარაიძე – მელოდიები გარმონზე; ბერძნული ცეკვა „სირტაკი“. ცნებები: რიტმი; ბგერის სიმაღლე, სიძლიერე, გრძლიობა. ვიდეორჩვენება: ცეკვები (ამორჩევით): „ქართული“, „აჭარული“, „ხორუმი“, „ოსური“, „მთიულური“, „სირტაკი“ და ბერძნული ცეკვების კოლაჟი. რესურსი: ფორტეპიანო, აუდიო და ვიდეოს საჩვენებელი აპარატურა; დოლი, გარმონი.

II.50-51. გარესამყარო მუსიკაში – გაზაფხული
სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).1,2,4,5. მოსმენა: ა. ვივალდი – „გაზაფხული“, „წელიწადის დრონიდან“ (ან ვიდეორჩვენება). ვიდეორჩვენება: ანიმაცია – „ყვავილები და ხეები“. ცნებები: მოტივი, ბგერის გრძლიობა, სიმაღლე, სიძლიერე; კონსერვატორია, ციკლი. სიმღერის შესწავლა: მერაბ მერაბიშვილი – „დედა“. რესურსი: ფორტეპიანო, მოსასმენი და ვიდეოს საჩვენებელი აპარატურა.
II.52. ვიპოვოთ ბგერა
სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).1,2. ვიდეორჩვენება: ანიმაცია – „შაქრო და ზაქრო“. ცნება: მოტივი, ბგერის სიმაღლე, სიძლიერე, გრძლიობა. თამაში „ვიპოვოთ ბგერა“. რესურსი: ფორტეპიანო, ვიდეოს საჩვენებელი აპარატურა.
II.53. გამოვიცნოთ საკრავი
სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).1,2,3,4,5. მოსმენა: გლუკი – მელოდია ოპერიდან „ორფეუსი“ ფლეიტის სოლოთი; ფ. კულაუ – „ფანტაზია“, სოლო ფლეიტისთვის; ნ. რიმსკი-კორსაკოვი – „კელას გაფრენა“ (ქსილოფ.); ე. გრიგი – „დილა“, „პერ-გიუნტიდან“. ცნებები: ბგერის თვისებები – სიმაღლე, სიძლიერე, ხანგრძლივობა. თამაში „ამოვიცნოთ საკრავი“. საკრავის გაცნობა – ფლეიტა. რესურსი: მოსასმენი აპარატურა, აუდიოჩანაწერი.

თემა: თამაშები მუსიკაში	
II.54-56. „ასკინკილა კინკილა“	
სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).4,5. მოსმენა: ცხოველების, ტრანსპორტის ხმები; რ. შუმანი – საფორტეპიანო პიესა „მამაცი მხედარი“; ი. გურგულია – სიმღერა „აჩუ, აჩუ“. ცნებები: მოტივი, ტემპის მონაცვლეობა, რიტმი, ტემპის ცვალებადობა, მუსიკალური კოლაჟი, მუსიკალური კომპოზიცია. რესურსი: ფორტეპიანო, მოსასმენი აპარატურა, აუდიოჩანაწერი.	
II.57. „თქვენთან გვინდა თამაში“	
სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).1,2,3,4,5. მოსმენა: ი. შტრაუსი – „რადეცკი მარში“ (საფორტეპიანო ტრანსკრიფცია), ფ. შოპენი – „ვალსი“ ლა მინორი. თამაში: „კენჭაობა“. ცნებები: ტემპი, რიტმი, მოტივი. რესურსი: ფორტეპიანო, მოსასმენი აპარატურა, აუდიოჩანაწერი.	
II.58. თოჯინები	
სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).4,5. მოსმენა: პ. ჩაიკოვსკი – „თოჯინას ავადმყოფობა“ და „ახალი თოჯინა“, „საბავშვო ალბომიდან“; დ. შოსტაკოვიჩი – „თოჯინების ცეკვა“. სიმღერის შესწავლა: მ. დავითაშვილი – „თოჯინები“. ცნებები: ტემპი, ბგერის გრძლიობა, სიმაღლე. რესურსი: ფორტეპიანო, მოსასმენი აპარატურა, აუდიოჩანაწერი.	
II. 59-60. თამაში შინ და გარეთ	
სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).1,2,3,4,5. მოსმენა: ვ. ა. მოცარტი – სონატა №15 დო მაჟორი; რ. ლალიძე – „საჭიდაო“. ცნებები: მოტივი, ტემპის მონაცვლეობა, მოტივის მონაცვლეობა. რესურსი: ფორტეპიანო, მოსასმენი აპარატურა, აუდიოჩანაწერი; განსხვავებული ზომის ბურთები.	
III თავი: ეთნოგრაფია და მუსიკა გარესამყაროს ხმები სხვადასხვა ქვეყნის ხალხურ მუსიკაში	
III.61. ჟუჟუნა წვიმა	
სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).1,2,3,4,5,6. მოსმენა: მ. ფარცხალაძე – სიმღერა „წვიმა“ (რუსულად); ჯ. კახიძე – „ჟუჟუნა წვიმა“ (სამხმიანი); წვიმის ხმოვანება. ცნებები: ხმა, ბგერა, ხმაური; ტონის სიმაღლე; გრძლიობა, სიძლიერე (ხმამაღალი, ხმადაბალი); ხმაბაძვითი სიტყვები. რესურსი: ფორტეპიანო, მოსასმენი აპარატურა, აუდიოჩანაწერი.	

III.62-63. ჩემი ლამაზი სამშობლო
სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).1,2,4,5,6. მოსმენა: გურული კრიმანჭული, გერმანული იოდლი; „ლალე“, „ცანგალა და გოგონა“. სიმღერის შესწავლა: ხალხური სიმღერა – „ლალე“. ცნებები: ხმა, ბგერა, ხმაური; ტონის სიმაღლე; გრძლიობა, სიძლიერე (ხმამალალი, ხმადაბალი); განწყობა; ხმაბაძვითი სიტყვები; ხალხური, ერთხმიანი, მრავალხმიანი. რესურსი: ფორტეპიანო, მოსასმენი აპარატურა, აუდიოჩანაწერი.
III.64. ამღერებელი ლერნამი – სალამური
სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).4,5,6. მოსმენა: პოპური სალამურის სოლოთი „ერისიონის“ შესრულებით. ცნებები: ხმა, ბგერა, ხმაური; ტონის სიმაღლე; გრძლიობა, სიძლიერე (ხმამალალი, ხმადაბალი); ხმაბაძვითი სიტყვები. რესურსი: ფორტეპიანო, მოსასმენი აპარატურა, აუდიოჩანაწერი.
III.65. „მზე შინა“
სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).1,2,6. მოსმენა: „მზე შინა და მზე გარეთა“ – ანსამბლ „მზეთამზის“ შესრულებით; ს. ცინცაძე – კვარტეტი №2, II ნაწილის ფრაგმენტი „მზე შინას“ თემაზე. ცნებები: რიტმი, გრძლიობა, „ძეობის სიმღერა“. რესურსი: ფორტეპიანო, მოსასმენი აპარატურა, აუდიოჩანაწერი.
III.66. გუდასტვირი
სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).1,2,4,5,6. მოსმენა: ქართული და შოტლანდიური გუდასტვირის ხმოვანება. საკრავების გაცნობა – ქართული და შოტლანდიური გუდასტვირი. ცნება – ჰანგი, მესტვირე. რესურსი: ფორტეპიანო, მოსასმენი აპარატურა, აუდიო/ვიდეოჩანაწერი.
III.67. „იმა მთაზედა“
სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).4,5,6. მოსმენა: ხალხური სიმღერა – „იმა მთაზედა“. ვიდეორჩვენება: სვანური საფერხულო „შიავოდი“. სიმღერის შესწავლა – „იმა მთაზედა“. ცნებები: მოტივი, ბგერის გრძლიობა, ხმაბაძვითი სიტყვები. რესურსი: მოსასმენი აპარატურა, აუდიოჩანაწერი.
III. 68. ვიმღეროთ ერთად – „კრიჭი-კრიჭი“
სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).1,2,3,4,5. მოსმენა: ლ. იაშვილი – სიმღერა – „კრიჭი-კრიჭი“. რესურსი: ფორტეპიანო, მოსასმენი აპარატურა, აუდიოჩანაწერი.
III. 69-70. „გამეორება ცოდნის დედა“ – შემაჯამებელი გაკვეთილები
სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).1,2,4,5. მოსმენა: მასწავლებლის შერჩევით. რესურსი: მოსასმენი და ვიდეოს საჩვენებელი აპარატურა, აუდიოჩანაწერი; ტომსიკა „ცოდნის ქისა“, ნახატები „სევდიანი“ და „მხიარული“ ლიმილებით; სათამაშო საკრავები ან თაბახის ფურცლებზე ამობეჭდილი საკრავების ილუსტრაციები.

გაკვეთილების სცენარები

I თავი – გარესამყარო მუსიკაში

თემა	რა ხერხებით მიიღწევა სტანდარტით განსაზღვრული მიზნები
ხმების მრავალფეროვნება	• ბუნებაში არსებული ხმების, ბგერების ამოცნობა; • მუსიკალური და ხმაურის გამომწვევი ბგერების დაჯგუფება; • სხვადასხვა ხმის, პლასტიკის, მიმიკის გამოყენებით რაიმე განწყობის ან სახე-ხატის შექმნა; • მუსიკალური სმენისა და მეხსიერების, რიტმის გრძნობის განვითარება; • მუსიკის მოსმენისა და საკუთარი დამოკიდებულების ნათლად გადმოცემის უნარ-ჩვევის ჩამოყალიბება; • შემოქმედებით აქტივობებში ჩაბმა, პასუხისმგებლობის, ჯგუფში მუშაობის ჩვევის გამომუშავება; • წარმოსახვით-ასოციაციური აზროვნების განვითარება.
მუს.დანყ.(I).1.	მოსწავლემ უნდა შეძლოს გარესამყაროში არსებული ბუნებრივი და ხელოვნურად შექმნილი ხმის, ხმაურის და მუსიკალური ენის ცალკეული ელემენტების (მაგალითად, რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) გამოყენება გარკვეული ემოციური მდგომარეობის გადმოსაცემად;
მუს.დანყ.(I).2.	მოსწავლემ უნდა შეძლოს ხმის, ხმაურის, მუსიკალური ელემენტების (მაგ., რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) გამოყენება გარკვეული ემოციური მდგომარეობის გადმოსაცემად;
მუს.დანყ.(I).3.	მოსწავლემ უნდა შეძლოს ხმოვანი გზავნილის სხვადასხვა სიმბოლოთი ჩანერა.
მუს.დანყ.(I).4.	მოსწავლემ უნდა შეძლოს მოსმენის დროს სახე-ხატის შექმნაში მუსიკალური ენის ცალკეული ელემენტის (მაგ., რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) როლის განსაზღვრა.
მუს.დანყ.(I).5.	მოსწავლემ უნდა შეძლოს ცალკეული მუსიკალური ელემენტის (მაგ., რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.), ხმაურსა და ვიზუალურ რიგს შორის ასოციაციური კავშირების გაბმა.
მუს.დანყ.(I).6.	მოსწავლემ უნდა შეძლოს ხალხური მუსიკის თავისებურებების ამოცნობა.

ცნებები: ინსტრუმენტი, ბუნებრივი და ხელოვნურად შექმნილი ხმები, ხმაური, განწყობა.

სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები:

როგორ გამოვიყენოთ სხვადასხვა ხმა რაიმე განწყობის ან სახე-ხატის შესაქმნელად? **მუს.დანყ.(I).1, 2;**

როგორ შეიძლება ამა თუ იმ ხმის გამოცემა ან ხმაურის შექმნა? **მუს.დანყ.(I).1,2;**

როგორ შეიძლება ჩაინეროს ესა თუ ის ხმა? **მუს.დანყ.(I).3.**

როგორ დავაჯგუფოთ ხმები და ხმაური სხვადასხვა ნიშნის მიხედვით? **მუს.დანყ.(I).4, 5, 6;**

როგორ შეუძლია ამა თუ იმ ხმას რაიმე ემოციის გამონვევა? **მუს.დანყ.(I).4, 5,6.**

როგორ აისახება გარესამყარო ამა თუ იმ ხალხურ სიმღერაში? **მუს.დანყ.(I).4, 5,6.**

სასწავლო თემების სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები არ წარმოადგენს შეკითხვებს, რომლებიც პედაგოგმა მოსწავლეებს უნდა დაუსვას. საგაკვეთილო პროცესი ამ კითხვებზე პასუხების მიღების პროვოცირებას ემსახურება, რომლებიც რამდენიმე გაკვეთილის მიზნად მოიაზრება.

1.1-2. უკვე პირველკლასელი ვარ

სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).4,5.

მოსმენა: სიმღერები „ბასტი-ბუბუს“ რეპერტუარიდან.

ცნებები: ხმა, ბგერა, ხმაური; ტონის სიმაღლე; გრძლიობა, სიძლიერე (ხმამაღალი, ხმადაბალი).

სიმღერის შესწავლა – „დილა“ (ფრაგმენტი) – ჩანერა დ. გოდერძიშვილმა.

რესურსი: ფორტეპიანო, მოსასმენი აპარატურა, აუდიოჩანაწერი.

სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები:

როგორ შეუძლია ამა თუ იმ ხმას რაიმე ემოციის გამოხვევა?

საკლასო აქტივობები

აქტივობა I

მოსწავლეებს პირველივე გაკვეთილზე შევუქმნათ ხალისიანი განწყობა. ეს გულისხმობს როგორც საკლასო ოთახის ვიზუალურ მოწყობას, ისე საგანგებოდ შერჩეული სახალისო მუსიკის ფონზე მუსიკის გაკვეთილის დაწყებასაც.

მასწავლებელი: ბავშვებო, თქვენთვის ახალი ცხოვრება დაიწყო – სასკოლო ცხოვრება. დღეს მუსიკის შესწავლას იწყებთ, თუმცა მუსიკა დიდი ხანია თქვენ გვერდით არის – დაბადებიდანვე სიმღერით გაძინებდნენ, საბავშვო ბაღში თავადაც მღეროდით, ცეკვავდით, მუსიკა განუწყვეტლივ გესმით ტელევიზიით, ნახატ ფილმებსა თუ თოჯინების თეატრში.

მუსიკის გაკვეთილებზე ბევრ საინტერესოს გაიგებთ მუსიკის შესახებ: რამდენად მრავალფეროვანია ხმები/ბგერები ჩვენ ირგვლივ, როგორ იბადება და იქმნება მუსიკა, მოუსმენთ სხვადასხვა მუსიკალურ ნაწარმოებს, იმღერებთ, იცეკვებთ და ითამაშებთ.

მოსმენა: სიმღერები „ბასტი-ბუბუს“ რეპერტუარიდან – შემოთავაზებული აუდიოფაილებიდან (1, 2).

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მუსიკას სიმღერით, ტაპით, მოძრაობით აჰყვნენ.

სიმღერის შესრულებისას მასწავლებელი აკვირდება პატარების შესაძლებლობებს (ყურადღებას აქცევს მათი ხმის ტემბრს, სწორად სუნთქვას, რიტმის შეგრძნებას, ინტონაციურად სწორად მღერას, არკვევს მუსიკის საგნის შესწავლისადმი მათ ინტერესს) და განსაზღვრავს მომავალში ჩასატარებელი სამუშაოს სტრატეგიას თითოეულ მათგანთან.

თუ რომელიმე მოსწავლეს სურვილი გაუჩნდება, საშუალება მიეცეთ, გაიხსენოს საყვარელი სიმღერა, მუსიკასა და მუსიკოსებთან დაკავშირებული ამბავი, ლექსი ან ზღაპარი. დანარჩენები ტაპითა და მოძრაობით გაამხნევენ და სიმღერით აჰყვებიან მეგობარს. მოსწავლეები შეეცდებიან ისაუბრონ შესრულებული ან მოსმენილი ნაწარმოების ირგვლივ.

ზოგადი კითხვები:

* რის მიხედვით განასხვავებთ ამა თუ იმ სიმღერას ერთმანეთისგან? (სავარაუდო პასუხები შეიძლება იყოს: განწყობა, შინაარსი (სიტყვები), შესრულების სისწრაფე (ვმღერით ჩქარა ან ნელა), ხასიათი (მხიარული, სევდიანი)).

* რა იცით მუსიკისა და მუსიკოსების შესახებ? დაასახელეთ სიმღერა, რომელიც მოგონონთ და აღნიშნეთ, რატომ გამოარჩიეთ ის.

* რისი შესწავლა გსურთ მუსიკის გაკვეთილებზე?

აქტივობა II

დო მაჟორის საფეხურების გამღერება ხმოვნებით (ქვედა ტეტრაქორდი). სრულდება რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში:



რეკომენდაცია: თუ გამის საფეხურების ან უფრო რთული რიტმულ-ინტონაციური ფიგურაციის მღერისას ბავშვებს სუფთად მღერა გაუჭირდათ, დაეინყოს მხოლოდ პირველი-ორი ბგერით (დო-რე, დო-რე-დო...), ერთი და იმავე გრძლიობის ბგერებით (მაგ., ჯერ ნახევარი გრძლიობის ბგერებით, ნელა, გაგრძელებულად, შემდეგ – მეოთხედებით) და მივუმატოთ თითო ბგერა – თანდათანობით გავზარდოთ დიაპაზონი. მღერისას მივუთითოთ ხელის მტევნით ბგერების მოძრაობა – ადის, ჩამოდის. თვალსაჩინოებისთვის შეიძლება დაფაზე გრაფიკულად გამოვსახოთ (რაიმე ფიგურებით, ხაზებით ან რგოლებით) მოძრაობა. ეს ბავშვებს ხელს შეუწყობს ბგერების მოძრაობის უკეთ აღქმა-გააზრებას.

აქტივობა III

რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოდ შევთავაზოთ ფრაგმენტი სიმღერისა „დილა“.

მასწავლებელი ფორტეპიანოზე ასრულებს სიმღერას და სთხოვს მოსწავლეებს ტაპით აჰყვნენ (მახვილი ყოველ თვლაზე – მეტრი).

ფრაგმენტი სიმღერისა „დილა“:



თემის მეორე გაკვეთილი

აქტივობა I

გავიმეოროთ ინტონაციური სავარჯიშო გამის საფეხურებზე „ა-ი-ა-ი“.

სიმღერა „დილა“ – გამეორება.

აქტივობა II

კლასი იყოფა ორ ჯგუფად. ერთი ჯგუფი ასრულებს სიმღერას „დილა“, მეორე ტაპით/კაკუნით გამოხატავს მეტრს (ტაქტის პირველ ბგერაზე).

სავარაუდო კითხვები: რომელი ჯგუფის მოქმედება წარმოქმნის ხმაურს? (მეორე ჯგუფი – ტაპი/კაკუნი); რომელი ჯგუფი გამოსცემს მუსიკალურ ბგერებს? (პირველი – სიმღერა); რატომ? (ადამიანი მღერისას მუსიკალურ ბგერებს გამოსცემს); აქედან გამომდინარე, კაკუნი მუსიკალური ბგერაა თუ ხმაურის გამომწვევი?

რიტმულ სავარჯიშოებს მასწავლებელი წერს დაფაზე (ზომისა და ტაქტის ხაზების მინიშნება ამ ეტაპზე საჭირო არაა), მხოლოდ მიუთითებს, რომ ცალკე მდგომი ხაზები დაყოფ-

ნებით აღვნიშნოთ, გადაბმული ხაზების შემთხვევაში კი სწრაფად დავუკრათ ტაში. შეიძლება, მოკლე ბგერები „ტი“ მარცვლით გავამღეროთ, გრძელი ბგერები „ტა“ მარცვლით, მაგალითად: სიმღერის „დილა“ რიტმული ნახაზი:



აქტივობა III

მუს.დანყ.(I).4,5. როგორ შეუძლია ამა თუ იმ ხმას რაიმე ემოციის გამოწვევა?

მასწავლებელი სთავაზობს ერთ-ერთ მოსწავლეს, შეარჩიოს ხმები რაიმე ემოციის გამოწვევის მიზნით და მოასმენინოს თანაკლასელებს. შემდეგ მეგობრების რეაქციის მიხედვით შეამოწმოს, თუ რამდენად მიაღწია სასურველ შედეგს.

ბავშვები შეარჩევენ ხმის გამოცემის ხერხებს: საგნების ერთმანეთზე ხახუნი, კაკუნი, გამოიყენებენ ხელთ არსებულ სათამაშო ან ნამდვილი საკრავების ხმოვანებას ან – საკუთარ ხმას (ცალკეული ბგერების ან რაიმე მოტივის წამღერება სხვადასხვა ხასიათში, ჟესტით; სტვენა და სხვ.).

მასწავლებელი დაფაზე ხატავს ან ბუკებში ჩაუტვირთავს სხვადასხვა ემოციის გამომსახველ „ლიმილებს“ ილუსტრაციების ელექტრონული ფაილიდან და სთხოვს ერთ-ერთ მოსწავლეს, ხმითა და მიმიკით „აღწეროს“ რომელიმე მათგანი. თანაკლასელები ამოიცნობენ, რომელი „სახე“ შეეფერება მეგობრის მოქმედებას.



1.3. ხმების მრავალფეროვნება

სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).1,2,4,5.

მოსმენა: ე. გრიგი – „დილა“, სიმფონიური სუიტიდან „პერ-გიუნტი“.

განმარტება: კომპოზიტორი.

რესურსი: ფორტეპიანო, მოსასმენი აპარატურა, აუდიოჩანაწერი.

ცნებები: ხმა, ბგერა, ხმაური; ტონის სიმაღლე; გრძლიობა, სიძლიერე (ხმამაღალი, ხმადაბალი); ხმაბაძვითი სიტყვები.

სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები:

- * როგორ გამოვიყენოთ სხვადასხვა ხმა რაიმე განწყობის ან სახე-ხატის შესაქმნელად?
- * როგორ შეიძლება ამა თუ იმ ხმის გამოცემა ან ხმაურის შექმნა სხვადასხვა საშუალებით?
- * როგორ შეუძლია ამა თუ იმ ხმას რაიმე ემოციის გამოწვევა?

საკლასო აქტივობები

აქტივობა I

დო მაჟორის საფეხურების გამღერება (ქვედა ტეტრაქორდი).

სიმღერა „დილა“ – გამეორება.

აქტივობა II

მუს.დანყ.(I).4,5. როგორ შეუძლია ამა თუ იმ ხმას რაიმე ემოციის გამოწვევა?

მასწავლებელი კლასს ასმენინებს სხვადასხვა ხმას, მაგალითად: ძაღლის ყეფა (81), სატვირთო მანქანის მოძრაობის ხმოვანება (47), ჭექა-ქუხილის ხმა (16). იგი სთხოვს მოსწავლეებს, ხმით მიბაძონ სასწრაფო დახმარების სიგნალს, რომელიმე გარეულ ცხოველს, ხმამაღლა გაიცინონ. შემდეგ კი აღწერონ თავიანთი ემოცია – რომელმა ხმამ გამოიწვია მათში სიხარული, სიმშვიდე, შეშფოთება და სხვ.

აქტივობა III

მოვისმინოთ, როგორ აქვს კომპოზიტორს აღწერილი მუსიკაში დილა (განმარტება: **კომპოზიტორია ადამიანი, ვინც ქმნის/თხზავს მუსიკას**).

მოსმენა: ე. გრიგი – „დილა“ სუიტიდან „პერ-გიუნტი“ (3).

განმეორებითი მოსმენის შემდეგ მოსწავლეები შეეცდებიან შეძლებისდაგვარად აღწერონ დილა (მაგალითად: I მონაკვეთი – გამთენიისას ირგვლივ სიჩუმეა, ნელ-ნელა ცას ნათელი ეპარება; II – მზე დინჯად იწყებს ამოსვლას; III – ირგვლივ ყველაფერი ნელ-ნელა იღვიძებს; IV – ცაში ჩიტები ჭიკჭიკს იწყებენ; V – მზე მთლიანად ამობრწყინდა და ირგვლივ ყველაფერი განათდა...).

კლასში იმართება დისკუსია, მოსწავლეები ასახელებენ ფრაგმენტს, რომლის მოსმენა-მაც განსაკუთრებული ემოცია გამოიწვია მათში და საუბრობენ მის შესახებ. მსჯელობენ, როგორი ხასიათისაა მუსიკა – მხიარული, სევდიანი; შესრულების სისწრაფე – ჩქარი, ნელი; ბგერები – გრძელი, გაბმული თუ მოკლე, ნყვეტილი, წვრილი ბოხი და სხვ.); მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მოიფიქრონ, როგორ სიტყვებს გამოიყენებენ მუსიკის დასახასიათებლად (მშვიდი, მღერადი, შფოთიანი, მელოდიური, ლამაზი და სხვ.); გამოთქვამენ საკუთარ აზრს, როგორ აქვს კომპოზიტორს გადმოცემული მუსიკაში თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი ქმედება, მაგალითად, როგორ მოძრაობს ბგერები II მონაკვეთის მოსმენისას (მზის ამოსვლა) – ქვემოდან ზემოთ, თუ ზემოდან ქვემოთ? ხმოვანება მატულობს, თუ კლებულობს? რატომ მატულობს, რისი გამოხატვა უნდოდა კომპოზიტორს ამ ფრაგმენტში ბგერების სიძლიერის მომატებით? და სხვ.

I.4. წვიმის მელოდია

სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).1,2,4,5.

ცნებები: რიტმი, ბგერის გრძლიობა; მელოდია.

სიმღერის შესწავლა: თ. კოპალიანი – „წვიმის მელოდია“.

რესურსი: ფორტეპიანო, მოსასმენი აპარატურა, აუდიოჩანაწერი.

სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები:

* როგორ გამოვიყენოთ სხვადასხვა ხმა რაიმე განწყობის ან სახე-ხატის შესაქმნელად?

* როგორ შეიძლება ამა თუ იმ ხმის გამოცემა ან ხმაურის შექმნა?

* როგორ შეუძლია ამა თუ იმ ხმას რაიმე ემოციის გამონვევა?

საკლასო აქტივობები

აქტივობა I

საფეხურების გამღერება დო მაჟორის ქვედა ტეტრაქორდზე და რიტმული ნახაზი:



აქტივობა II

მუს.დანყ.(I).1,2,4,5.

* როგორ გამოვიყენოთ სხვადასხვა ხმა რაიმე განწყობის ან სახე-ხატის შესაქმნელად?

* როგორ შეიძლება ამა თუ იმ ხმის გამოცემა ან ხმაურის შექმნა?

სიმღერა აქტივობით – თ. კოპალიანი – „წვიმის მელოდია“ (საფორტეპიანო ფონოგრამა იხ. მოსასმენ ფაილში):

ფოთოლი ცვივა – ტკაპ!

----- ტაში მარჯვნივ

წვეთი ხმაურობს – კაპ!

----- ტაში მარცხნივ

სადაც იპოვის ლაფს,

გოჭი ჭყვიტინით – ტყაპ!

----- ტაში წინ

ძენძავს ძალიან შორს

ქარი ნისლეების ქაფს.

----- ხელებს მაღლა არხევენ

ტუქსავს ღრუტუნა გოჭს,

თავის ორი თვის ღლაპს.

მიხტის ფოთოლი – სკუპ!

----- ახტომა

წვეთი ხმაურობს – წკაპ! წკუპ!

----- ტაში მარჯვნივ და მარცხნივ

ფოთოლი ცვივა – ტკაპ!

----- ტაში წინ.

წვიმა მღერის – წკუპ-წკაპ!

გოჭი ჭყვიტინით – ტყაპ!

----- ტაში წინ

ძენძავს ძალიან შორს

ქარი ნისლეების ქაფს.

----- ხელებს მაღლა არხევენ

ტუქსავს ღრუტუნა გოჭს,

თავის ორი თვის ღლაპს.

მიხტის ფოთოლი – სკუპ!

----- ახტომა

წვეთი ხმაურობს – კაპ! კუპ!

----- ტაში მარჯვნივ და მარცხნივ

ფოთოლი ცვივა – ტკაპ!

----- ტაში წინ.

წვიმა მღერის – წკუპ-წკაპ.

წვიმის მელოდია

ზომიერად

მუსიკა თ. კოპალიანის
ტექსტი ვ. ჩხიკვაძის

ფო-თო-ლი ცვი - ვა ტკაპ წვე-თი ხმა - უ-რობს კაპ

ხა-დაც ი - პო - ვის ლაფს გო - ჭი ჭეი - ტი - ნით ტკაპ

ძენ - ძავს ძა-ლი-ან შორს ქა - რი ნის-ღე-ბის ქაფს

ტუქ- ხავს ღრუტუ-ნა გოჭს თა - ვის ო - რი-თვის ღღაპს

მის-ტის ფო - თო - ლი სკუპ! წვეთი ხმა - უ - რობს კაპ კუპ!

ფო-თო-ლი ცვი - ვა ტკაპ! წვი - მა მღე-რის წვი - მა მღე - რის

— წკუპ წკაპ წკუპ წკაპ წკუპ წკაპ წკუპ



★ – ტაში.

აქტივობა III

* როგორ გამოვიყენოთ სხვადასხვა ხმა რაიმე განწყობის ან სახე-ხატის შესაქმნელად?

სიმღერის მიხედვით, აღწერეთ, როგორ ხმას გამოსცემს გოჭი ტალახში ტყაპუნისას, როგორი შრიალი ისმის ფოთოლცვენისას, როგორ „მღერის“ წვიმა. კლასში ისაუბრეთ, რა ემოციას იწვევს თქვენში ეს ხმები.

მასწავლებელი მოსწავლეებს ბუკში ჩაუტვირთავს ფოტოებს ელექტრონულ რესურსებში შემოთავაზებული ილუსტრაციებიდან (ფოთოლცვენა, გოგონა წვიმაში, გოჭი ტალახში).

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, აღწერონ ფოტოები და ისაუბრონ თითოეულ მათგანზე.

მოსწავლეებს მივცეთ საშუალება, ფოტოების მიხედვით, გაიხსენონ რაიმე სახალისო ამბავი. შემდეგ კი – „გაახმოვანონ“ ქმედებები მოცემული ნახატების მიხედვით.



შშშრრრრ!



წკაპ-წკუპ
კვა-კვა



ტყაპ!

1.5-6.

მუსიკა თუ ხმაური

სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).1,2,4,5.

მოსმენა: ლ. ბოკერინი – მენუეტი მი მაჟორი; ა. ვივალდი – „ზაფხული“, ციკლიდან „ნელინადის დრონი“.

ცნებები: ბუნებრივი და ხელოვნურად შექმნილი ხმები, ხმაური, განწყობა; ბგერა – მუსიკალური და ხმაურის გამომცემი; ტონის სიმაღლე, ემოცია, მელოდია.

რესურსი: ილუსტრაციები, მოსასმენი აპარატურა, აუდიოჩანაწერი.

სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები:

* როგორ გამოვიყენოთ სხვადასხვა ხმა რაიმე განწყობის ან სახე-ხატის შესაქმნელად? მუს.დანყ.(I).1,2.

* როგორ შეიძლება ამა თუ იმ ხმის გამოცემა ან ხმაურის შექმნა? მუს.დანყ.(I).1,2.

* როგორ შეუძლია ამა თუ იმ ხმას რაიმე ემოციის გამოწვევა? მუს.დანყ.(I).4,5.

საკლასო აქტივობები

აქტივობა I


გავაგრძელოთ გამის საფეხურების გამღერება ხმოვნებზე (ქვედა ტეტრაქორდი):



სიმღერა „დილა“ – გამეორება და შესწავლის გაგრძელება (IX ტაქტიდან):



მასწავლებელი დაფაზე წერს სიმღერის „დილა“ რიტმულ ნახაზს (მონიშნული ტაქტები), თავად ასრულებს ტაშით და სთხოვს მოსწავლეებს, გაიმეორონ (აქცენტი ძლიერ დროზე – პირველ თვლაზე):



1. მასწავლებელი კლასს დაყოფს ორ ჯგუფად. პირველი ჯგუფი გამოხატავს რიტმს, მეორე ჯგუფი – მეტრს (მახვილი ძლიერ დროზე). მეტრის აღნიშვნა ტაშისა და კაკუნის ნაცვლად შეიძლება დასარტყამი საკრავებით (ნამდვილი ან სათამაშო) – სამკუთხედით, მარაკასით, პატარა დოლით, დაირით და სხვ. შემდგომ ჯგუფები იცვლებიან.

2. ერთი ჯგუფი ასრულებს სიმღერას, მეორე ჯგუფი გამოხატავს მეტრს. სავარაუდო კითხვები: რომელი ჯგუფის მოქმედება წარმოქმნის ხმაურს? (მეორე ჯგუფი – კაკუნი); რომელი ჯგუფი გამოსცემს მუსიკალურ ბგერებს? (პირველი – სიმღერა); რატომ? (ადამი-

ანი მღერისას მუსიკალურ ბგერებს გამოსცემს); კაკუნი ბუნებრივი ხმაა თუ ხელოვნურად შექმნილი? – ხელოვნურად შექმნილი; მღერა – ბუნებრივი.

აქტივობა II

მუს.დანყ.(I).1,2. როგორ შეიძლება ამა თუ იმ ხმის გამოცემა ან ხმაურის შექმნა?

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, თვალები დახუჭონ და მოუსმინონ სიჩუმეს.

კითხვები: რა ხმები გესმოდათ ოთახში? რა ხმები გესმოდათ შენობის სხვა ოთახებიდან? რა ხმები გესმოდათ ეზოდან?

შემდეგ მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, დაასახელონ ის საგნები, რომლებსაც ხედავენ საკლასო ოთახში. ბავშვები ასახელებენ.

მასწავლებელი: რაც თქვენ ჩამოთვალეთ, ეს საგნებია, რომლებსაც თვალით ვხედავთ. ყველაფერი ის კი, რაც ჩვენს ყურთასმენას სწვდება, ბგერებია. ჩვენ გარშემო უამრავი ბგერაა. ბგერებს ვერ ვხედავთ, მხოლოდ გვესმის. მოდით, „მოვძებნოთ“ და თავად შევქმნათ ის ბგერები, რომლებიც ჩვენს საკლასო ოთახში „ცხოვრობენ“.

მასწავლებლის მითითებით ბავშვები თვითონ შექმნიან ხმაურის გამომწვევ ბგერებს: ერთ-ერთი მოსწავლე სხვადასხვა ქმედებას ასრულებს, მაგალითად: ქაღალდს ჭმუჭნის; დაფაზე ცარცით აკაკუნებს; ფეხს იატაკზე აბაკუნებს; კარს გააღებს და დახურავს; ხმამალა გაიცინებს და სხვ. დანარჩენი მოსწავლეები თვალდახუჭულნი უსმენენ მეგობრის თითოეულ ქმედებას (არკვევენ ხმის წარმოქმნის წყაროს) და ამ დროს გამოცემულ ბგერებს აღწერენ, მაგ., გრძელი, გაბმული, წყვეტილი, ხმამალა, ხმადაბალი, წვრილი, ბოხი, უხეში, სასიამოვნო...); ასახელებენ, რომელი ხმა როგორ ქმედებას აღწერს; რომელმა გამოიწვია მათში სიხალისე, რომელმა – უსიამოვნო შეგრძნება.

აქტივობა III

მუს.დანყ.(I).4,5. მოსმენილსა და ვიზუალური წარმოსახვის ურთიერთკავშირი.

მასწავლებელი ასმენინებს განსხვავებული ხასიათის ნაწარმოებებს (მაგალითად, ფრაგმენტებს: ლ. ბოკერინი – მენუეტი მი მაჟორი (4), ანტონიო ვივალდი – „ზაფხული“ (ქარიშხალი) „ნელინადის დრონიდან“ (5), მასწავლებელი არ ასახელებს ნაწარმოებებს და სთხოვს მოსწავლეებს, აღწერონ, რომელმა მათგანმა გამოიწვია მათში შემოფოთება, რომელმა მოჰგვარა სიამოვნება და რატომ.

მასწავლებელი მოსწავლეებს ბუკებში ჩაუტვირთავს ილუსტრაციებს, მაგალითად, ცეკვისა და ქარიშხლის ამსახველს. თითოეული ნაწარმოების მოსმენისას ბავშვები ასახელებენ, რომელი მუსიკალური ფრაგმენტი რომელ ილუსტრაციას მიესადაგება.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს (II და III აქტივობების მაგალითზე), გამოთქვან საკუთარი აზრი, რომელი ბგერები შეიძლება ჩაითვალოს ხმაურის წარმომქმნელ და რომელი – მუსიკალურ ბგერებად (II – ხმაური, III – მუსიკალური).

თემის მეორე გაკვეთილი

აქტივობა I

გამის საფეხურების გამღერება ხმოვნებზე (ქვედა ტეტრაქორდი).

სიმღერა „დილა“ – გამოვრება ტაშის თანხლებით (მეტრის აღნიშვნა ძლიერ დროზე).

აქტივობა II

მუს.დანყ.(I).4,5. როგორ შეუძლია ამა თუ იმ ხმას რაიმე ემოციის გამოწვევა?

მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს სხვადასხვა საგნისა და ცხოველის ფოტოებს (მაგ.: კნუტი, ლეკვი, გუგული, მოტოციკლეტი, მალვიძარა საათი, მატარებელი, იხვი, ცხენი, წვიმიანი ამინდი). შემდეგ სთხოვს მათ, მიბაძონ თითოეულის ხმოვანებას და ამოირჩიონ

ხმები, რომლებიც, მათი აზრით, მხიარულ განწყობას უქმნით (სევდას ან შიშს ჰგვრით, ამშვიდებთ); ბავშვები მსჯელობენ, რატომ იწვევს ესა თუ ის ხმა ამა თუ იმ განწყობას.

მასწავლებელი მოსწავლეებს ასხენებს, რომ ხმები მრავლადაა ჩვენ ირგვლივ. ზოგი მათგანი ბუნებრივია, ზოგი კი – ხელოვნური.

ხელოვნურია ხმები, რომელსაც გამოსცემს ადამიანის ხელით შექმნილი სხვადასხვა საგანი. მოსწავლეები განსაზღვრავენ – ფოთლების შრიალი, ჩიტების გალობა, ძაღლის ყეფა, მგლის ყმუილი – ბუნებრივი ხმებია თუ ხელოვნურად შექმნილი (ბუნებრივი). აღნიშნავენ, ამ ხმებიდან რომელი იწვევს მათში ხალისიან განწყობას, სიამოვნებას, შიშს; დაასახელებენ ხელოვნურად შექმნილ ხმებს, რომლებიც სასიამოვნო განწყობას უქმნით, და იმ ხმებს, რომლებიც მათთვის შიშის, შფოთვის მომგვრელია.

როგორც ვხედავთ, სხვადასხვა ხმას შეუძლია სხვადასხვა განწყობა შეგვიქმნას. ჩვენც შეგვიძლია ხმების წარმოქმნა.

აქტივობა III

მუს.დანყ.(I).1,2. როგორ გამოვიყენოთ სხვადასხვა ხმა რაიმე განწყობის შესაქმნელად?

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გამოიყენონ სხვადასხვა საგანი ხმის/ხმაურის წარმოსაქმნელად (ბავშვები მერხზე აკაკუნებენ, ფეხებს აბაკუნებენ, ტაშს შემოჰკრავენ, დაიყვირებენ, ხმამაღლა გაიცინებენ, რომელიმე სათამაშო საკრავს ააჟღერებენ, წაიმღერებენ და სხვ.). შემდეგ ასახელებენ, რომელმა ქმედებამ (ხმებმა) გაახალისათ, რომელი არ მოეწონათ და რატომ; ეს ხმები ბუნებრივია თუ ხელოვნურად შექმნილი? (ხელოვნურად შექმნილი); სულიერი არსებების (ადამიანის, ცხოველებისა და ფრინველების) მიერ გამოცემული ხმები? (ბუნებრივი).

აქტივობა IV

მუს.დანყ.(I).1,2. როლური თამაში „პატარა მოგზაურები“.

მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს სიტუაციურ ამოცანას, მაგალითად, მოგზაურობა გემით. ბავშვებმა შეიძლება წარმოიდგინონ, რომ იმყოფებიან ნავსადგურში, გამცილებლები ემშვიდობებიან ახლობლებს. გემის საყვირი გამგზავრების მანიშნებელ სიგნალს იძლევა. უზარმაზარი ლაინერი ოკეანის ტალღებს მიაპობს. უცბად ქარიშხალი ამოვარდა, კოკისპირული წვიმა იწყება და გემი აზვირთებულ ტალღებს ქანაობით მიაპობს. მალე ქარიშხალიც ჩადგება, გემი რომელიღაც ეგზოტიკურ კუნძულს ნელი სვლით მიუახლოვდება და გაჩერების სიგნალს აძლევს. ნავსადგურში დამხვდურები მხიარული შედახილებით ხვდებიან ახლობლებს.

ერთ-ერთ მოსწავლეს სთხოვეთ, რომ გაახმოვანოს ეს მარშრუტი (არკვევს ხმის წარმოქმნის წყაროს და ბაძავს მას) – გემის სიგნალი, ტალღების ხმა, ქარიშხალი და წვიმა, მგზავრები ერთობიან – მღერიან, ცეკვავენ; გზად რომელიღაც ტომებით დასახლებულ კუნძულზე შეჩერდებიან, ადგილობრივები ტურისტების გასართობად კონცერტს მართავენ – მღერიან და ცეკვავენ (შესაძლებელია, ბავშვებმა სულ სხვა სიუჟეტი წარმოიდგინონ, მთავარია, წარმოსახვის ფანტაზია განავითარონ და სხეულის მოძრაობითა და ხმით გამოხატონ თხრობისას გადმოცემული ემოცია). გამოიყენეთ ხელთ არსებული დასარტყამი საკრავები, აგრეთვე მოსწავლეებმა უნდა მოიფიქრონ, სხვა რომელი საგნების მეშვეობით შეიძლება გამოსახონ ზღვის ტალღების, ქარიშხლისა და სხვა ბგერების ხმოვანება. აღნიშნავენ, მათგან რომელია ხმაურის გამომცემი და რომელი – მუსიკალური. სპონტანურად იქმნება რაღაც მოტივი. შესაძლებელია ამ თამაშის მსვლელობის აუდიოჩანაწერის გაკეთებაც. ჩანაწერის მოსმენისას მოსწავლეები შეამჩნივენ, რომ სხვადასხვა სიმაღლის ბგერების მონაცვლეობის შედეგად შეიქმნა რაღაც მელოდია.

1.7-8. ვარკვევთ ხმის წარმოქმნის წყაროს

სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).1,2,3,4,5.

მოსმენა: ლეო დელიბი – „პიციკატო“, ბალეტიდან „სილვია“; კ. სენ-სანსი – „ვირი“, „ანტილოპა“ „ცხოველების კარნავალიდან“; ი შტრაუსი – პოლკა „გუგული და ბუღბუღი“.

ვიდეოგაკვეთილი „თითების თამაში“: ლეო დელიბი – „პიციკატო“, მუსიკა ბალეტიდან „სილვია“.

ცნებები: მუსიკალური და არამუსიკალური ბგერები; ბგერის გრძლიობა (მოკლე, გრძელი), სიძლიერე (ხმამალალი, ხმადაბალი); ხმაბაძითი სიტყვები.

რესურსი: ფორტეპიანო, მოსასმენი და ვიდეოს საჩვენებელი აპარატურა, სხვადასხვა მასალის „მუსიკალური საკრავები“; პლასტმასის ქილები, საგნები საჟღარუნო საკრავის დასამზადებლად.

სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები:

* როგორ გამოვიყენოთ სხვადასხვა ხმა რაიმე განწყობის ან სახე-ხატის შესაქმნელად? მუს.დანყ.(I).1,2.

* როგორ შეიძლება ამა თუ იმ ხმის გამოცემა ან ხმაურის შექმნა? მუს.დანყ.(I).1,2.

* როგორ შეიძლება ჩაინეროს ესა თუ ის ხმა? მუს.დანყ.(I).3.

* როგორ დავაჯგუფოთ ხმები და ხმაური სხვადასხვა ნიშნის მიხედვით? მუს.დანყ.(I).4,5.

საკლასო აქტივობები

აქტივობა I

გამის საფეხურების გამღერება ხმოვნებზე (ქვედა ტეტრაქორდი).

მასწავლებელი სთავაზობს ბავშვებს „თითების თამაშს“ ლეო დელიბის მუსიკაზე – „პიციკატო“ (იხ. ვიდეოგაკვეთილი (25)). თამაში მიმართულია მელოდიისა და მეტრულ-რიტმული ფიგურაციის აღქმისთვის. მუსიკის ფონად გამოვიყენოთ ნებისმიერი ნაწარმოები ან ის, რომელიც ვიდეორგოლშია (ნაწარმოების მოსმენა: 109). ასეთი აქტივობისთვის ბავშვებს შეიძლება შევთავაზოთ სხვადასხვა მოძრაობა (მაგალითად, საცეკვაო).

მასწავლებელს: ამ სახის აქტივობები სხვა ნაწარმოების მაგალითებზე სასურველია გამოიყენოთ ნებისმიერ გაკვეთილზე.

რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო „აბა დელი“:



აქტივობა II

მუს.დანყ.(I).1,2. მასწავლებელი: ვიცით, რომ ბუნებაში უამრავი ბგერა გვხვდება – სახლში, სკოლაში, ქუჩაში, სათამაშო მოედანზე, ტყეში, სოფლად... გვებადება კითხვა – რომელი მათგანია მუსიკალური ბგერა და რომელი – არამუსიკალური, ხმაურის გამომწვევი?

დავყოთ ბგერები ორ მთავარ ჯგუფად: ხმაურის შემქმნელი (სიტყვიდან „ხმაური“) და მუსიკალური ბგერები (სიტყვიდან „მუსიკა“). ჩვენ ადვილად შეგვიძლია გავარჩიოთ ეს ბგერები ერთმანეთისგან.

მაგალითად, აღწერეთ წვიმის, ჭექა-ქუხილის ხმა ან ჩიტების გალობა (ბავშვები ამ ხმების შედარებას აკეთებენ, რომელი როგორ ისმის – წყვეტილად, გაბმულად, მოკლედ, გრძლად, ხმამაღლა, ჩუმად, უხეშად, ნაზად, სასიამოვნოდ...

ყველა ცოცხალი არსება თავისებურ ხმას გამოსცემს, მაგალითად, ჩვენ, ადამიანები, ვლაპარაკობთ, ვმღერით, ვყვირით, ვჩურჩულებთ, ვიცინით, ვტირით... ცხოველები ბურტყუნებენ, ღმუიან, ილრინებიან, წკმუტუნებენ, ღრიალებენ, ყეფენ, კნავიან და ა. შ. ფრინველები ჭიკჭიკებენ, გალობენ, ჭახჭახებენ, ჩხავიან. ასე რომ, ბუნებაში უამრავ ხმას – ბგერებს გაიგონებ. როგორ ფიქრობთ, რომელია მათგან მუსიკალური და რომელი – არამუსიკალური – ხმაურის შემქმნელი?

მასწავლებელს მომზადებული აქვს სხვადასხვა ილუსტრაცია; აჩვენებს ერთ-ერთ მოსწავლეს და სთხოვს, ამოარჩიოს ის, რომელიც ყველაზე მეტად მოსწონს, შემდეგ მხოლოდ ხმითა და მოძრაობით აღწეროს. თანაკლასელებმა უნდა გამოიყენონ, ამ ილუსტრაციებიდან რომელი შეესაბამება მეგობრის მიერ აღწერილს.

აქტივობა III

მიზანი: ბავშვები არკვევენ ხმის წარმოქმნის წყაროს:

1. მასწავლებელი სთხოვს ერთ-ერთ მოსწავლეს, ხმით განასახიეროს სხვადასხვა სულიერი არსებისა თუ საგნის მიერ გამოცემული ხმები. დანარჩენი მოსწავლეები ამოიცნობენ და ასახელებენ, რომელი ხმა რომელ არსებას/საგანს ასახავს.

2. ბავშვები ერთმანეთის პირისპირ სხედან, მასწავლებელი დაურიგებს მათ ხელთარებულ მუსიკალურ ინსტრუმენტებს, ბავშვებმა რიგრიგობით უნდა „დაუკრან“ და მოუსმინონ ერთმანეთს. შემდეგ მასწავლებელი სვამს კითხვებს: რომელი საკრავის ხმა ისმოდა უფრო დიდხანს? უფრო ცოტა ხანს? შევეცადოთ შევუცვალოთ ინსტრუმენტს ხმა. როგორ? დავარტყათ (დოლს/სამკუთხედს/დაირას) ხან ძლიერად, ხან ნაზად, ჩავბეროთ სალამურს ხან სუსტად, ხან უფრო ძლიერად და ა.შ. რას გაგონებთ ეს ხმა? როგორ შეიძლება აღწეროთ? (ლამაზი, უხეში, სასიამოვნო/უსიამოვნო).

3. მასწავლებელი სთავაზობს ბავშვებს, გამოსცენ განსხვავებული ხმები: ხმით, ხელის პირზე აფარებით, გაბერილ ლოყებზე ხელის მიჭერით, ენის ტკაცუნით, ტაშის დაკვრით, ფეხების დაბაკუნებით და სხვ. შემდეგ თვითონ მოიფიქრონ ამა თუ იმ ხმის სახელი; დააკვირდნენ, როგორ იცვლება ხმა – რა დროს მატულობს ან კლებულობს; თავად მოიფიქრონ ხმის გამოცემის ახალი ხერხები.

მუს.დანყ.(I).3.

მასწავლებელი მოსწავლეებს ასმენინებს ნაწყვეტს რომელიმე მუსიკალური კომპოზიციიდან ან მათთვის ნაცნობი სიმღერიდან და სთხოვს მათ, მუსიკის მელოდიის მიხედვით ფანქრით ან ფლომასტერით გაავლონ ფურცლის ერთი ბოლოდან მეორემდე ისეთი ხაზი, რომელიც, მათი აზრით, მიესადაგება მელოდიის მოძრაობას; იგივე გაიმეორონ რამდენიმე განსხვავებული მელოდიის გამოყენებით. ხაზების შედარებისას ბავშვებმა უნდა აღწერონ, რითი განსხვავდებოდა მელოდიები ერთმანეთისგან.

აქტივობა IV

მასწავლებელი კლასს უჩვენებს ილუსტრაციებს (მაგალითად, ხერხი, დოლი, ტელეფონი, ძაღლი, ლომი, ბზიკი და სხვ.).

მოსწავლეები შესაბამისი მიმიკით/მოძრაობითა და ხმით განასახიერებენ ამ საგნებს/სულიერ არსებებს.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, აღწერონ ეს ხმები. მაგალითად, რის მიხედვით შეიძლება განასხვაო ტელეფონის წკრიალი და მტვერსასრუტის ხმა? ან ლომის ღრიალი და ჩიტის ჭიკჭიკი? როგორ ფიქრობთ, მტვერსასრუტის ხმა ხმაურია? (ხმაურია); ლომის ღრიალი? (ხმა). მოსწავლეები ადგენენ, რომელი მათგანია ბუნებრივი და რომელი – ხელოვნურად შექმნილი ხმა.

რადგანაც მოსწავლეებს ჯერ შესწავლილი არა აქვთ ტემბრი და რეგისტრი, ამიტომ საგნების ხმოვანების აღსაწერად მათი სავარაუდო პასუხები შეიძლება იყოს: ტელეფონის ხმა წკრიალაა (წერილია), გრძლად უღერს (გაბმულად), / ან მოკლე (წყვეტილ ხმას გამოსცემს), თითქოს მღერის/მუსიკას უკრავს, მტვერსასრუტის ხმა კი უფრო ბოხია, უსიამოვნო, გაბმული.

აქტივობა V
მუს.დანყ.(I).4,5. მოსმენა: კამილ სენ-სანსი – პიესები „ცხოველების კარნავალიდან“ – „ვირი“ (6); „ანტილოპა“ (6-1).

მასწავლებელი არ ასახელებს ნაწარმოებს, მოსწავლეებს ცალ-ცალკე ასმენინებს პიესებს, აჩვენებს რამდენიმე ცხოველის ფოტოს და სთხოვს მათ, მუსიკის მოსმენისას ამოიცნონ, რომელ ილუსტრაციას შეესაბამება მუსიკა და დაასაბუთონ თავიანთი მოსაზრება, რის მიხედვით ამოიცნეს.

განმეორებით მოსმენისას მოსწავლეები ერთ პიესაში („ვირი“) ამოიცნობენ ყროყინის ინტონაციას, „ანტილოპას“ მოსმენისას ბავშვები ყურადღებას გაამახვილებენ ნაწარმოების ტემპზე, რომელიც ანტილოპას სწრაფ სირბილს აღწერს.

მასწავლებელი შემდეგი გაკვეთილისთვის მოიმარაგებს შეფერილ (გაუმჭვირვალე) პლასტმასის ქილებს, წინიბურას, ლილებს, მეტალის სარჭებს (სკრეპი).

თემის მეორე გაკვეთილი

აქტივობა I
გამის საფეხურების გამღერება ხმოვნებზე (ქვედა ტეტრაქორდი).
რიტმული სავარჯიშო. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, წარმოთქვან ქვემოთ მოცემული სულიერი არსებების სახელები რიტმში (ტაპით). ბავშვებმა სამმარცვლიანი სიტყვა სწრაფად უნდა დაითვალონ, ორმარცვლიანი – ნელა:



აქტივობა II
მუს.დანყ.(I).1,2. როგორ შეიძლება ამა თუ იმ ხმის გამოცემა ან ხმაურის შექმნა?
მასწავლებელი კითხულობს მოთხრობას „ბგერების ქვეყანა“. მოთხრობის დასასრულს სვამს კითხვებს, რომლის საპასუხოდ, შესაძლებელია, წინასწარ შეამზადოს კლასი. მაგალითად: „მე ადგილებს არასწორად წავიკითხავ, თქვენ კი შეეცადეთ გამოიცნოთ, რა იყო არასწორი“ (მოსწავლეთა ჩართულობა და ყურადღების მობილიზების გაზრდა).

ბგერების ქვეყანა

„...ტყეში ყურს თუ დაუგდებ, იფიქრებ, ნუთუ ყველა – მხეცები, ფრინველები, მწერები, ქვეწარმავლები – მუსიკოსად დაიბადაო.

იქნებ ასეც არის – თითოეული მათგანი თავისებურად „მღერის“, მხოლოდ ესაა, რომ სასიმღერო ხმა ყველას არა აქვს.

დავაკვირდეთ, როგორ ხმას გამოსცემენ ბაყაყები ტბის პირას. აი, ამოყვეს თავები წყლიდან, დაიბერეს ლაყუჩები, გააღეს პირი და...

„კვააააა, კვააააა!..“ – ერთი ამოსუნთქვით ახმიაანდნენ.

გაიგონა წერო მათი ხმა და გაუხარდა:

– მთელი გუნდი შეკრებილა! რა ნოყიერი საუზმე მელის!.. – და გაფრინდა ტბორისკენ, დაჯდა და ფიქრობს: „ბაყაყებმა როგორ უნდა მაჯობონ, რითი ვარ მათზე ნაკლები? ისინი მღერიან, თუმცა ლამაზი ხმა სულაც არა აქვთ. მოდი, მეც ვცდი.

გააღო პირი და სწრაფად დააკაკუნა ნისკარტის ზედა მხარე ქვედაზე, ჯერ ფრთხილად, გაუბედავად, შემდეგ კი ხმას მოუმატა, თანდათან ისე გახურდა, ისე გაიტაცა სიმღერამ, რომ საუზმე სულ გადაავიწყდა.

აგერ, ლერწმინაში, ცალ ფეხზე ამაყად დგას ყანჩა, უსმენს და თან ფიქრობს: რა უნიჭო რამ ვარ, დახეთ, წეროც კი, რომელიც მომღერლობას ვერ დაიკვებნის, როგორ გატაცებით მღერის. ...მოვიფიქრე – მოდი, ვცდი და წყალზე „დავუკრავ“.

ჩაყო ყანჩამ ტბორში ნისკარტი, ჩაიგროვა ბლომად წყალი და ჩაბერა! მთელ მიდამოს მოედო მისი ხმა – პლუმბ-ბუბუბუმ!

– ესეც სიმღერაა რა!.. – გაიფიქრა კოდალამ, რომელიც ახლომახლო, ხის ტოტზე შემოსკუპებულიყო. – საკრავის მოძიება ხომ მეც შემიძლია! ვითომ ხე ნაკლები ინსტრუმენტია?! დიახ, საუკეთესო დოლია, ჩემი მაგარი ნისკარტი კი ჯოხების მაგივრობას გასწევს.

კოდალა კარგად მოკალათდა ტოტზე, კუდი გაისწორა, უკან დაიხია, თავი გაიქნია და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ჩასცხო და ჩასცხო ხეს თავისი გრძელი ნისკარტი.

ხმაურზე ხის ფესვიდან ულვაშებიანი ხოჭო გამოძვრა. მიიხედ-მოიხედა, მისმა გახევე-ბულმა კისერმა ჭრაჭუნიც კი დაიწყო, გაისმა სუსტი წრიპინი. წრიპინით კი წრიპინებს, მაგრამ სულ ტყუილად – არავის ესმის. თვითონ კი მაინც კმაყოფილია თავისი „სიმღერით“.

ახლა ხის ქვეშიდან თავისი ბუდიდან კრაზანა გამოძვრა და ჰაერში აფრინდა. დაფრინავს ყვავილიდან ყვავილზე, ბზუის თავისი ფრთებით.

კრაზანას ბზუილმა ბალახებში ჩამალული კალია გააღვიძა. კარგად გაიზმორა და დახერხილ ფრთებზე გაუსვა წვრილი ფეხები, გაისმა მჟღერი ხმა, მაგრამ ისეთი, მხოლოდ მას რომ ესმის.

– ეჰ, – ფიქრობს გრძელნისკარტა ჩიბუხა, – მეც მინდა ვიმღერო! მაგრამ როგორ? ხმა არა მაქვს, ცხვირით არ გამომივა, არც ფრთებით შემიძლია. ეჰ! რაც იქნება, იქნება, – მაინც არ გავჩერდები, ვიფრენ, რალაციტ მაინც ვიხმიაანებ. გაშალა ფრთები და გაფრინდა, სულ მაღლა და მაღლა მიფრინავს. კუდი მარაოსავით გაშალა, ფრთები გაასწორა, ცხვირით მიწისკენ შემობრუნდა და ახლა ქვევით დაეშვა, თან ერთი მხრიდან მეორეზე ბრუნავს, ისე სწრაფად მოფრინავს, თითქოს ვილაცამ კენჭი ჩამოაგდოო. თავით მიაპობს ჰაერს, კუდი კი დასწვრილებია და ნიავის ქროლვაზე მეტად უცნაურ ხმას გამოსცემს მისი ნაზი ბუმბულის რხევა. ნეტა რა უნდა იყოსო, შეშინებულები ეკითხებიან ერთმანეთს ტყის ბინადარნი. გვიან მიხვდნენ – ეს ხომ ჩიტი ჩიბუხაა!

– რა უცნაური ხმა ისმის ზეციდან, ნეტა, რითი გამოსცემს ჩიბუხა ასეთ ხმას?

– კუდით! აბა, თქვენ რა გეგონათ!“

ეკითხები: თქვენი აზრით, რა მოგეჩვენათ მოთხრობაში არასწორად? წეროს მსგავსად, თქვენც გგონიათ, რომ ბაყაყის ყიყინი, ჩიტის ჭიკჭიკი, კრაზანას ბზუილი, კოდალას ხეზე

კაკუნი სიმღერაა? როგორ გავარჩიოთ ხმები და ხმაური ერთმანეთისგან? (ვისმენტ ყველა პასუხს).

მასწავლებელი: თურმე რამდენგვარი ბგერა არსებულა ბუნებაში. მართალია, ბგერები ჩვენ ირგვლივ მრავლადაა, ტყის ბინადარნიც სხვადასხვა ხმას გამოსცემენ, იქნებ ფიქრობენ კიდევ, რომ „მღერიათ“, მაგრამ განა შეიძლება მათ ხმებს მუსიკალური ვუნდოთ? რასაკვირველია, არა! მუსიკალურ ბგერებს გამოსცემს ადამიანი მღერისას და მუსიკალური საკრავი/ინსტრუმენტი. დანარჩენი ყველა არამუსიკალური ბგერებია.

რა თქმა უნდა, მიხვდით, რომ ბგერები მუდამ იცვლება. მაგალითად, წარმოიდგინეთ, როგორ ხმას გამოსცემს ფუტკარი, რომელიც ყვავილთან მიფრინავს, ბზუის, ხან ჩერდება ჰაერში, შემდეგ კი ფრთხილად ეშვება ყვავილზე და ბზუილს წყვეტს, საქმეშია ჩართული – ყვავილიდან ნექტარს იღებს; ან მგლის ყმუილი, როცა თავის თანამოძმეებს უხმობს. ყველა ეს ნამდვილად ბუნებრივი ბგერებია, მაგრამ ეს ბგერები მუსიკალური სულაც არ არის. თუმცა კი, შეიძლება კითხვა დაგვებადოს: ამ ბგერების მიბაძვით შესაძლებელია თუ არა შევთხზათ სიმღერა, **მუსიკალური ნაწარმოები**? (განმარტება: მუსიკალურია ნაწარმოები, რომელიც შექმნილია მუსიკალური საკრავ(ებ)ის და/ან ადამიანის ხმისთვის). მუსიკის ჯადოსნური ძალა სწორედ იმაშია, რომ მას შეუძლია მიბაძოს ჩიტების ჭიკჭიკს, ფუტკრის ბზუილს, ავტომანქანის სიგნალსაც და მატარებლის ბორბლების ხმასაც კი. აი, მაშინ ხდება სასწაული – ხმაური გადაიქცევა მუსიკალურ ბგერებად, რადგან ყველაფერ ამას ახმოვანებს **მუსიკალური ინსტრუმენტ(ებ)ი** ან ადამიანის ხმა მღერისას.

აქტივობა III

მოსმენა: ფრაგმენტი იოჰან შტრაუსის პოლკიდან „გუგული და ბულბული“ (8).

მოსმენისას ბავშვები ამოიცნობენ და მიუთითებენ, სად გაიჟღერებს გუგულის ხმა და სად – ბულბულისა, დაახასიათებენ გუგულისა და ბულბულის ხმას: ბგერები – მოკლე, გრძელი, შერეული და ა. შ. (მოსწავლეთა სავარაუდო პასუხები შეიძლება იყოს: გუგულის ხმა წყვეტილად ჟღერს, კაკუნს ჰგავს, ბულბულის გალობა კი განსხვავებული, მღერადი, სასიამოვნო ჭიკჭიკია); მასწავლებლის კითხვა: როგორია გუგულის ინტონაციის ბგერების მოძრაობა – ზემოდან ქვემოთ თუ პირიქით? (პასუხი: ზემოდან ქვემოთ).

აქტივობა IV

შეღებილ ორ-ორ პლასტმასის ქილაში (სულ 6 ცალი) ჩაყარეთ ერთი სახის მასალა, მაგალითად, ორ ქილაში – წინიბურის ან ლობიოს მარცვლები, ორ ქილაში – რაიმე პატარა მეტალის საგნები (მაგ., ქალღმრთის დამჭერები (სკრეპები)), ორ ქილაში – ხის ან პლასტმასის ლილები; აურიეთ ქილები და სთხოვეთ ბავშვებს, გაუხსნელად, ქილის შენჯღღრევით და ხმის მოსმენით, იპოვონ ერთნაირი ჟღერადობის ქილები და წყვილად დააწყონ.

P.S. აქტივობაში გამოყენებულ მასალას მასწავლებელი შეინახავს, რათა ისარგებლოს სხვა გაკვეთილის აქტივობისთვისაც (I.10-11. რიტმის ანბანი).

1.9.

ვიმხიარულოთ ერთად

სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).1,2.

მოსმენა: მ. აროშიძე – სიმღერა „თუ, თუ, თუ“.

ცნებები: განწყობა, ტონის სიმაღლე, ბგერის გრძლიობა, რიტმი.

სიმღერის შესწავლა: მაკა აროშიძე – „თუ, თუ, თუ“.

რესურსი: ფორტეპიანო, მოსასმენი აპარატურა, აუდიოჩანაწერი.

სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები:

როგორ გამოვიყენოთ სხვადასხვა ხმა რაიმე განწყობის ან სახე-ხატის შესაქმნელად?

საკლასო აქტივობები

აქტივობა I

გამის საფეხურების გამღერება.

რიტმული სავარჯიშო. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, წარმოთქვან ქვემოთ მოცემული სიტყვები რიტმში (ტაპით). ბავშვებმა ორმარცვლიანი – სიტყვა ნელა წარმოთქვან, სამმარცვლიანი – სწრაფად, ოთხმარცვლიანი – უფრო სწრაფად, მაგალითად:



თაგ - ვი



ფუტ - კა - რი



თვით-მფრი - ნა - ვი

აქტივობა II

მუს.დანყ.(I).1,2.

მასწავლებელი ხმით ასმენინებს კლასს რაიმე ინტონაციების თანამიმდევრობას და სთხოვს მოსწავლეებს, იმავე თანამიმდევრობით გაიმეორონ. მაგალითად, ფუტკრის ზუ-ზუნი, ძაღლის ყეფა, კატის კნავილი, თვითმფრინავის ან ავტომობილის/მოტოციკლეტის ხმა და სხვ.

მოსმენა: მაკა აროშიძე – სიმღერა „თუ, თუ, თუ“ (7).

სიმღერის შესწავლა (ეტაპობრივად შესწავლას დაეთმობა 2-3 გაკვეთილი). მასწავლებელი ფორტეპიანოზე უკრავს სიმღერის მელოდიას (საფორტეპიანო ფონოგრამა იხ. მოსასმენ ფაილებში).

ფრაგმენტებად ტექსტისა და მელოდიის საბოლოოდ შესწავლის შემდეგ, მოსწავლეები მთლიანად შეასრულებენ სიმღერას „თუ, თუ, თუ“ (სიმღერაში ნახსენებ საგნებსა და სულიერ არსებებს მოსწავლეები შესაბამისი ხმის მიბაძვითა და მოძრაობით შეასრულებენ).

1. თუ გინდა გაიგო რამე, გაახილო უნდა თვალი; თუკი დათვს ემშვიდობები, დაგიქნიოს უნდა თათი.
2. თუ გინდა ისწავლო კითხვა, ნაწერს უნდა გააყოლო თითი, ჩვენ რომ ძალიან გვიყვარს, რა არის? – თხილი.
3. თუ გინდა მიირთვა რამე, დაგჭირდება ალბათ თეფში (თეფში). მეთევზემ რა დაიჭირა? დაიჭირა ჯადოსნური თევზი.

4. ფუტკარი იმიტომ შრომობს, გააკეთოს უნდა თაფლი, ვაიმე, სოროდან ვინ იჭყიტება? თ, თ, თ... (თაგვი).

მისამღერი:

თი-თი, თა-თი, თა-სი, თო-ფი,
ქა-ლი, თევ-ზი, თაგ-ვი, სკა-მი, თვით-მფრი-ნა-ვი.

თუ, თუ, თუ

Moderato
ზომიერად

მუსიკა და ტექსტი
მაკა არაშვიძის

mf

თუ გინ - და გა - ი - გო რა - მე

გა - ა - ხი - ლო უნ - და თვა - ლი, თვა - ლი თუ კი დათვს ეშ - ვი - ლო -

ბე - ბი და - გიქ - ნი - ოს უნ - და თა - თი, თა - თი

თუ გინ-და ის-წავ-ლო კითხ-ვა ნა-წერს უნ-და გა - ა - ყო-ლო

თი-თი, თი - თი ჩვენ რომ ძა-ლი-ან გვიყვარს რა ა-რის?

f მისამღერი:
თხი - ღი! თუ, თუ, თუ, თუ გინ-და თუ, თუ, თუ, თუ ე - ძეგ

თუ, თუ, თუ, თუ ინ-დო-მებს ბავშ - ვი თუ, თუ, თუ, თუ სწავ-ლობ

თუ, თუ, თუ, თუ ცდი-ლობ ყვე-ლა ფე-რი გა-მო-გი-ვა მა-შინ.
 თუ, თუ, თუ, თუ გინ-და თუ, თუ, თუ, თუ ე-ძებ თუ, თუ, თუ, თუ ინ-დო-მებს
 ბავშ-ვი. *f* თუ, თუ, თუ, თუ სწაე-ლობ თუ, თუ, თუ, თუ ცდი-ლობ
 ყვე-ლა-ფე-რი გა-მო-გი-ვა მა-შინ. 1. 2. მა-შინ. *ff*

სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).1,2,4,5,6.

ვიდეორჩენება: ცეკვა „ხორუმი“.

ცნება: რიტმი, ბგერის გრძლიობა.

თამაში „გამოვიცნოთ სიმღერა“.

რესურსი: ფორტეპიანო, ვიდეოს საჩვენებელი აპარატურა; პატარა ზომის პლასტმასის ბოთლები, თეთრი ლეიკოპლასტიკური, ფლომასტერი, ბრინჯი, ხორბლის, სიმინდის ან ლობიოს გამხმარი მარცვლები.

სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები:

* როგორ შეიძლება დავუკავშიროთ ბგერის თვისებები საგნის თვისებებს (რა ასოციაციური კავშირის გაბმა შეიძლება ბგერისა და საგნის თვისებებს შორის)?


* როგორ შეიძლება გადმოვცეთ ბგერის თვისებებითა და მოკლე მოტივებით სხვადასხვა საგნის თვისებები?

საკლასო აქტივობები

აქტივობა I

დო მაჟორის გამღერება ქვედა ტეტრაქორდის ბგერებზე;

მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს რიტმული ნახაზის გაკეთებას მაგიდაზე ფანქრის კაკუნით. მოკლე ბგერები მარჯვენა ხელით, გრძელი – მარცხენა ხელით:



სიმღერა „თუ, თუ, თუ“ – გამეორება.

რიტმული თამაში „გრძელი, მოკლე“: მასწავლებლის მინიშნებაზე – გრძელი, ბავშვები უკრავენ ტაშს; – მოკლე, – აბაკუნებენ ფეხს.

მაგალითად, ტაში, ბაჯ-ბაჯ, ტაში, ბაჯ-ბაჯ. ე. ი. – გრძელი მოკლე-მოკლე... ტაში, ისევე როგორც კაკუნი ან ფეხის ბაკუნი, ერთგვარი რიტმული თანხლებაა სიმღერისა და ცეკვის დროს.

მასწავლებელი მღერის რომელიმე სიმღერის ფრაზას და შემდეგ ბავშვები იმეორებენ, თან აყოლებენ სხეულის რიტმულ მოძრაობებს ტაშით, ფეხების ბაკუნით. შეიძლება ცეკვის ელემენტების შეტანაც.

აქტივობა II

მასწავლებელი: რიტმს მუსიკაში უმთავრესი ადგილი უჭირავს. სწორედ რიტმი გადააქცევს ცალკეული ბგერებს მშვენიერ მუსიკად. სხვადასხვა რიტმით შესრულებულ მელოდიას სრულიად განსხვავებული ხასიათი ეძლევა. მუსიკას შეუძლია გაგვამხიარულოს, აგვატიროს ან აგვანთოს მტერთან საბრძოლველად. მეომრები ომში ბრძოლის დაწყებამდე ვაჟკაცური, ენერგიული რიტმის მქონე ცეკვა-სიმღერებს ასრულებენ, რაც მათ საბრძოლო განწყობას უმაღლებს და სიმაძაცეს, მხნეობას მატებს.

რიტმი ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. გარკვეულ რიტმს ემორჩილება წელიწადის დროების, დღე-ღამის ცვალებადობა, ჩვენი გულისცემაც კი. ნებისმიერ ცეკვას, მათ შორის ქართულ ხალხურ ცეკვებსაც, თან ერთვის რიტმული მუსიკალური თანხლება.

ვიდეოჩვენება: ცეკვა „ხორუმი“ (19).

მასწავლებელი ასმენინებს მხოლოდ ხმას (ეკრანი გამორთულია) და ეკითხება კლასს: რა წარმოიდგინეთ მოსმენისას? მუსიკა სასიმღეროა თუ საცეკვაო? რა შინაარსის უნდა იყოს ეს ცეკვა – გასართობი, მხედრული თუ სხვა? რის მიხედვით გააკეთეთ ასეთი დასკვნა? როგორი მოძრაობები შეეფერება ამ ცეკვის რიტმს? როგორი რიტმი ექნებოდა საცეკვაო მელოდიას, სხვა შინაარსის რომ ყოფილიყო (მაგალითად, სატრფიალო, საქორწილო და სხვ.)?

ყველა პასუხის მოსმენის შემდეგ მასწავლებელი ჩართავს ეკრანს და ბავშვები იმსჯელებენ თავიანთი ვარაუდების სისწორეზე.

თემის მეორე გაკვეთილი

აქტივობა I

წინა გაკვეთილის პირველი აქტივობის გამეორება.

აქტივობა II

თამაში: „გამოვიცნოთ სიმღერა“.

მასწავლებელი ასრულებს (უკრავს ან მღერის) რომელიმე, ბავშვებისთვის ნაცნობი სიმღერის ფრაგმენტს (მაგ., „ჭრელო პეპელა“) სრულიად სხვა გრძლიობის ბგერებით (რიტმით) უსიტყვოდ, განსხვავებულ ტემპში – ძალიან ნელა ან პირიქით – სწრაფად. კლასში მსჯელობენ, რომელ სიმღერას გულისხმობს მასწავლებელი. ამ შემთხვევაში თავად მღერიან სიმღერის სწორ ვარიანტს ტექსტით. თუ მოსწავლეები ვერ გამოიცნობენ სიმღერას, მასწავლებელი იმავე რიტმით მღერის სიტყვებით.

მასწავლებლის კითხვები ბავშვების პასუხზე იქნება დამოკიდებული: რამ გამოიწვია, რომ ვერ იცანით სიმღერის მელოდია? რა შეცვალა რიტმის შეცვლამ? რიტმის შეცვლასთან ერთად შეუცვლიდით თუ არა ამ სიმღერას დასახელებას და ტექსტს? რიტმისა და ტემპის შეცვლით როგორი სიმღერა გამოვა – სევდიანი თუ მხიარული?

ამის შემდგომ ერთ-ერთი მოსწავლე შეეცდება იგივე გაიმეოროს – შეცვალოს სხვა სიმღერის რიტმი, თანაკლასელებმა კი უნდა გამოიცნონ სიმღერა.

მოსწავლეები დაასკვნიან, რომ რიტმისა და ტემპის ცვლილებას შეუძლია მუსიკას სრულიად შეუცვალოს ხასიათი.

აქტივობა III

საკრავის გაცნობა – მარაკასი. მასწავლებელი კლასს აჩვენებს მარაკასს და თითოეულ მათგანს აძლევს საშუალებას, აახმიანოს, თავის სურვილისამებს გააკეთოს სხვადასხვა რიტმი და აჰყვეს სხეულის მოძრაობით.



მარაკასი ამერიკელი ინდიელების უძველესი საკრავია. ისინი ნაყოფს ნახვრეტს უკეთებდნენ, აცლიდნენ შიგთავსს და ახმობდნენ. შემდეგ შიგ ყრიდნენ მცენარეთა გამხმარ თესლებს და ცეკვისა თუ სიმღერის დროს აჟღერებდნენ. მარაკასს გოგრებისგან, განსაკუთრებული ჯიშის ხისგან და პლასტმასისგანაც ამზადებენ.

შემდეგ მასწავლებელი სთავაზობს მათ საკუთარი მარაკასის დამზადებას:

პლასტმასის ორ ბოთლს შემოვახვიოთ თეთრი ლეიკოპლასტიკური და სხვადასხვაფერად მოვხატოთ, ერთში ჩავყაროთ ლობიოს მარცვლები, მეორეში – ბრინჯი, დავახუროთ თავსახური და საკრავიც მზადაა. თვითნაკეთი საკრავები მომდევნო გაკვეთილებზე გამოვიყენოთ რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოების შესრულებისას.

მასწავლებელი: შეარხიეთ ორივე და თავად მიხვდებით, რომ ისინი სხვადასხვანაირ ხმას გამოსცემენ. რატომ? ბავშვები მსჯელობისას დაასკვნიან: განსხვავებული ხმოვანება გამოწვეულია იმით, რომ ქილებში სხვადასხვა რაოდენობისა და სიდიდის მარცვლებია ჩაყრილი).

I.12-13. ბგერის თვისება – გრძლიობა

სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).1,2,3,4,5.

მოსმენა: ი. ჰაიდნი – სიმფონია №103; ქართული დოლის ხმოვანება.

ცნებები: მუსიკალური ბგერა; ბგერის თვისება – გრძლიობა; სოლო, სოლისტი.

რესურსი: ფორტეპიანო, დოლი, მოსასმენი აპარატურა, აუდიოჩანაწერი.

სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები:

* როგორ გამოვიყენოთ სხვადასხვა ხმა რაიმე განწყობის ან სახე-ხატის შესაქმნელად?

* როგორ შეუძლია ამა თუ იმ ხმას რაიმე ემოციის გამოწვევა?

აქტივობა I

გამღერება სხვადასხვა გრძლიობის ბგერებით. მოსწავლეები ასახელებენ, რომელია გრძელი ბგერა და რომელი – მოკლე:



სიმღერა „თუ, თუ, თუ“ – გამეორება.

აქტივობა II

მუს.დანყ.(I).4,5.

ბგერებს გამოსცემს ყველაფერი – ჩაქუჩის კაკუნი, ფანჯრისა და კარის დახურვა ან გაღება, საათის ნიკნიკი, ტაში, ადამიანის, ცხოველებისა და ფრინველების ხმები. ზოგი ბგერა მოკლედ ჟღერს, ზოგი – ხანგრძლივად. მუსიკაში ბგერის ამ თვისებას გრძლიობას ეძახიან. მოსწავლეები ასახელებენ საგნებს, მუსიკალურ საკრავებს, სულიერ არსებებს, რომელს შეუძლია გამოსცეს ხანგრძლივი ბგერები და რომელს – ხანმოკლე.

მასწავლებელი აჩვენებს დოლის ფოტოს.



დოლის ტანი მომრგვალებული ხის ფირფიტისგან მზადდება და ორივე მხრიდან გადაკრული აქვს ტყავი, რომელიც თასმებითაა დაჭიმული. დოლზე უმეტესად ხელებით უკრავენ, ხან კი – ჯოხებითაც. დოლი უჭირავთ მარცხენა ილლიის ქვეშ. უკრავენ მჯდომარე მდგომარეობაში. დოლი გამოიყენება როგორც **სოლო შესრულებისთვის**, ასევე ცეკვების თანხლებადაც (როცა ერთი ადამიანი ასრულებს სიმღერას ან მუსიკალურ ნაწარმოებს, ამბობენ, **სოლოს** ასრულებსო, შესაბამისად, მას **სოლისტი** ჰქვია). ზოგჯერ მედოლე დაკვრისას თავადაც ცეკვავს. დოლზე ჯოხებით დაკვრისას, ერთი ჯოხით ურტყამენ ცალ მხარეს (ტყავზე), მეორეთი – მეორე მხარეს. ხშირად დაკვრის წინ დოლს შეათბობენ და მასზე გადაკრულ ტყავს დაჭიმვენ. ამას დოლის უკეთესად ასაჟღერებლად აკეთებენ. დოლი ქართული ხალხური საკრავია (მოსწავლეები იხსენებენ, რას ნიშნავს სიტყვა „ხალხური“).

საილუსტრაციოდ მასწავლებელი აჩვენებს დოლს (შეიძლება სათამაშოც) და სთხოვს მოსწავლეებს, ჯერ ხელი დაარტყან, შემდეგ – ჯოხი. იგივე შეიძლება გაკეთდეს მაგიდაზე – ბავშვები ჯერ ხელს რამდენჯერმე მძიმედ არტყამენ მაგიდას, შემდეგ ფანქრით აკაკუნებენ. მათ დამოუკიდებლად უნდა აღწერონ თითოეული მოქმედებისას გამოცემული ხმების განსხვავება (მაგ., უხეში, გაბმული, წყვეტილი, მოკლე). შემდეგ მასწავლებელი ფორტეპია-

ნოზე იღებს რომელიმე ბგერას დაყოვნებით და ეკითხება მოსწავლეებს – რა განსხვავებაა დოლის ხმოვანებასა და ფორტეპიანოზე აღებულ ბგერას შორის? რომელი ბგერები ჟღერდა ხანგრძლივად და რომელი – მოკლედ? (სავარაუდო პასუხი: დოლზე დარტყმის ხმა მოკლედ ისმის, ფორტეპიანოზე ბგერა – გრძლად, გაბმულად).

მოსმენა: ქართული დოლის რიტმი (12).

დოლის გაცნობის შემდგომ შეიძლება ბავშვებს მივანდოთ მოკლე ინფორმაცია ქართული ხალხური საკრავის – დიპლიპიტოს შესახებაც და გავაკეთოთ ამ ორი საკრავის შედარება.

ინფორმაცია მასწავლებელს: ქართული მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი: „დიპლიპიტო // დიმპლიპიტო – აღმოსავლური წარმოშობის ქართული დასარტყამი მუსიკალური საკრავი. შედგება სხვადასხვა სიგანისა და ერთნაირი სიმაღლის თიხის (კერამიკ.) ორი პატარა ქილისაგან, რომლებზეც გადაკრულია ციკნის ტყავი ან ხარის ბუშტი. ქილები ერთმანეთთან თასმითაა გადაბმული. ქილების სიმაღლეა 200–250 მმ. დიამეტრი პატარისა 90 მმ., დიდისა – 170 მმ. ქილები გარედან ნაირფერადაა მოხატული. დიპლიპიტოს უკრავენ ორი პატარა ჯოხით, „თხის ფეხუნებით“, და ხელებით. თუ ჟღერადობის გასაძლიერებლად ტყავის გადაჭიმვა უნდათ, ქილებს მაყალზე ათბობენ, მოსაშვებად კი ტყავებს ოდნავ ასველებენ. არსებობს აგრეთვე (იშვიათად) სამქილიანი დიპლიპიტო, მესამე ქილა ყველაზე მცირეა. ხშირად ზედ პატარა ზანზალაკებსაც ჰკიდებენ. დიპლიპიტო უმთავრესად საანსამბლო საკრავია...“

დიპლიპიტო ორკესტრში პირველად შეიტანა მ. იპოლიტოვ-ივანოვმა („კავკასიურ ესკიზებში“, 1894 წ.).



მასწავლებელი კლასს აჩვენებს ლიტავრების ფოტოს, აუდიო-ჩანაწერით ასმენინებს მის ჟღერადობას (9) და ფრაგმენტს იოზეფ ჰაიდნის №103 სიმფონიდან (10).

ლიტავრა – ლიტავრები (შედგება ორი ბერძნული სიტყვისგან poly – „ბევრი“ და taurea – „ხარის ტყავი“) უძველესი წარმოშობის საკრავია, რომელიც წამყვან როლს ასრულებს სიმფონიური ორკესტრის დასარტყამ საკრავთა ჯგუფში. როგორც წესი, გამოიყენება წყვილად, ორივეზე ერთი შემსრულებელი უკრავს. ლიტავრა წარმოადგენს დიდ ლითონის ქვაბს, მასზე გადაკრული

ტყავის აპკით, რომელსაც ხრახნებით ჭიმვენ ან უშვებენ ბგერის სიმაღლის შესაცვლელად. უკრავენ თითებით ან ხის მრგვალთავიანი ჯოხებით. ლიტავრას შეუძლია გამოსცეს ძალიან ჩუმიც (pianissimo) და ძლიერი ბგერებიც (fortissimo). მის ხმოვანებას შეუძლია როგორც ჭექა-ქუხილის, ასევე ძლივს გასაგონი შრიალის გამოხატვაც (წყარო: თამარ დაფქვიაშვილი – „მუსიკალურ ტერმინთა ლექსიკონი“. რედაქტორები: გ. ახვლედიანი, პ. ხუჭუა). სახელგამი, თბილისი 1955, გვ. 107). ორკესტრში გამოიყენება სხვადასხვაგვარად აწყობილი 2-5 და მეტი ლიტავრების კომპლექტი (მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი. შემდგ. ანზორ თამარაშვილი, გულბათ ტორაძე, სახ. უნივერსიტეტის მესხეთის ფილიალის გამოცემა, ახალციხე, 2005. გვ. 148).

კითხვები: რომელი საკრავი იცით, რომელსაც გრძელი ბგერების გამოცემა შეუძლია? დაასახელეთ ცხოველი, რომელსაც შეუძლია გრძელი ბგერების გამოცემა (მაგ., კატის კნავილი, მგლის ყმუილი და სხვ.); ფრინველები როგორი ხანგრძლივობის ბგერებს გამოსცემენ? (მოკლე, წყვეტილი).

მასწავლებელი აჩვენებს სხვადასხვა საგნისა და სულიერი არსების ილუსტრაციებს და სთხოვს მოსწავლეებს, დაასახელონ, რომელს როგორი გრძლიობის ბგერების გამოცემა შეუძლია. ბავშვები პასუხობენ: მოკლე, გრძელი, ან ორივე.

აქტივობა III

რიტმული სავარჯიშო. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, წარმოთქვან ქვემოთ მოცემული საკრავების დასახელება რიტმში (ტაპით). ბავშვებმა სამმარცვლიანი სიტყვა სწრაფად უნდა დაითვალონ, ორმარცვლიანი – ნელა:



ამგვარი რიტმული სავარჯიშოები შეიძლება გაკეთდეს სხვა გაკვეთილებზეც (მაგ., საკუთარ სახელებზე ან საყოფაცხოვრებო ნივთებზე).



გონებრივი იერიში:

მუს.დანყ.(I).1,2. სავარაუდო კითხვები:

- * მოსმენისას რის მიხედვით შეიძლება ამოვიცნოთ, რომელი საკრავია დიდი ზომის და რომელი – პატარა?
- * რომელ საკრავზე უკრავენ ჯოხებით და რომელზე – ხელით?
- * რატომ განსხვავდება ლიტავრისა და დოლის ჟღერადობა ერთმანეთისგან?
- * როგორი განწყობის შესაქმნელად გამოიყენებთ ლიტავრას? დოლს?
- * რომელი ცხოველის ხმას მიახლოებთ ამ საკრავების ჟღერადობას?
- * რომელ ბუნებრივ მოვლენას აღწერთ ლიტავრის საშუალებით? დოლის საშუალებით?
- * რისგან აკეთებენ ლიტავრას? დოლს?
- * ლიტავრა უფრო დიდი ზომისაა თუ დოლი?
- * სხვადასხვა სიძლიერის ხმოვანების გამოსაცემად აქვს თუ არა მნიშვნელობა საკრავის ზომას?

მსჯელობისას მოსწავლეები დაასკვნიან, რომ დიდი და პატარა საგნების, ამ შემთხვევაში, ლიტავრისა და ქართული დოლის ხმოვანების (ბგერის სიძლიერის, ხანგრძლივობის) სხვადასხვაობა დამოკიდებულია მათ ზომასა და იმ მასალაზე, რისგანაცაა ისინი დამზადებული, აგრეთვე იმაზე, რითი უკრავენ – ხელით თუ ჯოხებით.

აჩვენეთ მოსწავლეებს, როგორ შეიძლება ბგერის ხანგრძლივობის მართვა. მაგალითად, გააჟღერეთ ბგერა რომელიმე საკრავზე ჯერ გრძლად, შემდეგ კი წყვეტილად (სტაკატო); შეიძლება მაგალითად სამკუთხედი ან პატარა ზარიც გამოვიყენოთ.

ესე იგი, **ბგერას კიდევ ერთი თვისება ჰქონია – გრძლიობა.**

სურვილის შემთხვევაში, მასწავლებელი შეასწავლის მერაბ მერაბიშვილის სიმღერას „დიმპიტაური“ (სანოტო ჩანანერი იხ. დანართში, გვ. 160).

თემის მეორე გაკვეთილი

აქტივობა I

გამის საფეხურების გამღერება სხვადასხვა გრძლიობის ბგერებით.

აქტივობა II

რიტმული სავარჯიშო „დოლის ოჯახი“ ინსცენირებით.

მასწავლებელი: გავითამაშოთ პატარა სიუჟეტი – მამა-დოლისა და შვილი-დიპლიპიტოების დიალოგი.

სცენარში მონაწილეობს 4 მოსწავლე: მთხრობელი, მამა-დოლი, და შვილი დიპლიპიტოები (2 მოსწავლე).

მასწავლებლის მითითება: გამომსახველად წაიკითხეთ მამა-დოლისა და დიპლიპიტო-შვილების დიალოგი. მამა-დოლის სიტყვები წაიკითხეთ დინჯად, აუჩქარებლად, დიპლიპიტო-შვილებისა კი – სწრაფად, წყვეტილად.

დანარჩენი ბავშვები ტაშით/კაკუნით აღნიშნავენ ტექსტის რიტმს.

მთხრობელი: მთელი დღის შრომით დაქანცულ მამა-დოლს ის იყო ღრმად ჩაეძინა, რომ უცებ გამაყრუებელმა ხმაურმა გააღვიძა. გულმოსულად დაიბრაგუნა ხელები მუცელზე და მედიდურად შეუტია შვილებს:

| | □ |
ბუმ, ბუმ! ეს რას ჰგავს,
□ □ □ |
ეს რა ხმე- ბი ის-მის მანდ?!

მთხრობელი: შემკრთალმა დიპლიპიტო-შვილებმა სხაპასხუპით, რიტმულად დაიწყეს:

□ □ □ | □ □ □ |
არ-გაბ რაზ-დე, მა-მი-კო, ი- ცი, ფი-სომ რა გვი-ყო?
□ □ □ | □ □ □ |
შე- უ-ყე-ფა ფი-ნი-ამ, შე-შინ-და და აგ-ვიკ-ლო.

მთხრობელი: პატარების შეშინებული სახეების შეხედვაზე, ერთი კი ჩაიცინა ულვაშებში მამიკო-დოლმა, გაშალა თავისი დოლური ხელები და პატარა დიპლიპიტოები გულში ჩაიხუტა, – ყველამ ერთად ვიხმაუროთ და ფინია და ფისო ვერაფერს დაგვაკლებს, – დაამშვიდა პატარები.



აქტივობა III

მასწავლებელი კლასს აჩვენებს ორ ილუსტრაციას, მაგ., სპილენძის თასს და მინის ჭიქას. შემდეგ ასმენინებს დოლის ხმოვანებას და სთხოვს მოსწავლეებს, მისი ხმოვანება დაუკავშირონ ერთ-ერთ მათგანს და ახსნან, რა ნიშნის მიხედვით დაუკავშირეს ისინი ერთ-მანეთს.



გამოცანა

დამკარ, დამკარ, მცემე, მცემე, ორი ხელით ორფერდას, ლალი ბიჭი გამოვა და ითამაშებს სწორებთან (პასუხი – დოლი).

1.14-15. ბგერის თვისება – ტემბრი

სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).1,2,3,4,5.

მოსმენა: დოლის რიტმი, სალამურის სოლო.

ცნებები: ხმა, ბგერა, ხმაური, ტემბრი; ტონის სიმაღლე; გრძლიობა, სიძლიერე (ხმამაღალი, ხმადაბალი); ხმაბაძვითი სიტყვები; დასარტყამი და სიმებიანი საკრავი, ხემი.

რესურსი: ფორტეპიანო, მოსასმენი აპარატურა, აუდიოჩანაწერი, ილუსტრაციები.

სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები:

- * როგორ გამოვიყენოთ სხვადასხვა ხმა რაიმე განწყობის ან სახე-ხატის შესაქმნელად?
- * როგორ შეუძლია ამა თუ იმ ხმას რაიმე ემოციის გამოწვევა?

საკლასო აქტივობები

აქტივობა I

დო მაჟორის გამღერება ხმოვნებზე გაორმაგებული ბგერებით ჯერ 1-4 ტაქტი, შემდეგ გაკვეთილზე – მთლიანად:



სიმღერა „თუ, თუ, თუ“ – გამეორება.

აქტივობა II

მუს.დანყ.(I).3,4,5.

მასწავლებელი: ჩვენ ხშირად ვახსენებთ – მუსიკალური ბგერა, არამუსიკალური ბგერა, ხმაურის გამომწვევი ბგერა, ბუნებრივი და ხელოვნურად შექმნილი ბგერები... გავარკვიოთ, რა არის ბგერა, რა თვისებები აქვს და რითი განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

წარმოიდგინეთ წყლის გუბეში ჩაგდებული კენჭი, როგორი რგოლები ისახება წყალზე? (შესაძლებელია მასწავლებელმა გაკვეთილზე მოიმარაგოს თასით წყალი და თვალსაჩინოებისთვის ჩაატაროს ცდა). დაახლოებით ამდაგვარად ვრცელდება ბგერაც ჰაერში, ოღონდ მას ვერ ვხედავთ. ჰაერის რხევისას სრულიად სხვადასხვაგვარი ბგერა წარმოიქმნება. ეს დამოკიდებულია მასალაზე, თუ რომელ საგანს ეხება ჰაერის ტალღა. მაგალითად, ხეზე დაკაკუნებისას გვესმის სრულიად განსხვავებული ხმა, ვიდრე ლითონზე დაკაკუნებისას. მოსწავლეები პატარა ჯოხს/ფანქარს მსუბუქად ახებენ სხვადასხვა საგანს (მაგიდას, კედელს, ფანჯრის მინას, გათბობის მილს და სხვ.) და აკვირდებიან გამოცემული ხმების სხვადასხვაობას, შეძლებისდაგვარად აღწერენ ამ ხმებს, მაგალითად, ყრუდ ისმის, წყვეტილად, მოკლედ, გაბმულად, მჭახედ, უსიამოვნოდ და ა. შ.

ცდა 1: მასწავლებლის მაგიდაზე ორი ერთნაირი ჭიქა დგას. ერთი ცარიელია, მეორე – წყლით სავსე. მასწავლებელი სთხოვს ერთ-ერთ მოსწავლეს, პატარა ჯოხით (ან ფანქრით) შეეხოთ (მსუბუქად დააკაკუნოს) ჯერ ცარიელ ჭიქას, შემდეგ – წყლით სავსეს. მოსწავლეები ადარებენ ცარიელ და სავსე ჭიქებზე შეხებით გამოცემულ ხმებს. კლასში მსჯელობენ, რატომ გამოსცემს ორი ერთნაირი ჭიქა სხვადასხვა ხმას.

ცდა 2: მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, სათითაოდ წამოდგნენ და რაიმე ფრაზა წარმოთქვან (ან წაიმღერონ), შემდეგ კი გამოთქვან აზრი, მოისმინეს თუ არა ორი სრულიად ერთნაირი ხმა? აღწერონ, რითი განსხვავდება მათი (საკუთარი) ხმა სხვებისგან?

ჩვენ ადვილად ვარჩევთ ქალის ხმას მამაკაცის ხმისგან. კითხვა: რის მიხედვით? – ქალს უფრო მაღალი (წვრილი) ხმა აქვს, ვიდრე მამაკაცს. თუმცა ქალების (და მამაკაცებისაც) ხმებიც განსხვავდება ერთმანეთისგან – არავის აქვს ზუსტად ერთნაირი ხმა. ყველა ადამიანს განსხვავებული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ხმის ტემბრი აქვს. ასევეა ცხოველებისა და ფრინველების ხმოვანებაც და მუსიკალური ინსტრუმენტებიც – საყვირი ჟღერადობით საერთოდ არ ჰგავს სალამურს, ვიოლინო – დოლს.

ბგერის ტემბრს ასე აღწერენ: გრძელი ბგერა გავიგონე, ვიოლინო უკრავდა; იმ მომღერალს ლამაზი, ხავერდოვანი ხმა აქვს; დოლი უხეშ ბგერებს გამოსცემს და ა. შ.

აქტივობა III

მასწავლებელს მომარაგებული აქვს საკრავები (ნამდვილი ან სათამაშო) – სალამური, ვიოლინო, დოლი, ან აჩვენებს ამ საკრავების ფოტოებს (დეტალურად საკრავებს ბავშვები შემდგომ გაკვეთილებზე განიხილავენ. მასწავლებელი მხოლოდ მიანიშნებს, რომ სალამური ჩასაბერი საკრავია, ვიოლინო – სიმებიანი, დოლი – დასარტყამი). მათი ჟღერადობის საილუსტრაციოდ იგი ასმენინებს მუსიკალურ ფრაგმენტებს: დოლის რიტმი (12); სალამურის სოლო (ანს. „ერისიონი“) (13).

მოსწავლეები ახასიათებენ საკრავებს ხმის ტემბრის მიხედვით. შემდეგ დაფაზე რაიმე სიმბოლოთი გამოსახავენ საკრავების ხმოვანებას (მოსწავლეები ახსნიან, რატომ მიუსადაგეს საკრავს ესა თუ ის სიმბოლო (გეომეტრიული ფიგურა, მოცეკვავე კაცუნა, ჩიტი, პეპელა, ბურთი ან სხვ.).

ისაუბრეთ განსხვავებულ ხმებზე, დასვით კითხვები: ხომ არ მოუსმენიათ მსგავსი ხმები მანამდე და სად? როგორ აღწერთ ამ ხმების ხმოვანებას – ტემბრს, სთხოვეთ მოსწავლეებს, მიახლოებოდნენ ეს ხმები რაიმე საგანს, სულიერ არსებას და ა. შ.

საბოლოოდ მოსწავლეები მიდიან დასკვნამდე, რომ ყველა ბგერას – ბუნებაში არსებულს თუ ხელოვნურად შექმნილს – თავისი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თვისება – ტემბრი აქვს. ბუნებაშიც ასეა – ზღვის ტალღების ხმა არ ჰგავს ქარის ზუზუნს, საყვირის ხმა – დოლის ხმას, ფოთლების შრიალი – წვიმის წვეთების ხმას და ასე შემდეგ.

დავიმახსოვროთ – ბგერის ერთ-ერთი თვისებაა ტემბრი.

აქტივობა IV

მუს.დანყ.(I).1,2. მოსწავლის გამოწვევის მიზნით მასწავლებელი გამოიყენებს რომელიმე ზღაპრის, მაგალითად, „წითელქუდას“ სიუჟეტს (ან სხვა ზღაპრის, მაგ., „მგელი და კრავი“). ნაკითხვის ან ილუსტრაციების ჩვენების გზით გააცანით ან გაახსენეთ მოსწავლეებს კონკრეტული ზღაპრის სიუჟეტი, სთხოვეთ, მოირგონ როლები და სხვადასხვა გამომსახველობითი ხერხის გამოყენებით განასახიერონ ისინი. მოსწავლეებს მიეცით მაღალი და დაბალი რეგისტრის მქონე ორ საკრავთან შეხების შესაძლებლობა. ისინი განსაზღვრავენ, ტემბრულად რომელი საკრავი შეეფერება მგელს და რომელი – წითელქუდას. შემდეგ გააცანით კონკრეტული ფრაგმენტი, მაგალითად, დიალოგის ტექსტი. სთხოვეთ, ეს ტექსტი გადაიტანონ ინსტრუმენტზე და მუსიკალური ბგერების, მელოდიის საშუალებით გამოხატონ შინაარსი, განწყობილება. იგივე აქტივობა შეიძლება განხორციელდეს ხმის (რაიმე მარტივი მოტივის წამღერებით) ან კაკუნის გამოყენებითაც.

I.16-17. გარესამყაროს ხმები → „ფერმა“

სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).1,2,3,4,5.

მოსმენა – სიმღერა „ფერმა“ (Old McDonald)

ვიდეოჩვენება – ანიმაცია „ფერმა“.

ცნებები: ხმა, ბგერა, ხმაური; ტონის სიმაღლე; გრძლიობა (გრძელი, მოკლე), სიძლიერე (ხმამალალი, ხმადაბალი); ხმაბაძვითი სიტყვები.

სიმღერის შესწავლა – „ფერმა“.

ინტონაციური სავარჯიშო – „სკუპ, სკუპ“.

მუშაობა კომპიუტერულ პროგრამაში LLMS.

რესურსი: ფორტეპიანო, მოსასმენი და ვიდეოს საჩვენებელი აპარატურა, აუდიო და ვიდეო ჩანაწერები.


სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები:

- * როგორ გამოვიყენოთ სხვადასხვა ხმა რაიმე განწყობის ან სახე-ხატის შესაქმნელად?
- * როგორ აისახება გარესამყარო ამა თუ იმ ხალხურ სიმღერაში?

საკლასო აქტივობები

აქტივობა I

დო მაჟორის გამღერება ხმოვნებზე გაორმაგებული ბგერებით;
ინტონაციური სავარჯიშო „დელია“ (დაფაზე იწერება ხაზებით):



მოსწავლეები აღნიშნავენ, რომელია მოკლე ბგერა, რომელი – გრძელი; როგორ მოძრაობს ბგერები (ჯერ ზემოდან ქვემოთ, შემდეგ – ქვემოდან ზემოთ).

აქტივობა III

მუს.დანყ.(I).3,4,5.

ვიდეოჩვენება: ანიმაცია – „ფერმა“ (1) (მასწავლებელი: გავეცნოთ, როგორაა აღწერილი გარესამყაროს ხმები ამერიკულ სიმღერაში „ფერმა“).

აუდიოჩანაწერით (14) ან ვიდეოს საჩვენებელი აპარატურით – ეკრანის გარეშე მოსმენისას ბავშვებმა უნდა ამოიცნონ ცხოველების ხმაბაძვითი ხმები და მიუთითონ, რომელი ცხოველი/ფრინველია, მაგალითად, წიწილა, იხვი, ძროხა, ძაღლი, კატა და სხვ.; რის მიხედვით ამოიცნეს – ბგერის/ტონის სიმაღლე; გრძლიობა (გრძელი, მოკლე), სიძლიერე (ხმამალალი, ხმადაბალი); ხმაბაძვითი სიტყვები და სხვ.

ამის შემდეგ მასწავლებელი ჩართავს ეკრანს და ბავშვები შეამოწმებენ, რამდენად სწორად ამოიცნეს ხმები. თავადაც ახმოვანებენ ცხოველთა ხმებს.

მოსწავლეები იმეორებენ ფილმში ნაჩვენები ცხოველებისა და ფრინველების ხმოვანებას, შემდეგ კი მოიფიქრებენ, რომლის ხმა როგორი სიმბოლოთი შეიძლება გამოისახოს (მუსიკის წარმოდგენითი ასახვისთვის მოსწავლეებს შეუძლიათ გამოიყენონ ნებისმიერი ფიგურა, ხაზები (კლაკნილი, აბსტრაქტული და სხვ.)).

აქტივობა IV
მუს.დანყ.(I).1,2.

ერთად ვიმღეროთ „ფერმა“. ამ საბავშვო სიმღერაში მოთხრობილია მაკდონალდის ფერმაში მობინადრე ცხოველებზე. თითოეულ სტრიქონში სხვადასხვა ცხოველია მოხსენიებული. მასწავლებელი სთხოვს კლასს, მღერისას გაახმოვანონ ეს ცხოველები და თან შესაბამისი მოძრაობები გააკეთონ, ძლიერ დროს აღნიშნავენ ტაპით.

ერთად ცხოვრობს ძველ ფერმაში, ია, ია ო,
ლორი, ცხვარი და კამეჩი, ია ია ო;
კნავის კატა, კატა ... კატა,
ჭყივის გოჭი, გოჭი, ... გოჭი;
ზმუის ძროხა, ძროხა, ... ძროხა.
აბა, ჩქარა, აბა, ტაში, ია, ია ო.

ვითამაშოთ ერთ დიდ სახლში, ია, ია ო.
ბლავის ცხვარი, ცხვარი ... ცხვარი,
ნივის ბატი, ბატი ... ბატი,
ყმუის ძაღლი, ძაღლი ... ძაღლი,
კნავის კატა, კატა ... კატა.
რაო? კატაო? არა ნიანგიო! / უი, ნიანგიო...

ეჯიბრებიან ცეკვაში, დროს ატარებენ ფერმაში.

ერ-თად ცხოვ-რობს ძველ ფერ-მა - ში, ი - ა, ი - ა - ო,
ლო - რი, ცხვა - რი და კა - მე - ჩი, ი - ა ი - ა - ო

თემის მეორე გაკვეთილი

აქტივობა I

I აქტივობის გამეორება წინა გაკვეთილიდან.

სიმღერა – „ფერმა“ – გამეორება.

აქტივობა II

მუს.დანყ.(I)1,2. მასწავლებელი უჩვენებს (ჩაუტვირთავს მოსწავლეებს ბუკებში) სურათებს ილუსტრაციების ფაილიდან და სთხოვს მოსწავლეებს, განასახიერონ ხმა, რომელსაც ეს საგანი გამოსცემს. ფოტოები შეიძლება იყოს: ტრაქტორის, ტელეფონის, ჩიტის, ბეკეკას და სხვ.

აქტივობა III

როგორ გამოვიყენოთ სხვადასხვა ხმა რაიმე განწყობის ან სახე-ხატის შესაქმნელად?

მასწავლებელი იყენებს კომპიუტერულ პროგრამას LLMS, რისი საშუალებითაც შესაძლებელია სხვადასხვა ხმა ჩაინეროს თანმიმდევრობით. შესაძლებელია, ამ ხმების მონაცვლეობით ერთგვარი „ხმოვანი დიალოგი“ შეიქმნას. გაჟღერებისას მოსწავლეები ამოიცნობენ, რისი ხმა ჟღერს, როგორია ბგერის ხანგრძლივობა, სიმაღლე; აღმოაჩენენ, რომ სხვადასხვა ბგერების თანამიმდევრობის შედეგად შეიქმნა რაღაც მელოდია.

P.S. ეს აქტივობა გამოიყენეთ სხვა გაკვეთილებზეც. ხმების ჩანერის პროცესში მოსწავლეების აქტიურად ჩართულობით მივაღწევთ, რომ შემდგომში დამოუკიდებლადაც შეძლებენ შექმნან და შეუხამონ სხვადასხვა ხმა და ამგვარად შექმნან მუსიკალური კომპოზიცია და მოასმენინონ თანაკლასელებს, ისინი კი ამოიცნობენ, რომელი ცხოველის/ფრინველის ხმოვანება ჩაწერა მეგობარმა; კლასში შეიძლება გაიმართოს დისკუსია, რისი მოყოლა სურდა ჩანაწერის ავტორს. შემდეგ კი შეამოწმებენ თავიანთ მოსაზრებებს.

I.18. გასაუბრება ვიოლინოსთან

სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).1,2,4,5.

მოსმენა: ი. ს. ბახი – პარტიტა №2 (ვიოლინოს სოლო);

ვიდეორჩვენება: ფ. შოპენი – ნოქტიურნი დო მინორი.

ცნებები: ხმაბაძვითი სიტყვები. ბგერის გრძლიობა, სიძლიერე.

სიმღერის შესწავლა: ჩეხური ხალხ. სიმღერა „ვიოლინომ იწკრიალოს სულ“.

ტერმინი – მევიოლინე.

რესურსი: ფორტეპიანო, ვიდეოს საჩვენებელი აპარატურა, ვიდეოჩანაწერი.

სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები:


- * როგორ გამოვიყენოთ სხვადასხვა ხმა რაიმე განწყობის ან სახე-ხატის შესაქმნელად?
- * როგორ შეუძლია ამა თუ იმ ხმას რაიმე ემოციის გამოწვევა?

საკლასო აქტივობები

აქტივობა I

დო მაჟორის გამღერება ხმოვნებზე გაორმაგებული ბგერებით;

იტმული სავარჯიშო „აბა დელი, დელია“:



აქტივობა II

მუს.დანყ.(I).1,2.

ვიდეორჩვენება: ფ. შოპენი – ნოქტიურნი დო მინორი (ფორტეპიანოსა და ვიოლინოსთ-ვის) (2) ან **მოსმენა:** ი. ს. ბახი – პარტიტა №2 (ვიოლინოს სოლო);. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გამოთქვან საკუთარი აზრი, რა ემოციას უქმნით მათ მუსიკალური ნაწარ-მოები (მხიარულ განწყობაზე აყენებთ, შიშს ან სევდას ჰგვრით, ამშვიდებთ თუ სხვ.); შემ-დეგ სთხოვს მათ, იმსჯელონ, რატომ იწვევს საკრავის ხმა ამა თუ იმ განწყობას; როგორ დაახასიათებდით მოსმენილს; რა წარმოიდგინეთ, რის ხმოვანებას მიახლოებდით? რომელი საგნის ან სულიერი არსების მიერ გამოცემულ ხმას გაგონებთ? დაფიქრდით და დაასახ-ელეთ საგანი (ან საგნების ერთმანეთზე შეხებით), რომელსაც შეიძლება ვიოლინოსმაგვარი ბგერები გამოვაცემინოთ (მოვისმინოთ ყველა პასუხი).

აქტივობა III

მასწავლებელი კითხულობს ნაწყვეტს მოთხრობიდან:

გასაუბრება ვიოლინოსთან

„...გიცანით, თქვენ ყველასთვის ცნობილი ვიოლინო ხართ! – ხელები გაშალა დირიჟორმა.

– რა თქმა უნდა, მუსიკის ერთგული მეგობრებისგან დასამალი არაფერი მაქვს, – ნა-ბიჯი წინ ნადგა ვიოლინომ.

– ძვირფასი ვიოლინო! სხვა რომელ ინსტრუმენტს შეუძლია ასე გულითადად, ტკბილად სიმღერა, როგორც თქვენ! თითქოს გულს რაღაც ნაზი, თბილი ნეტარება მოეფინაო.

– დიახ, ეს მე ვარ! ახლა შემოძლია სიამაყით გან-
ვაცხადო, რომ უკვე ყველამ მაღიარა და აგერ უკვე სამ
საუკუნეზე მეტია, მუსიკალურ სამყაროში მეტად საპასუხ-
ისმგებლო და მნიშვნელოვანი ადგილი მიკავია, პატარაო-
ბისას კი მეტად თავქარიანი ვიყავი. ცეკვებზე ყოველთვის
ვგიჟდებოდი და ამიტომ სად აღარ ვყოფილვარ! – ბოშა-
თა ბანაკშიც, სოფლის დღესასწაულებზეც, მეზღვაურთა
თავშეყრის ადგილებშიც კი. სადაც ცეკვაა, ყველგან
მე ვარ. სად არ ვბინადრობდი, ქურთუკის უბეშიც კი
მინახავდნენ, საჭირო დროს ყოველთვის ადგილზე რომ ვყ-
ოფილიყავი. ესაა, რომ სხვადასხვა დროს ქურთუკის ჯიბის
ზომის მიხედვით მეც ფიგურას მიცვლიდნენ...”



მასწავლებელი: ვიოლინო სიმებიან-ხემიანი საკრავია,
ხის ტანზე ოთხი სიმი აქვს გაბმული და თითებიტა და ხე-
მით უკრავენ. ხემი ხის ჯოხია, რომელზედაც ცხენის ძუის
კონაა გაჭიმული. სწორედ ხემის სიმზე გასმით გამოსცემს
ვიოლინო ასე ტკბილ ბგერებს. ვიოლინოზე დამკვრელს
მევიოლინე ჰქვია. ვიოლინოზე დაკვრა სიმზე თითის
გამოკვრითაც შეიძლება, მაგრამ ამ შემთხვევაში სიმი და-
ბალ, ყრუ ბგერას გამოსცემს.

აქტივობა III

მასწავლებელი ფორტეპიანოზე ასრულებს და სთავაზობს ბავშვებს ჩეხური ხალხური
სიმღერის შესწავლას – „ვიოლინომ იწკრიალოს სულ“:

ვიოლინომ იწკრიალოს სულ

ჩქარა მხიარულად. *mf*

ჩეხური ხალხური სიმღერა
დამუშ. მ. კრასევის მიერ
ქართული ტექსტი მ. ფოცხიშვილი

ვი - ო - ლი - ნომ იწ - კრი - ა - ლო - ოს სულ და საყ - ვირ - მა

ი - გუ - გუ - ნო - ოს კვლავ დღეს ზე - ი - მით გა - ა - ვი - ხა - რებო გულს

f ტყის ხიმ - დე - რებს შე - ე - ვუ - ერ - თებო ხმას. *mf* *f* დილ - დილ დილ-დილ-დილ

დუ - დუ, დუ-დუ-დუ! ერ - თად ცეკ - ვით გა - ა - ვი - ხა - რებო გულს!

2. ვისაც არ სურს ჩვენთან ცეკვა დღეს,
ჩუმად იყოს, ნუ შეგვიშლის ხელს,
ფეხი თავად მეზიდება წინ, –
საცეკვაოდ ვინ მეძახის, ვინ?!

მისამღერი: დილ-დილ, დილ-დილ-დილ!
ძინ-ძინ, ძინ-ძინ-ძინ! –
საცეკვაოდ ვინ მეძახის, ვინ?

3. ვინც იშრომა, დღეს ცერებზე დგას,
ვიოლინო გუგულივით სტვენს,
ხვალაც ასე ვიშრომებთ და გვნამს,
ხვალაც ასე ავცეკვდებით ჩვენ.

მისამღერი: დილ-დილ, დილ-დილ-დილ!
ჩენ-ჩენ, ჩენ-ჩენ-ჩენ! –
ხვალაც ასე ავცეკვდებით ჩვენ.

(მუს.დანყ.(I). 4,5) მასწავლებელი: რისი გამომხატველია სიტყვები: დილ-დილ-დილ! ძინ-ძინ, ძინ-ძინ-ძინ, ჩენ-ჩენ-ჩენ? თავად სხვა რომელ მარცვლებს შეარჩევდით მისამღერისთვის?

მასწავლებელი სთხოვს რაიმე ხმაბაძვითი სიტყვები თავად მოიფიქრონ და მარტივი მელოდია შეთხზან.

სტანდარტის შედეგები: (მუს. დანყ (I).1,2,4,5.),

მოსმენა: ბუნების ხმები (წვიმა, ჭექა-ქუხილი, ზღვის ტალღების ხმა, ჩიტის ჭიკჭიკი);
ი. ჰაიდნი – სონატა D dur; სენ-სანსი – „გუგული“; ლ. დაკენი – „გუგული“ (ჩიტების გადაძახილი).

ცნებები: ტემპი, რეგისტრი, ტონის სიმაღლე, ხანგრძლივობა, სიძლიერე; კლავიატურა, კლავიშები, კომპოზიტორი.

რესურსი: ფორტეპიანო, მოსასმენი აპარატურა, აუდიოჩანაწერი.

სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები:

- * როგორ გამოვიყენოთ სხვადასხვა ხმა რაიმე განწყობის ან სახე-ხატის შესაქმნელად?
- * როგორ შეუძლია ამა თუ იმ ხმას რაიმე ემოციის გამოწვევა?

საკლასო აქტივობები

აქტივობა I

გამის საფეხურების გამღერება ქვედა ტეტრაქორდზე;
ინტონაციური სავარჯიშო „ველზე ია ამოსულა“:



მასწავლებელი ტაპით გამოხატავს სავარჯიშოს რიტმს. მოსწავლეები იმეორებენ ფიგურაციას.

შემდეგ მასწავლებელი სთავაზობს კლასს, ერთობლივად გააკეთონ ინტონაციური სავარჯიშოს რიტმული ნახაზის ჩანაწერი (დაფაზე):



აქტივობა II

მასწავლებელი მოკლედ საუბრობს ფორტეპიანოს შესახებ: დარწმუნებული ვარ, კარგად იცით მუსიკალური საკრავი – პიანინო. ფორტეპიანო მისი სრული სახელია; იქნებ რომელიმე თქვენგანი უკრავს კიდევ მასზე? როგორ აღწერთ მის ჟღერადობას? გავეცნოთ მის აგებულებას (მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს ფორტეპიანოსა და როიალის ფოტოებს):

უპირველეს ყოვლისა, რაც უცებ თვალში მოგვხვდება, ესაა **კლავიატურა** – შავი და თეთრი **კლავიშები**. ფორტეპიანოს თავიდან პიანო ე ფორტე (ჩუმად და ხმამაღლა) ერქვა (იტალიაში ახლაც ასე ეძახიან), იმიტომ, რომ მას შეუძლია გამოსცეს როგორც ხმამადაბალი, ისე ხმამაღალი ბგერები.

თუ პიანინოს (ან როიალის) სახურავს ავხდით, დავინახავთ ჩაქუჩებს, რომლებიც, კლავიშზე თითის დარტყმით, სიმებს ეხება (არტყამს) და ხმაც აქედან ისმის. ბგერის სიძლიერე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ძლიერად დავარტყამთ/შევახებთ თითს კლავიშს. ამიტომ ფორტეპიანო დასარტყამ საკრავად ითვლება.

მოსწავლეები სათითაოდ მიდიან ინსტრუმენტთან და მოსინჯავენ მასზე დაკვრას სხვადასხვა რეგისტრში. ახასიათებენ ფორტეპიანოს ბგერის სიძლიერის (ხმამალალი, ხმადაბალი; სიმალლის (მალალი, დაბალი); ხანგრძლივობის (მოკლე, გრძელი), ტემბრის (უხეში, ლამაზი, წკრილა, რბილი და სხვ.) მიხედვით.

აქტივობა IV

(მუს. დანყ (I).1,2,4,5)

1. „გავაცოცხლოთ ხმები“. მასწავლებელი კლასს ასმენინებს: წვიმის (15), ქექა-ქუხილის (16), ზღვის ტალღების (17), ჩიტის ჭიკჭიკის (18) ხმებს.

იგი სთხოვს მოსწავლეებს, ფორტეპიანოს კლავიატურაზე მოძებნონ ის ადგილი/მონაკვეთი (**რეგისტრი**), რომელიც, მათი აზრით, შეესაბამება ამ ხმებს.

* მასწავლებელი სთხოვს კლასს, მოსმენილი ხმების მიხედვით, თავად „გამოსცენ“ იგივე ხმები. მოსწავლეები წვიმის ხმოვანების გამოსახატავად ორ ფანქარს/პატარა ჯოხებს ერთმანეთზე მსუბუქად „ანკაპუნებენ“, ქექა-ქუხილის „გახმოვანებისას“ – ფეხებით იატაკზე აბრაზუნებენ, რაიმე მაგარ საგნებს ერთმანეთს არტყამენ; ჩიტების ჭიკჭიკს ხმით გამოსახავენ; ზღვის ტალღების ხმოვანების მიღება შეიძლება რაიმე საგნების ერთმანეთზე ხახუნით/შრაშუნით.

2. მასწავლებელი კლასს აჩვენებს რაიმე საგნის ფოტოს (ნებისმიერს) და სთხოვს მოსწავლეებს, განასახიერონ ხმა, რომელსაც ეს საგანი გამოსცემს; ფორტეპიანოზე მოძებნონ რეგისტრი და შეძლებისდაგვარად „ახმოვანონ“ ილუსტრაცია.

3. მასწავლებელი შეარჩევს რამდენიმე დასარტყამ საკრავს, მაგალითად, სამკუთხედი, დოლი, ქსილოფონი, მოასმენინებს თითოეული საკრავის მიერ გამოცემულ ხმებს. მოსწავლეები ისაუბრებენ, თუ როგორ წარმოიქმნება მათზე ბგერა; როგორია ეს ბგერები – მუსიკალური თუ ხმაურის გამოცემი. ბავშვები ასახელებენ, რისი ხმის მიბაძვა შეიძლება ამ საკრავებით; რა მსგავსებასა და განსხვავებას ამჩნევენ სხვა დასარტყამ საკრავთან – ფორტეპიანოსთან.

მსჯელობისას მოსწავლეები დაასკვნიან, რომ სხვა დასარტყამ საკრავებისგან განსხვავებით, ფორტეპიანოს შეუძლია სხვადასხვა ხანგრძლივობის ბგერების გამოცემა (გრძელი, მოკლე), აგრეთვე სხვადასხვა სულიერი არსებისა თუ ბუნებრივი მოვლენის გამოხატვა.

შევთავაზოთ მოსწავლეებს, მოიფიქრონ და ამ საკრავების გამოყენებით „მოყვნენ“ რაიმე ამბავს (აქტივობაში მონაწილეობს 4-5 მოსწავლე). შეიძლება სიუჟეტის მარტივი ნიმუშის შეთავაზება, მაგალითად „დილა ტყეში“.

მოსწავლეები აირჩევენ საკრავს, რომლის ხმოვანებას, მათი აზრით, შეუძლია გადმოსცეს ნაკადულის ჩხრიალი, ჩიტების ჭიკჭიკი, ქარის ქროლა, ფოთლების შრიალი, ქუხილის ხმა, ან წვიმის წვეთების წკაპუნი. მოფიქრებული სიუჟეტის თანმიმდევრობის მიხედვით ბავშვები შეეცდებიან არჩეული საკრავებით წარმოქმნან ეს ხმები. მაგალითად: ჩიტების ჭიკჭიკი (ფორტეპიანოს ზედა რეგისტრი), ქექა-ქუხილი (დოლი), შხაპუნა წვიმა (სამკუთხედი); ქარმა დაუბერა და ხის ფოთლები აშრიალდა (ქსილოფონზე მსუბუქად გაატარებს ჯოხს) და სხვ.

თემის მეორე გაკვეთილი

აქტივობა I

რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო „ველზე ია ამოსულა“.

აქტივობა II

მუს. დანყ (I).1.2. მოსმენა: ი. ჰაიდნი – სონატა რე მაჟორი (I და II ნაწილი) (19).



გონებრივი იერიში: როგორი სურათი შეიძლება წარმოვიდგინოთ ნაწარმოების I ნაწილის მოსმენისას? (მაგალითად, ეზოში ქათმებს საკენკი დაუყარეს, ქათმები თან კენკავენ, თან ხანგამოშვებით კაკანებენ, წინილები ერთმანეთს დასდევნენ და წივნივით აიკლეს იქაურობა. დიასახლისმა დაუცაცხანა და წინილები კრუხს ამოეფარნენ, ახლა უკვე ძალიან ჩუმად წივნივებენ...).

სონატის მეორე ნაწილის მოსმენისას ყურადღება მახვილდება შესრულების ტემპზე (ჩქარი, ნელი), ბგერის სიმაღლის ცვალებადობასა და ბგერის სიძლიერეზე. მივცეთ ბავშვებს საშუალება იფანტაზიორონ და მუსიკალური ელემენტების გამოყენებით ასახონ გარესამყარო; აღწერონ, მათი აზრით, რა მოქმედება შეიძლება ხდებოდეს, ამ მუსიკის ხასიათიდან გამომდინარე (შეიძლება გააგრძელონ დაწყებული ამბავი, მაგ., ეზოში მედიდურად გამოვიდა მამალი, ქათმებმა კრიახი შეწყვიტეს, წინილებმა – წივნივი. ყველა რიდით შეჰყურებს მამალს...). მოსმენისას ბავშვები თითოეულ ფრაგმენტს მიუსადაგებენ ქმედებებს, თან შესაბამის მოძრაობებს აკეთებენ და წარმოდგენილ არსებას/საგანს ამგვანებენ ხმას, ცვლიან ბგერის სიძლიერეს, ხანგრძლივობას, ტემპს და ა. შ.).

შეიძლება ბავშვებმა ნებისმიერი საყოფაცხოვრებო სურათი დახატონ. მთავარია, თავად გაარკვიონ, როგორ გამოვიყენოთ სხვადასხვა ხმა რაიმე განწყობის ან სახე-ხატის შესაქმნელად.

აქტივობა III

(მუს. დანყ (I).1,2, 4,5.)

მოსმენა: 1. ლუი კლოდ დაკენი – „გუგული“ (20), სავარაუდო კითხვები: რა ემოცია გამოიწვია თქვენში მოსმენილმა? აღწერეთ, რა წარმოიდგინეთ მუსიკის მოსმენისას? პასუხების მოსმენის შემდეგ მასწავლებელი ასახელებს ნაწარმოებს და ეკითხება მოსწავლეებს, ემთხვევა თუ არა მოსმენილი ნაწარმოები თქვენს წარმოსახვას?

2. შარლ კამილ სენ-სანსი – „გუგული“ (21).

ორივე ნაწარმოები ფრანგმა **კომპოზიტორებმა** დაწერეს. ისინი სხვადასხვა დროს დაიბადნენ, თითქმის 150 წელი ამოწვდებოდა ერთმანეთს. გამოთქვით თქვენი აზრი, რის მიხედვით განასხვავებთ ამ ორ ნაწარმოებს ერთმანეთისგან? სენ-სანსის „გუგული“ სრულდება ფორტეპიანოზე, ნელა. დაკენის „გუგულს“ ასრულებს ორი საკრავი (ფ-ნო და ბალალაიკა. განმარტება: ბალალაიკა – რუსული ხალხური სიმებიანი საკრავი), სწრაფად. ბავშვებმა უნდა ამოიცნონ, სად გაიჟღერებს გუგულის ინტონაცია ბალალაიკის პარტიაში და სად – ფორტეპიანოს პარტიაში).

შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ფორტეპიანოს კლავიატურაზე მოძებნონ იმ რეგისტრის ბგერები, რომლებსაც გუგულის ხმოვანებას მიახლოებენ.

სავარაუდო კითხვები: აღწერეთ, რა წარმოიდგინეთ დაკენისა და რა – სენ-სანსის მუსიკის მოსმენისას – ნაწარმოებების ხასიათიდან გამომდინარე, როგორი გუგული ჰყავს აღწერილი მუსიკაში დაკენს და როგორი – სენ-სანსს? – ცელქი, მხიარული თუ დინჯი, პირქუში? როგორი გარემო წარმოიდგინეთ, სადაც გუგული ბინადრობს პირველ ნაწარმოებში და როგორი – მეორეში?

I.21. ნელა, ზომიერად, ჩქარა

სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).1,2,4,5.

მოსმენა: ვ. დოლიძე – ცეკვა „ქართული“, ოპერიდან „ქეთო და კოტე“; ი. ბრამსი – „ნანა“ (საორკესტრო).

ვიდეორჩვენება: ფრაგმენტები ანიმაციიდან – „შეშლილი პინგვინები“; კალათბურთის მატჩი, ანიმაცია – „ტომი და ჯერი“.

ცნება – ტემპი.

რესურსი: ფორტეპიანო, მოსასმენი აპარატურა, აუდიოჩანაწერი.

სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები:

* როგორ გამოვიყენოთ სხვადასხვა ხმა რაიმე განწყობის ან სახე-ხატის შესაქმნელად? მუს.დანყ.(I).1,2.

საკლასო აქტივობები

აქტივობა I

ნასწავლი სიმღერის გამეორება (მასწავლებლის/მოსწავლეების შერჩევით).

რიტმული სავარჯიშო „აბა დელი დელა“ სიმღერით და ტაშით ძლიერ დროზე:



აქტივობა II

მასწავლებელი: ნელა, ზომიერად, ჩქარა – ეს სიტყვები აუცილებლად დაგჭირდებათ, როცა რომელიმე მუსიკალურ ნაწარმოებზე გვექნება საუბარი.

ზოგი ნაწარმოები სრულდება მშვიდად, წყნარად; ზოგი – სწრაფად, ზოგი კი – საშუალოდ – ზომიერად. მუსიკალური ნაწარმოების შესრულების სიჩქარეს **ტემპი** ჰქვია.

ნაწარმოებს დასაწყისში უწერენ ტემპის აღმნიშვნელ სიტყვებს: „ნელა“, „სწრაფად“, „ზომიერად“ და სხვ. ყველა ნაწარმოების შესრულებისას აუცილებლად უნდა დავაკვირდეთ შესრულების ტემპს. ის განსაზღვრავს ნაწარმოების ხასიათს.

მოსმენა: 1. ს. დოლიძე – ცეკვა „ქართული“, ოპერიდან „ქეთო და კოტე“ (111), მოსმენის შემდეგ ეკითხება მოსწავლეებს: როგორ ტემპში სრულდება ცეკვა „ქართული“? რა შეიცვლება, მოცეკვავეებმა ეს ცეკვა ძალიან ნელ ტემპში რომ იცეკვონ? მოუხდა ცეკვას ნელი შესრულება? – რა თქმა უნდა – არა! ნელა დაკვრისას ცეკვა დაკარგავს თავისი ხასიათს – რა სილამაზე ექნება ცეკვას, ზანტად თუ იმოძრავენ მოცეკვავეები?

2. მასწავლებელი კლასს ასმენინებს ბრამსის „ნანას“ (საორკესტრო შესრულება) (23) ან ფორტეპიანოზე ასრულებს ჯერ ძალიან სწრაფად, შემდეგ – ნელ ტემპში, მოსწავლეებს აცნობს ტექსტს და ეკითხება: თქვენი აზრით, რომელი შესრულება უფრო უხდება ამ სიმღერას – პირველი თუ მეორე? გაითვალისწინეთ სიმღერის ხასიათი, რა დროს მღერიან „ნანას“ და იმღერეთ ისეთ ტემპში, როგორსაც თქვენ შეუძლია.

მსჯელობისას მოსწავლეები მიდიან იმ დასკვნამდე, რომ მუსიკალური ნაწარმოების შესრულებისას ტემპს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ნაწარმოების ხასიათის გადმოცემისთვის.

ნანა

მუსიკა ი. ბრამსისა
თარგმანი მ. ფოცხიშვილისა

ნაზად 1

ნა-ნი-ნა, ნა-ნა-ო! მთვა-რე
შლის მა-რა-ო-ოს... სა-წო-ლი ი გრი-ლი-ა სიზ-მა-
რი-ი ტკბი-ლი - ა. სიზ-მა-რი ი-ი სა დრო ა-
რის ძი-ლი-სა! ეს და-მე გაქ-რე-
ბა, ვარს-კელა-ვი ჩაქ-რე-ბა.

აქტივობა III

მუს.დანყ.(I).4,5.

მასწავლებელი აჩვენებს ორ მოკლე ვიდეოს:

1. პინგვინები (27);
2. კალატბურთის მატჩი (29).

შემდეგ მასწავლებელი ეკრანს გამორთავს, კლასს ასმენინებს ერთ-ერთი ვიდეოდან მხოლოდ ხმას და სთხოვს მოსწავლეებს, გამოიცნონ ნანახი რომელი ვიდეოფაილიდანაა ეს ხმა. მოსწავლეები საუბრობენ, რის მიხედვით გააკეთეს არჩევანი.

ხმაურსა და ვიზუალურ რიგს შორის ასოციაციური კავშირების გაბმა

ვიდეორჩვენება:

1. „ტომი და ჯერი“ (ფრაგმენტი) (28).

მასწავლებელი ასმენინებს კლასს (ეკრანი გამორთულია) ხმებს ანიმაციური ფილმიდან, სთხოვს მათ, გამოიცნონ რა ხმებია და თავიანთ წარმოდგენებზე დაყრდნობით მოყვნენ, თუ რა შეიძლება ხდებოდეს ამ ხმების გამოცემის დროს.

შემდეგ მასწავლებელი ჩართავს ეკრანს და მოსწავლეები შეამოწმებენ თავიანთ მოსაზრებებს.

2. კალატბურთის მატჩზე – ვიდეორჩვენება (29) ან აუდიოჩანაწერი (112). მოსწავლეები ამოიცნობენ სპორტული შეჯიბრის ხმებს.

I.22. მუსიკალური საკრავი – ქსილოფონი

სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).1,2,4,5.

მოსმენა: ა. ხაჩატურიანი – ბალეტი „გაიანე“, ცეკვა ხმლებით (ფრაგმენტი); სენ-სანსი – „სპილო“, „ცხოველების კარნავალიდან“; ი. შტრაუსი – „რადეცკი მარში“ (საფორტეპიანო ტრანსკრიფცია).

ვიდეორჩენება: მონტი – „ჩარდაში“ ორკესტრის, ქსილოფონისა და ვიბრაფონისთვის.

თამაში: „დირიჟორობანა“.

ტერმინები: ორკესტრი, დირიჟორი, პიუპიტრი.

რესურსი: აპარატურა აუდიოჩანაწერისა და ვიდეორჩენებისთვის, სხვადასხვა მუსიკალური საკრავები.

სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები:

- * როგორ გამოვიყენოთ სხვადასხვა ხმა რაიმე განწყობის ან სახე-ხატის შესაქმნელად?
- * როგორ შეუძლია ამა თუ იმ ხმას რაიმე ემოციის გამოწვევა?

საკლასო აქტივობები


აქტივობა I

დო მაჟორის გამღერება აღმავალი და დაღმავალი მიმართულებით;

რეკომენდაცია: აირჩიეთ რაიმე მელოდიის ჩანაწერი ძლიერი რითმით, ჩართეთ და აჰყევით რითმს რაიმე მოძრაობით – ტაშით, ფეხის ბაკუნით, ხელის მხრებზე დარტყმით, რაიმე ნივთის ერთმანეთზე დარტყმით. სთხოვეთ ბავშვებს, აგყვნენ ტაშითა და მოძრაობით; შემდეგ შეცვალეთ მოძრაობა. წაახალისეთ ბავშვები, თვითონ იყვნენ წამყვანები და სხვებმა გაიმეორონ მათი მოძრაობები.

აქტივობა II

მუს.დანყ.(I).4,5. მოსმენა: არამ ხაჩატურიანი – „ცეკვა ხმლებით“ ბალეტიდან „გაიანე“ (24). მოსწავლეები საუბრობენ მოსმენით მიღებულ შთაბეჭდილებაზე. მასწავლებელი მიუთითებს მოსწავლეებს იმ ფრაგმენტზე, სადაც ქსილოფონი ჟღერს და ეკითხება, ამოიცნეს თუ არა ეს საკრავი ჟღერადობით.



მასწავლებელი კლასს აჩვენებს სათამაშო **ქსილოფონს**. მოსწავლეები სათითაოდ აახმიანებენ და აღწერენ საკრავის ჟღერადობას – როგორ ხმას გამოსცემს თითოეული ფირფიტა ჯოხებით შეხებისას და როგორს – როცა მსუბუქად გაატარებენ ჯოხს/ხელს ყველა ფირფიტაზე (ნიავის ქროლვის ასოციაცია). ყურადღება მახვილდება აგრეთვე ქსილოფონის ხმის ტემბრზე, ბგერის ხანგრძლივობასა და სიძლიერეზე (სავარაუდოდ, ბავშვები გამოიყენებენ სიტყვებს: სასიამოვნო, წკრიალა, მოკლე, მსუბუქი, ხმამაღალი, თბილი, მელოდიური, უხეში, მჭექარე, წრიპინა, ჟღარუნა და სხვ.).

ბერძნულად „ქსილოს“ ხეს ნიშნავს, „ფონე“ კი – ბგერას. ამ საკრავზე სხვადასხვა ზომისა და სისქის ხის ფირფიტებია, რომლებიც ხისავე ჩაქუჩების დარტყმით გამოსცემს სხვადასხვა სიმაღლის ბგერებს. რაც უფრო მოკლეა ხის ფირფიტა, მით უფრო მაღალ ბგერას გამოსცემს.

მუს.დანყ.(I).1,2. მასწავლებელი ბავშვებს აჩვენებს ხელთ არსებულ მუსიკალურ (ან სათამაშო) საკრავებს, მაგ., ფორტეპიანო, დოლი, პატარა დაირა (ტამბურინი), სამკუთხედი, მარაკასები, სალამური და სხვ.

ბავშვები სათითაოდ აახმიანებენ საკრავებს. ამოიცნობენ, რომელია დასარტყამი და რომელი – ჩასაბერი; გამოთქვამენ საკუთარი აზრს, რის მიხედვით შეიძლება სმენით განსხვავო დასარტყამი და ჩასაბერი საკრავები. ბავშვებმა უნდა მოიფიქრონ, რას აგონებთ, რის ხმას შეუძლიათ მიახსნავდნენ თითოეული საკრავის ჟღერადობა (მაგ., ქარის, წვიმის, ჭექა-ქუხილის, ტირილის, წყლის ჩხრიალის, რომელიმე სულიერი არსების და სხვ.), დოლზე მძლავრად დაარტყამენ ხელს (ჭექა-ქუხილი), ფორტეპიანოზე (მაღალ რეგისტრში) მსუბუქად აიღებენ წვეტილ, მოკლე ბგერებს (წვიმის წვეთები ან წინილების ხმოვანება). მასწავლებელი სვამს კითხვას: რომელ ინსტრუმენტზე დაკვრა იყო შედარებით იოლი მათთვის? კლასში საუბრობენ საკრავების განსხვავებულ ხმებზე – ტემბრზე. მოსწავლეები იხსენებენ, სად მოუსმენიათ მსგავსი ხმები.

ინფორმაცია მასწავლებლისთვის: ქსილოფონი დასარტყამი საკრავია. მას ევროპაში XV საუკუნიდან იცნობენ. XIX საუკუნიდან იყენებენ ანსამბლებში, საოპერო და სიმფონიურ ორკესტრებში, აგრეთვე სოლო შესრულებისათვის. შედგება ხის (კაკლის, ნეკერჩხლის, ნაძვის, სოჭის) 41 ფირფიტისაგან... ქსილოფონი ბგერას გამოსცემს პატარა ხის ჩაქურჩის დარტყმით. საკრავი სხვადასხვა ზომისა შეიძლება იყოს, განსხვავებული სიგრძის ხის ფირფიტებით. ეს ფირფიტები სხვადასხვა ხმას გამოსცემს, მათი სიგრძის მიხედვით. მასზე ხის ჯოხებით უკრავენ, რომელსაც ბურთისებრი დაბოლოება აქვს (მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი, გვ. 288. შემდგ. ანზორ თამარაშვილი, გ. ტორაძე. 2005).

აქტივობა III

მუს.დანყ.(I).4,5. როგორ შეუძლია ამა თუ იმ ხმას რაიმე ემოციის გამოწვევა?

ვიდეოჩვენება: 1. ვ. მონტი „ჩარდაში“ (ქსილოფონი და ვიბრაფონი) დანიელ ბელიკოვისა და სიმფონიური ორკესტრის შესრულებით (3) (ან ქსილოფონი – თანამედროვე რიტმები (24).

მასწავლებელი: მოვისმინეთ ორი ნაწარმოები, როგორ ფიქრობთ, ერთი მუსიკოსი ასრულებდა თუ ბევრი? რა ჰქვია ერთ შემსრულებელს? (სოლისტი). თუ ბევრი მუსიკოსი ერთდროულად უკრავს სხვადასხვა საკრავზე, ამბობენ **ორკესტრი** უკრავსო.

ორკესტრს, როგორც კარგად ორგანიზებულ სახელმწიფოს, გააჩნია თავისი კანონები, თავისი „პრეზიდენტი“ კი ჰყავს, ორკესტრის მმართველი – **დირიჟორი**. იგი მიუთითებს მუსიკოსებს დაუკრან ისე, როგორც კომპოზიტორს აქვს ჩაფიქრებული, თუმცა ერთ სიტყვასაც კი არ წარმოთქვამს, მხოლოდ პატარა ჯოხს ასწევს, მსუბუქად დააკაკუნებს ნოტების სადგამზე – **პიუპიტრზე** – და... ჯერ წამით სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდება, შემდეგ კი, როცა დირიჟორი ჯოხის აქნევით ნიშანს მისცემს მუსიკოსებს, ყველა შეთანხმებულად იწყებს დაკვრას და ჩვენც ვიძირებით ჯადოსნური მუსიკის სამყაროში. ვიოლინო და ქსილოფონი საორკესტრო საკრავებია.

სავარაუდო კითხვები: როგორი ხასიათის მუსიკა მოვისმინეთ – სევდიანი, მზიარული, ჩქარი თუ ნელი? შეადარეთ ქსილოფონისა და ვიბრაფონის ჟღერადობა; რა ემოცია გამოიწვია თქვენში მოსმენილმა ნაწარმოებმა? ბავშვები თავიანთ აზრს გამოთქვამენ საკრავზე (მაგ., სად უნახავთ ან მოუსმენიათ, როგორ დაახასიათებდნენ მის ჟღერადობას – რომელი საგნის ან სულიერი არსების ხმოვანებას ამსგავსებენ; როგორ ბგერებს გამოსცემს – მოკლეს თუ გრძელს; როგორია ბგერის სიძლიერე (ხმამაღალი, ხმადაბალი), სიმაღლე (მაღალი, დაბალი და ა. შ.).

აქტივობა IV

თამაში: „დირიჟორობანა“ (მუს.დანყ.(I).4,5).

მასწავლებელი აუდიოჩანაწერით ასმენინებს ბავშვებს ი. შტრაუსის „რადეცკი მარშს“ (26). ერთ-ერთი მოსწავლე დაფასთან გამოვა და მუსიკის ფონზე, მასწავლებლის დახმარებით, ასრულებს დირიჟორის მოძრაობას მუსიკის შესაბამისი მეტრის მიხედვით – აჰყვებიან მუსიკას „დირიჟორის ჯოხის“ გამოყენებით. თანაკლასელები სხვადასხვა ინსტრუმენტზე დაკვრის იმიტაციას აკეთებენ. შემდეგ „დირიჟორი“ შეიცვლება (მიმართულება: შემოქმედებითობა და პრაქტიკა – შემოქმედებითი აქტივობების დროს მოსწავლე წარდგება აუდიტორიის წინაშე, ეჩვევა და უყალიბდება წარდგენის, აუდიტორიასთან ურთიერთობის უნარ-ჩვევა და ეჩვევა საკუთარი ემოციების, ქცევის მართვას).

I.23. აკდივართ და ჩაკდივართ

სტანდარტის შედეგები მუს.დანყ.(I).1,2,4,5.

მოსმენა: სენ-სანსი – „გუგული“, „ცხოველების კარნავალიდან“.

ცნებები: ბგერის თვისება – სიმაღლე, ტონის სიმაღლე

რესურსი: ფორტეპიანო, მოსასმენი აპარატურა, აუდიოჩანაწერი.

სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები:

* როგორ გამოვიყენოთ სხვადასხვა ხმა რაიმე განწყობის ან სახე-ხატის შესაქმნელად?

* როგორ შეუძლია ამა თუ იმ ხმას რაიმე ემოციის გამოწვევა?

საკლასო აქტივობები

აქტივობა I

მასწავლებელი ფორტეპიანოზე უკრავს დო მაჟორის ქვედა ტეტრაქორდს. გამღერება ხმოვნებზე აღმავალი და დაღმავალი მიმართულებით:



შესწავლილი მასალის გამოკრება: რა არის ორკესტრი, პიუპიტრი, ვინ არის დირიჟორი.


მასწავლებელი ბგერების სიმაღლეს ხელით მიაჩვენებს. ბავშვები ვიზუალურად „ხედავენ“ როგორ მოძრაობს ბგერები (ადის და ჩადის).



დავიმახსოვროთ: მუსიკალური ბგერის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა სიმაღლე. რაც უფრო წვრილდება ბგერა, უფრო მაღალია, თუ ბოხდება – ე. ი. დაბლდება.

საილუსტრაციოდ მასწავლებელი განმეორებით უკრავს გამის იმავე ბგერათა რიგს (შეიძლება დავუკრათ რაიმე მარტივი ფრაზა ან მხოლოდ ერთი ბგერა) და ჯერ ადაბლებს ერთი ტონით, შემდეგ – ამაღლებს. სთხოვს მოსწავლეებს, მიუთითონ, როდის დადაბლდა და როდის ამაღლდა ბგერები.

მასწავლებელი დაფაზე ხაზავს „აბა დელი დელას“ რიტმულ ნახაზს, რომელიც მიაჩვენებს ბგერების ხანგრძლივობას (მოკლე, მოკლე, გრძელი, გრძელი, მოკლე, მოკლე, გრძელი) და მელოდიის მოძრაობას ზევით, ქვევით. ნახაზის მიდევნებით ბავშვებთან ერთად გაიმღერებს სავარჯიშოს:



მასწავლებელი მარჯვენა ხელით მიაჩვენებს ბავშვებს მელოდიის მოძრაობას. ბავშვებმა ნახაზის მიხედვით უნდა თქვან – მელოდია ადის ზევით, ჩამოდის ქვევით.

მასწავლებელი მოსწავლეების ყურადღებას ამახვილებს ბგერის ხანგრძლივობაზე – გრძელი, მოკლე (შევახსენოთ მოსწავლეებს – ბგერის ერთ-ერთი თვისებაა ხანგრძლივობა). გავიმეოროთ სიმღერა აქტივობით – „წვიმის მელოდია“.

აქტივობა II

მუს.დანყ.(I).1,2, 4, 5. საგნების მუსიკალური დახასიათების მიზნით, მოსწავლეები იყენებენ ბგერების ერთსა და იმავე თანამიმდევრობას სხვადასხვა რეგისტრში, ასევე ბგერებს სხვადასხვა გრძლივობით და სიძლიერით (მღერით, ინსტრუმენტზე დაკვრით და ა. შ.):

1. სავარჯიშო „ავდივართ და ჩავდივართ“: მასწავლებელი ფორტეპიანოს კლავიატურაზე (შეიძლება გამღერებითაც) | ოქტავიდან იწყებს აღმავალ მოძრაობას. კითხვა: თქვენი აზრით, როგორ მოძრაობს ბგერა – ადის თუ ჩადის? (ეს სავარჯიშო შეიძლება რამდენიმე ეტაპად დაიყოს: თავიდან მასწავლებელი ხელით მიაწინებს ხმით ტონის აწევას ან დაწევას. ამის გავარჯიშებას რამდენიმე გაკვეთილი დასჭირდება). ბავშვები იმეორებენ მოძრაობას და „ა“ ხმოვნით ხმით აჰყვებიან. მასწავლებელი ფორტეპიანოზე ასრულებს მარტივ მელოდიას (2-4 ტაქტი), მოსწავლეები მიუთითებენ ბგერების (მელოდიის) მოძრაობას – სად ადის ზევით, სად ჩამოდის ქვევით და სად გვხვდება ერთი და იმავე სიმაღლის ბგერები. მაღალი რეგისტრის ბგერების მოსმენისას ბავშვები ამბობენ – მაღალი, დაბალი რეგისტრის ბგერების მოსმენისას ამბობენ – დაბალი (სიტყვა „რეგისტრის“ განმარტება ამ ეტაპზე საჭირო არაა).

2. სავარჯიშო „ვიპოვოთ ბგერა“: მასწავლებელი ინსტრუმენტზე იღებს რომელიმე ბგერას და ხელის ზევით-ქვევით მოძრაობით მოსწავლეებს ხმით აძებნიან ალბულ ბგერას (სასურველია დაბალი რეგისტრიდან დაწყება და თანდათან მიახლოება). ხელის აწევისას მოსწავლეები ხმას „ანვრილებენ“, ჩამოწევისას – „აბოხებენ“. მასწავლებელი ხელს აჩერებს მაშინ, როდესაც მთელი კლასი ხმით იღებს იმ ბგერას, რომელიც ინსტრუმენტზე იყო ალბული (მასწავლებელი: დავიმახსოვროთ – მუსიკის ენაზე „წვრილი“ არის მაღალი ბგერა და ხელსაც ამიტომ ვწევთ მაღლა, შესაბამისად – „ბოხი“ დაბალი ბგერაა და ხელსაც დაბლა ვუშვებთ).

3. სავარჯიშო „გააცოცხლოთ“ ბგერები: 1. მასწავლებელი ფორტეპიანოზე უკრავს რაიმე მუსიკალურ მოტივს ზედა რეგისტრში:



კითხვა: რომელი ცხოველის ან ფრინველის ხმა გამოვსახეთ? ბავშვები პასუხობენ (ჩიტების, წიწილების, წვიმის წვეთების და ა. შ.)

შემდეგ ქვედა რეგისტრში უკრავს ქვემოთ მოცემულ ფრაგმენტს და იმავე კითხვას სვამს (ბავშვების სავარაუდო პასუხები – დათუნიების, სპილოს, ლომის, მგლის და ა. შ.). რომელი ბგერები იყო მაღალი (დაბალი) – ჩიტუნიების თუ დათუნიების?



ახლა თვითონ „გააცოცხლოთ“ ბგერები. მასწავლებელი ბავშვებს სთხოვს ფორტეპიანოს კლავიატურაზე მოძებნონ ის რეგისტრი (ადგილი), რომელიც, მათი აზრით, უკეთ შეესაბამება, მაგალითად, ჩიტის ჭიკჭიკს, დათვის ბაჯბაჯს და სხვ.

მასწავლებელი ასმენინებს სენ-სანსის „გუგულს“ (27) და სთხოვს მოსწავლეებს, აღნიშნონ, გუგულის ინტონაციაში როგორ მოძრაობს ბგერები: დაბლიდან მაღლა თუ პირიქით (რომელი ბგერაა მაღალი და რომელი – დაბალი)? პასუხი უნდა იყოს: პირველი მაღალია, მეორე – დაბალი, შესაბამისად, ბგერები მოძრაობენ ზევით და ქვევით.

1.24-25. სმამაღლა და სმადაბლა

Fുനകൂട്ടം പഠനം P

სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).1,2,4,5.

მოსმენა: სიმღერები: „იხვის ჭუჭული“; „საქათმეში შეპარულა მელა“.

ვიდეორეჟინება: ანიმაცია – „ფორტე, პიანო“.

ცნებები: ხმა, ბგერა, სიძლიერე, განწყობა.

რესურსი: მოსასმენი და ვიდეოს საჩვენებელი აპარატურა, აუდიო/ვიდეოჩანაწერი, ფორტიპიანო.

სიახლე: თამაში „ვინ იპოვის?“

ტერმინები: ფორტე, პიანო, ორკესტრი, დირიჟორი.

სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები:

* როგორ გამოვიყენოთ სხვადასხვა ხმა რაიმე განწყობის ან სახე-ხატის შესაქმნელად?

* როგორ შეუძლია ამა თუ იმ ხმას რაიმე ემოციის გამოწვევა?

საკლასო აქტივობები

აქტიულობა I

დო მაჟორის გაორმაგებული ბგერებით გამღერება აღმავალი მიმართულებით ხმამაღლა, დაღმავალი მიმართულებით – ჩუმად, ჯერ ხმოვნებზე. გაიხსენეთ ბგერის ერთ-ერთი თვისება – სიძლიერე.

რიცხული საკარჯიშო სამნილად ზომაზე:




ინტონაციური სავარჯიშო „მოდი, ვნახოთ ვენახი“. მასწავლებელი ფორტეპიანოზე უკრავს სავარჯიშოს და ავარჯიშებს ბავშვებს ნახტომების ინტონაციურად სწორად მღერაში. ამის შემდგომ უკვე ტექსტითაც შეიძლება შესრულება (აქტივობას შეიძლება რამდენიმე გაკვეთილი დაეთმოს). კარგად დასწავლის შემდეგ კლასი იყოფა ორ ჯგუფად, ერთი ჯგუფი მღერის, მეორე ჯგუფი აკეთებს მეტრს ტაშით/კაკუნით/საჟღარუნო საკრავით (მეტრის გაკეთება შევთავაზოთ იმ ბავშვებს, რომელთაც ინტონაციურად სწორად მღერა უჭირთ).

f



მღ - დი ვნა - ხოთ ვე - ნა - ხი

p



რამე შე - ჭა - მა ვე - ნა - ხი

აქტივობა II

მუს.დანყ.(I).4,5. როგორ შეუძლია ამა თუ იმ ხმას რაიმე ემოციის გამოწვევა?

მასწავლებელი ფორტეპიანოზე ასრულებს ფრაგმენტებს საპირისპირო ხასიათის სიმღერებიდან ან ასმენინებს შეთავაზებული ჩამონათვალიდან; მაგალითად, ასმენინებს საბავშვო სიმღერას „იხვის ჭუჭული“ „IL BALLO DEL QUA QUA“-ს (28) და ფორტეპიანოზე უკრავს (ან მღერის) მ. დავითაშვილის სიმღერას „ეს საწყალი კურდღელი“; სვამს კითხვას – როგორი ემოცია გამოიწვია თქვენში ამ ორმა სიმღერამ, რა ნიშნებით განასხვავებთ მათ ერთმანეთისგან? მოსწავლეთა სავარაუდო პასუხები იქნება: სიმღერა იხვის ჭუჭუბზე სახალისოა, ცეკვის ხასიათზე გვაყენებს, ამიტომ მხიარულად და ხმამაღლა სრულდება, „ეს საწყალი კურდღელი“ კი სევდიანია, მას ნელა, შედარებით დაბალ ხმაზე ვმღერით.

აქტივობა III

მუს.დანყ.(I).1,2.

მასწავლებელი: ერთი და იგივე ბგერები სიძლიერის მიხედვით შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. საუბრის დროსაც ხომ სხვადასხვანაირად ვმეტყველებთ – ხან ხმამაღლა, ზოგჯერ ყვირილით, ხან კი ჩურჩულით ვლაპარაკობთ.

მასწავლებელი ასმენინებს კლასს რაიმე ხმების თანამიმდევრობას და სთხოვს მოსწავლეებს, იმავე თანამიმდევრობით გაიმეორონ. მაგალითად შეიძლება გამოვიყენოთ რომელიმე სიმღერის მელოდია. მასწავლებელი მღერის (ან ფორტეპიანოზე უკრავს), მაგალითად, სიმღერას „ჭრელო პეპელა“. შემდეგ იმავე მელოდიას მღერის/უკრავს ჯერ ხმამაღლა, შემდეგ – ჩუმად. კითხვა: თქვენ ორჯერ მოისმინეთ ერთი და იგივე მელოდია. რა განსხვავება დაინახეთ ამ ორ შესრულებას შორის? (პირველად ხმამაღალი იყო, მეორედ – ხმადაბალი); ტერმინები: ფორტე ნიშნავს ხმამაღლა შესრულებას, პიანო – ჩუმად შესრულებას.

კლასი მიდის იმ დასკვნამდე, რომ მუსიკალური ნაწარმოების ხასიათის, ემოციის გადმოსაცემად დიდი მნიშვნელობა აქვს ბგერების ხმოვანების სიძლიერეს.

დავიმახსოვროთ: **ბგერის ერთ-ერთი თვისებაა სიძლიერე.**

თემის მეორე გაკვეთილი

აქტივობა I

რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო „მოდი, ვნახოთ ვენახი“, სრულდება ჯერ ხმამაღლა, შემდეგ – ჩუმად (ტერმინების გამეორება – ფორტე, პიანო).

სანოტო ჩანანერის მიხედვით, მასწავლებელი დაფაზე ხაზავს სავარჯიშოს რიტმულ ნახაზს, მოსწავლეების ყურადღებას ამახვილებს ბგერების გრძლიობაზე (მოკლე, გრძელი), სრულდება ტაშით/კაკუნით:



მო - დი ვნა-ხოთ ვე - ნა - ხი



თხამ შე ჭა - მა ვე - ნა - ხი

აქტივობა II

ვიდეორჩვენება: ანიმაცია – ფორტე, პიანო (4).

ვიდეორჩვენებისას მოსწავლეები ვიზუალურად ნახავენ, რომ მუსიკას ასრულებს **ორკესტრი**, ორკესტრს ხელმძღვანელობს **დირიჟორი**, მუსიკოსები სხვადასხვა საკრავზე უკრავენ; დაასახელებენ ნაცნობ საკრავებს, მიუთითებენ საკრავის ჯგუფს – სიმებიანი, დასარტყამი, ჩასაბერი; განასხვავებენ ბგერის სიძლიერეს – ხმამაღლა (ფორტე), ჩუმად (პიანო). კარგად დამახსოვრების მიზნით რამდენჯერმე იმეორებენ ამ ტერმინებს.

განმარტება: **ორკესტრი** არის მუსიკოსების ჯგუფი, რომლებიც სხვადასხვა მუსიკალურ ინსტრუმენტზე უკრავენ და ერთდროულად ასრულებენ ორკესტრისთვის დაწერილ ნაწარმოებს.

მოსწავლეები საუბრობენ მოსმენით მიღებულ შთაბეჭდილებებზე, რომელი საკრავი ამოიცნეს ჟღერადობით და საუბრობენ ამ საკრავ(ებ)ის შესახებ.

აქტივობა III

მოსმენა: „საქათმეში შეპარულა მელა“ თამუნა ამონაშვილისა და „ბასტი-ბუბუს“ შესრულებით (29).

საქათმეში შეპარულა მელა,
ქათმებს ესაუბრებოდა ნელა:
შენ, ქათამო, წამომყევი ნელა,
შენ, მამალო, გააჩუმე ენა.
 არაო, არაო, მელა მატყუარაო,
 არ წამოვალ, არაო.



ბავშვები დამოუკიდებლად განსაზღვრავენ, მღერისას სად აამაღლონ ხმა და სად – დაადაბლონ; შეიძლება კლასი ორ ჯგუფად გაიყოს. ერთი ჯგუფი იმღერებს კუბლეტს ჩუმად, მეორე ჯგუფი – მისამღერს ხმამაღლა. საუბრისას გამოვიყენოთ ტერმინები – ფორტე, პიანო.

შენიშვნა: სიმღერის დროს ყოველთვის აღნიშნეთ მოსწავლეთა წარმატება, შეაქეთ ისინი. ინდივიდუალური შესრულებისას მსმენელებს მოუწოდეთ, აღნიშნონ თანაკლასელის წარმატება.

აქტივობა IV

თამაში „ვინ იპოვის?“

თამაშის წესი: ერთი ბავშვი დაიხუჭება. საკლასო ოთახში რაიმე ნივთს ვმაღავთ (მაგ. ფანქარს ან საშლელს) და მთელი კლასი იწყებს სიმღერას (წინასწარ შერჩეულს). ბავშვი თვალებს ახელს და იწყებს ნივთის ძებნას.

მასწავლებელი: ყური უგდე სიმღერას, ის გაპოვნინებს დამალულ ნივთს. ჩვენ კი სიმღერით დაგეხმარებით ნივთის პოვნაში.

ბავშვი რაც უფრო მიუახლოვდება დამალულ ნივთს, მომღერლები მღერისას ხმას აუწევენ, რაც უფრო დაშორდება – მით უფრო ჩუმად იმღერებენ სიმღერას.

1.26-27. საშობაო სიმღერები

სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).1,2,4,5,6.

მოსმენა: ჯეიმზ ლორდ პიერპონტი – „Jingle Bells“; ქართული ალილო; სომხური საშობაო სიმღერა.

სიმღერის შესწავლა: „ალილო“ („Jingle Bells“).

ცნებები: ბგერის სიმაღლე, სიძლიერე, გრძლიობა.

რესურსი: მოსასმენი აპარატურა, აუდიოჩანაწერი.

სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები:

როგორ შეიძლება დაფუკავშიროთ ბგერის თვისებები საგნის თვისებებს (რა ასოციაციური კავშირის გაბმა შეიძლება ბგერისა და საგნის თვისებებს შორის)?

საკლასო აქტივობები

აქტივობა I

გამის გამღერება.

რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო „ალილო“:



სიმღერა „საქათმეში შეპარულა მელა“ – გამეორება.

აქტივობა II

მუს.დანყ.(I).4,5,6.

მასწავლებელი: როგორ განწყობაზე დგებით, როცა საახალწლო სიმღერებს ისმენთ? რა წარმოგიდგებათ თვალწინ? ჩამოთვალეთ (წაიშალეთ) თქვენთვის ნაცნობი საახალწლო სიმღერები. მასწავლებელი სვამს კითხვებს: რომელი მათგანი მოუსმენიათ მანამდე, რომელია მათთვის ახალი, რომელი სიმღერა მოსწონთ ყველაზე მეტად.

მოსმენა: სხვადასხვა ქვეყნის ხალხთა საშობაო სიმღერები: ქართული „ალილო“ (31), სომხური (32), გერმანული (34).

მოსწავლეები ერთმანეთს ადარებენ სხვადასხვა ხალხის საშობაო სიმღერებს ხასიათის, რიტმის, შესრულების ტემპის მიხედვით; რის მიხედვით განასხვავებენ საახალწლო სიმღერებს სხვა სიმღერებისგან. მოსწავლეები ახასიათებენ საახალწლო სიმღერებს, მაგ.: საახალწლო სიმღერები მხიარულია, სრულდება ხალისიანად, სწრაფი (ან ზომიერი) ტემპით; ზოგიერთ სიმღერაში ისმის საშობაო ზარების ხმა; საახალწლო სიმღერებში ახალი წლის სასიამოვნო მოლოდინია გადმოცემული, თითქოს რაღაც ჯადოსნური უნდა მოხდეს, სურვილების ასრულების ჟამი დგება; მოსწავლეები ასახელებენ, მოსმენილი სიმღერებიდან რომელი უფრო მეტად მოეწონათ და განმარტავენ, რის მიხედვით გამოარჩიეს ეს სიმღერა.



გონებრივი იერიში. მუს.დანყ.(I).1,2. როგორ შეიძლება დაფუკავშიროთ ბგერის თვისებები საგნის თვისებებს

მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, თუ როგორი ხმა და ლაპარაკის მანერა მოუხდებოდა ამა თუ იმ საგანს – მაღალი (წვრილი), დაბალი (ბოხი), თუ საშუალო სიმაღ-

ლის; ნელა (განელილად), ხმამალა ან ხმადაბლა წარმოთქმული, ტემბრი – სასიამოვნო, შემაშფოთებელი, პირქუში, თბილი და სხვ.

აქტივობა III
სიმღერის მოსმენა და შესწავლა: „Jingle Bells“ (30).

მასწავლებელი დაფაზე წერს სიმღერის ტექსტს ან დაასწავლის ზეპირად და უხსნის მოსწავლეებს სიმღერის სტრუქტურას (მაგალითად: სიმღერა შეიცავს 2 სტროფსა და მისამღერს).

ჩანაწერის თავდაპირველად მოსმენისას მასწავლებელი კლასს სთხოვს, აჰყვნენ სიმღერის მისამღერს, შემდეგ უკვე დაამატებს სტროფს – სტრიქონებად. ასე თანდათან „ააშენეთ“ სიმღერა.

როდესაც მოსწავლეები სიმღერას მთლიანად შეისწავლიან, იმღერებენ ჩანაწერის გარეშე.

სიმღერის ქართული ტექსტი:
წუთებს დაითვლის ძველი საათი
და მალე იწყება შობის ზღაპარი,
მე ჯადოსნური ეტლით ვიარე,
რადგან თქვენთან ხუთი წუთით დავიგვიანე.
მისამღერი:
ალილო, ალილო, შობა თენდება,
ახალი წლის სიხარულს რა შეედრება?
რეკავენ ზარები, დილა თენდება,
სიტკბო და სიკეთე დაგვებელება.

ზეცა ინთება, როგორც სანთელი,
ამ ლამაზ გათენებას ჰქვია სახელი,
შობის დილაა, დილა ნათელი,
ციდან ჩვენთვის ეშვება თეთრი ფანტელი.
(მეორდება მისამღერი)

Jingle bells

Dash - ing through the snow in a one horse o - pen sleigh. And
O' - er the fields we go Laugh - ing all the way
Bells on bob tails ring Ma - king spi - rits brig - t. What
fun it is to ride and sing a sleigh - ing song to - night
Jing - le bells jing - le bells Jing - le all the way
Oh, what fun it is to ride in a one horse o - pen sleigh.
Jing - le bells jing - le bells Jing - le all the way
oh, what fun it is to ride in a one horse o - pen sleigh.

თემის მეორე გაკვეთილი


აქტივობა I

მეორდება რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო „ალილო“.
სიმღერა „ალილო“ – შესწავლის გაგრძელება


აქტივობა II

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ტაშით გამოხატონ „ალილოს“ რიტმი, აღნიშნონ, სადაა მოკლე ბგერები და სად – გრძელი. შემდეგ აჩვენებს, როგორ გამოსახონ მეტრი – ტაში ძლიერ დროზე. ამის შემდგომ მასწავლებელი ტაშით თავად გამოხატავს რიტმს და სთხოვს ბავშვებს, გამოიცნონ/მიუთითონ, რომელ ბგერებზეა ძლიერი დრო და რომელზე – სუსტი დრო.

მასწავლებელი სთავაზობს რომელიმე მოსწავლეს (ვისაც სურვილი აქვს), დაფაზე თვითონ შექმნას „ალილოს“ (ფრაგმენტის) რიტმული ნახაზი (მოკლე და გრძელი ბგერები). მასწავლებელი უკრავს ტაშს, მოსწავლე – ჩანერს (მოკლე ბგერები – გადაბმული ხაზები, გრძელი ბგერები – ცალკე; ან შავ-თეთრი ბურთულები). სავარჯიშოები მეტრი-რიტმის გააზრებაზე გამეორდება სხვა გაკვეთილებზეც. მაგალითად, სიმღერის მისამღერის რიტმული ნახაზი ასეთ სახეს მიიღებს:



მოსწავლეთა მზაობის შემთხვევაში, შესაძლებელია ვცადოთ რიტმული სავარჯიშოს საკრავებით შესრულება:



მუს.დანყ.(I).4,5.

სასურველია, შემდგომ მოსწავლეებმა გაცვალონ საკრავები, რათა თითოეულ მათგანს ჰქონდეს სხვადასხვა ინსტრუმენტთან შეხების შესაძლებლობა (საკრავი თავად შეარჩიეთ).

სავარაუდო კითხვები: რის მიხედვით განასხვავებთ ამ საკრავებს? (დაკვირვება საკრავ-თა სხვადასხვა შემადგენლობაზე – ისაუბრეთ განსხვავებულ ხმებზე, ტემბრზე, ვიზუალზე და ა. შ.); თქვენი წარმოდგენით, რომელი საგნის აღსაწერად გამოიყენებთ მარაკასის, სამკუთხედის, ზარის ხმოვანებას (რა ასოციაციური კავშირის გაბმა შეიძლება ბგერისა და საგნის თვისებებს შორის)?

აქტივობა III

მუს.დანყ.(I).1,2. მასწავლებელი ასმენინებს კლასს სხვადასხვა ხმის თანმიმდევრობას და სთხოვს მოსწავლეებს, მათგან ამოარჩიონ ისინი, რომლებიც, მათი აზრით, საახალწლო განწყობაზე მიგვანიშნებს (შეგვიძლია გამოვიყენოთ რაიმე მელოდიის ფრაგმენტები, მოკლე მოტივი ან სხვა ხმაბაძვითი სიტყვები). ბავშვები ახსნიან, რის მიხედვით აირჩიეს ის.

I.28. „თოვლი, თოვლი, თოლიგე“

სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).1,2,4,5.

მოსმენა: გ. დარახველიძე – „ფიფქები“.

სიმღერის შესწავლა: თ. კოპალიანი „თოვლი, თოვლი, თოლიგე“.

რესურსი: ფორტეპიანო, მოსასმენი აპარატურა, აუდიოჩანაწერი.

სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები:

- როგორ შეიძლება გადმოვცეთ ბგერის თვისებებითა და მოკლე მოტივებით სხვადასხვა საგნის/სულიერი არსების თვისებები?

საკლასო აქტივობები

აქტივობა I

გამის საფეხურების გამლერება;

„ალილოს“ გამეორება.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, აირჩიონ ხელთ არსებული რომელიმე დასარტყამი საკრავი, რომლითაც გააკეთებენ „ალილოს“ რიტმულ ნახაზს (ფრაგმენტი), მაგალითად, რიტმს აღნიშნავენ ტაშით/კაკუნით, მეტრს – სამკუთხედით, ან პატარა ზარითა და ჯოხებით. კლასი იყოფა ორ ჯგუფად და ასრულებენ რიტმულ სავარჯიშოს. ბავშვები ასახელებენ, რომელი ჯგუფი გამოხატავს რიტმს და რომელი – მეტრს. მაგალითად:

ტაში		I ჯგუფი – რიტმი
		II ჯგუფი – მეტრი

აქტივობა II

მუს.დანყ.(I).1,2,3.

მასწავლებელი კლასს ასმენინებს გ. დარახველიძის სიმღერას „ფიფქები“ ანს. „ენკი-ბენკის“ შესრულებით (103) (სიმღერის შესწავლის სურვილის შემთხვევაში, სანოტო ჩანაწერი და ტექსტი იხილეთ დანართის ბოლო გვერდზე).

სიმღერის მოსმენისას ბავშვები ასრულებენ ტექსტის შესაბამის მოძრაობებს (თითქოს ფიფქებს იჭერენ და ეფერებიან. მელოდიას აჰყვებიან ხმით; მოძრაობით, მიმიკით გადმოსცემენ სიმღერის ხასიათს).



გონებრივი იერიში. კლასში იმართება დისკუსია; მასწავლებლის დავალებით/თხოვნით მოსწავლეები ასახელებენ, სიმღერებში გამოყენებულ სიტყვებს, რომლებიც ზამთრის თემატიკაზე მიანიშნებს (თოვდა, ქათქათა ფიფქები); რა მუსიკალური საშუალებებით აქვს კომპოზიტორს გადმოცემული ზამთრის ხასიათი? ბავშვების პასუხი იქნება: სიმღერაში „ფიფქებო“ თოვლის ფიფქების ცვენის მიმანიშნებლად კომპოზიტორმა გამოიყენა პატარა ზარების წკრიალი.

- მასწავლებელი სთხოვს კლასს, თავად მოიფიქრონ ზამთარზე მიმანიშნებელი რაიმე ხმაბაძვითი სიტყვები და მარტივ მოტივზე წაიმღერონ.

მოსწავლემ უნდა შეარჩიოს ხმები (შესაბამისი მოძრაობით) რაიმე ემოციის გამოწვევის მიზნით და მოასმენინოს თანაკლასელებს (მაგ., ზამთრის ქარბუქის ხმა, ბგერები თოვლზე სიარულისას, გუნდაობისას, თხილამურების სრიალისას და ა. შ.), შემდეგ თანაკლასელების რეაქციის მიხედვით შეამოწმოს, თუ რამდენად მიაღწია სასურველ შედეგს.

- მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მოიფიქრონ, თუ რა სიმბოლოებით შეიძლება ამ ხმების ჩაწერა.

შენიშვნა: მასწავლებელს შეუძლია თავისი შეხედულებისამებრ გამოიყენოს შემოთავაზებული მაკა აროშიძის სიმღერის „კანფეტების თოვლის“ აუდიოჩანაწერი (104), სურვილის შემთხვევაში გამოიყენოს ამ სიმღერის ფონოგრამა მოსასმენი ფაილიდან (105).

აქტივობა III

სიმღერის შესწავლა: თინათინ კოპალიანი – „თოვლი მოდის, თოვს“ (სანოტო ჩანაწერი იხ. დანართში, გვ. 165).

მასწავლებელი სიმღერის ტექსტს ჩატვირთავს მოსწავლეთა სასკოლო ბუკებში:

ნაცრისფრად გაცრეცილა, თოვლი მოდის, თოვს,
ფანტელები ცვივა ციდან, თოვლი მოდის, თოვს.
ფანტელ ფანტელ, ფთილა ფთილა, თოვლი მოდის, თოვს,
ხელის გულზე ნაზად ცვივა, ეცემა და თოვს.

ახალი წლის დილას შევხვდეთ, თოვლი მოდის, თოვს,
ბედნიერი, მხიარული, თოვლი მოდის, თოვს.
მუდამ ეს რომ დაგვებედოს, ნუ დაგვარგავთ დროს,
ჩვენც ვიმღეროთ, ჩვენც ვიცეკვოთ, თოვლი მოდის, თოვს.

ფანტელ ფანტელ, ფთილა ფთილა, თოვლი მოდის, თოვს,
ჩვენც ვიმღეროთ, ჩვენც ვიცეკვოთ, თოვლი მოდის, თოვს.

1.29. „გამეორება ცოდნის დედა“ შემაჯამებელი გაკვეთილი

რესურსი: ფორტეპიანო, ბურთი.

აქტივობა I

რიტმული სავარჯიშო. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, წარმოთქვან ქვემოთ მოცემული საკრავების დასახელება (ან საკუთარი სახელები) რიტმში (ტაშით). ბავშვებმა ოთხ-მარცვლიანი სიტყვა სწრაფად უნდა დაითვალონ, სამმარცვლიანი – შედარებით ნელა, ორ-მარცვლიანი – ძალიან ნელა:

 | | | | | | | | | |
დო-ლი და-ი-რა ქსი-ლო-ფო-ნი ვი-ო-ლი-ნო

რომელიმე შესწავლილი სიმღერის გამეორება (მასწავლებლის შერჩევით).

აქტივობა II

1. მოსწავლეებს წინასწარ მიცემული აქვთ დავალება – ხმებითა და ჟესტიკულაციით გადმოსცენ რაიმე ამბავი. თუ თანაკლასელები ამოიცნობენ მის ჩანაფიქრს, პრეზენტაცია წარმატებულად ჩაითვლება.

2. თამაში „ტყუილი თუ მართალი“.

მასწავლებელი ამბობს ფრაზას და რომელიმე მოსწავლემ უნდა უპასუხოს – ტყუილია თუ მართალი. უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, მან სწორი პასუხი უნდა თქვას, თუ ვერ უპასუხებს, მასწავლებელი სხვა მოსწავლეს ჰკითხავს:

- * დათვის ხმა უფრო მაღალია, ვიდრე კატის (ტყუილია);
- * ბგერის ერთ-ერთი თვისებაა სიმაღლე (მართალია);
- * დირიჟორი ბიბლიოთეკის ხელმძღვანელია (ტყუილია);
- * ორი შემსრულებელი ორკესტრია (ტყუილია);
- * გოჭის ჭყვიტინი, ქარის ზუზუნი, ძაღლის ყეფა ბუნებრივი ხმებია (მართალია);
- * ვიოლინო და ფორტეპიანო მუსიკალურ ბგერებს გამოსცემს (მართალია);
- * ბგერის ერთ-ერთი თვისებაა ხანგრძლივობა (მართალია);
- * სამი ადამიანის ერთად მღერა სოლო შესრულებაა (ტყუილია);
- * მატარებლის და თვითმფრინავის ხმოვანება ბუნებრივი ხმებია (ტყუილია);
- * ჩიტის ჭიკჭიკი მუსიკალური ბგერებია (ტყუილია);
- * დოლი მოკლე ბგერებს გამოსცემს (მართალია);
- * ვიოლინო დასარტყამი საკრავია (ტყუილია);
- * ფორტეპიანო სასულე საკრავია (ტყუილია);
- * მუსიკალური ნაწარმოების შესრულების სიჩქარეს ტემპი ჰქვია (მართალია);
- * ქსილოფონი სიმებიანი საკრავია (ტყუილია);
- * ფორტე დაბალი ხმით შესრულებას ნიშნავს (ტყუილია) და სხვ.

აქტივობა III

მასწავლებელი ფორტეპიანოზე იღებს სხვადასხვა ბგერის თანმიმდევრობას და მოსწავლეები აღნიშნავენ, როგორ მოძრაობს ბგერები – მაღლა თუ დაბლა.

აქტივობა IV

მასწავლებელი ბურთს სათითაოდ გადაუგდებს მოსწავლეებს და რაღაცა სიმაღლის ბგერას ან ფრაზას გაიმღერებს. მოსწავლემ ზუსტად უნდა გაიმეოროს იგივე. რომელი ბავშვიც კარგად გაართმევს თავს დავალებას, მასწავლებელი ღიმილიან სტიკერს დააკრავს ხელზე. საბოლოოდ, ვისაც მეტი სტიკერი დაუგროვდება, „კლასის საუკეთესო მუსიკოსად“ გამოცხადდება.

II თავი. მუსიკა და ჩვენი ყოფა

თემა	რა ხერხებით მიიღწევა სტანდარტით განსაზღვრული მიზნები
ყოფითი საგნები მუსიკაში	• გარე სამყაროში არსებული სხვადასხვა მოქმედებისთვის დამახასიათებელი რიტმული ფორმულების განსაზღვრა და სამყაროს ასახვის დროს მათი გამოყენება; • გარესამყაროში არსებული მოვლენების, სახეების, საგნების მუსიკალურად გამოხატვის სხვადასხვა ფორმისა და გამომსახველობითი ხერხის დაუფლება; • სხვადასხვა ხმის, პლასტიკის, მიმიკის გამოყენებით რაიმე განწყობის ან სახე-ხატის შექმნა; • მუსიკალური სმენისა და მეხსიერების, რიტმის გრძნობის განვითარება; • მუსიკის მოსმენისა და საკუთარი დამოკიდებულების ნათლად გადმოცემის უნარ-ჩვევის ჩამოყალიბება; • შემოქმედებით აქტივობებში ჩაბმა, პასუხისმგებლობის, ჯგუფში მუშაობის ჩვევის გამომუშავება; • წარმოსახვით-ასოციაციური აზროვნების განვითარება; • აუდიტორიის წინაშე წარდგენის, საკუთარი ემოციების, ქცევის მართვის უნარ-ჩვევის განვითარება.
მუს..დანყ.(I).1.	მოსწავლემ უნდა შეძლოს გარესამყაროში არსებული ბუნებრივი და ხელოვნურად შექმნილი ხმების, ხმაურისა და მუსიკალური ენის ცალკეული ელემენტის (მაგ., რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) გამოყენება გარკვეული ემოციური მდგომარეობის გადმოსაცემად;
მუს..დანყ.(I).2.	მოსწავლემ უნდა შეძლოს ხმის, ხმაურის, მუსიკალური ელემენტების (მაგ., რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) გამოყენება გარკვეული ემოციური მდგომარეობის გადმოსაცემად;
მუს..დანყ.(I).3.	მოსწავლემ უნდა შეძლოს ხმოვანი გზავნილის სხვადასხვა სიმბოლოთი ჩანერა.
მუს..დანყ.(I).4.	მოსწავლემ უნდა შეძლოს მოსმენის დროს სახე-ხატის შექმნაში მუსიკალური ენის ცალკეული ელემენტის (მაგ., რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) როლის განსაზღვრა.
მუს..დანყ.(I).5.	მოსწავლემ უნდა შეძლოს ცალკეული მუსიკალური ელემენტის (მაგ. რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.), ხმაურსა და ვიზუალურ რიგს შორის ასოციაციური კავშირების გაბმა.
მუს..დანყ.(I).6.	მოსწავლემ უნდა შეძლოს ხალხური მუსიკის თავისებურებების ამოცნობა.

ცნებები: ბგერის სიმაღლე, სიძლიერე, გრძლიობა, მოტივი.

სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები:

როგორ შეიძლება დაუზუსტოთ ბგერის თვისებები საგნის თვისებებს (რა ასოციაციური კავშირის გაბმა შეიძლება ბგერისა და საგნის თვისებებს შორის)? **მუს.დანყ.(I).4, 5, 6;**

როგორ აისახება სხვადასხვა ხალხის მუსიკაში ყოფითი საგნები? **მუს.დანყ.(I).4, 5, 6;**

როგორ შეიძლება გადმოვცეთ ბგერის თვისებებითა და მოკლე მოტივებით სხვადასხვა საგნის თვისებები? **მუს.დანყ.(I).1, 2;**

როგორ გამოვსახოთ ესა თუ ის ბგერა? **მუს.დანყ.(I).3.**

II.30-31.

„ტიკ-ტაკ“ საათი

სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).1,2,3,4,5.

მოსმენა: კედლის საათისა და პატარა საათის ხმოვანება; ლ. ანდერსონი – „სინკოპირებული საათი“; ლიტერული იავენანა; ქ. გაბისიანი – სიმღერა „ტიკ-ტაკ“.

ვიდეორჩენება: მულტფილმი: უ. დისნეი – „საათების მაღაზია“; ლეო დელიბი – „საათების ვალსი“, ბალტიდან „კოპელია“.

ცნებები: ბგერის სიმაღლე, სიძლიერე, გრძლიობა, პერსონაჟი.

სიმღერის შესწავლა: გ. ცაბაძე – „საათი“.

რესურსი: ფორტეპიანო, მოსასმენი აპარატურა, აუდიოჩანაწერი.

სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები:

*როგორ აისახება სხვადასხვა ხალხის მუსიკაში ყოფითი საგნები?

*როგორ შეიძლება გადმოვცეთ ბგერის თვისებებითა და მოკლე მოტივებით სხვადასხვა საგნის თვისებები?

საკლასო აქტივობები

აქტივობა I

დო მაჟორის საფეხურების (I-IV) გამღერება გაორმაგებული ბგერებით:



აქტივობა II

მუს.დანყ.(I).4,5.




გონებრივი იერიში: მასწავლებელი აუდიოჩანაწერით ასმენინებს კედლის საათისა (35) და პატარა საათის (36) წიკნიკს (ან ვიდეოჩანაწერიდან ასმენინებს ხმებს უ. დისნეის მულტფილმიდან „საათების მაღაზია“ (5) (ეკრანი გამორთულია)) და სთხოვს მოსწავლეებს, ამოიცნონ, რომელია მათგან დიდი და რომელი – პატარა საათის ხმოვანება. მოსწავლეები აფიქსირებენ დიდი და მცირე ზომის საგნების მიერ გამოცემული ხმების სხვადასხვაობას. ასაბუთებენ, რის მიხედვით ამოიცნეს.

კითხვა: რატომ გამოსცემენ ისინი სხვადასხვა ხმას? კლასი მსჯელობს იმის შესახებ, თუ რა ნიშნებით შეიძლება ამ საგნების სიდიდის (ზომის) განსაზღვრა. ყურადღება მახვილდება ბგერის სიმაღლეზე, სიძლიერესა და გრძლიობაზე. საბოლოოდ მოსწავლეები მიდიან იმ დასკვნამდე, რომ ყველა საათი – დიდიც და პატარაც – ერთმანეთისგან განსხვავებულ ბგერებს გამოსცემს, მაგრამ მათ ერთი საერთო თვისება აქვთ – ყველა რიტმულად წიკნიკებს. რიტმს საათისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, წინააღმდეგ შემთხვევაში სწორ დროს ვერ აჩვენებს.



აქტივობა III

მასწავლებელი აჩვენებს სხვადასხვა საათის ილუსტრაციას და სთხოვს მოსწავლეებს, დაასახელონ, როგორი ბგერებია „დამალული“ თითოეულ საათში და გაახმოვანონ ისინი (მაგ., ჯიბის საათი, მალვიძარას წკრიალი, გუგულიანი საათი, მუსიკალური საათი).



აქტივობა IV

მუს.დანყ.(I).1,2. როგორ შეიძლება გადმოვცეთ ბგერის თვისებებითა და მოკლე მოტივებით სხვადასხვა საგნის თვისებები?

მასწავლებელი ასმენინებს კლასს მე-20 საუკუნის ამერიკელი კომპოზიტორის, ლეროი ანდერსონის „სინკოპირებულ საათს“ (37) („მოსკოვის ვირტუოზების“ შესრულებით) და სვამს კითხვებს: ნანარმოების ხასიათის მიხედვით, რა განწყობაა გადმოცემული? როგორი ქმედება მოუხდება ამ მუსიკას – სიმღერა, ცეკვა, მწყობრად სიარული თუ სეირნობა? (სავარაუდოდ, ბავშვებმა შეიძლება დაასახელონ ცეკვაც და მწყობრად სიარულიც); რომელი ზღაპრის ან ანიმაციური პერსონაჟის ხასიათს აღწერდი ამ მუსიკით? რა ხერხითაა გამოხატული საათის წიკნიკი? (მუსიკალური საკრავით) და სხვ.

მოსმენისას მოსწავლეები აღნიშნავენ, რომ ნანარმოების დასაწყისში ისმის ჯაჭვებზე დაკიდებული გირებით საათის მომართვის ხმა, შემდეგ კი საათის რიტმული წიკნიკი. ყურადღება მახვილდება მუსიკის საცეკვაო ხასიათზეც – თითქოს საათი თავისი წიკნიკის რიტმზე ცეკვავსო. ბავშვები ამოიცნობენ საათის გუგულის სტვენის ინტონაციასაც.

აქტივობა V

მუს.დანყ.(I).4,5.

მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს რამდენიმე საგნის სურათს, მაგალითად:



შემდეგ ასმენინებს ლიტვურ იანანას (38) და სთხოვს მათ გამოთქვან თავიანთი აზრი – ეს მუსიკალური ფრაგმენტი სურათებზე გამოსახულ რომელ საგანს უკავშირდება. მსჯელობისას მოსწავლეები გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს, რა საგანია გამოყენებული სიმღერაში (საათი) და რა კავშირი შეიძლება ჰქონდეს მას სიმღერის შინაარსთან (საათი დაკავშირებულია დაძინების დროსთან), მოსმენისას ამოიცნობენ საათის მომართვის ხმას.

მუს.დანყ.(I).3. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, საათის წიკნიკის ინტონაცია რაიმე სიმბოლოთი გამოსახონ.

თემის მეორე გაკვეთილი

აქტივობა I

მასწავლებელი დაფაზე ხატავს:

	წკრ...	წკრ...	წკრ...	წკრ...
	ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ,	ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ,	ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ,	ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ

მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, დაინანილონ როლები – ვინ გაახმოვანებს ტელეფონის ზარს, ვინ – საათის წიკნიკს. სავარჯიშოს შესრულებისას ბავშვების ყურადღება მივაქციოთ, რომ ტელეფონი უფრო ხმამაღლა წკრიალებს, ვიდრე საათი – მისი წიკნიკი თითქმის არც გვესმის. „ტელეფონები“ ერთ მხარეს დადექით, „საათები“ – „ტელეფონების“ პირდაპირ, მეორე მხარეს. „ტელეფონები“ ხმამაღლა წკრიალებენ, „საათები“ – ჩუმად წიკნიკებენ. ჯერ მხოლოდ „ტელეფონებს“ მოვუსმინოთ, შემდეგ „საათები“ ჩაერთვებიან. ბოლოს ორივე ჯგუფი ერთდროულად დაიწყებს წკრიალ-წიკნიკს (მიმართულება – შემოქმედებითობა და პრაქტიკა).

აქტივობა II

- 1. **ვიდეორჩვენება:** ლეო დელიბი – „საათების ვალსი“, ბალეტიდან „კოპელია“ (26).
- 2. **მოსმენა:** ქეთევან გაბისიანი – სიმღერა „ტიკ-ტაკ“, ანსამბლ „ენკი-ბენკის“ შესრულებით (39). მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაასახელონ საათის ხმოვანების მიმანიშნებელი სიტყვები.

აქტივობა II

სიმღერის შესწავლა: გ. ცაბაძე – „საათი“ (სანოტო ჩანანერი შემდეგ გვერდზე):

დგება თეთრი დღე და ინვის ლურჯი ღამე და საათი ითვლის წუთებსა და წამებს.	როცა ყველას სძინავს, საათს არა სძინავს და ფხიზელი თვალით უდარაჯებს დილას.
ხან წინ მიდის, ხანაც ჩამორჩება უკან, წუთები კი მუდამ ჩქარობენ და სწუხან.	მზე გაახელს თვალებს, აცურდება ცაში, და შემოვა სტუმრად ღია ფანჯარაში.

მისამღერი:

ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ, კუ-კუ, კუ-კუ,
ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ.
ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ, კუ-კუ, კუ-კუ,
ტიკ-ტაკ, წიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ, ტიკ.

ეს საინტერესოა

ისრებიანი საათის გამოგონებამდე, ადამიანები მზის საათს იყენებდნენ. მასზე ჩრდილი ისარივით მოძრაობდა და დროს ასე უჩვენებდა. რაინდები ორთაბრძოლისას ქვიშის საათს ხმარობდნენ. ბრძოლა მაშინ მთავრდებოდა, როცა ქვიშა ჭურჭლის ქვედა ნახევარში ბოლომდე ჩაიცლებოდა. პირველი ქანქარიანი საათი 1670 წელს ლონდონში გააკეთეს.

საათი

მხიარულად

მუსიკა გ. ცაბაძის
ტექსტი დ. გვიშაინის

mp

ქრე- ბა თეთ-რი დღე და

იწ-ვის ღურ-ჯი და- მე და სა- ა-თი ითვ - ლის წუ-თებ-სა და წა - მებს.

ხან წინ მი-დის, ხა-ნაც ჩა-მორ-ჩე-ბა უ-კან, წუ-თე-ბი კი მუ - დამ

This system contains the first two measures of the piece. The vocal line begins with a half note G4, followed by quarter notes A4, Bb4, and A4, then a half note G4. The piano accompaniment features a steady eighth-note bass line in the left hand and chords in the right hand.

ჩქა - ოლ - ბენ და სწუ - ხან. წიკ - ტაკ, წიკ - ტაკ, წიკ - ტაკ, წიკ - ტაკ

The second system covers measures three and four. The vocal line continues with a half note G4, followed by quarter notes A4, Bb4, and A4, then a half note G4. The piano accompaniment maintains its rhythmic pattern.

ძე - ძე, ძე - ძე წიკ - ტაკ, წიკ - ტაკ, წიკ - ტაკ, წიკ - ტაკ

The third system covers measures five and six. Measure five features a piano solo in the right hand with a sequence of chords (F4-A4, G4-Bb4, F4-A4, G4-Bb4) over a moving bass line. The vocal line has a whole rest. Measure six resumes the vocal melody.

წიკ - - - ტაკ წიკ - ტაკ, წიკ - ტაკ, წიკ - ტაკ, წიკ - ტაკ

The fourth system covers the final two measures, seven and eight. The vocal line concludes with a half note G4, followed by quarter notes A4, Bb4, and A4, then a half note G4. The piano accompaniment ends with a final chord.

ძე - ძე, ძე - ძე წიკ - ტაკ, წიკ - ტაკ, წიკ - ტაკ, წიკ - ტაკ

1. 2.

1. 2.

წოდ.

წოდ.

წოდ-ბაბ, წოდ-ბაბ, წოდ-ბაბ, წოდ-ბაბ, ბუ - ბუ, ბუ - ბუ.

II.32-33-34.

ამღერებელი ზარი

სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).1,2,4,5.

მოსმენა: დიდი და პატარა ზარების ხმოვანება; ალ. ალიაბევი – სიმღერა – „Вечерний звон“; ჯეიმს ლორდ პიერპონტი – „Jingle Bells“.

ცნებები: ბგერის სიმაღლე, სიძლიერე, გრძლიობა; ხმაბაძვითი სიტყვები.

რესურსი: ფორტეპიანო, მოსასმენი აპარატურა, აუდიოჩანაწერი.

სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები:

*როგორ შეიძლება დაფუკავშიროთ ბგერის თვისებები საგნის თვისებებს?

*როგორ შეიძლება გადმოვცეთ ბგერის თვისებებითა და მოკლე მოტივებით სხვადასხვა საგნის თვისებები?

საკლასო აქტივობები

აქტივობა I


დო მაჟორის გამღერება გაორმაგებული ბგერებით.

მთავარ საფეხურებზე გამღერება:



აქტივობა II

მასწავლებელს მომარაგებული აქვს საჟღერო საკრავები. კლასი იყოფა ორ ჯგუფად, ჯგუფების ცალ-ცალკე გავარჯიშების შემდეგ მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს მარტივი რიტმული ნახაზის შესრულებას. პირველი ჯგუფი თავის პარტიას ასრულებს პატარა ზარებით (ან სამკუთხედით), მეორე ჯგუფი – დასარტყამი საკრავებით (მარაკასით, პატარა ჯოხებით, კაკუნით ან ტაშით). განმეორებით შესრულებისას ჯგუფები იცვლება.



კითხვები აქტივობის დასასრულს: რა განსხვავება შეამჩნიეთ ერთი და იმავე რიტმული ნახაზის შესრულების დროს სხვადასხვა საგნის/საკრავის გამოყენებისას? რა განაპირობებდა ამ განსხვავებას? მაგალითად, იყო თუ არა ბგერა უფრო ხანგრძლივი ზარის გამოყენებისას, ვიდრე მაშინ, როცა ჯოხებს გამოიყენებდით? აჩვენეთ მოსწავლეებს, როგორ შეიძლება ბგერის ხანგრძლივობის მართვა. მაგალითად, გააჟღერეთ ზარი და ხელის შეხებით მალევე შეაწყვეტინეთ ხმოვანება.

შენიშვნა: მსგავსი აქტივობები გამოიყენეთ სხვა რიტმულ სავარჯიშოებში განსხვავებული საკრავებით ან საგნებით (პლასტმასის ან მინის ჭურჭელი, სამკუთხედი (ტრიანგოლო), ლითონის, პლასტმასის ან ხის კოვზები და სხვ.).

სიმღერა „საათი“ – შესწავლის გაგრძელება.

აქტივობა III

მუს.დანყ.(I).1,2. მოსწავლეები იყენებენ ბგერების ერთსა და იმავე თანამიმდევრობას სხვადასხვა რეგისტრში, ასევე ბგერებს სხვადასხვა გრძლიობითა და სიძლიერით, საგნების მუსიკალური დახასიათების მიზნით (მღერით, ინსტრუმენტზე დაკვრით და ა.შ.).

მასწავლებელი დაფაზე ხატავს რიტმულ სავარჯიშოს – „ამღერებელი ზარები“:



იგი სთხოვს მოსწავლეებს შეურჩიონ ხმოვანება (რეგისტრი ხმით ან ფორტეპიანოს კლავიატურაზე) პატარა და დიდ ზარებს – წვრილი და ბოხი. შემდეგ ეკითხება მათ: ნახაზის მიხედვით, რომელი ზარები უფრო სწრაფად ჟღერს? (პატარა).

სასურველია, მასწავლებელს წინასწარ მომარაგებული ჰქონდეს სხვადასხვა ზომის ზარები ან სამკუთხედები (ტრიანგოლო). ორი (ან მეტი) ბავშვი დაინაწილებს ზარებს და მასწავლებლის დახმარებით ნახაზის მიხედვით „ამღერებენ“ მათ. შემდეგ წყვილი შეიცვლება.

აქტივობა III

მუს.დანყ.(I).1,2.

1. მასწავლებელი ასმენინებს დიდი (საეკლესიო) ზარისა (40) და პატარა ზარის (41) ხმას და სთხოვს ბავშვებს, ხმოვანებით ამოიცნონ, რომელი მათგანია დიდი და რომელი – პატარა ზარი. ბავშვებმა უნდა განმარტონ, რის მიხედვით (საგნის რა თვისებებით) ამოიცნეს.

ყური დაუგდეთ საეკლესიო დიდი ზარის ხმას. რამდენ ხანს გუგუნებს? დაითვალეთ – ერთი, ორი, სამი, ოთხი და კიდევ მეტი. ახლა პატარა, წვრილა ზარის ხმას მიაყურადეთ და დაითვალეთ – ერთი, ორი... რომელი ზარის ხმა ჟღერს უფრო მეტხანს? თქვენი აზრით, რატომ ჟღერს დიდი ზარი უფრო ხანგრძლივად?

მოსწავლეთა სავარაუდო პასუხი იქნება: პატარა ზარს ხელით აწკარუნებენ, მსუბუქია, მისი ხმა წვრილაა, მოკლე ბგერებს გამოსცემს; საეკლესიო ზარი დიდი ზომისაა და სხვა მასალისგანაა დამზადებული; ამიტომაც ხმა ბოხად, მძიმედ ისმის, გაბმულ, გრძელ ბგერებს გამოსცემს.

2. მასწავლებელი კლასს აჩვენებს სხვადასხვა ზარის ფოტოებს (მაგ., მალვიძარას, კედლის (სკოლის ან სახლის, საეკლესიო ზარის)). ასმენინებს დიდი ზარის ჟღერადობას და სთხოვს ბავშვებს, ხმოვანებით ამოიცნონ, როგორი ზარია, და დაუკავშირონ ერთ-ერთ ილუსტრაციას.

თემის მეორე გაკვეთილი

აქტივობა I

დო მაჟორის გამღერება. გავიმეოროთ რიტმული სავარჯიშო საჟღარუნო საკრავებით. სიმღერა „საათი“ – შესწავლის გაგრძელება.

აქტივობა II

მუს.დანყ.(I).4,5.

1. მასწავლებელი ასმენინებს კლასს რუსულ სიმღერას „სალამოს ზარები“ „Вечерний звон“ (კომპ. ალ. ალიაბევი) ივან რებროვის შესრულებით (42).

მოსმენისას მოსწავლეები გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს, როგორი ზარების რეკვა ისმის; ამასთანავე, ბავშვებმა უნდა მიუთითონ, სად ისმის პატარა ზარებისა და სად – დიდი, საეკლესიო ზარების ხმა და აღნიშნონ, რა ნიშნის მიხედვით ამოიცნეს ზარების სიდიდე. ყურადღება მახვილდება ნაწარმოებში გამოყენებული ზარების ხმოვანებაზე, ბგერის სიძლიერეზე, ხანგრძლივობასა და ტემბრზე; მოსმენისას მოსწავლეები მიუთითებენ, რომელ მონაკვეთში გაიჟღერებს ზარი; კიდევ რა საშუალებითაა გადმოცემული ზარების რეკვის ასოციაცია (ადამიანის ხმა); რომელი ხმაბაძვითი სიტყვებია გამოყენებული (ბომ-ბომ). სხვა რომელ სიტყვებს გამოიყენებდნენ ზარის ხმოვანების აღსაწერად? (მაგ., დინ-დონ, ძინ-დონ, ბუმ-ბუმ და სხვ.).

2. პატარა ზარის ინტონაციის მისანიშნებლად მასწავლებელი ასმენინებს კლასს დასაწყის (ან ბოლო) ფრაგმენტს ჯეიმს ლორდ პიერპონტის საშობაო სიმღერიდან „Jingle Bells“ (30), აქვე ბავშვები ამოიცნობენ სამკუთხედის ხმოვანებასაც.

ორივე სიმღერის მოსმენის შემდეგ მოსწავლეები აღწერენ სიმღერაში გაჟღერებული ზარების ინტონაციას. აღნიშნავენ, როგორი ზომის ზარების ხმა ისმის პირველ სიმღერაში და როგორი ზომისა – მეორეში. კლასში მსჯელობენ იმაზე, თუ რა ნიშნებით ამოიცნეს საგნის (ზარის) სიდიდე.

აქტივობა III

მასწავლებელი ასმენინებს კლასს ფრანგულ საბავშვო სიმღერას „Frere Jacques“ (43) – „ძმავ იაკობ“ (ფრანგულად – ჟაკ).

(ინფორმაცია მასწავლებლისთვის: სიმღერა მე-18 საუკუნეშია შექმნილი. უცნობი კომპოზიტორის მიერ, თუმცა ზოგი მიიჩნევს, რომ მისი ავტორია ფრანგი კომპოზიტორი ჟან-ფილიპ რამო).

სიმღერის ტექსტი დაახლოებითი ასეთია: ძმავ იაკობ, ძმავ იაკობ, ნუ გძინავს, ნუ გძინავს, უკვე დაჰკრა ზარმა, უკვე დაჰკრა ზარმა, ძინ-ძინ-დონ, ძინ-ძინ-დონ!

ძმა - იაკობ, ძმა - იაკობ, ნუ გძინავს, ნუ გძინავს,

უკვე დაჰკრა ზარმა, უკვე დაჰკრა ზარმა, ძინ-ძინ - დონ, ძინ - ძინ - დონ

აქტივობა III

სიმღერაში „ძმავ იაკობ“ ზარების რეკვის მიმანიშნებელი სიტყვებია გამოყენებული – ძინ-ძინ-დონ, ძინ-ძინ-დონ.

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, იპოვონ ნებისმიერი საგნის თვისების გამომხატველი ანალოგიური სიტყვები/მარცვლები (გაიხსენონ, მაგალითად, „ტიკ-ტაკ“, „კაპ-კაპ“, „ბუმ-ბუმ“ და სხვ.). ერთ-ერთი მოხალისე მოსწავლე შეეცდება მოიფიქროს მარტივი მოტივი მოფიქრებული მარცვლების გამოყენებით და წარუდგინოს თანაკლასელებს (მოტივი – მუსიკალური ნაწარმოების ან სიმღერის მოკლე ნაწილი). მეგობრები ხმაბაძვითი სიტყვებით, აგრეთვე მიმიკითა და მოძრაობებით მიხვდებიან, რა საგნის განსახიერებას ცდილობს მათი მეგობარი მუსიკის საშუალებით.

მოტივი (გერმ. *motive*, ფრანგ. *motif*, ლათ. *moveo* – ვამოძრავებ), მუსიკალური ნაწარმოების ძირითადი ელემენტი, მელოდია; ჰანგი, კილო (მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი, შემდგ. ა. თამარაშვილი, გულბათ ტორაძე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცხეთის ფილიალის გამოცემა. 2005. გვ. 171)

აქტივობა IV

სიმღერის „ძმაო იაკობ“ გამეორება. კეთდება სიმღერის რიტმული ნახაზი (შესწავლა ორ ნაწილად). კლასი იყოფა ორ ჯგუფად. პირველი ჯგუფი მელოდიას ააყოლებს ტაშს, მეორე ჯგუფი კაკუნით/საჟღარუნო საკრავებით გააკეთებს მეტრს. შემდეგ ჯგუფები იცვლება.

(I ნაწილი):

პირველი ჯგუფი

4

მეორე ჯგუფი

მას შემდეგ, რაც მოსწავლეები შეძლებენ რიტმული ნახაზის I ნაწილის მეტ-ნაკლებად სწორად გაკეთებას, შემდეგ გაკვეთილზე რიტმული ნახაზი გაართულება.

თემის მესამე გაკვეთილი

აქტივობა I

დო მაჟორის გამღერება.

რიტმული სავარჯიშო:

2

4

აქტივობა II

რიტმული ნახაზი – სიმღერა „ძმაო იაკობ“ – II ნაწილი:

პირველი ჯგუფი

მეორე ჯგუფი

მიზნობა: მოსწავლეებს მივცეთ საშუალება (ვისაც სურვილი ექნება), თავად მოიფიქრონ რაიმე მარტივი რიტმი. მოხალისე მოსწავლე დაფაზე დაწერს რიტმული ნახაზის თავისეულ ვერსიას და რიტმის გამოსახატავად შეარჩევს საკრავს. გავარჯიშების შემდეგ თანაკლასელები შეასრულებენ. განმეორებით შესრულებისას მოსწავლეები გაცვლიან საკრავებს, რადგან აუცილებელია, ყოველ მათგანს ჰქონდეს სხვადასხვა ინსტრუმენტთან შეხების შესაძლებლობა.

მოსწავლეებთან ერთად მასწავლებელი საუბრობს რიტმისა და მეტრის შესახებ (ძლიერი და სუსტი დრო), გამოყენებულ საკრავებზე. სვამს კითხვებს: რომელი ჯგუფი ასრულებდა რიტმს და რომელი – მეტრს; რომელი ბგერები იყო ძლიერ დროზე; რომელ ინსტრუმენტზე დაკვრა იყო შედარებით იოლი? ისაუბრეთ საკრავების განსხვავებულ ხმებზე, ჰკითხეთ, სადმე ხომ არ მოუხმენიათ მსგავსი ხმები ადრე, სად? და ა. შ.

II.35. „ნკარუნა“ ჭიქები



სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).1,2,4,5.

მოსმენა: ლ. ვ. ბეთჰოვენი „ელიზეს“ (საფორტეპიანო);

ვიდეორჩვენება: ვ. ა. მოცარტი – „თურქული მარში“ (ბოკალებით).

ცნებები: ბგერის სიმაღლე, სიძლიერე, გრძლიობა.

რესურსი: ფორტეპიანო, აუდიო და ვიდეოაპარატურა.

სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები:

როგორ შეიძლება დავუკავშიროთ ბგერის თვისებები საგნის თვისებებს (რა ასოციაციური კავშირის გაბმა შეიძლება ბგერისა და საგნის თვისებებს შორის)?

საკლასო აქტივობები

აქტივობა I

გამის საფეხურები გაორმაგებული ბგერებით:



რიტმული სავარჯიშო:



აქტივობა II

მუს.დანყ.(I).4,5.

1. მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს რამდენიმე საკრავის სურათს, მაგ., ფორტეპიანო, ვიოლინო. შემდეგ კი ასმენინებს ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის საფორტეპიანო პიესას „ელიზეს“ (44) და სთხოვს ბავშვებს, გამოთქვან აზრი, რომელ მუსიკალურ საკრავს უკავშირდება მოსმენილი ნაწარმოები.

2. მასწავლებელი: საცეკვაო რიტმების გამოსახატავად, მუსიკალური საკრავების – დოლის, ქსილოფონის, მარაკასების, სამკუთხედის გარდა, სხვა საგნების გამოყენებაც შეიძლება. რა შეიძლება იყოს ეს?

მოსწავლეთა პასუხი შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს, მაგალითად, ჯოხების ერთმანეთზე დარტყმა, ტაში, ზარები, ხის კოვზები, რაიმე მყარ საგანზე ხელის ან ჯოხების დარტყმა და სხვ.

მასწავლებელი: როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია თუ არა მუსიკალური ნაწარმოების შესრულება არამუსიკალური საგნებით?

3. მასწავლებელი კლასს აჩვენებს (ბუკებში ჩაუტვირთავს) ფოტოებს, მაგალითად:



შემდეგ იგი ვიდეოჩანაწერიდან ასმენინებს (მხოლოდ ხმას, ეკრანი ჩართული არაა): მოცარტის ნაწარმოებს – „თურქული მარში“ (18) (ბოკალებით შესრულება) და სთხოვს მოსწავლეებს, დაფიქრდნენ და დაასახელონ, მოსმენილი ნაწარმოები ფოტოებიდან რომელ საგანთან შეიძლება იყოს დაკავშირებული.

ყველა პასუხის მოსმენის შემდეგ მასწავლებელი ჩართავს ეკრანს და თავიდან ასმენინებს იმავე ნაწარმოებს.

მსჯელობისას მოსწავლეები მიდიან იმ დასკვნამდე, რომ მუსიკალური ნაწარმოების „შესრულება“ არამუსიკალური საგნებითაც შეიძლება.



გონებრივი იერიში: მასწავლებელი აჩვენებს ფოტოს. ფოტოზე დაკვირვებით მოსწავლეები შეამჩნევენ, რომ ჭიქები განსხვავებული ზომისაა და შიგ ნაწილობრივ, რაღაც დონემდე, წყალი ასხია.

მთელი კლასი მსჯელობს: რატომ ასხია ჭიქებში წყალი? რატომ გამოსცემს სხვადასხვა ჭიქა სხვადასხვა ბგერას? რატომაა ჭიქები სხვადასხვა ზომის და სხვადასხვა ხმის გამოსაცემად აქვს თუ არა მნიშვნელობა ჭიქის ზომას ან წყლის დონეს ჭიქაში? შეიძლება თუ არა, ჭიქების წკრიალი ჩაითვალოს მუსიკალურ საკრავად? კიდევ რომელი არამუსიკალური საგნით შეიძლება მუსიკალური ნაწარმოების შესრულება?



აქტივობა III

მოსწავლეებს ეძლევათ მითითება, მოიფიქრონ და წაიმღერონ რაიმე მარტივი მოტივი და, პარალელურად, ხელთ არსებული საგნებით (ფანქარი, კალამი, სახაზავი, წიგნი და სხვ.) გამოხატონ რიტმი. აღნიშნონ, რომელი საგნის მიერ გამოცემული ხმოვანება ჟღერს ხანგრძლივად და რომლისა – მოკლედ, რომელი გამოსცემს შედარებით მაღალ ბგერებს და რომელი – შედარებით დაბალს.

II.36-37. პატარა მატარებელი

სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).3,4,5.

მოსმენა: სხვადასხვა ტრანსპორტის (მოტოციკლი, მსუბუქი და სატვირთო ავტომანქანის, თვითმფრინავის) ხმოვანება; მერი დავითაშვილი – „პატარა მატარებელი“; ომარ მინდორაშვილი – „ძველი ორთქლმავალი“ (საფორტეპიანო ციკლიდან „მგზავრული ჩანახატები“).

სიმღერის შესწავლა: მ. დავითაშვილი – „პატარა მატარებელი“.

ცნებები: ბგერის სიმაღლე, სიძლიერე, გრძლიობა, ტემპი.

რესურსი: ფორტეპიანო, მოსასმენი აპარატურა, აუდიოჩანაწერი.

სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები:

- * როგორ შეიძლება დაფუკავშიროთ ბგერის თვისებები საგნის თვისებებს?
- * როგორ შეიძლება გადმოვცეთ ბგერის თვისებებითა და მოკლე მოტივებით სხვადასხვა საგნის თვისებები?
- * როგორი მოტივი, ტემპი და რიტმი უნდა შეირჩეს გარკვეული მოძრაობის და ამ მოძრაობებთან დაკავშირებული ემოცია-განწყობის გადმოსაცემად? მუს.დანყ.(I).1,2.
- * როგორ გამოვსახოთ ესა თუ ის ბგერა?


საკლასო აქტივობები

აქტივობა I

დო მაჟორის სამხმოვანების ბგერების გამღერება:



რიტმული სავარჯიშო:



აქტივობა II

მუს.დანყ.(I).3,4,5. როგორ შეიძლება დაფუკავშიროთ ბგერის თვისებები საგნის თვისებებს?

მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს რამდენიმე საგნის სურათს და ასმენინებს მუსიკალურ ნაწყვეტს, შემდეგ სთხოვს მათ დაასახელონ, რომელი ნაწყვეტი რომელ საგანს

უკავშირდება. მაგალითად, მასწავლებელი ასმენინებს ომარ მინდორაშვილის საფორტე-პიანო პიესას – „ძველი ორთქლმავალი“ (50). მოსწავლეები ამოიცნობენ ორთქლმავლის (მატარებლის) ინტონაციას.

კლასში მსჯელობისას ისმება პრობლემა: როგორ აქვს კომპოზიტორს აღწერილი ორთქლმავლის მსვლელობა ნაწარმოებში?

მასწავლებელი სთხოვს კლასს, დაადგინონ, როგორი მუსიკალური ხერხებით მიგვანიშნებს კომპოზიტორი ტრანსპორტის (ორთქლმავლის) მოძრაობაზე (მოსწავლეები ახმოვანებენ ორთქლმავალს).

მოსწავლეები გამოთქვამენ საკუთარ აზრს, როგორ ვითარდება მუსიკალური აზრი სხვადასხვა ხმაურის, მოქმედების გადმომცემი მუსიკალური ინტონაციების, რიტმისა და ტემპის მონაცვლეობით.

მასწავლებელი განმეორებით ასმენინებს მოსწავლეებს იმავე პიესას და სთხოვს მათ, მოსმენის პარალელურად აღწერონ ორთქლმავლის მოძრაობა.

მოსწავლეთა აზრთა მსვლელობა დაახლოებით ასეთი იქნება: ორთქლმავალი სადგურზე დგას და მგზავრების ჩასხდომას ელოდება; ისმის ორთქლის გამოშვების ხმა, თითქოს სხვა მატარებლების ბორბლების ხმებიც გვესმის; გასვლის მიმანიშნებელმა ზარმა ჩამოჰკრა და ორთქლმავალი ნელ-ნელა დაძვრას იწყებს; თანდათან სიჩქარეს უმატებს – ტემპი სწრაფდება; – მთელი სიჩქარით მიდის, ბოლოს კი, ეტყობა, უახლოვდება სადგურს, ნელ-ნელა სიჩქარეს უკლებს – ტემპიც ნელდება; ორთქლმავალი სადგურში შედის და ბოლოს ჩერდება.

მოსწავლეები შეეცდებიან რაიმე სიმბოლოთი გამოსახონ ორთქლმავლის ხმოვანება.

აქტივობა III

მუშაობა კომპიუტერულ პროგრამაში LMMS:

სხვადასხვა საგნის ხმები დავყოთ ჯგუფებად (სხვადასხვა გაკვეთილზე შეიძლება გაკეთდეს სხვა საგნების, საკრავების ან ტრანსპორტის მაგალითზე). მასწავლებელი კლასს ასმენინებს ხმებს (ნიმუშის მიხედვით – საათის (35), ქვაბისა და ზარის (40) ხმოვანებას). მისივე დახმარებით მოსწავლეები სასკოლო ბუკში გახსნიან კომპიუტერულ პროგრამას LMMS და შეეცდებიან ბგერის ხანგრძლივობის, რიტმის, ტემპრის მიხედვით განალაგონ სემბლები:







აქტივობა III

მასწავლებელი ასმენინებს რამდენიმე საგნის ხმოვანებას (მაგ., სხვადასხვა ტრანსპორტის – მოტოციკლეტი (45), მსუბუქი (46) და სატვირთო ავტომანქანა (47), თვითმფრინავი (48)). მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, რისი ხმაა და აღწერონ თითოეულის ხმოვანება (ბგერების ხანგრძლივობა – გრძელი, მოკლე; სიმაღლე – მაღალი, საშუალო, დაბალი; ტემპრი – უხეში, უსიამოვნო, წკრიალა და სხვ.).

თემის მეორე გაკვეთილი

აქტივობა I

დო მაჟორის სამხმოვანების ბგერების გამღერება; გავიმეოროთ თემის პირველი გაკვეთილის რიტმული სავარჯიშო.

აქტივობა II

მუს.დანყ.(I).3,4,5.

მოსმენა: 1. მატარებლის მოძრაობის ხმოვანება. მოსმენილის მიხედვით, აღვწეროთ, დავახსიანოთ და გავახმოვანოთ მატარებლის ნელა და სწრაფად მოძრაობა.

2. მერი დავითაშვილი – „პატარა მატარებელი“, თემურ თათარაშვილისა და ანსამბლ „ბასტი-ბუბუს“ შესრულებით (49).

კითხვა: როგორი მატარებელია აღწერილი სიმღერაში? (მოსწავლეთა სავარაუდო პასუხები შეიძლება იყოს: სიმღერაში მხიარული მატარებელია, საყვარელი, მთელი ბორჯომის ხეობის გულის გამხარებელი, რომელიც სახალისო გასეირნებას გვპირდება).

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაასახელონ ის სიტყვები, რომლებიც გამოყენებულია ამ სიმღერაში პატარა მატარებლის მიმართ დამოკიდებულების გამოსახატავად („პატარა გუგულო“, „გულის გამხარებელო“, „ბავშვების გამხარებელო“, „მჭექარე“, „ომახიანი“).

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მოიფიქრონ, როგორ შეიძლება „ჩაინეროს“ მატარებლის ხმოვანება (ნებისმიერი სიმბოლო, გეომეტრიული ფიგურა).

აქტივობა III

მუშაობა კომპიუტერულ პროგრამაში LMMS:

მასწავლებელი კლასს ასმენინებს მატარებლის მოძრაობის ხმოვანებას (115). კითხვა: როგორი რიტმი გესმით – სწრაფი თუ ნელი? მხოლოდ ერთგვარი რიტმია თუ არა?

მოსწავლეებმა მოსმენილი მასალიდან უნდა ამოიცნონ სამგვარი რიტმი – ზარის, სიგნალის და მატარებლის ბორბლების. ამის შემდეგ (მასწავლებლის დახმარებით) ისინი კომპიუტერულ პროგრამაში LMMS შეეცდებიან ეს ბგერები რიტმის მიხედვით განალაგონ. სემპლების ნიმუში დაახლოებით ასეთი იქნება:

ზარი 

სიგნალი 

მატარებელი 

აქტივობა IV

სიმღერის შესწავლა: მერი დავითაშვილი – „პატარა მატარებელი“.

სრულად შესწავლის შემდეგ, შესაძლებელია სიმღერა მოქმედებით შესრულდეს: მღერისას ერთმანეთთან „ჩაბმული“ რამდენიმე ბავშვი სიმღერის რიტმზე მოძრაობს (მატარებლის სვლის იმიტაცია).

მასწავლებელი დაფაზე წერს სიტყვას – აკომპანემენტი – თანხლება.

მასწავლებელი: როცა თქვენ მღერით, მე ფორტეპიანოზე ვუკრავ; ფორტეპიანო თანხლებას უწევს თქვენს სიმღერას. როგორ ფიქრობთ, ეს გეხმარებათ მღერისას თუ არა? ვცადოთ და ჯერ ჩემი დაკვრის გარეშე იმღერეთ, შემდეგ – მუსიკალური საკრავის თანხლებით. რომელი შესრულება უფრო მოგეწონათ? რატომ?

დაიმახსოვრეთ, მუსიკალურ თანხლებას აკომპანემენტი ჰქვია.

ქატაჩა ქატაჩებელი

ზომიერად

მუსიკა მერი დავითაშვილის
ტექსტი თ. აბაშიძის

f

mf

ჩვე-ნო პა - ტა - რა „ბუ - გუ - ლო“, პა - ტა - რა მა - ტა - რე - ბე - ლო,

მთე - ლი ბორ - ჯო - მის ხე - ო - ბის ბაეშ-ვე-ბის გამ - ხა - რე - ბე - ლო.

ხმა - გაქვს ი - სე - თი მკე - ქა - რე,
ჩვე - ნო პა - ტა - რა „გუ - გუ - ლო“,

ი - სე - თი ლ - მა - ხი - ა - ნი,
პა - ტა - რა მა - ტა - რე - ბე - ლო,

ცემ - ში რომ „გუ - გუ“ს დას - ძა - ხეზ,
მთე - ლი ბორ - ჯო - მის ხე - ლ - ბის

f

ბანს გაძ-ღევს ბა - კუ - რი - ა - ნი.
 ბავშ - ვე - ბის გამ - ხა - რე - ბე - ლო.

f

ჩვე - ნო პა - ტა - რა „გუ - გუ - ლო“, პა - ტარა მა - ტა - რე - ბე - ლო,

მთე - ლი ბორ - ჯო - მის ხე - ლ - ბის ბავშვ-ების გამ - ხა - რე - ბე - ლო.

II.38-39. გამოვიცნოთ ხმები

სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).1,2,3,4,5.

მოსმენა: თეფშების გატეხის ეფექტი; ჭიქაში კოვზის მორევის ხმის ეფექტი; სამკუთხედის (ტრიანგოლო) ხმოვანება; არფის ხმოვანება; ზარის ხმოვანება; ქსილოფონის ხმოვანება; სენ-სანსი – „პიანისტი“, „ცხოველების კარნავალიდან“.

ცნებები: ბგერის სიმაღლე, სიძლიერე, გრძლიობა, მოტივი.

რესურსი: ფორტეპიანო, მოსასმენი აპარატურა, აუდიოჩანაწერი.

სასწავლო თემის სტანდარტის შედგენებთან დამაკავშირებელი კითხვები:


*როგორ შეიძლება დაუჟკავშიროთ ბგერის თვისებები საგნის თვისებებს (რა ასოციაციური კავშირის გაბმა შეიძლება ბგერისა და საგნის თვისებებს შორის)?

*როგორ შეიძლება გადმოვცეთ ბგერის თვისებებითა და მოკლე მოტივებით სხვადასხვა საგნის თვისებები?

საკლასო აქტივობები

აქტიულობა I


დო მაჟორის ბგერების გამღერება (ქვედა ტეტრაქორდი) და სამხმოვანების ბგერებზე გამღერება; რიტმული სავარჯიშო:



სიმღერა „პატარა მატარებელი“ – გამეორება.

აქტიულობა II

(მუს.დანყ.(I).4,5.) როგორ შეიძლება დავუკავშიროთ ბგერის თვისებები საგნის თვისებებს? მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს ფოტოებს (კოვზიანი ჭიქა და დამტვრეული თიფში).




* შემდეგ ასმენინებს თეფშების გატეხის (51), ჭიქაში კოვზის მორევის ხმის ეფექტებს (52), მოსწავლეები ამოიცნობენ, რომელი ილუსტრაცია რომელ ხმებს მიესადაგება.

* მასწავლებელი ასმენინებს სამკუთხედის (53), ბარაზნის (59), ზარის (55), ქსილოფონის ჟღერადობას (56) და სთხოვს მოსწავლეებს, რომელიმე მოსმენილი მუსიკალური ფრაგმენტი (საკრავის ჟღერადობა) ხმოვანების მიხედვით დაუკავშირონ სურათებზე ნაჩვენებ საგნებს (ჭიქას, თეფშს). ბავშვებმა უნდა ახსნან თავიანთი არჩევანი.

* მასწავლებელი აჩვენებს სხვადასხვა ყოფითი საგნის ფოტოებს, მაგალითად: დიდი და პატარა ჩაქუჩი, მიქსერი, თმის ფენი, მტვერსასრუტი, ხერხი, დიდი და პატარა ქვაბი, დიდი ჩამჩა და ჩაის კოვზი... იგი სთხოვს მოსწავლეებს, ხმის სიძლიერის, ხმოვანების მიხედვით აღწერონ თითოეული საგანი; დაასახელონ, რომელი გამოცემს შედარებით ხმამაღალ ხმას, რომელი – შედარებით დაბალ ხმას; რომელ საგანზე შეხებით გამოიცემა შედარებით გრძელი ბგერა; აღწერონ ტემბრის მიხედვით: რბილი, სასიამოვნო, ჟღარუნა, ყრუ... ბავშვები მსჯელობენ, რომ დიდ ლითონის ჩამჩაზე შეხებით (დარტყმით) შედარებით ძლიერი და ბოხი ხმა გამოიცემა, ვიდრე ჩაის კოვზების ერთმანეთზე შეხებით; იგივე ეფექტს მი-

ვიღებთ დიდი და პატარა ჩაქუჩის დარტყმით. ამგვარი მაგალითების მოყვანა სხვაც შეიძლება. მოსწავლეები გამოთქვამენ საკუთარ ვარაუდს, რატომ ხდება ასე.



აქტივობა III

მოსმენა: სენ-სანსი – „პიანისტი“, „ჯოჯოხეთის კარნავალიდან“ (57).

მოსმენის დროს მასწავლებელი მოსწავლეების ყურადღებას ამახვილებს ბგერების ხანგრძლივობაზე (გრძელი, მოკლე), მოძრაობაზე/მონაცვლეობაზე – სად ადის ზემოთ, სად – ჩამოდის ქვემოთ, სად – მონაცვლეობს გვერდიგვერდ. იგი სთავაზობს ბავშვებს ბგერების მოძრაობა ჩანერონ ნერტილებით. განმეორებით მოსმენის პარალელურად მასწავლებელი თვითონ დაფაზე აკეთებს „პიანისტის“ მელოდიის დასაწყისის ასეთ ჩანაწერს (ისრებით მითითებულია ბგერის მოძრაობა).



შემდგომ გაკვეთილებზე შესაძლოა, ამ ნიმუშის მიხედვით მოსწავლეებმა გრაფიკულად თავად ჩანერონ რაიმე მელოდიის მარტივი ფრაზა/მოტივი (დიატონური მოძრაობა რამდენიმე ბგერაზე).

თემის მეორე გაკვეთილი

აქტიულობა I

მუხ.დანყ.(I).3.

მასწავლებელი ფორტეპიანოზე უკრავს გამის საფეხურების აღმავალ და დაღმავალ მოძრაობას (ქვედა ტეტრაქორდი), მოსწავლეები იმეორებენ. შემდეგ იგი სთხოვს მოსწავლეებს, დაფაზე გრაფიკულად (ისრებით) ჩაწერონ ეს მოძრაობა.

აქტიულობა II

მუს.დანყ.(I)4,5. მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს (ერთს ან რამდენიმეს), კლასს წარუდგინონ საყვარელი ნივთი პატარა მუსიკალური ნაწყვეტის მეშვეობით (სიმღერა, მოტივის წამღერება). იგი უჩვენებს თანაკლასელებს რამდენიმე ნივთის სურათს, რომელთა შორის მისი საყვარელი ნივთიც არის. თანაკლასელებმა მუსიკალური ნაწყვეტისა და მეგობრის მიმოქის მიხედვით უნდა ამოიცნონ, ამ სურათებიდან რომელზე არის გამოსახული მისი საყვარელი ნივთი.

აქტივობა IV

მუხ.დანყ.(I).1,2.

* მასწავლებელი აჩვენებს რამდენიმე ილუსტრაციას და ეკითხება მოსწავლეებს, მათი აზრით, როგორი ხმა და ლაპარაკის მანერა მოუხდებოდა ამა თუ იმ საგანს – მაღალი (წვრილი), დაბალი (ბოხი) თუ საშუალო სიმაღლის; ნელა (განელილად) წარმოთქმული, ხმამაღლა ან ხმადაბლა წარმოთქმული და ა.შ.

* მასწავლებელი ჩვეულებრივი ხმით წარმოთქვამს რაიმე ფრაზას და შემდეგ სთხოვს ერთ-ერთ მოსწავლეს, გაიმეოროს ეს ფრაზა ისე, როგორც, მისი წარმოსახვით, რაიმე საგანი „წარმოთქვამდა“ (მაგ., ტელეფონი, დიდი და პატარა ყავის ჭიქა, თმის საშრობი და სხვ.).

II.40. „პური და კარაქი“

სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).4,5.

მოსმენა: ნ. პაგანინი – კაპრისი №5; ვ. ა. მოცარტი – საფორტეპიანო პიესა „პური და კარაქი“.

ცნებები: ბგერის სიმაღლე, სიძლიერე, გრძლიობა, განწყობა; პოლკა, პიესა, ვუნდერკინდი.

რესურსი: ფორტეპიანო, მოსასმენი აპარატურა, აუდიოჩანაწერი.

საკლასო აქტივობები


აქტივობა I

დო მაჟორის გამღერება აღმავალი და დაღმავალი მიმართულებით;
რიტმული სავარჯიშო:



აქტივობა II

მასწავლებელი აჩვენებს კლასს ორ ილუსტრაციას – 1. კარი, 2. პური და კარაქი; შემდეგ ასმენინებს ორ ფრაგმენტს – პაგანინის კაპრისი №5 (60) და მოცარტის საფორტეპიანო პიესას – „პური და კარაქი“ (61) და სთხოვს მოსწავლეებს, ილუსტრაციებზე გამოსახულ საგნებს დაუკავშირონ მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოებები და განმარტონ, რა ნიშნების მიხედვით დაუკავშირეს ისინი ერთმანეთს.



მასწავლებელი ეუბნება კლასს, რომ „პური და კარაქი“ დაწერა ცნობილმა ავსტრიელმა კომპოზიტორმა ვოლფგანგ ამადეუს მოცარტმა 5 წლის ასაკში. იგი პატარაობიდანვე გასაოცარი მუსიკალური ნიჭით იყო დაჯილდოებული. ასეთ ბავშვებს ვუნდერკინდებს უწოდებენ.

აქტივობა III



გონებრივი იერიში: მუს.დანყ.(I).3,4,5. მოსმენილის მიხედვით მოსწავლეებმა პასუხი უნდა გასცენ კითხვებს: რომელ საკრავზე სრულდება პიესა „პური და კარაქი“? (ფორტეპიანოზე); ვინ ან რა ასახა თავის მუსიკაში პატარა მოცარტმა? რა მოქმედება აღწერა სწრაფი ბგერების შესრულებისას? (მაგ., დანით კარაქის პურზე წასმის მოძრაობა), შეესაბამება თუ არა მოსმენილი თქვენს წარმოსახვას? რომელი ფიგურით/სიმბოლოთი გამოხატავდით მუსიკის ხასიათს? შეადგინეთ მოკლე ტექსტი მუსიკის მიხედვით – რატომ მოუვიდა აზრად პატარა მოცარტს დაწერა მუსიკალური პიესა პურსა და კარაქზე? (განმარტება: პიესა – მცირე ზომის მუსიკალური ნაწარმოები)

მოსწავლეთა წარმოდგენა სხვადასხვაგვარი იქნება. სავარაუდო პასუხი შეიძლება იყოს: პატარა მოცარტს ძალიან უყვარდა კარაქიანი პური. დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა საუზმობისას გამრიელი კარაქის დანით წასმა ახალგამომცხვარ პურზე. იმ დილითაც, საუზმის შემდეგ, რიგიანად დანაყრებული მოცარტი კარგ ხასიათზე დადგა. მოუნდა თავისი განწყობა მუსიკაში აესახა, აიღო ფურცელი, საწერი კალამი და მაგიდას მიუჯდა... ასე დაიბადა ეს ლამაზი პიესა – „პური და კარაქი“.

მასწავლებელი ბავშვებს ავალებს შემდეგი გაკვეთილისთვის მოიმარაგონ პლასტმასის ჭურჭელი (2 ქილა), ლობიოსა და ბრინჯის მარცვლები, აკვარელის საღებავები, ფუნჯი.

II.41-42. მელოდია – ბგერათა სამეფოს დედოფალი

სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).1,2,3,4,5.

მოსმენა: ი. შტრაუსი – პოლკა trisch-trasch; ე. გრიგი – „მთის მეფის გამოქვაბულში“, სიმფონიური სუიტიდან „პერ-გიუნტი“.

ცნებები: ბგერის სიმაღლე, სიძლიერე, გრძლიობა, განწყობა, პოლკა.

რესურსი: ფორტეპიანო, მოსასმენი აპარატურა, აუდიოჩანაწერი, პლასტმასის ორი ქილა, ლობიოსა და ბრინჯის მარცვლები, აკვარელის საღებავები, ფუნჯი.

სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები:

*როგორ შეიძლება დავუკავშიროთ ბგერის თვისებები საგნის თვისებებს (რა ასოციაციური კავშირის გაბმა შეიძლება ბგერისა და საგნის თვისებებს შორის)?


*როგორ შეიძლება გადმოვცეთ ბგერის თვისებებითა და მოკლე მოტივებით სხვადასხვა საგნის თვისებები?

* როგორ გამოვსახოთ ესა თუ ის ბგერა?

საკლასო აქტივობები

აქტივობა I

რიტმული ნახაზი:



აქტივობა II

მასწავლებელი: მუსიკის გაკვეთილებზე მოვისმინეთ სიმღერები, რამდენიმე სიმღერა შევისწავლეთ კიდევ. სულ გვესმის – სიმღერა, სიმღერა... მაინც რა არის სიმღერა? (მასწავლებელი ისმენს ბავშვების ყველა პასუხს).

სიმღერა ჩვენს გულშია, იგი მუდამ თან გვდევს, იმიტომ, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე, დაბადებიდანვე გვესმის – უპირველესად, დედის ნამღერი „ნანა“, შემდგომ – საბავშვო სიმღერები, გავიზრდებით და, რამდენი წლისაც უნდა გავხდეთ, მაინც ვმღერით. სიმღერა ჩვენი გულიდან ამოდის, ყველას გვჭირდება, ყველა ადამიანს, ვინც კი დედამიწაზე ცხოვრობს.

როგორ პირობებშიც უნდა იმყოფებოდეს ადამიანი, სიმღერისას ის მუდამ თავისუფალი და გულწრფელია. სიმღერა გვეხმარება ყველგან და ყოველთვის. როცა კარგად ვგრძნობთ თავს, მაშინვე მხიარული მელოდია გვახსენდება, ლილის დავიწყებთ ხოლმე, სიმღერა და ცეკვა მოგვინდება; მოვიწყენთ და ისევ ვმღერით, თუმცა ახლა სევდიან სიმღერებს. სიმღერა ჩვენს ცხოვრებას უფრო საინტერესოს ხდის. სწორედ ამიტომაც სიმღერა ჩვენი მეგობარი მთელი ცხოვრების მანძილზე.

საუბრისას, ჩვენი ნააზრევი სხვისთვის რომ გასაგები გახდეს, ეს აზრი გარკვევით უნდა გამოვთქვათ და სათქმელიც დავასრულოთ. მწერლები და პოეტები თავიანთ განწყობას, აზრებს მოთხრობებით, ლექსებით გადმოგვცემენ, ხან გვაცინებენ, ხან სევდით გვაგსებენ, უამრავ საინტერესო ამბებს გვიყვებიან წიგნების საშუალებით.

როცა ვსაუბრობთ, ჩვენ საკუთარ აზრებს გამოვთქვამთ ან გადმოვცემთ სხვის ნათქვამს. მუსიკაც იგივე ენაა – მუსიკალური ენა, რომელიც ყველაზე ზუსტად გამოხატავს ჩვენს ხასიათს, გუნება-განწყობას, მხოლოდ – მუსიკის, ლამაზი მელოდიების მეშვეობით (სიმღერით, ცეკვით, მუსიკალური ნაწარმოების შესრულებისას). ამიტომაც ვამბობთ, რომ მელოდია ბგერათა სამეფოს დედოფალია.

აქტივობა III

მოსმენა: ი. შტრაუსი – პოლკა trisch-trasch (64). მასწავლებელი არ ასახელებს ნაწარმოების სათაურს. აკვირდება მოსწავლეების რეაქციას, როგორი შთაბეჭდილება მოახდინა მათზე მოსმენილმა. კითხვები: როგორი მუსიკა მოისმინეთ? რა განწყობა დაგეუფლათ? მოსმენისას ცეკვა მოგინდათ თუ სიმღერა? შესაბამისად, მუსიკა საცეკვაოა თუ სასიმღერო? როგორ დავასათაუროთ ის?

პასუხების მოსმენის შემდეგ ვაცნობთ დასახელებას – პოლკა (სწრაფი ტემპის ჩეხური ცეკვა).

თემის მეორე გაკვეთილი

აქტივობა I

რიტმული ნახაზის გამეორება წინა გაკვეთილიდან. გამოვიყენოთ თვითნაკეთი მარაკასები.

აქტივობა II

მუს.დანყ.(I).1,2. მასწავლებელი კლასს აჩვენებს ილუსტრაციას, მაგ., გოგონა ბურთით.



კითხვა: როგორი განწყობა დაგეუფლათ სურათის ხილვისას? რა წარმოიდგინეთ?

მასწავლებელი სთხოვს კლასს, ილუსტრაციის მიხედვით რამდენიმეწინადადებიანი პატარა ამბავი/ისტორია შეთხზან. მაგალითად, ბავშვები ეზოში ბურთით თამაშობდნენ. ბურთი ტალახში გაგორდა. მეგობარმა ბურთი გოგონას გადაუგდო და ჭუჭყიანმა ბურთმა მას კაბა დაუსვარა. გოგონას ტირილი წასკდა.

მასწავლებელი: ვცადოთ და ნახატი „გადავაქციოთ“ მუსიკად. როგორ მუსიკას, მელოდიას შეურჩევთ სურათს? როგორი ბგერებით და რიტმით ასახავდით ბურთს – როგორი იქნება ბგერების ხანგრძლივობა ბურთით აკენწვლის დროს და როგორი – გაგორებისას?

მოსწავლეებს ეძლევათ ინსტრუქცია, გეგმის მიხედვით აღწერონ განწყობა: 1) ბავშვები ეზოში ბურთით მხიარულად თამაშობენ; 2) ჭუჭყიანმა ბურთმა გოგონას კაბა დაუსვარა და დააღონა; 3) გოგონა ტირის; 4) მეგობრები ამშვიდებენ; 5) გამხნევებული გოგონა თამაშს მხიარულად აგრძელებს.

ბავშვები შეეჯიბრებიან ერთმანეთს, მუსიკის საშუალებით (მარტივი მოტივის, ბგერათრიგის წამღერებით) ვინ უკეთესად „მოჰყვება“ ამბავს.

აქტივობა III

მუს.დანყ.(I).4,5. მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს ორ ფოტოს, მაგ., 1. გამოქვაბული და 2. ცეკვა.



შემდეგ იგი ასმენინებს ე. გრიგის „მთის მეფის გამოქვაბულში“, „პერ-გიუნტიდან“ (65) და სთხოვს მოსწავლეებს, დააკავშირონ ერთ-ერთი სურათი მოსმენილ მუსიკასთან. მოსწავლეები ასაბუთებენ, რის მიხედვით დააკავშირეს ისინი ერთმანეთს.

შემდეგ მასწავლებელი სვამს კითხვებს:

- რა წარმოიდგინეთ, როგორი ბგერებითაა მუსიკაში აღწერილი ბნელი გამოქვაბული? (დაბალი, ბოხი, შესაშინებელი);
- როგორ იცვლება ტემპი შემდგომ? (ჩქარდება);
- რა წარმოიდგინეთ ამ დროს? როგორია ტემპი ბოლოს?

მოსწავლეები შეეცდებიან მუსიკის მოსმენით მიღებული შთაბეჭდილების მიხედვით შეთხზან რაიმე ამბავი და თავიანთი ვარიანტები წარუდგინონ თანაკლასელებს (მაგალითად, ვინ ან რა შეიძლება ბინადრობდეს იმ გამოქვაბულში; რა თავგადასავალი გადახდა ცნობისმოყვარე ბიჭუნას, როცა გამოქვაბულის შესასვლელი აღმოაჩინა და შიგ შევიდა, როგორი შიში განიცადა ბნელ გამოქვაბულში და როგორმა სიხარულმა მოიცვა, როცა ბოლოს გასასვლელი იპოვა და დღის შუქზე გამოვიდა).

შეიძლება ბავშვებს ფანტაზია გავუღვივოთ და მოვუთხროთ, როგორ ატარებენ ცხოველები ზამთარს ბუნაგში, როგორ იწყობენ გამოსაზამთრებელ თავშესაფარს და როგორ ირთობენ თავს გაზაფხულამდე „ცეკვა-სიმღერით“... ამ შემთხვევაში მოსწავლეები ცხოველების როლებს დაინაწილებენ და შესაბამისი მოძრაობებითა და ხმით შეეცდებიან განასახიერონ მათი ქმედება, თვითონვე მოიფიქრონ ტექსტი და მარტივი მელოდია – წარმოადგინონ ინსცენირება (პანტომიმა) – „ცხოველების მოლხენა გამოქვაბულში“.

სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).1,2,3,4,5.

მოსმენა: ნ. პაგანინი – კაპრისი 24; გია ყანჩელი – სიმღერა „ქაფჩა და აგური“ (სიმღერის ტექსტი პეტრე გრუზინსკის).

ვიდეორჩვენება: ი. ჰაიდნი სიმფონია „სათამაშოებით“; სიმღერა მულტფილმიდან „ჯადოსნური კვერცხი“.

ცნებები: ბგერის სიმაღლე, სიძლიერე, გრძლიობა; განწყობა, მოტივი.

რესურსი: ფორტეპიანო, აუდიო და ვიდეოს საჩვენებელი აპარატურა.

სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები:

* როგორ შეიძლება დაფუკავშიროთ ბგერის თვისებები საგნის თვისებებს (რა ასოციაციური კავშირის გაბმა შეიძლება ბგერისა და საგნის თვისებებს შორის)?

* როგორ შეიძლება გადმოვცეთ ბგერის თვისებებითა და მოკლე მოტივებით სხვადასხვა საგნის თვისებები?

* როგორ გამოვსახოთ ესა თუ ის ბგერა?

საკლასო აქტივობები

აქტივობა I

დო მაჟორის გამღერება გაორმაგებული ბგერებით ხმოვნებზე;

რიტმული სავარჯიშო – „აბა დელი“. კარგად შესწავლის შემდეგ, კლასი დაიყოფა ორ ჯგუფად: ერთი ჯგუფი მღერის, მეორე გამოხატავს მეტრს – ააჟღერებს თვითნაკეთ საჟღერუნო საკრავს – ლობიოს ან ბრინჯის მარცვლებიან ქილებს (შესაძლებელია გამოვიყენოთ ხელთ არსებული ნებისმიერი საჟღერუნო საკრავი):



აქტივობა II

მასწავლებელი: ნებისმიერი მუსიკალური ნაწარმოები სხვადასხვა ხასიათისაა – ხან მხიარულია, ხან – სევდიანი; შესაბამისად, ხან სწრაფად სრულდება, ხან – ზომიერად, ხანაც – ნელა. ხასიათი ხომ ყოველ ჩვენგანსაც გვეცვლება? აი, მაგალითად, წარმოიდგინეთ ასეთი სურათი: დილით გაიღვიძეთ, გემრიელად ისაუზმეთ და ეზოში სათამაშოდ კარგ ხასიათზე ჩახვედით. ველოსიპედით დაჰქრინხართ ეზოში, გინდათ, რომ თქვენი განწყობა მეგობრებსაც გაუზიაროთ, მაგრამ საიდანღაც მეზობლის ბიჭმა ბურთი გესროლა და ველოსიპედის საჭე ვერ დაიმორჩილეთ. მუხლიც გვარიანად იტკინეთ და ველოსიპედიც დაზიანდა. რა ხასიათზე დადგებით? რა თქმა უნდა, ძალიან გაბრაზდებით, იქნებ ტირილიც დაიწყოთ, სახლში სევდიანი, დანაღვლიანებული დაბრუნდებით და ხასიათიც შეგეცვლებათ. ასე „ეცვლება ხასიათი“ მუსიკასაც, იგი ხან მხიარულად, მსუბუქად ჟღერს, ხან – სევდიანად, მძიმედ. ეს იმაზეა დამოკიდებული, რისი გამოხატვა, როგორი ხასიათის გადმოცემა უნდა

მის ავტორს – კომპოზიტორს. მუსიკის მოსმენისას ჩვენც იმ ხასიათზე ვდგებით, როგორ მუსიკასაც ვისმენთ. შესაბამისად, მუსიკალური ნაწარმოები სხვადასხვა ხასიათისაა – მზიარული ან სევდიანი.


აქტივობა III

სავარჯიშო – „საყვარელი სათამაშო“:

მოსწავლეებს ეძლევათ ინსტრუქცია, მუსიკაში „გააცოცხლონ“ ეს ნივთი. ბავშვები მოიფიქრებენ, როგორი ხასიათის იქნება ეს მუსიკა – მხიარული თუ სევდიანი; რომელი საკრავის ჟღერადობა „მოუხდება“ ამ ნივთს.

ბოლოს გადაწყვეტენ, როგორი სიმბოლოთი გამოსახონ ეს საგანი.

აქტიულობა I



აქტივობა II

მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, თუ როგორი ხმა და ლაპარაკის მანერა მოუხდებოდა ამა თუ იმ საგანს (მაგალითად, ტელეფონს, მინის ჭურჭელს, ხის მაგიდას, ავტომობილს, თვითმფრინავს და სხვ.) – მაღალი (წვრილი), დაბალი (ბოხი) თუ საშუალო სიმაღლის; ნელა (განწელილად) წარმოთქმული; ხმამაღლა ან ხმადაბლა წარმოთქმული და ა.შ.

მასწავლებელი ჩვეულებრივი ხმით წარმოთქვამს რაიმე ფრაზას და შემდეგ სთხოვს ერთ-ერთ მოსწავლეს, გაიმეოროს ეს ფრაზა ისე, როგორც, მისი წარმოსახვით, რაიმე საგანი „წარმოთქვამდა“.

აქტივობა III

მუს.დანყ.(I).4,5. როგორ შეიძლება დაუკავშიროთ ბგერის თვისებები საგნის თვისებებს (რა ასოციაციური კავშირის გაბმა შეიძლება ბგერისა და საგნის თვისებებს შორის)?

1. მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს რამდენიმე საგნის სურათს (მაგ., კარი, წიგნი, ტელევიზორი ან სხვა) და ასმენინებს მოკლე მუსიკალურ ნაწყვეტს – ნიკოლო პაგანინი – კაპრისი №24 (67) – და სთხოვს მათ დაასახელონ, რომელ საგანს შეიძლება დაუკავშირდეს ეს ფრაგმენტი.

აქტივობა IV

ვიდეორჩენება: ი. ჰაიდნი – სიმფონია „სათამაშოებით“ (6).

მასწავლებელი ეკითხება კლასს: თქვენი აზრით, რისთვის დაწერა ასეთი ნაწარმოები კომპოზიტორმა? როგორი შესრულებაა – სოლო თუ საორკესტრო? დაასახელეთ მუსიკალური საკრავები, რომელიც ამოიცანით. რომელი მათგანი მოგწონთ ყველაზე მეტად? რატომ? ისაუბრეთ მასზე – აღწერეთ ამ საკრავის ჟღერადობა. რომელი სულიერი არსების ინტონაცია ამოიცანით? (გუგული და ჩიტი). განმეორებითი მოსმენისას ბავშვები მიუთითებენ, სად გაიჟღერა გუგულმა და სად – ჩიტმა. მოსმენილის მიხედვით შეადგინეთ მოკლე ამბავი – რას მოგვითხრობს მუსიკა (შესაძლებელია, ბავშვებმა დახატონ ბუნების სურათი, მაგალითად, ტყე).

თემის მესამე გაკვეთილი

აქტივობა I

რიტმული სავარჯიშო წინა გაკვეთილის I აქტივობიდან (III-IV ტაქტები).

ვცადოთ სამ ხმაში გავაკეთოთ რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო „აბა დელი“: გავარჯიშების შემდეგ კლასი იყოფა სამ ჯგუფად. პირველი ჯგუფი მღერის, მეორე აკეთებს მეტრს ლობიოს მარცვლებიანი ქილებით, მესამე გამოხატავს რიტმს – ბრინჯის მარცვლებიანი ქილებით (ან გამოვიყენოთ საჟღარუნო საკრავები – მარაკასები, სამკუთხედი, ზარი და სხვ.).




აქტივობა II

მუს.დანყ.(I).4,5.

ამოვიცნოთ სიმღერა.

მასწავლებელი ილუსტრაციების ფაილიდან კლასს აჩვენებს რამდენიმე ფოტოს, მაგალითად:



შემდეგ სთხოვს მოსწავლეებს, ილუსტრაციების მიხედვით ამოიცნონ სიმღერა და ფოტოსთან დააკავშირონ. პატარები იხსენებენ ნაცნობ სიმღერებს (მ. დავითაშვილი – „ეს სანყალი კურდღელი“, „პატარა მატარებელი“, ხალხური „ალილო“) და გაიმღერებენ.

აქტივობა III

მოსმენა (68) ან ვიდეოჩვენება: მულტფილმი „ჯადოსნური კვერცხი“ (ფრაგმენტი) (8), სიმღერა „ქაფჩა და აგური“ (8-1) (კომპოზიტორი გია ყანჩელი; მამუკა ონაშვილისა და „ბასტი ბუბუს“ შესრულებით).

ბავშვები ტაშს ააყოლებენ სიმღერას (ძლიერ დროზე).

სავარაუდო კითხვები: როგორი განწყობა დაგეუფლათ სიმღერის მოსმენისას? რაზეა სიმღერა? მხიარულია თუ სევდიანი? როგორ ტემპში სრულდება მხიარული სიმღერები და როგორ ტემპში – სევდიანი? დაასახელეთ საგნები, რომლებიც გამოყენებულია სიმღერაში. აღწერეთ ხმები, რომელსაც გამოსცემს ქაფჩა და აგური ერთმანეთზე შეხებისას და დაახასიათეთ, როგორია ის (მაგ., ხრინწიანი, უხეში, უსიამოვნო თუ სხვ.); მოიფიქრეთ და დაასახელეთ, რომელი საგნებით შეიძლება მიმსგავსებული ხმების გამოცემა.



გონებრივი იერიში (მუს.დანყ.(I).1,2.). მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაბალი ან მაღალი ხმით და გარკვეული მანერით წარმოთქმული ფრაზებით „ააჟღერონ“ განსხვავებული ზომის საგნები (მაგალითად, აგურის პატარა ნატეხი და დიდი სამშენებლო ბლოკი ან პატარა ჩაქუჩი და დიდი ურო, დიდი და პატარა სათამაშო ვედრო და სხვ.);

მასწავლებელი ჩვეულებრივი ხმით წარმოთქვამს რაიმე სიტყვას ან ფრაზას და შემდეგ სთხოვს ერთ-ერთ მოსწავლეს, გაიმეოროს ეს ფრაზა ისე, როგორც, მისი წარმოსახვით, რომელიმე ზემოთ ხსენებული საგანი წარმოთქვამდა.

II.46-47. ყოფითი საგნები მუსიკაში

სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).1,2,4,5,6.

მოსმენა: ქართული ხალხური სიმღერა „გლეხავ და გლეხავ ნამგალო“; ებრაული სიმღერა ბზრიალაზე; რუსული ხალხური სიმღერა „валенки“.

(კნება: ბგერის სიმაღლე, სიძლიერე, გრძლიობა; ფოლკლორი; შრომის სიმღერები.

რესურსი: მოსასმენი აპარატიურა, აუდიოჩანაწერი.

სასწავლო თემის სტანდარტის შედგენებთან დამაკავშირებელი კითხვები:


* როგორ აისახება სხვადასხვა ხალხის მუსიკაში ყოფითი საგნები?

* როგორ შეიძლება გადმოვცეთ ბგერის თვისებებითა და მოკლე მოტივებით სხვადასხვა საგნის თვისებები?

საკლასო აქტივობები

აქტიულობა I

მოსწავლეები ჯერ აკეთებენ რიტმული სავარჯიშოს პირველ ხაზს, შემდეგ – მეორე ხაზს ტაშით/კაკუნით/საჟღარუნო ან დასარტყამი საკრავით:



აქტივობა II

მუს.დანყ.(I).4,5,6.

მასწავლებელი ასმენინებს სხვადასხვა ქვეყნის ხალხურ სიმღერას რაიმე ყოფით საგანზე და სთხოვს მათ იმსჯელონ, თუ როგორი ხასიათისაა ესა თუ ის სიმღერა; გამოთქვან მოსაზრება, რა დამოკიდებულება ჰქონდა ამა თუ იმ ხალხს სიმღერაში ნახსენები ნივთის მიმართ.

მასწავლებელი: ქართული ხალხური მუსიკა (**ფოლკლორი**) სათავეს უძველეს დროში იღებს. ხალხური მუსიკა ქართველი კაცის (და არა მარტო) ყოველდღიურ ცხოვრებას უკავშირდებოდა. მღეროდნენ ომის, შრომის, მგზავრობის, ავადმყოფობის, მხიარულების, მწუხარების დროს. სიმღერა სწორედ ის ძალაა, რომელიც გაჭირვებაში ადამიანს მხნეობასა და სიმტკიცეს ჰმატებს. ამიტომაც უნდა გავუფრთხილდეთ ჩვენს მრავალსაუკუნოვან მუსიკალურ მემოქმედებას.

შრომის პროცესში შესასრულებელი სიმღერებიდან გამოვყოთ „გლესავ და გლესავ, ნამგალო“. ეს საგუნდო სიმღერა გავრცელებული იყო აღმოსავლეთ საქართველოში, უმეტესად ქართლ-კახეთში და სრულდებოდა მკის დროს. ადრე პურს ხელით მკიდნენ, ნამგალი ამ საქმიანობისთვის გამოიყენებოდა. შრომითი საქმიანობისას შესასრულებელ სიმღერებს **შრომის სიმღერებს** უწოდებენ.

მასწავლებელი ასმენინებს ქართულ ხალხურ სიმღერას „გლესავ და გლესავ ნამგალო“ (69) და სთხოვს მოსწავლეებს, ყურადღება მიაქციონ სიმღერის ტექსტს: გლესავ და გლესავ ნამგალო, ნამგალო ჩემო რკინაო, / გაგლესავ და მიგაყუდეზ, ნამგალო, ჩემო რკინაო, / გასჭერ, გამიძეხ წინაო, ნამგალო, ჩემო რკინაო / მოსულიყვნენ, მოეპარნოს ქალსა მეზობლისასო...



გონებრივი იერიში: კლასში იმართება დისკუსია – რა არის ნამგალი? რატომ მღერიან გლეხები მინდვრად მუშაობისას? რატომ შექმნა ხალხმა სიმღერა ნამგალზე – გლეხის როგორ დამოკიდებულებაზე მიუთითებს ნახსენები ნივთი?

(სასურველია, მასწავლებელმა ჯერ მოსამზადებელი საუბარი თავად ჩაატაროს კლასთან).



მოსწავლეების სავარაუდო პასუხი შეიძლება იყოს: გლეხები მინდვრად მუშაობისას იმიტომ მღერიან, რომ სიმღერა შრომას უმსუბუქებს, სახალისოს ხდის შრომის პროცესს. ხალხი ნამგალზე (და სხვა შრომის იარაღებზეც) იმიტომ ქმნიდა სიმღერებს, რომ ძველად ხომ კომბაინები არ არსებობდა, ნამგალი (აგრეთვე – ცელი, გუთანი...) აუცილებელი იყო თავთავის მოსაჭრელად, მოსავლის ასაღებად (ცელი – ბალახის სათიბად, გუთანი – სახნავად). გლეხი ამიტომაც უფრთხილდებოდა, ესიყვარულებოდა და სიმღერაც კი უძღვნა თავის მარჩენალ ნამგალს.

თვალსაჩინოებისთვის მასწავლებელი ფორტეპიანოს თანხლებით ასრულებს ხალხურ სიმღერას – „მთიბავების სიმღერა“ და ბავშვები საუბრობენ თემის ირგვლივ, სხვა რომელ საგანზე შექმნილი სიმღერები მოუსმენიათ და ა. შ.



ფორტეპიანოზე შესრულებისას მასწავლებელი მოსწავლეთა ყურადღებას ამახვილებს ბგერების მოძრაობაზე, ეკითხება მათ, სად ადის ბგერები ზევით, სად ჩამოდის ქვევით.

აქტივობა III

მუს.დანყ.(I).4,5.

მასწავლებელი სთხოვს ერთ-ერთ მოსწავლეს, წარუდგინოს თანაკლასელებს მისი საყვარელი ნივთი პატარა მუსიკალური ნაწყვეტის მეშვეობით. მოსწავლეს მომარაგებული აქვს რამდენიმე ფოტო, რომელთა შორის მისი საყვარელი ნივთიც არის (შეიძლება საყვარელი თამაშის სახეობაც აღწეროს). მეგობრებმა მუსიკალური ნაწყვეტის დახმარებით უნდა ამოიცნონ, ამ სურათებიდან რომელზე მიანიშნებს გამომსვლელი.

ნივთის აღსაწერად მოსწავლე გამოიყენებს სხვადასხვა საკრავს, შესაბამისი მოძრაობით – ჟესტიკულაციით, მიმიკით განასახიერებს ამ ნივთს. მაგალითად, ბურთით თამაშის აღსაწერად გამოიყენებს დოლის ან ფორტეპიანოს ხმოვანებას სხვადასხვა რეგისტრში სხვადასხვა სიძლიერის ბგერებით (კითხვა: როგორ მიხვდით, რომ მეგობარი ბურთით თამაშის იმიტაციას აკეთებს; კონკრეტულად რა თამაშს აღწერს იგი – ფეხბურთი, კალათბურთი, ხელბურთი, ფრენბურთი თუ სხვა? როგორია ბურთის მიწაზე დაცემის ხმოვანება – სიხშირე, როცა ვისვრით და გვშორდება და როგორია – როცა გვიახლოვდება?)

მოსწავლეთა სავარაუდო პასუხები შეიძლება იყოს: როცა ბურთს ვისვრით და გვშორდება, ბგერების ხმოვანება სუსტდება და ბურთის დაცემის სიხშირეც იზრდება, მიგორავს; როცა ჩვენკენ ისვრიან – ხმოვანება ძლიერდება; ადგილზე თამაშისას (კენწლაობა) რიტმი, ხმოვანება და სიხშირე თითქმის ერთნაირია.

საუბრისას მოსწავლეებმა უნდა გამოიყენონ მუსიკალური ტერმინები: რიტმი, ტემპი, ბგერის ხანგრძლივობა, სიმაღლე, ფორტე, პიანო, რეგისტრი.

თემის მეორე გაკვეთილი

აქტივობა I

გამის საფეხურების გამლერება;

რიტმული სავარჯიშოს გამეორება წინა გაკვეთილიდან.



აქტივობა II

მუს.დანყ.(I).4,5. მასწავლებელი ასმენინებს კლასს რუსულ ხალხურ სიმღერას „**валенки**“ (70) (ვალენკი – თექის ჩექმა) და განუმარტავს სიმღერის ტექსტს (ქართული ტექსტი დაახლოებით ასეთია: ვალენკი, ვალენკი, ჩემი ძველი ვალენკი, რა ლამაზებია, ყინვაში უიმისოდ მეგობართან წასვლას ვერ შეძლებ. ეჰ, კოლია, კოლია, ნუ წახვალ გოგოებთან ბეჭდის მისატანად. სჯობს სახლში დარჩე და ვალენკი შეკერო. ღმერთია მოწმე, როგორ მიყვარს ჩემი ძველი, მაღალყელიანი ჩექმა, ცივ ზამთარში შიშველ ფეხებს ჩავყოფ შიგ და მივდივარ ჩემს გულისსწორთან. ეხ, ჩემი საყვარელი, ძველი ვალენკი).

კლასში დისკუსია იმართება იდენტურად წინა გაკვეთილზე განხილული „ნამგლის“ მაგალითის მიხედვით. მაგ., ბავშვები გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებას, რატომ შექმნა ხალხმა სიმღერა ჩექმაზე „ვალენკი“? რატომ უმღერიან ასე სიყვარულით ფეხსაცმელს? რატომაა ის მათთვის ასე საჭირო და საყვარელი; სიმღერის მიხედვით, რა დამოკიდებულება ჰქონდა რუს ხალხს სიმღერაში ნახსენები ნივთის მიმართ? (რუსეთში ზამთარი ძალიან სუსხიანია; ძველად ვალენკი მათთვის შეუცვლელი ფეხსაცმელი იყო ყინვიან ამინდში, ის ძალიან თბილია და უიმისოდ გარეთ სიარული შეუძლებელი იყო).

აქტივობა II

მუს.დანყ.(I).1,2. როგორ შეიძლება გადმოვცეთ ბგერის თვისებებითა და მოკლე მოტივებით სხვადასხვა საგნის თვისებები?

აქტივობა – „ბგერების თამაში“:

მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს, შეთხზან ორი ან სამი საგნის მუსიკალური „დიალოგი“ სხვადასხვა სიმაღლის ბგერების თანამიმდევრობით და შეასრულონ ხმით (მღერიან), ან რომელიმე ინსტრუმენტით. მაგალითად, წარმოადგინონ სიუჟეტი – „ხმები სახლში“: ბავშვები ტელეფონის ხმოვანების გადმოსაცემად გამოიყენებენ პატარა ზარს; ჭიქის ან თეფშისთვის – სამკუთხედს; მტვერსასრუტის, მანქანის, მოტოციკლეტის გასახმოვანებლად – საკუთარ ხმას; მაგიდის, კარის, სკამის, საათის გასახმოვანებლად კი – ფორტეპიანოს სხვადასხვა რეგისტრს) და ა. შ.

„განტვირთვის წუთი“

მოსმენა: ებრაული სიმღერა ბზრიალაზე (ინგლისური ვარიანტი) (33).

მასწავლებელი ეუბნება ბავშვებს, რომ, გარდა იმისა, რომ ბზრიალა ბავშვების საყვარელი გასართობი სათამაშოა, მისი საშუალებით უძველეს დროში ებრაელ ბავშვებს თვლას ასწავლიდნენ. <https://www.youtube.com/watch?v=7RczPreZDFU>



II.48-49. საცეკვაო რიტმები

სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).1,2,4,5,6.

მოსმენა: ქართული ხალხური ცეკვები; ლელა თათარაიძე – მელოდიები გარმონზე; ბერძნული ცეკვა „სირტაკი“.

საკრავების გაცნობა: – ნიკო-ნიკო, გარმონი (ბუზიკა).

ცნებები: რიტმი; ბგერის სიმაღლე, სიძლიერე, გრძლიობა.

ვიდეორჩენება: ცეკვები (ამორჩევით): „ქართული“, „აჭარული“, „ხორუმი“, „ოსური“, „მთიულური“; „სირტაკი“ და ბერძნული ცეკვების კოლაჟი.

რესურსი: ფორტეპიანო, აუდიო და ვიდეოს საჩვენებელი აპარატურა; დოლი, გარმონი.


სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები:

* როგორ აისახება სხვადასხვა ხალხის მუსიკაში ყოფითი საგნები?

საკლასო აქტივობები

აქტივობა I

გამის საფეხურების გამღერება ხმამაღლა, ხმადაბლა (ფორტე, პიანო); რიტმული სავარჯიშო:



შ. თაქთაქიშვილის „მერცხალი“ (ტაშით მახვილი ძლიერ დროზე):



აქტივობა II

მასწავლებელი: საქართველოს ყველა კუთხეს (ქართლი, კახეთი, მესხეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო, რაჭა, ლეჩხუმი, ხევსურეთი, ფშავი, ხევი, აჭარა, აფხაზეთი, სამაჩაბლო) დამახასიათებელი სიმღერები და ცეკვები აქვს. დასახელებითაც მიხვდებით: ხევსურული ცეკვა, აჭარული ცეკვა, კახური „მრავალჟამიერი“, მეგრული „ნანა“, „იმერული მგზავრული“ და ა. შ.

ზოგიერთი ხალხური სიმღერის მსგავსად, ცეკვებიც მუსიკალური საკრავების თანხლებით სრულდება. ყველა საცეკვაო მელოდიას თავისი რიტმი აქვს, რისი მეშვეობითაც ადვილად ვხვდებით, რა ცეკვაა და რომელი კუთხის.

კომპოზიტორები ხალხურ საცეკვაო მელოდიებს იყენებენ თავიანთ მუსიკალურ ნაწარმოებებში.

აქტივობა III

მუს.დანყ.(I).6. მოსწავლემ უნდა შეძლოს ხალხური მუსიკის თავისებურებების ამოცნობა.

შემოთავაზებულია ქართული ხალხური ცეკვების მელოდიები: ზ. ფალიაშვილი – ცეკვა „ქართული“ ოპერიდან „დაისი“ (71) (ან ვიდეოჩვენება ცეკვა „ქართული“ ოპერიდან „აბესალომ და ეთერი“ (9), „მთიულური“ (11), „ხორუმი“ (19) „აჭარული“ (10), „ოსური“ (12). მასწავლებელი კლასს აჩვენებს ამ ცეკვების ფრაგმენტებს, ბავშვების ყურადღებას ამახვილებს მელოდიაზე, რიტმზე, ტემპზე, ხასიათზე; ჩანაწერების მოსმენის პარალელურად მოსწავლეები ტაშითა და მოძრაობებით აჟღერებენ ცეკვის რიტმს.

მასწავლებელი: ცეკვა „ქართული“ ქალ-ვაჟის ცეკვაა. ცეკვისას ვაჟი ფეხის გასმით, ცალმკლავმოხრილი მიჰყვება ნარნარად, მსუბუქად მოსრიალე გოგონას. შევეცადოთ შევასრულოთ ცეკვა „ქართული“.

მოხალისე გოგო-ბიჭი გამოდის საკლასო ოთახის თავისუფალ ადგილას და აუდიო-ჩანაწერის ფონზე მასწავლებლის მითითებით ასრულებენ „ცეკვა ქართულის“ ილეთებს. დანარჩენები ტაშით აჟღერებენ. შემდეგ წყვილი იცვლება.

ა) ამის შემდეგ ერთი მოსწავლე შეეცდება გააკეთოს რომელიმე ცეკვის მოძრაობა და თანაკლასელებმა უნდა გამოიცნონ, რომელი ცეკვაა.

ბ) მასწავლებელი განმეორებით ასმენინებს კლასს რომელიმე ცეკვის მელოდიის ფრაგმენტს (ეკრანი გამორთულია), მოსწავლეები ამოიცნობენ და დაასახელებენ ამ ცეკვას; ახსნიან, რის მიხედვით ამოიცნეს ის.

მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად მსჯელობს ხალხური ცეკვებისა და კომპოზიტორის მიერ შექმნილი საცეკვაო მელოდიების მსგავსება-განსხვავებაზე (მოტივი, რიტმი, ტემპი, საკრავები და სხვ.).

თემის მეორე გაკვეთილი

აქტივობა I

დო მაჟორის გამლერება აღმავალი და დაღმავალი მიმართულებით და სამხმოვანების ბგერებზე;

რიტმული ნახაზი ტაშით:



აქტივობა II

მუს.დანყ.(I).6. მასწავლებელი მოსწავლეებს ასმენინებს ბერძნულ ცეკვას „სირტაკი“ (73) ან აჩვენებს ვიდეოკადრებს: „სირტაკი“ და ბერძნული ცეკვების კოლაჟი იგორ მოისევის ანსამბლის შესრულებით (20) და სთხოვს მოსწავლეებს, აღწერონ თავიანთი შთაბეჭდილება მოსმენილზე/ნახაზზე; ბავშვები შეეცდებიან ქართული და ბერძნული ცეკვები შეადარონ ერთმანეთს, რის მიხედვით განასხვავებენ მათ საცეკვაო რიტმებს, მოძრაობებს, – ახასიათებენ თითოეულის ბგერების სიმაღლეს, სიძლიერეს, გრძლიობას, შესრულების რიტმს და სხვ.

ინფორმაცია მასწავლებელს: „სირტაკი“ პოპულარული ჯგუფური ცეკვაა, შეიქმნა 1964 წელს ფილმისთვის „ბერძენი ზორბა“. სირტაკი ბერძენთა ხალხური ცეკვაა, თუმცა წარმოადგენს ჰასაპიკოს (ძველბერძნული ცეკვა) ნელი და სწრაფი ვერსიების ნარევს. მისი ავტორია მიკის თეოდორაკისი.

„ნიკო-ნიკო“

„საცეკვაო დასცხეს დოლზე,
გაიწვია თამრო ნიკომ,
და გარმონიც აჭყიპინდა
ნიკო-ნიკო გარმონიკო“.
(გ. ჭიჭინაძე)

აქტივობა III

მასწავლებელი: რომელი საკრავებია ნახსენები ამ ლექსში (დოლი, გარმონი)? სასურველია, მასწავლებელს გაკვეთილზე ჰქონდეს ეს საკრავები და მოსწავლეებს მიეცეთ საშუალება, მასზე „დაუკრან“ (ან ილუსტრაციას აჩვენებს).

მოსმენა: ლელა თათარაიძე – მელოდიები გარმონზე (72).

კითხვები: მოვისმინეთ თუშური მელოდიები. როგორ დაახასიათებდით ამ კუთხის მუსიკას? როგორ აღწერდით გარმონის ჟღერადობას? რის ხმოვანებას ამგვანებით? კიდევ როდის, სად და ვისი შესრულებით მოგისმენიათ გარმონის ხმოვანება?

ინფორმაცია: გარმონი საქართველოში დასავლეთიდან (რუსეთიდან) XIX საუკუნიდან შემოვიდა და ჩვენში მყარად დაიმკვიდრა ადგილი (მეტადრე თუშურ სოფლებში). შემდგომ გარმონის დამზადება ადგილობრივმა ხელოსნებმაც დაიწყეს. ხალხი ამ საკრავს „ქართულ გარმონს“ უწოდებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მცირე ზომის ნიმუშები, მათ შორის, ჯიბის გარმონი, ე. წ. „ბუზიკა“ (სიტყვა „მუზიკას“ დამახინჯებული ვარიანტი) ან, როგორც მას უწოდებენ, „ნიკო-ნიკო“, სრულიად თავისებური ხმოვანებით. ნიკო-ნიკოსა და გარმონზე სრულდება როგორც სოლო მელოდიები, ისე სიმღერებისა და ცეკვების თანმხლებადაც გამოიყენება.

II.50-51. გარესამყარო მუსიკაში – გაზაფხული

სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).1,2,4,5.

მოსმენა: ა. ვივალდი – „გაზაფხული“, „ნელინადის დრონიდან“.

ვიდეორჩენება: ა. ვივალდი – „გაზაფხული“ (I ნაწილი); ანიმაცია – „ყვავილები და ხეები“.

ცნებები: მოტივი, ბგერის გრძლიობა, სიმაღლე, სიძლიერე; კონსერვატორია, ციკლი.

სიმღერის შესწავლა: მერაბ მერაბიშვილი – „დედა“.

რესურსი: ფორტეპიანო, მოსასმენი და ვიდეოს საჩვენებელი აპარატურა.

სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები:

* როგორ აისახება სხვადასხვა ხალხის მუსიკაში ყოფითი საგნები?

* როგორ შეიძლება გადმოვცეთ ბგერის თვისებებითა და მოკლე მოტივებით სხვადასხვა საგნის თვისებები?

საკლასო აქტივობები

აქტივობა I

რიტმული სავარჯიშო:



აქტივობა II

მუს.დანყ.(I).4,5.

მასწავლებელი: მალე გაზაფხული დადგება. ნელინადის ეს დრო ხომ ერთ-ერთი უღამაზესია. რა ხდება ბუნებაში გაზაფხულს? – ბუნება იღვიძებს – თოვლი დნება, ჰაერი თბება, ხეები მწვანე ფოთლებით იმოსებიან, მინდორ-ველები ყვავილებით იქარგება. გადამფრენი ფრინველები ბრუნდებიან თბილი ქვეყნებიდან, ტყეში ბუნაგებიდან გამოდიან ცხოველები, ცაში პეპლები დაფარფატებენ; ადამიანებსაც უხარიათ ბუნების გამოღვიძება, სოფლად საგაზაფხულო საქმიანობა იწყება – ხვნა-თესვა, ბარვა, ვაზისა და ხეხილის გასხვლა,

აღწერეთ ხმები, რომელსაც გაზაფხულზე მოისმენთ ტყეში; დაფიქრდით და დაასახელეთ ის ხმები/ბგერები, რომლებიც თქვენში იწვევენ ღიმილს, კმაყოფილებას ან გაღიზიანებას, შიშს.

მუს.დანყ.(I).1,2. მოსწავლემ უნდა შეარჩიოს ხმები რაიმე ემოციის გამოწვევის მიზნით და მოასმენინოს თანაკლასელებს. შემდეგ კლასელების რეაქციის მიხედვით შეამოწმოს, თუ რამდენად მიაღწია სასურველ შედეგს.

ერთ-ერთი მოსწავლე განასახიერებს ნაკადულის რაკრაკს, დათვის ბურღლუნს, ჩიტების ჭიკჭიკს, ტრაქტორის ხმას, აკეთებს ბარვის, ბალახის ცელვის, თესვის იმიტაციას... თითოეული მოქმედებისას წაიმღერებს მოტივს, რომელიც, მისი აზრით, მიესადაგება მის მიერ წარმოდგენილ ქმედებას. ამ „მუსიკალური ჩანახატისა“ და მოქმედებების მიხედვით თანაკლასელები გამოიცნობენ, რომ მათი მეგობარი გაზაფხულის სურათს აღწერს (შესაძლებელია მოსწავლემ სულ სხვა ამბავი შეთხზას, ან „გაახმოვანოს“ რომელიმე საგანი ან სულიერი არსება, მაგ., ტრაქტორი, ჩიტი, დათვი და სხვ.).

აქტივობა III

მასწავლებელი: გაიხსენეთ, ვინ არის კომპოზიტორი; დაასახელეთ თქვენთვის ცნობილი კომპოზიტორები.

დღეს გამოჩენილ იტალიელ კომპოზიტორზე – ანტონიო ვივალდიზე ვისაუბრებთ.

ანტონიო ვივალდი ადრეული ასაკიდანვე ბრწყინვალედ უკრავდა ვიოლინოზე. მამა-შვილი – ჯოვანი და ანტონიო ვივალდები ვენეციის საუკეთესო მევიოლინეებად იყვნენ ცნობილი (მამა – ჯოვანი – დალაქი გახლდათ). ანტონიოს კიდევ ოთხი და-ძმა ჰყავდა, მაგრამ მხოლოდ ანტონიო გახდა მუსიკოსი. ბიჭუნა რომ წამოიზარდა, ეკლესიაში დაიწყო მსახურობა.

ბერებმა შეამჩნიეს, რომ ხშირად, შუა წირვის დროს, ანტონიო გაუჩინარდებოდა ხოლმე. – ნეტა სად მიიპარება ის ონავარი? – ერთმანეთს ეკითხებოდნენ.

ერთხელაც უჩუმრად გაჰყვნენ უკან და აი, რა დაინახეს: ანტონიომ ბაღში მყუდრო ადგილი მოძებნა, ხის ძირში მოკალათდა და ბიბლიის ფურცლებზე რაღაცის წერას შეუდგა.

აღშფოთდნენ ბერები – ეს რა გაუგონარი ამბავია! წმინდა წიგნში ჯღაბნა როგორ შეიძლება! მკაცრად უნდა დაისაჯოს, მისი ადგილი ეკლესიაში არაა!

ამ განწყობით წაადგნენ თავს ანტონიოს და მოსთხოვეს ერვენებინა, თუ რას „ჯღაბნიდა“.

ანტონიოს წარბიც არ შეუხრია, ისე გაუწოდა ბიბლია.

და რა გგონიათ, რას ნახავდნენ იქ ბერები? – რა თქმა უნდა, – ნოტები! სადაც კი ფურცლის მინდვრებზე ცარიელი ადგილი იყო, ყველგან ნოტები ეწერა.

ეს... ეს... ეს... რა არის? – ენა დაეხათ ბერებს.

– მუსიკა! საუცხოო მუსიკა! აი აქ, თავში მიტრიალებს და მეშინია არ დამავიწყდეს. ბიბლია გამოვიყენე, დარწმუნებული ვარ, ღმერთი არ მიწყენს, – მოკრძალებულად ილიმებოდა ჭაბუკი ანტონიო.

როგორც ადრე ვთქვი, ამ დროისათვის ანტონიოს უკვე კარგად იცნობდნენ ვენეციაში, როგორც საუკეთესო მევიოლინეს. იგი მაშინვე მიიწვიეს კონსერვატორიაში პედაგოგად (**კონსერვატორია** – უმაღლესი მუსიკალური სასწავლებელი).

მინდა გითხრათ, რომ მაშინ, შუა საუკუნეებში, კონსერვატორია უდემამოთა თავშესაფარს ერქვა. იქ ბავშვებს კარგ განათლებას აძლევდნენ – სხვადასხვა საგანს ასწავლიდნენ. ერთ-ერთი მუსიკაც იყო. ბავშვები სიმღერასა და მუსიკალურ საკრავებზე დაკვრას სწავლობდნენ.

ანტონიო ვივალდი პატარებმა ძალზე შეიყვარეს, მოფერებით მას „წითური მღვდელი“ შეარქვეს ჟღალი თმის გამო.

მოსმენა: ანტონიო ვივალდი – „გაზაფხული“, სავიოლინო ციკლიდან „წელიწადის დრონი“ (75).

ვიდეორჩენება: ა. ვივალდი – „გაზაფხული“ (I ნაწილი) (7).

მასწავლებელი ეუბნება მოსწავლეებს, რომ ვივალდის ეს ნაწარმოები ეძღვნება წელიწადის ერთ-ერთ დროს და სთხოვს მოსწავლეებს, შეძლებისდაგვარად აღწერონ, მოსმენისას რა წარმოიდგინეს, რის ხმოვანებას აგონებთ საკრავების ჟღერადობა, რომელი მუსიკალური საკრავი ამოიცნეს ჟღერადობით (მიუთითონ, სად ჟღერს იგი); რომელი საკრავი მოსწონთ ყველაზე მეტად და რატომ, დაახასიათონ ეს საკრავი ვიზუალურად და ტემბრის (ჟღერადობის) მიხედვით.

მოსწავლეები საუბრობენ ნაწარმოების ირგვლივ. არაა აუცილებელი, ამ ასაკში მოსწავლემ სწორი და ამომწურავი პასუხი გასცეს. მთავარია, თანდათანობით მიეჩვიოს აზრის ნათლად გამოთქმას, გამოუმუშავდეს მსჯელობის, მუსიკის მოსმენით გამოწვეული შთაბეჭდილების გადმოცემის უნარ-ჩვევა.

შემდეგ მასწავლებელი ასახელებს ნაწარმოებს და ეკითხება ბავშვებს, მათი წარმოდგენით, შეეფერება თუ არა მუსიკა გაზაფხულის სურათის აღწერას.

მოკლე ინფორმაცია მასწავლებელს: ნელინადის დრონი (იტალ. *Le quattro stagioni*) – იტალიელი კომპოზიტორის, ანტონიო ვივალდის, ოთხი სავიოლინო კონცერტის ნაკრებია. ითვლება ვივალდის ყველაზე ცნობილ და ბაროკოს ეპოქის ყველაზე პოპულარულ მუსიკალურ ნაწარმოებად. შეიქმნა 1723 წელს და პირველად გამოქვეყნდა ორი წლის შემდეგ. თითოეული კონცერტი ეძღვნება ნელინადის რომელიმე დროს, რომელიც, თავის მხრივ (თვეების მიხედვით), სამი ნაწილისგან შედგება. ყოველ ნაწილს შეესაბამება თითო სონეტი (სონეტი – სალექსო ფორმა), რომელიც, სავარაუდოდ, თავად ანტონიო ვივალდის მიერაა დაწერილი.

ვივალდის „გაზაფხულის“ პირველი ნაწილი მხიარულია, თითქოს კომპოზიტორს აღწერილი აქვს ბუნების გამოღვიძება ზამთრის ხანგრძლივი სუსხის შემდეგ. დააკვირდით, მუსიკაში რამდენჯერმე იცვლება ტემპი, თითქოს ნაწარმოები რამდენიმე ნაწილადაა დაყოფილი. პირველ ნაწილში ისმის ვიოლინოები, თითქოს ნათლად შეიგრძნობთ მზის სხივებზე პეპლების ფრენას, ჩიტების ჭიკჭიკს, ნაკადულის ჩუხჩუხს ან ნიავის მსუბუქ ქროლას. მეორე ნაწილი ნელია – მელოდიური და თითქმის სევდიანიც, თითქოს კომპოზიტორი მუსიკაში აღწერს ფოთლების შრიალს და ახლადამოსული ბალახის რხევას. შემდეგ თანდათან შემოდის უფრო ბოხი ჟღერადობა (ჩელო, კონტრაბასი), რომელიც ჭექა-ქუხილს გვაგონებს.

მასწავლებელი აჩვენებს ჩელოსა და კონტრაბასის ილუსტრაციებს და ეუბნება მოსწავლეებს, რომ ისინი სიმებიანი საკრავებია (ამ ეტაპზე საკრავებს დეტალურად არ განიხილავენ).

აქტივობა IV

ვიდეოჩვენება: ანიმაცია „ყვავილები და ხეები“ (14).

მასწავლებელი მოუთხრობს ბავშვებს ფილმის მოკლე შინაარსს.

ამის შემდგომ იგი კლასს ასმენინებს მხოლოდ ხმებს ტრეკის სამი მონაკვეთიდან: 1. განთიადი ტყეში, ბუნება იღვიძებს; 2. ხანძარი. 3. საქორწინო მზადება. (0:22-1:55; 4:44-6:25; 6:57-7:31). თითოეული მონაკვეთის მოსმენისას მოსწავლეები შეეცდებიან გამოიცნონ, რა შეიძლება ხდებოდეს ამ დროს ტყეში – რისი ხმები ამოიცნეს, რა მოქმედებას აღწერს მუსიკა და სხვ.

მოსწავლეები საუბრობენ, რის მიხედვით მიუსადაგეს მოსმენილი მუსიკა ფილმის შინაარსს; რომელი მუსიკალური საკრავები ამოიცნეს ჟღერადობით და სხვ.

ბოლოს მასწავლებელი ჩართავს ეკრანს და მოსწავლეები შეამოწმებენ თავიანთი ვარაუდების სისწორეს.

სასურველია, კლასში ისაუბრონ ეკოლოგიაზე, როგორ უნდა დავიცვათ ბუნება, რა უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ჩვენი დედამიწა მუდამ ლამაზი იყოს. თითოეულ მოსწავლეს მივცეთ საშუალება, საკუთარი აზრი გამოთქვას; ისაუბრონ ეკოლოგიაზე, გარემოს დაბინძურების პრობლემებზე, რა არ მოსწონთ, რის გამოსწორებას ისურვებდნენ, თავად რას გააკეთებდნენ გარემოს დასაცავად.

აქტივობა V

დედის დღის აღსანიშნავად (სურვილის შემთხვევაში) მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს მერაბ მერაბიშვილის სიმღერის – „დედა“ – შესწავლას.

* ბაროკო ქართულად უსწორმასწორო მარგალიტს ნიშნავს. ესაა სტილი, რომელიც შუა საუკუნეებში იყო გავრცელებული ხელოვნებაში – სკულპტურაში, ფერწერაში, ლიტერატურასა თუ მუსიკაში. ბაროკოს სტილი ჩაისახა იტალიაში, რომში, და შემდეგ გავრცელდა მთელ ევროპაში (დაახლ. 1600 წლიდან). დროის ამ მონაკვეთს ბაროკოს ეპოქას უწოდებენ.

დედა

მუსიკა და ტექსტი
მერაბ მერაბიშვილის

გოგნალად

f

დე-და ა-რის ი-აე-ნა-ნა, ზოგ-ჯერ ზღაპ-რის ფე-რი-ა,
შვი-ლი დე-დის ოცნე-ბა-ა, დე-დის გუ-ლის ვარდი-ა,

ყვე-ლა-სათ-ვის სა-ფი-ცა-რი, მუ-დამ სა-ნატ - რე-ლი-ა მარ-ტის თვე - ა,
გა - ზა-ფხულის ფე-რი-ა და ყვა-ვი-ლე-ბის და-რი-ა

დე - ლი ო - დე - ლი - ა და, ო - დე-ლი-ა დე - ლა, დე - ლი ო - დე -

1. ლი - ა და, ო - დე-ლი-ა დე - ლა 2. *rit.* ო - დე-ლი-ა დე - ლა

II.52. ვიპოვოთ ბგერა

სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).1,2.

ვიდეორჩენება: ლ. ანდერსონი – „პიესა საბეჭდი მანქანისთვის“; ანიმაცია – „შაქრო და ზაქრო“.

ცნება: მოტივი, ბგერის სიმაღლე, სიძლიერე, გრძლიობა.

თამაში „ვიპოვოთ ბგერა“.

რესურსი: ფორტეპიანო, ვიდეოს საჩვენებელი აპარატურა.

სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები:

როგორ შეიძლება გადმოვცეთ ბგერის თვისებებითა და მოკლე მოტივებით სხვადასხვა საგნის თვისებები?

საკლასო აქტივობები

აქტივობა I

გამის საფეხურების გამლერება;

რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო კაკუნით და „ტა“ და „ტი“ მარცვლებზე გამლერებით. მოსწავლეები აღნიშნავენ, სად აღის მელოდია ზევით, სად ჩამოდის ქვევით, რომელია მოკლე და რომელი – გრძელი ბგერები:



სიმღერა „დედა“ – შესწავლის გაგრძელება.

აქტივობა II

მუს.დანყ.(I).1,2. სავარჯიშო „ვიპოვოთ ბგერა“:

მასწავლებელი ინსტრუმენტზე იღებს რომელიმე ბგერას და ხელის ზევით-ქვევით მოძრაობით მოსწავლეებს ხმით აძებნინებს აღებულ ბგერას. სასურველია, ძებნა დავინყოთ დაბალი რეგისტრიდან, – შეძლებისდაგვარად ბოხი ხმით დაწყება და თანდათან მიახლოება. ხელის აწევის დროს მოსწავლეები ხმას „ანვრილებენ“, ჩამოწევის დროს კი ხმას „აბოხებენ“. მასწავლებელი აჩერებს ხელს რაიმე სიმაღლეზე მაშინ, როდესაც მთელი კლასი ხმით იღებს იმ ბგერას, რომელიც ინსტრუმენტზე იყო აღებული. ეს სავარჯიშო შეიძლება რამდენიმე ეტაპად დაიყოს: თავიდან მასწავლებელი ხელით მიაწინებს ხმით ტონის აწევას ან დაწევას. შემდგომში მოსწავლეები დამოუკიდებლად მოძებნიან სასურველ ბგერას. ამის გავარჯიშებას რამდენიმე გაკვეთილი დაეთმობა.

მასწავლებელი ასახელებს რამდენიმე სხვადასხვა ზომის საგანს (მაგალითად, დიდი და პატარა ჩაქუჩი, ზარი, მსუბუქი და სატვირთო ავტომობილი და სხვ.) და ეკითხება მოსწავლეებს, თუ როგორი ხმა და ლაპარაკის მანერა მოუხდებოდა ამა თუ იმ საგანს – მაღალი (წვრილი), დაბალი (ბოხი) თუ საშუალო სიმაღლის; ნელა (განელილად) წარმოთქმული; ხმამაღლა ან ხმადაბლა წარმოთქმული, წყვეტილი, გაბმული, ნაზი, უხეში და ა. შ. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაბალი ან მაღალი ხმით და გარკვეული მანერით წარმოთქმული ფრაზებით „ააჟღერონ“ განსხვავებული ზომის საგნები. მასწავლებელი ჩვეულებრივი ხმით წარმოთქვამს რაიმე ფრაზას და შემდეგ სთხოვს ერთ-ერთ მოსწავლეს, გაიმეოროს ეს ფრაზა ისე, როგორც, მისი წარმოსახვით, რაიმე საგანი წარმოთქვამდა.



მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს ბუკში ჩატვირთულ ძველი საბეჭდი მანქანის ფოტოს და უხსნის, რომ სანამ კომპიუტერს გამოიგონებდნენ, ასეთი მოწყობილობით ბეჭდავდნენ ტექსტებს. ერთმა ამერიკელმა კომპოზიტორმა ეს საბეჭდი მანქანა თავის საორკესტრო ნაწარმოებში გამოიყენა (გაიხსენეთ, რა არის ორკესტრი, ვინ ხელმძღვანელობს ორკესტრს).

ვიდეორჩენება: ლ. ანდერსონი – „პიესა საბეჭდი მანქანისთვის“ (21).

აქტივობა III

მუს.დანყ.(I).1,2.

1. ვიდეორჩენება: ანიმაცია – „შაქრო და ზაქრო“ (15). ბავშვები მუსიკისა და მანქანების ხმოვანების („მეტყველების“) ინტონაციის მიხედვით ახასიათებენ პერსონაჟებს – ბრაზიანი, კეთილი, ნაზი; იმეორებენ თითოეულის მიმიკას, მოძრაობას, ხმოვანების ინტონაციას.

კლასში იმართება დისკუსია; მოსწავლეები შეეცდებიან რაიმე ფრაზა წარმოთქვან ისე, როგორც, მათი აზრით, მულტფილმის პერსონაჟი მანქანები (ბრაზიანი და ნაზი) „წარმოთქვამდნენ“. მოსწავლეები ინტონაციის მიხედვით განსაზღვრავენ, რომელ გმირს მიესადაგება – შაქროს თუ ზაქროს.

2. ერთი ან რამდენიმე მოსწავლე თხზავს რომელიმე საგნისთვის დამახასიათებელ საკუთარ მოკლე მოტივს (რამდენიმე ბგერისგან შემდგარს) და თანამიმდევრობით ასრულებენ ხმით (მღერიან) ან რომელიმე საკრავით დაბალ, საშუალო ან მაღალ რეგისტრში.

ამგვარად შეიქმნება ორი ან სამი საგნის „დიალოგი“, ერთიანი მუსიკალური კოლაჟი სხვადასხვა სიმაღლის ბგერების თანამიმდევრობით.

II.53. გამოვიცნოთ საკრავი

სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).1,2,3,4,5.

მოსმენა: კ. ვ. გლუკი – მელოდია ოპერიდან „ორფეუსი“ ფლეიტის სოლოთი; ფ. კულაუ – „ფანტაზია“, სოლო ფლეიტისთვის; ნ. რიმსკი-კორსაკოვი – „კელას გაფრენა“ (ქსილოფონი); ე. გრიგი – „დილა“, „პერ-გიუნტიდან“.

ცნებები: ბგერის თვისებები – სიმაღლე, სიძლიერე, გრძლიობა.

თამაში „ამოვიცნოთ საკრავი“.

საკრავის გაცნობა – ფლეიტა.

რესურსი: მოსასმენი აპარატურა, აუდიოჩანაწერი.

სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები:

* როგორ შეიძლება დავუკავშიროთ ბგერის თვისებები საგნის თვისებებს (რა ასოციაციური კავშირის გაბმა შეიძლება ბგერისა და საგნის თვისებებს შორის)?

საკლასო აქტივობები

აქტივობა I

სიმღერა „ჯადოსნური ეკრანი“;

დო მაჟორის გამღერება აღმავალი და დაღმავალი მიმართულებით; რიტმული სავარჯიშო:



სიმღერა „დედა“ – გამეორება.



ძველებური ფლეიტა
ტუჩებთან
პირდაპირ ეჭირათ

აქტივობა II მუს.დანყ.(I).1,2,3.

მოსმენა: კ. ვ. გლუკი – მელოდია ოპერიდან „ორფეუსი“ ფლეიტის სოლოთი (76).

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ისაუბრონ, რა წარმოიდგინეს მოსმენისას.

განმეორებითი მოსმენის შემდეგ მასწავლებელი მიუთითებს იმ ფრაგმენტზე, სადაც ფლეიტის სოლო ჟღერს და სთხოვს მოსწავლეებს, აღწერონ ფლეიტის ჟღერადობა – რომელი ცხოველის/ფრინველის ან საგნის ხმოვანებას აგონებთ საკრავი, ადრე თუ მოუსმენიათ რაიმე ნაწარმოები ამ საკრავის შესრულებით და სად.

მასწავლებელი კლასს აჩვენებს ძველებური და თანამედროვე ფლეიტის ილუსტრაციებს და საუბრობს საკრავზე: ფლეიტა ძალიან ძველი სასულე/ჩასაბერი საკრავია. ოდესღაც იგი მეომართა და მონადირეთა საკრავი იყო; ამზადებდნენ ხისა და ნანადირევის ძვლებისგან. დროთა განმავლობაში ფლეიტის ხმოვანება დაიხვეწა, ჰაერის სუსტი ჩაბერვაც კი საკმარისია, რათა საკრავმა ულამაზესი ბგერები გამოსცეს; მას ნაზი და გამჭვირვალე ჟღერადობა აქვს. ძველად არსებობდა ფლეიტები, რომლებიც ტუჩებთან პირდაპირ ეჭირათ, თანამედროვე ფლეიტა ლითონისგან მზადდება და მასზე გვერდულად უკრავენ.

ბავშვები მსჯელობენ, რა საგანს შეიძლება გამოვაცემინოთ ფლეიტის მსგავსი ხმოვანება; როგორი უნდა იყოს ეს ბგერები – გრძელი, გაბმული, მოკლე, წყვეტილი; ტემბრი – უხეში, სასიამოვნო თუ სხვ.

კითხვა: კომპოზიტორი რომ იყო, ფლეიტის ხმოვანებით რას ან ვის აღწერდი, რა ამბავს გადმოსცემდი? მხატვარი რომ იყო, როგორი ფერებით დახატავდი ამ მუსიკას?

მუს.დანყ.(I).3. მოსწავლეები შეეცდებიან ფლეიტის ხმოვანება რაიმე სიმბოლოთი გამოსახონ.

აქტივობა III

მუს.დანყ.(I).4,5. თამაში „გამოიცანი საკრავი“.

მასწავლებელი წინასწარ შეარჩევს მუსიკალურ მასალას ისე, რომ მოსმენისას ერთმანეთს ენაცვლებოდეს განსხვავებული მეტრის, რიტმისა და განწყობილების ნაწარმოებები; სთხოვეთ მოსწავლეებს, სხეულის მოძრაობით გამოხატონ მუსიკაში გადმოცემული ემოცია. მასწავლებელი აკვირდება მოსწავლეებს, რამდენად თანმიმდევრულები არიან რიტმისა და ემოციის ცვალებადობისას. მაგალითად, იგი კლასს ასმენინებს განსხვავებული ხასიათის ნაწარმოებებს: ფ. კულაუს „ფანტაზიას“ – სოლო ფლეიტისთვის (77), ნ. რიმსკი-კორსაკოვის „კელას გაფრენას“ ქსილოფონზე (78) და ე. გრიგის „დილას“ (ფრაგმენტი) სუიტიდან „პერგიუნტი“ (საორკესტრო) (3). მოსმენის პარალელურად აჩვენებს ბუკში ჩატვირთულ ილუსტრაციებს (ილუსტრაციების ფაილი: 53 გაკვეთილი), მაგალითად, მზის ამოსვლა, პეპელა მინდორზე ფრენისას, სახლი ან რაიმე სხვა საგანი. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, რომელიმე მათგანი დაუკავშირონ მოსმენილს და დაასაბუთონ, რის მიხედვით გააკეთეს ეს არჩევანი. სთხოვს მათ, აღწერონ: როგორი ხასიათის ნაწარმოებები მოისმინეს; სოლო შესრულება იყო თუ საორკესტრო, რომელი საკრავ(ებ)ი ამოიცნეს ჟღერადობით (საკრავთა ჯგუფის, ხმოვანების მიხედვით), რა განსხვავებაა ვიოლინოსა და ფლეიტას შორის (ვიოლინო სიმებიანი საკრავია, ფლეიტა – ჩასაბერი); კიდევ რომელი საორკესტრო საკრავები იციან; რა წარმოიდგინეს მოსმენისას და სხვა. იგივე აქტივობა მეორდება ხალხური საკრავების ამოცნობისასაც.

თემა: თამაშები მუსიკაში

II.54-56. „ასკინკილა კინკილა“

სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).4,5.

მოსმენა: განსხვავებული ხმები – ცხოველებისა და ტრანსპორტის; რ. შუმანი – საფორტეპიანო პიესა „მამაცი მხედარი“; ი. გურგულია – სიმღერა „აჩუ, აჩუ“.

ცნებები: მოტივი, ტემპის მონაცვლეობა, რიტმი. ტემპის ცვალებადობა.

რესურსი: ფორტეპიანო, მოსასმენი აპარატურა, აუდიოჩანაწერი.

სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები:

- * რა მუსიკალური ელემენტებით შეიძლება გადმოვცეთ თამაშების ნაირსახეობები?
- * რა მოძრაობებთან ასოცირდება მოტივი, ტემპი და რიტმი?
- * როგორ აისახება სხვადასხვა კომპოზიტორის ნაწარმოებში ბავშვების თამაშები?

საკლასო აქტივობები

აქტივობა I

დო მაჟორის გამღერება;

სიმღერა – „ჯადოსნური ეკრანი“ – გამეორება.

აქტივობა II

მუს.დანყ.(I).4,5. რა მუსიკალური ელემენტებით შეიძლება გადმოვცეთ თამაშების ნაირსახეობები?

მასწავლებელი ფორტეპიანოზე ასრულებს რიტმულ-ინტონაციურ სავარჯიშოს „ასკინკილა კინკილა“:



რა მოძრაობებთან ასოცირდება მოტივი, ტემპი და რიტმი?

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს სავარჯიშოს ტექსტს და ეკითხება მათ: რა მოძრაობას შეურჩევთ „ასკინკილა კინკილას“ მოტივს (სიარული, ხტომა და სხვ.)? როგორ ტემპში შეასრულებთ?

სავარჯიშოს სრულად შესწავლის შემდგომ მღერისას ტაშით აღნიშნავენ მეტრს – ძლიერ დროს; ამის შემდგომ კი რიტმულ ნახაზსაც (I მონაკვეთი) გააკეთებენ ტაშით. ნიმუში:



ქა-თა - მი, წი- წი - ლა, ას-კინ-კი-ლა კინ -კი- ლა

აქტივობა III



გონებრივი იერიში: მასწავლებელი კლასს აჩვენებს რაღაც მოძრაობას (მაგ. მოძრაობას „კლასობანას“ თამაშის დროს) და სთხოვს მოსწავლეებს, ამოიცნონ თამაში სახეობა. როდესაც კლასი დაასახელებს ამ თამაშს, მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გააჟღერონ მოძრაობა, რომელიც მან შეასრულა. იგი კლასს უხსნის, თუ როდის ხმის რა მოძრაობა უნდა გაკეთდეს: მაგ., კენჭის სროლის დროს – ხმის აღმავალი მოძრაობა; კენჭის დაცემის დროს – ხმის დაღმავალი მოძრაობა; ხელის აქნევისას – აღმავალი მოძრაობა, ჩამოქნევისას – დაღმავალი მოძრაობა (ბგერების სიმაღლის ცვალებადობისას არ არის საჭირო ზუსტი ინტონაცია. მთავარია ყველა მოსწავლემ ხმის აწევა-დაწევა შეძლოს). შემდგომ მასწავლებელი ხელს რაღაც სიმაღლეზე დააფიქსირებს და ერთ ტონზე „გაამღერებს“ რაიმე ფრაზას, მაგ.: „ხელი როგორც გავაჩერეთ, ამ ბგერაზე გავაჩეროთ ხმაც“. ბოლოს მთელი კლასი მღერის უნისონში (უნისონში სიმღერა გარკვეული ვარჯიშის შემდეგ იქნება შესაძლებელი).

თემის მეორე გაკვეთილი

აქტივობა I

რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო – „ასკინკილა კინკილა“ – გამეორება.

აქტივობა II

მუს.დანყ.(I).4,5. როგორ აისახება სხვადასხვა კომპოზიტორის ნაწარმოებში ბავშვების თამაშები?

მასწავლებელი სთხოვს ერთ-ერთ მოსწავლეს, გააკეთოს ცხენზე ჯირითის მოძრაობები. და მიმართავს კლასს: ვაჟებს უთუოდ ხშირად გითამაშიათ „ცხენობანა“; შეეცადეთ, ტაშით გამოხატოთ ცხენის ფლოქვების რიტმი; კომპოზიტორი რომ იყოთ, როგორი გრძლიობის ბგერებს გამოიყენებდით ცხენის ჭენების აღსაწერად (მოკლე, გრძელი, შერეული); როგორ ტემპს შეარჩევდით – სწრაფს თუ ნელს?

მოსმენა: ი. გურგულია – „აჩუ-აჩუ“ კახაბერ ცისკარიძისა და „ბასტი-ბუბუს“ შესრულებით (22). ბავშვები ხმითა და მოძრაობით აჰყვებიან მუსიკას:

თქვენი აზრით, კომპოზიტორს მუსიკის საშუალებით ზუსტად აქვს აღწერილი ცხენის ჭენება? დაახასიათეთ მუსიკა – რა გრძლიობის ბგერები გესმით – მოკლე, გრძელი, თანაბარი თუ სხვადასხვა ხანგრძლივობის; როგორ ტემპში სრულდება – სწრაფად თუ ნელა; ხასიათის მიხედვით სიმღერა მხიარულია თუ სევდიანი?

აჩუ-აჩუ

მუსიკა და ტექსტი
ი. გურგულიასი

Vivo

C **d⁷** **G⁷** **C**

ო - ა - თ - უ - ა - თ ო - ა - თ - უ - ა - თ სი - ხა - რუ - ლით დავ-ხტი-ვარ,

d⁷ **G⁷** **C**

ო - ა - თ - უ - ა - თ ო - ა - თ - უ - ა - თ სი - ო - სა - ვით დავ - ქრი - ვარ,

F **C** **B** **a** **As+**

ა - ბა მით - ხარ ჩე - მო ცხე - ნო სა - ით უნ - და გა - გა - ჭე - ნო,

G **d⁷** **G⁷** **C** **C**

მი - ტომ უნ - და გა - გა - ჭე - ნო, რომ სოფელში მივ-დი-ვარ. მივ-დი-ვარ

მასწავლებელი სიმღერას ასრულებს ძალიან ნელ ტემპში და ეკითხება მოსწავლეებს: იგრძენით განსხვავება? რა შეიცვალა? მოუხდა სიმღერას ნელა შესრულება? – რა თქმა უნდა, არა! ნელა დაკვრისას სიმღერამ დაკარგა თავისი ხასიათი – ასე ზანტად ხომ ვერ გააჭენებთ ცხენს, რომ მეგობრებთან ჩქარა მიხვიდეთ.

მესამე გაკვეთილი

რიტმული სავარჯიშოსა და სიმღერის „აჩუ-აჩუ“ გამეორება.

მუს.დან. (I). 4,5. მასწავლებელი კლასს ასმენინებს სხვადასხვა ცხოველისა და ტრანსპორტის მოძრაობის ხმებს – ძაღლის (81) ცხენის ფლოქვების (82), თვითმფრინავის (84), მოტოციკლეტის (85). შემდეგ ასმენინებს საფორტეპიანო პიესას: რობერტ შუმანი – „მამაცი მხედარი“ (88) და სთხოვს მოსწავლეებს მოსმენილი ნაწარმოები დაუკავშირონ ადრე მოსმენილ ხმებს. ბავშვების არჩევანი შეჩერდება ცხენის ფლოქვების ხმოვანებაზე. კლასში მსჯელობენ, რა ნიშნის მიხედვით მიუსადაგეს ისინი ერთმანეთს.

მასწავლებელი: კომპოზიტორს რობერტ შუმანს ძალიან უყვარდა ბავშვები და ბევრს წერდა მათთვის. „მამაცი მხედარი“ ერთ-ერთი ნაწარმოებია მისი საბავშვო შემოქმედებიდან.

მასწავლებელი ბავშვებს ეუბნება, რომ მუსიკას საკუთარი ენა აქვს და ის ბგერებით „ჰყვება“ რაიმე ამბავს.

კიდევ ერთხელ მოვისმინოთ და გამოვიცნოთ, როგორი ხასიათია გადმოცემული მუსიკით და რას მოგვითხრობს ეს პიესა.

მოვისმინოთ ბავშვების პასუხი კითხვაზე: თქვენი აზრით, რატომ ჰქვია პიესას „მამაცი მხედარი“; როგორ გგონიათ, კომპოზიტორმა ნამდვილი მეომარი იგულისხმა, თუ სათამაშო ხის ცხენზე „ამხედრებული“ ბავშვის ჯირითი? რაზე მიანიშნებს მუსიკის ჩქარი ტემპი?

აუცილებელი არაა, სწორი პასუხი მივიღოთ, მთავარია, ბავშვები მიეჩვიონ მუსიკის ყურადღებით მოსმენას და საკუთარი აზრის ჩამოყალიბებას. მოსმენით მიღებული შთაბეჭდილება ბავშვების წარმოდგენაში აუცილებლად დაუკავშირდება ცხენის სწრაფ ქროლას და ჩლიქების თქარუნს. ისინი, სავარაუდოდ, იტყვიან, რომ სწრაფი, მოუსვენარი ტემპი და წყვეტილი ბგერები გადმოსცემს ცხენის ნახტომისებურ რიტმს; ენერგიული, გამბედავი და მოუსვენარია, ვინაიდან მხედარს საფრთხეებთან გამკლავება უნევს.

II.57. „თქვენთან გვინდა თამაში“

სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).1,2,3,4,5.

მოსმენა: ი. შტრაუსი – „რადეცკი მარში“ (საორკესტრო), ფ. შოპენი – „ვალსი“ ლა მინორი.

ცნებები: ტემპი, რიტმი, მოტივი.

თამაში: „კენჭაობა“.

რესურსი: ფორტეპიანო, მოსასმენი აპარატურა, აუდიოჩანაწერი.

სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები:

* რა მუსიკალური ელემენტებით შეიძლება გადმოვცეთ თამაშების ნაირსახეობები? მუს.დანყ.(I).4,5.

* როგორი მოტივი, ტემპი და რიტმი უნდა შეირჩეს გარკვეული მოძრაობის და ამ მოძრაობებთან დაკავშირებული ემოცია-განწყობის გადმოსაცემად? მუს.დანყ.(I).1,2.

* რა მოძრაობებთან ასოცირდება მოტივი, ტემპი და რიტმი? მუს.დანყ.(I).4,5.

საკლასო აქტივობები

აქტივობა I

დო მაჟორის ბგერების გამღერება მარცვლებით, აღმავალი და დაღმავალი მიმართულებით ჯერ ნელ ტემპში, შემდეგ – ჩქარა, შესაბამისად – ხმამაღლა, ჩუმად; რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო – „ასკინკილა კინკილა“, გამეორება.

აქტივობა II

მუს.დანყ.(I).3,4,5.

რა მოძრაობებთან ასოცირდება მოტივი, ტემპი და რიტმი?

ერთ-ერთი მოსწავლე ასრულებს რაიმე მოძრაობას, მაგალითად, ჯარისკაცივით მარშირებს, მეორე მოსწავლე ასრულებს ცეკვის ელემენტებს. შემდეგ მასწავლებელი კლასს ასმენინებს ორ ნაწარმოებს: ი. შტრაუსი – „რადეცკი მარში“ (89) (საორკესტრო) და ფ. შოპენი – „ვალსი“ ლა მინორი (90). შემდეგ სთხოვს მოსწავლეებს, თანაკლასელების მოძრაობები დაუკავშირონ მოსმენილ ნაწარმოებებს და ახსნან, რის მიხედვით გააკეთეს არჩევანი.

მოსწავლეები მოიფიქრებენ, რა სიმბოლოებით შეიძლება ჩაინეროს მოსმენილი მელოდია.

აქტივობა III

მუს.დანყ.(I).1,2.



გონებრივი იერიში – მასწავლებელი კლასს აჩვენებს რაღაც მოძრაობას (მაგ. მოძრაობას ხელბურთის თამაშის დროს) და სთხოვს მოსწავლეებს, ამოიცნონ თამაშის სახეობა. შემდეგ მასწავლებელი სთხოვს კლასს, გააჟღერონ მოძრაობა, რომელიც მან შეასრულა – თუ როდის ხმის რა მოძრაობა უნდა გაკეთდეს: მაგ., ბურთის ასროლის დროს – ხმის აღმავალი მოძრაობა, ბურთის დაჭერის დროს – ხმის დაღმავალი მოძრაობა; ხელის აქნევისას – აღმავალი მოძრაობა, ჩამოქნევისას – დაღმავალი მოძრაობა. სავარჯიშოს ბოლოს მასწავლებელი ხელს რაღაც სიმალლეზე დააფიქსირებს და

რაიმე ტონზე „გაამღერებს“ ფრაზას, მაგ., „თქვენთან გვინდა თამაში“. ბოლოს მთელი კლასი მღერის უნისონში.

აქტივობა IV
მუს.დანყ.(I).1,2.
თამაში: „კენჭაობა“.

მოსწავლეები წრიულად სხედან, ხელისგულები ერთმანეთზე აქვთ მიდებული. ერთ მოსწავლეს მუჭში დამალული აქვს პატარა საგანი (საშლელი, ლილი, კენჭი ან სხვ.). მასწავლებელი უკრავს ფორტეპიანოზე, ბავშვები მღერიან:

კენჭაობა

Allegro

1. ხელ-ში კენ - ჭი რომ გი - ჭი - რავს, მა - ლე წრე ჩა - მო - ა - ტა - რე.

ერთს ჩვენ - თა - განს, შე - უმ - ჩნევ - ლად, ჩუ - მად ხელ - ში შე - ა - პა - რე.

მოსწავლე ჩამოუვლის თანაკლასელებს და ერთ-ერთს ხელისგულებში შეუმჩნევლად ჩაუდებს საშლელს/ლილს/კენჭს. ეს მოსწავლე ფეხზე ადგება და კლასს აჩვენებს რომელიმე თამაშისთვის დამახასიათებელ მოძრაობას (მაგ. მოძრაობას კლასობანას, ფეხბურთის, კალათბურთის და სხვ. თამაშის დროს). თანაკლასელებმა უნდა ამოიცნონ თამაშის სახეობა. როდესაც კლასი დაასახელებს ამ თამაშს, მასწავლებელი სთხოვს კლასს, გააჟღერონ მოძრაობა, რომელიც მან შეასრულა. იგი წინასწარ კლასთან მოილაპარაკებს, თუ როდის რა ხმის მოძრაობა უნდა გაკეთდეს: მაგ., კალათში ბურთის სროლის დროს – ხმის აღმავალი მოძრაობა; ბურთის დავარდნის დროს – ხმის დაღმავალი მოძრაობა. ხელის აქნევა – აღმავალი მოძრაობა, ჩამოქნევა – დაღმავალი მოძრაობა (ხმის მოძრაობის დროს არ არის საჭირო ზუსტი ინტონაცია. მთავარია ყველა მოსწავლემ ხმის აწევა-დაწევა შეძლოს).

თამაში გაგრძელდება და შემდეგი მოსწავლე მასწავლებლის სხვა დავალებას შეასრულებს.

თოჯინები

სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).4,5.

მოსმენა: პ. ჩაიკოვსკი – „თოჯინას ავადმყოფობა“ და „ახალი თოჯინა“ საბავშვო ოპერებში; დ. შოსტაკოვიჩი – „თოჯინების ცეკვა“.

სიმღერის შესწავლა: მ. დავითაშვილი – „თოჯინები“.

ცნებები: ტემპი, ბგერის გრძლიობა, სიმაღლე.

რესურსი: ფორტეპიანო, მოსასმენი აპარატურა, აუდიოჩანაწერი.

სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები:

* რა მოძრაობებთან ასოცირდება მოტივი, ტემპი და რიტმი. მუს.დანყ.(I).4,5.

საკლასო აქტივობები

აქტიურობა I

დო მაჟორის ბგერების გამღერება მარცვლებით, აღმავალი და დაღმავალი მიმართულებით ჯერ ნელ ტემპში, შემდეგ – ჩქარა, შესაბამისად – ხმამაღლა, ჩუმად; რიტმული სავარჯიშო ტაშით/კაკუნით:



აქტივობა II

მუს.დანყ.(I).4,5.

- მასწავლებელი ასმენინებს ორ განსხვავებული ხასიათის საფორტეპიანო პიესას სახელწოდების დაუსახელებლად (მაგ., პ. ჩაიკოვსკის „ახალი თოჯინა“ (92) და „თოჯინას ავადმყოფობა“ (91) საბავშვო ალბომიდან. შესაძლოა პედაგოგმა სხვა თემა აირჩიოს) და სთხოვს მოსწავლეებს, აღწერონ თავიანთი შთაბეჭდილება თითოეული პიესის მიმართ (მასწავლებელი მინიშნებას აკეთებს, რომ ორივე პიესის სახელწოდება დაკავშირებულია ერთ-ერთ სათამაშო საგანთან, თან მოძრაობით, მიმიკებით მიაწინებს თოჯინაზე). ბავშვები მსჯელობენ, ახასიათებენ ნაწარმოებებს ხასიათის (სევდიანი, მხიარული), ტემპის (ჩქარი, ნელი), ბგერების გრძლიობის (გრძელი, მოკლე), დინამიკის (ხმამალა, ჩუმად) მიხედვით და შეეცდებიან, დაასათაურონ ისინი (რა შეიძლება ითქვას პირველ პიესაში აღწერილ თოჯინაზე და რა – მეორე პიესაში აღწერილ თოჯინაზე?). ამის შემდგომ მასწავლებელი ასახელებს ნაწარმოებებს. მოსწავლეები ამოწმებენ საკუთარ აზრს, რომელმაც უკეთ გამოიყენო კომპოზიტორის ჩანაფიქრი.

- მასწავლებელი ასმენინებს დიმიტრი შოსტაკოვიჩის საფორტეპიანო პიესას – „თოჯინების ცეკვა“ (113), სთხოვს მოსწავლეებს წარმოიდგინონ, ვითომ თოჯინა გაცოცხლდა და სთხოვს მათ, მუსიკის სხვადასხვა ფრაგმენტს მიუსადაგონ საცეკვაო მოძრაობები, რომელიც შეიძლება შეასრულოს თოჯინამ ამ დროს. მოსწავლეები საუბრობენ, რის მიხედვით დააკავშირეს ესა თუ ის მოძრაობა კონკრეტულ მუსიკალურ ფრაგმენტს.

სურვილის შემთხვევაში, მასწავლებელი კლასს სთავაზობს სიმღერის შესწავლას: მერი დავითაშვილი – „თოჯინები“ (სანოტო ჩანანერი იხილეთ დანართში, გვ. 166; ფონოგრამა – საფორტეპიანო ფონოგრამების ფაილში).

II. 59-60. თამაში შინ და გარეთ

სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).1,2,3,4,5.

მოსმენა: ვ. ა. მოცარტი – სონატა №15; რ. ლალიძე – „საჭიდაო“.

ცნებები: მოტივი, ტემპის მონაცვლეობა, მოტივის მონაცვლეობა, მუსიკალური კომპოზიცია.

რესურსი: ფორტეპიანო, მოსასმენი აპარატურა, აუდიოჩანაწერი; განსხვავებული ზომის ბურთები.

სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები:

- * რა მუსიკალური ელემენტებით შეიძლება გადმოცეთ თამაშების ნაირსახეობები?
- * რა მოძრაობებთან ასოცირდება მოტივი, ტემპი და რიტმი?
- * როგორ აისახება სხვადასხვა კომპოზიტორის ნაწარმოებში თამაშები?
- * რა ნიშნებით ჩავწეროთ ეს მოტივები?

საკლასო აქტივობები

აქტივობა I

რიტმული სავარჯიშო:



აქტივობა II

მუს.დანყ.(I).1,2,3.



გონებრივი იერიში: როგორი მოტივი, ტემპი და რიტმი უნდა შეირჩეს გარკვეული მოძრაობის და ამ მოძრაობებთან დაკავშირებული ემოცია-განწყობის გადმოსაცემად?

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ, ეზოში ან პარკში ყოფნისას რომელი თამაშის დროს უწევთ სირბილი (არბენ-ჩარბენა), ხტუნვა, სრიალი და ა. შ. შემდეგ მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდს იმის შესახებ, თუ მუსიკალური ენის რომელი ელემენტების (მათთვის ცნობილი) მეშვეობით არის შესაძლებელი ზემოაღნიშნული მოქმედებების ასახვა. მაგალითად, ფორტეპიანოს კლავიატურაზე არბენ-ჩარბენის ასოციაციის გამოსაწვევად გამის საფეხურებზე მიმდევრობითი მოძრაობა აღმავალი და დაღმავალი მიმართულებით, ხტუნვის იმიტაციისთვის შეიძლება შესრულდეს ნახტომები ერთსა და იმავე ან სხვადასხვა ბგერაზე, სრილისთვის – გლისანდო (დაღმავალი მიმართულებით). იგივე შეიძლება ხმითაც გავიმღეროთ (წყვეტილი და გაბმული ბგერები).

აქტივობა III

მუს.დანყ.(I).3,4,5. რა მოძრაობებთან ასოცირდება მოტივი, ტემპი და რიტმი?

მასწავლებელი სთავაზობს მიმიკურ ეტიუდს – „ხელბურთის თამაში“. მასწავლებელი ესვრის პატარა (წარმოსახვით) ბურთს ერთ-ერთ მოსწავლეს, ხოლო მოსწავლე „იჭერს“ ხელით ამ ბურთს. შემდეგ იგი ესვრის თანაკლასელს და ასე შემდეგ. ბურთის დაჭერის დროს თითოეულმა ხმით უნდა აიღოს ნებისმიერი სიმალლის ბგერა ან გაიმეოროს ბურთის მომწოდებელი ბავშვის მიერ გამღერებული მარტივი მოტივი (მაგ., სიტყვებზე – სა-თა-მა-შო ან ბურ-თა-ობა). ბავშვები ამდაგვარად აგრძელებენ მიმიკურ თამაშს, წარმოთქმული

სიტყვის მიხედვით ცვლიან ტემბრს, მოტივს, ინტონაციას, „ბურთის“ დაჭერისას ხმით იმეორებენ და იღებენ ნებისმიერი სიმაღლის ბგერას ან მოტივს. ამგვარად თამაშის მსვლელობის დროს სპონტანურად იქმნება რაღაც მოტივი. შესაძლებელია ამ თამაშის მსვლელობის აუდიოჩანაწერის (მობილური ტელეფონით) გაკეთებაც. ამ ჩანაწერის მოსმენისას მოსწავლეები შეამჩნევენ, რომ სხვადასხვა სიმაღლის ბგერების მონაცვლეობის შედეგად შეიქმნა რაღაც მელოდია, მუსიკალური კომპოზიცია.

ბოლოს მოსწავლეები მოიფიქრებენ რა ნიშნებით (სიმბოლოებით) შეიძლება ამ მოტივის ჩანერა.

აქტივობა III

მუს.დანყ.(I).1,2.

მასწავლებელი უკრავს ფორტეპიანოზე თამარ შავერზაშვილის პიესას „ბურთაობა“:

ბურთაობა
(ნაწყვეტი)

კეკელუცაძე თ. შავერზაშვილი

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ნაწარმოებში ამოიცნონ ბურთის მოძრაობა – როგორი მუსიკალური ელემენტებით (რიტმი, ტემპი, მელოდია) აქვს კომპოზიტორს აღწერილი ბურთაობის სურათი (მაგალითად, არათანაბარი, გრძელი და მოკლე ბგერების მონაცვლეობა, ნახტომები – ბურთის „ხტუნაობის“ იმიტაცია, თანაბარი რიტმი (ბანში); ბავშვები მსჯელობენ, რა მოქმედება აღწერა კომპოზიტორმა ამ რიტმით. მათი მოსაზრება შეიძლება იყოს, მაგალითად, არათანაბარი ბგერები გვაგონებს ბურთის ქვიან დაღმართზე (ან კიბეზე) „ხტუნაობით“ ვარდნას, ბანში თანაბარი ბგერები – ბურთის ადგილზე აკენწლვას და სხვ.

მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, მოიფიქრონ მათთვის საყვარელი თამაში ბურთით, აღწერონ, როგორ მოძრაობს ბურთი ფეხბურთის, ჩოგბურთის, ხელბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის თამაშისას. ბავშვების სავარაუდო პასუხები სხვადასხვანაირი იქნება – მოკლე და სწრაფი, მძიმე, ძლიერი. ბავშვები მიდიან დასკვნამდე, რომ ბურთის მოძრაობის რიტმისა და ტემპის ცვალებადობა დამოკიდებულია თამაშის სახეობაზე (ხელით შორს გადაცემა, ახლოს გადაცემა (კალათბურთი, ფრენბურთი, ხელბურთი, რაგბი და სხვ.); ფეხით ძლიერად დარტყმა, მსუბუქად დარტყმა, ბურთის ადგილზე „აკენწვლა“ და ა. შ. (ფეხბურთი).

თემის მეორე გაკვეთილი

აქტივობა I

გამის საფეხურების გამლერება;
რიტმული სავარჯიშოს გამეორება წინა გაკვეთილიდან.

აქტივობა II

მოსმენა: ვ. ა. მოცარტი – სონატა №15, დო მაჟორი (114) და სთხოვს მოსწავლეებს აღწერონ, რა წარმოდგინეს მოსმენისას. ბავშვების პასუხები შეიძლება სრულიად განსხვავებული იყოს. მასწავლებელი ეკითხება მათ: რა მოქმედება წარმოდგინეთ მუსიკის მოსმენისას? შეიძლება თუ არა მელოდიის, რიტმის, ბგერების მოძრაობა მივამსგავსოთ, მაგალითად, ბავშვების თამაშს? შეიძლება პატარებმა ჩართონ ფანტაზია და დაასახელონ მეგობრებთან ერთად კლასობანას ან დაჭერობანა/დახუჭობანას თამაში. შეიძლება პატარებს ბურთის გაგორებისა და ხტომის ასოციაციაც შეექმნათ. ამ შემთხვევაში, ნაწარმოების განმეორებით მოსმენისას, ისინი მიუთითებენ იმ ფრაგმენტზე, სადაც ეს ინტონაციები ამოიცნეს.

აქტივობა III


მუს.დანყ.(I).4,5. რა მოძრაობებთან ასოცირდება მოტივი, ტემპი და რიტმი?



გონებრივი იერიში: მასწავლებელს გაკვეთილისთვის მომარაგებული აქვს საშუალო ზომის ბურთი და პინგპონგის პატარა ბურთი და ჩოგანი. ერთ-ერთ მოსწავლეს სთხოვს ბურთით ითამაშოს – „იბურთაოს“ იატაკზე, მეორე მოსწავლე მაგიდაზე ითამაშებს პინგპონგის ბურთითა და ჩოგნით. მასწავლებელი სვამს კითხვას: რომელ შემთხვევაში იყო ბურთის ხმოვანება უფრო სწრაფი? (პასუხი იქნება: პინგპონგის ბურთის); თქვენი აზრით, რატომაა პინგპონგის ბურთის დაცემის რიტმი უფრო სწრაფი, ვიდრე დიდი ბურთის?

მსჯელობის შედეგად ბავშვები დაასკვნიან, რომ პატარა ნივთი (ამ შემთხვევაში – პინგპონგის ბურთი) მსუბუქია და უფრო სწრაფად მოძრაობს, ვიდრე დიდი და მძიმე ბურთი; ბურთების ვარდნის მანძილიც სხვადასხვაა. ამიტომაც, რომ ბურთების დაცემისას მიღებული ხმოვანებაც სხვადასხვა სიხშირისაა (გამოვიყენოთ ტერმინი – რიტმი, ტემპი); ბურთების სიდიდის მიხედვით კი მათი ვარდნის ხმოვანებაც (ტემპრი) განსხვავებულია.

მუს.დანყ.(I).3. შემდეგ მასწავლებელი სთხოვს რომელიმე მოსწავლეს, დაფაზე გამოსახოს პატარა და დიდი ბურთების დაცემის სიხშირე – რაიმე სიმბოლოებით ჩაწეროს (ან დახატოს) ბურთის დაცემის რიტმი. ნახატი დაახლოებით ასეთ სახეს მიიღებს:



შეიძლება დახატონ კიდევ:



მასწავლებელი კლასს სთხოვს, გააკეთონ ეს რიტმული სავარჯიშო ტაშით ან მაგიდაზე ხელის დარტყმით. მოსწავლეები პინგპონგის ბურთის მოძრაობას აღნიშნავენ კაკუნით სწრაფად, დიდი ბურთისას – ტაშით, ნელა. მასწავლებელი ეხმარება მათ სავარჯიშოს რიტმულად შესრულებაში.

III თავი: ეთნოგრაფია და მუსიკა

თემა	რა ხერხებით მიიღწევა სტანდარტით განსაზღვრული მიზნები
გარესამყაროს ხმები სხვადასხვა ქვეყნის ხალხურ მუსიკაში	• ხალხური მუსიკის თავისებურებების ამოცნობის უნარის განვითარება; • შემოქმედებითი უნარების განვითარება; • სხვადასხვა ქვეყნის ხალხების მუსიკალური კულტურის გაცნობა; • სხვადასხვა ხმის, პლასტიკის, მიმიკის გამოყენებით რაიმე განწყობის ან სახე-ხატის შექმნა; • მუსიკალური სმენისა და მეხსიერების, რიტმის გრძნობის განვითარება; • მუსიკის მოსმენისა და საკუთარი დამოკიდებულების ნათლად გადმოცემის უნარ-ჩვევის ჩამოყალიბება; • შემოქმედებით აქტივობებში ჩაბმა, პასუხისმგებლობის, ჯგუფში მუშაობის ჩვევის გამომუშავება; • წარმოსახვით-ასოციაციური აზროვნების განვითარება.
მუს..დანყ.(I).1.	მოსწავლემ უნდა შეძლოს გარესამყაროში არსებული ბუნებრივი და ხელოვნურად შექმნილი ხმის, ხმაურის და მუსიკალური ენის ცალკეული ელემენტების (მაგ., რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) გამოყენება გარკვეული ემოციური მდგომარეობის გადმოსაცემად;
მუს..დანყ.(I).2.	მოსწავლემ უნდა შეძლოს ხმის, ხმაურის, მუსიკალური ელემენტების (მაგ. რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) გამოყენება გარკვეული ემოციური მდგომარეობის გადმოსაცემად;
მუს..დანყ.(I).3.	მოსწავლემ უნდა შეძლოს ხმოვანი გზავნილის სხვადასხვა სიმბოლოთი ჩაწერა.
მუს..დანყ.(I).4.	მოსწავლემ უნდა შეძლოს მოსმენის დროს სახე-ხატის შექმნაში მუსიკალური ენის ცალკეული ელემენტის (მაგ. რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) როლის განსაზღვრა.
მუს..დანყ.(I).5.	მოსწავლემ უნდა შეძლოს ცალკეული მუსიკალური ელემენტის (მაგ. რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.), ხმაურისა და რიგს შორის ასოციაციური კავშირების გაბმა.
მუს..დანყ.(I).6.	მოსწავლემ უნდა შეძლოს ხალხური მუსიკის თავისებურებების ამოცნობა.

ცნებები: ხმაბაძვითი სიტყვები.

სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები:
როგორ აისახება გარესამყარო ამა თუ იმ ხალხურ სიმღერაში? მუს.დანყ.(I).4,5,6.

გარესამეაროს ხმები სხვადასხვა ქვეყნის ხალხურ მუსიკაში

III.61.

ჟუჟუნა წვიმა

სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).1,2,3,4,5,6.

მოსმენა: მ. ფარცხალაძე – სიმღერა „წვიმა“ (რუსულად); ხალხური „ჟუჟუნა წვიმა“ (სამხმარი); წვიმის ხმოვანება.

ცნებები: ხმა, ბგერა, ხმაური; ტონის სიმაღლე; გრძლიობა, სიძლიერე (ხმამაღალი, ხმადაბალი); ხმაბაძვითი სიტყვები.

რესურსი: ფორტეპიანო, მოსასმენი აპარატურა, აუდიოჩანაწერი.

სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები:

- * როგორ გამოვიყენოთ სხვადასხვა ხმა რაიმე განწყობის ან სახე-ხატის შესაქმნელად?
- * როგორ შეიძლება ამა თუ იმ ხმის გამოცემა ან ხმაურის შექმნა?
- * როგორ შეიძლება ჩაინეროს ესა თუ ის ხმა?

საკლასო აქტივობები

აქტივობა I

ინტონაციური სავარჯიშოს გამღერება ხმოვნებით ან მარცვლებით; ტაში – ძლიერ დროზე:



აქტივობა II

მუს.დანყ.(I).4,5. მასწავლებელი მღერის ხალხურ სიმღერას „ჟუჟუნა წვიმა“ (ან ასმენინებს (სამხმარი) დამ. ჯ.კახიძის მიერ (95)) და სთხოვს მოსწავლეებს აჰყვნენ სიმღერით.

სავარაუდო კითხვები: აღწერეთ, როგორი ფორმით/სიტყვებითაა გადმოცემული ქართულ ხალხურ სიმღერაში წვიმა – სააღერსო, სასაყვედურო, სევდის მომგვრელი თუ კიდევ სხვა? რას ნიშნავს სიტყვა „ჟუჟუნა“? გაიხსენეთ სახალისო ამბავი წვიმასთან დაკავშირებით.

აქტივობა III

მასწავლებელი ასმენინებს სხვადასხვა ენაზე შესრულებულ სიმღერებს, სადაც ხმაბაძვითი სიტყვებია გამოყენებული და სთხოვს მოსწავლეებს, ამოიცნონ ისინი. შემდეგ სთხოვს დაასახელონ, რომელ არსებულ ხმას ბაძავს ეს სიტყვები და იპოვონ ანალოგიური სიტყვები ქართულ ენაში. მაგალითად, მოსწავლეები რუსულ ენაზე ისმენენ მერაბ ფარცხალაძის საბავშვო სიმღერას „წვიმა“ („კაპ-კაპ, ტუკ-ტუკ-ტუკ“) (94). მასწავლებლის მინიშნებებით ბავშვები მარტივი სიტყვებით ადარებენ ქართულად და რუსულად შესრულებული სიმღერების მოტივს ხასიათის, ჟღერადობის, რიტმის (ბგერები – გრძელი, მოკლე), ტემპის (ჩქარი, ნელი) მიხედვით. მაგ.: ხალხურ სიმღერას „ჟუჟუნა წვიმა“ ვმღერით მშვიდად, ხალისით.

კითხვა: „ჟუჟუნა წვიმაში“ გამოყენებულია სიტყვა „დანამა“. როგორ გესმით ეს სიტყვა? რას ნიშნავს სიტყვა „ჟუჟუნა“? კიდევ რომელ სიტყვებს/მარცვლებს გამოიყენებთ წვიმის მისანიშნებლად?

პირველი კლასის მოსწავლეების უმრავლესობისთვის ჯერ უცხოა რუსული ენა. ამიტომ მეორე სიმღერის მოსმენისას ხმაბაძვითი მარცვლებით ამოიცნობენ წვიმის ინტონაციას; სავარაუდოდ, ასე დაახასიათებენ სიმღერას: სიმღერა მხიარულია, ქართულ სიმღერასთან შედარებით უფრო სწრაფად სრულდება და ისმის წვიმის წვეთების წკაპუნის მიმანიშნებელი სიტყვები, ბგერები მოკლე და წყვეტილია, თითქოს მართლა გესმის, როგორ აკაკუნებს ონავარი წვიმის წვეთები ფანჯრის მინაზე (კაპ-კაპ, ტუკ-ტუკ-ტუკ, დონ-დონ-დონ).


აქტივობა III

მუს.დაწყ.(I).1,2. როგორ შეიძლება ამა თუ იმ ხმის გამოცემა ან ხმაურის შექმნა?

„გავაცოცხლოთ“ წვიმის წვეთები რიტმულ სავარჯიშოში – „წვიმის სიმღერა“.

შესაძლებელია მასწავლებელმა რიტმული სავარჯიშო შესთავაზოს ნახატის სახით. მოსწავლეები ასრულებენ ტაშით ან ორი პატარა ჯოხის/ფანქრის ერთმანეთზე კაკუნით

(მითითება: დიდი ზომის წვეთები სრულდება დაყოვნებით, გრძლად; პატარა წვეთები – მოკლედ, სწრაფად):



მასწავლებელი ეკითხება კლასს: როგორი ხმა უფრო შეეფერება წვიმის წვეთებს – მსუბუქი, ნაზი, თუ მძიმე და ხმამაღალი? (სავარაუდო პასუხი: ორივე. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი წვიმა მოდის – ჟუჟუნა (ცრის), თუ კოკისპირული). გავაკეთოთ შედარება ზაფხულის ჟუჟუნა წვიმასა და თქემის ხმოვანებას შორის (წვიმის ხმოვანების მოსმენა (15)). მოსმენისას ბავშვები აღწერენ წვიმის ხმას ბგერების სიძლიერის მიხედვით, მიაწვნიებენ, სად გაისმის ქუხილის ხმა; აღწერენ საკუთარ ემოციას და აღნიშნავენ, მათგან რომლის ხმა ჰგვრით სიმშვიდეს და რომელია შიშის მომგვრელი.

აქტივობა IV

მუს.დაწყ.(I).3. მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს (ერთს ან რამდენიმეს) რაიმე სიმბოლოთი – ნებისმიერი ხაზით, აბსტრაქტული ნახაზით გამოსახონ (დაფაზე) წვიმისა და ქუხილის ხმები. მაგ.:



აქტივობა V

მუშაობა კომპიუტერულ პროგრამაში LMMS:

მასწავლებელი სასკოლო ბუკებში მოსწავლეებს ჩაუტვირთავს წვიმისა და ფეხით მოსიარულის ხმოვანებას (116). რიტმის განსაზღვრის შემდგომ იგი დაეხმარება მოსწავლეებს, რომ კომპიუტერულ პროგრამაში სემპლები სწორად განალაგონ.

III.62-63. ჩემი ლამაზი სამშობლო

სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).1,2,4,5.

მოსმენა: გურული კრიმანჭული, გერმანული იოდლი; ხალხური სიმღერები – „ლალე“, „ცანგალა და გოგონა“.

სიმღერის შესწავლა: ხალხური „ლალე“.

ცნებები: ხმა, ბგერა, ხმაური; ტონის სიმაღლე; გრძლიობა, სიძლიერე (ხმამაღალი, ხმაცალი); განწყობა; ხმაბაძვითი სიტყვები; ხალხური, ერთხმიანი, მრავალხმიანი.

რესურსი: ფორტეპიანო, მოსასმენი აპარატურა, აუდიოჩანაწერი.

სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები:

* რა მოძრაობებთან ასოცირდება მოტივი, ტემპი და რიტმი?

* როგორი მოტივი, ტემპი და რიტმი უნდა შეირჩეს გარკვეული მოძრაობის და ამ მოძრაობებთან დაკავშირებული ემოცია-განწყობის გადმოსაცემად?

საკლასო აქტივობები

აქტივობა I

განვლილი მასალისა და ტერმინების – მელოდია, მომღერალი, პოეტი, კომპოზიტორი, სოლისტი, გუნდი – გამეორება;

რიტმული სავარჯიშო „წვიმის სიმღერა“ – გამეორება.

აქტივობა II

მასწავლებელი: თქვენი აზრით, რას ნიშნავს სიტყვა „ხალხური“?

ყველა პასუხის მოსმენის შემდეგ მასწავლებელი კლასს უხსნის, რომ სიტყვა „ხალხური“ ნიშნავს ხალხის მიერ შექმნილს. ხალხური ლექსი, ხალხური ზღაპარი, ხალხური სიმღერა და ცეკვა, ხალხური მუსიკალური ინსტრუმენტი – ეს ნიშნავს, რომ ყველაფერი ხალხის შექმნილია და კონკრეტული ავტორი არ ჰყავს (ხალხურ შემოქმედებას **ფოლკლორი** ჰქვია).

მოსმენა: ხალხური სიმღერები: „ლალე“ (96).

მასწავლებელი: რამდენი მომღერალი ასრულებს „ლალეს“? (ერთი), ესე იგი, შეიძლება ვთქვათ, რომ სიმღერა ერთხმიანია.

მოვისმინოთ კიდევ ერთი სიმღერა – „ცანგალა და გოგონა“. რამდენი ხმა გააჩნით? (რამდენიმე). ესე იგი, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სიმღერა მრავალხმიანია. მრავალხმიანობა სხვადასხვა ხმაში ერთდროულად მღერას ნიშნავს.

შეადარეთ ერთმანეთს ხასიათის, ტემპის, რიტმის მიხედვით სიმღერები – „ლალე“ (აქცენტი – ერთხმიანი) და „ცანგალა და გოგონა“ (აქცენტი – მრავალხმიანი).

„ჟუჟუნა წვიმა“, „ჭრელო პეპელა“, „ლალე“, „ცანგალა და გოგონა“ ხალხური სიმღერებია.

აქტივობა IV

მუს.დანყ.(I).1,2. როგორი მოტივი, ტემპი და რიტმი უნდა შეირჩეს გარკვეული მოძრაობის და ამ მოძრაობებთან დაკავშირებული ემოცია-განწყობის გადმოსაცემად?

მასწავლებელი: სხვადასხვა ხალხს სხვადასხვანაირი გასართობი სიმღერები აქვს, თუმცა მათ შორის მსგავსების მონახვაც შეიძლება.

მოსმენა: გურული კრიმანჭული (107), გერმანული იოდლი (108).

კლასში იმართება საუბარი სხვადასხვა ხალხის სიმღერების მსგავსება-განსხვავების შესახებ: როგორი ხასიათისაა, რა დროს ასრულებენ; რითი განსხვავდება ეს სიმღერები სხვა დანარჩენებისგან, ერთი ხმა ასრულებს თუ მეტი.

თემის მეორე გაკვეთილი

აქტივობა I

გამის გამღერება; მასალის გამეორება (ტერმინები: ხალხური, ერთხმიანი, მრავალხმიანი); რიტმული და ინტონაციური სავარჯიშო – „აბა დელი“ – გამეორება.

აქტივობა II

სიმღერის შესწავლა: „ლალე“.

მასწავლებელი: ეს სიმღერა კომპოზიტორმა ანდრია ბალანჩივაძემ ცნობილი ფილმის – „გიორგი სააკაძის“ მუსიკალური გაფორმებისთვის გამოიყენა. თუ ნანახი გაქვთ ეს ფილმი, ადვილად გაიხსენებთ ამ მელოდიას.

„ლალე, ლალე, დივლი დალაღალე,
ჩემო ლამაზო სამშობლო, შენ კი გენაცვალე.
ლალე, ლალე, დივლი დალაღალე,
შენთვის ვდნები, შენთვის ვკვდები, შენ კი გენაცვალე“.



რა გრძნობა დაგეუფლათ „ლალეს“ შესრულებისას? უფრო მეტად შეგაყვარათ თუ არა სიმღერამ სამშობლო? გაგიჩნდათ თუ არა სურვილი, თქვენც ჩადგეთ სამშობლოს დამცველთა რიგებში? მღერისას ყურადღება მიაქციეთ ბგერების მოძრაობას (ზემოდან ქვემოთ ან პირიქით); როგორი ტემპით სრულდება; რა შეიცვლება უფრო სწრაფად ან ძალიან ნელა რომ იმღეროთ? თქვენი აზრით, აქვს თუ არა მნიშვნელობა ტემპს მუსიკალური ნაწარმოების ხასიათის გადამოსაცემად?

აქტივობა III

რიტმული ნახაზის გაკეთება. მასწავლებელი დაფაზე ხატავს „ლალეს“ რიტმულ ფიგურაციას (თეთრი რგოლებით – მეოთხედი გრძლიობის ბგერები, შავი რგოლებით – მერვედი გრძლიობის ბგერები).

ბავშვები მღერიან მელოდიას, თან მერხზე ფანქრის კაკუნით (ან ტაშით) აფიქსირებენ მეტრს ძლიერ დროზე (პირველ თვლაზე). რიტმული თანხლება ორად გავყოთ. როდესაც მოსწავლეები პირველ ნახევარს კარგად აითვისებენ, დავამატოთ მეორე ნაწილიც:

○

○

○

○

●

●

●

●

○

○

●

●

●

●

●

●

●

●

○

○

ლა-ლე, ლა-ლე, დივ-ლი და-ლა ლა-ლე, ჩე-მო ლა-მა - ზო სამ-შობ-ლო, შენ კი გე - ნაც - ვა - ლე.

>>>>>>>>>>>>>>>>>>>>>>

მასწავლებლის დახმარებით, ერთი მოსწავლე, სიმღერის პარალელურად, დაფაზე საჩვენებელ ჯოხს მიადევნებს რიტმულ ნახაზს.

აქტივობა IV



მუს.დანყ.(I).4,5. გონებრივი იერიში: მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ ეზოში ან პარკში რომელი თამაშის დროს უნევთ სირბილი (არბენ-ჩარბენა), ხტუნვა, სრიალი და ა. შ.; შემდეგ იგი სთხოვს მოსწავლეებს, დაუკავშირონ ეს ხმები საფერხულო სიმღერის – „ცანგალას და გოგონას“ საცეკვაო მოქმედებებს (ფეხის გასმა, ბუქნი, მსუბუქი შეხტომები და სხვ.). მოსწავლეების მსჯელობენ თავიანთი არჩევანის შესახებ. შემდეგ მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდს იმის შესახებ, თუ როგორ არის შესაძლებელი ზემოაღნიშნული მოქმედებების ასახვა მუსიკის (მოტივის) საშუალებით: როგორი ხანგრძლივობის ბგერები შეესაბამება ნელა სიარულს, სირბილს, ხტომას – გრძელი თუ მოკლე; როგორ ტემპში შესრულდება ეს ქმედებები – სწრაფად თუ ნელა.

მასწავლებელი უკრავს მერაბ მერაბიშვილის საფორტეპიანო ნაწარმოებს „ხტუნვა“ და სთხოვს მოსწავლეებს მიუთითონ, სად გაიჟღერებს ბურთის დაცემის ინტონაცია; როგორი რიტმით აქვს გადმოცემული კომპოზიტორს ხტუნვა; როგორი მოძრაობაა – მღოვრე თუ ნახტომისებური და სხვ:

ხტუნვა

მერაბ მერაბიშვილი

ცოცხლად, მსუბუქად

III.64. ამღერებული ლერნამი – სალამური

სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).4,5.

მოსმენა: პოპური სალამურის სოლოთი „ერისიონის“ შესრულებით.

ცნებები: ხმა, ბგერა, ხმაური; ტონის სიმაღლე; გრძლიობა, სიძლიერე (ხმამაღალი, ხმადაბალი); ხმაბაძვითი სიტყვები.

რესურსი: ფორტეპიანო, მოსასმენი აპარატურა, აუდიოჩანაწერი.

სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები:

* როგორ შეუძლია ამა თუ იმ ხმას რაიმე ემოციის გამოწვევა?

* როგორ აისახება გარესამყარო ამა თუ იმ ხალხურ სიმღერაში?

საკლასო აქტივობები

აქტივობა I

ინტონაციური სავარჯიშო „აბა დელი დელა“; სიმღერა „ლალე“; პედაგოგი ბავშვებს სთხოვს, მღერისას ტაშით დააფიქსირონ ძლიერი დრო (ტაქტის პირველი თვლა); ტერმინების გამეორება – ხალხური, ერთხმიანი, მრავალხმიანი.

მასწავლებელი სთავაზობს კლასს იმღერონ „ჭრელო პეპელა“, ეუბნება მათ, რომ ეს ყველასათვის კარგად ნაცნობი სიმღერა ხალხურია და ეკითხება მათ, კიდევ რომელი ხალხური სიმღერებია მათთვის ცნობილი?

აქტივობა II

მოსმენა: პოპური სალამურის სოლოთი „ერისიონის“ შესრულებით (97). სავარაუდო კითხვები: ხომ არ გეცნოთ საკრავი ჟღერადობით? სად გინახავთ? სად მოგისმენიათ? გაიხსენეთ, რომელ ქართულ ზღაპარშია მოხსენიებული სალამური? (ნიქარა). რა დროს იყენებს ბიჭი სალამურს? (ნიქარას მოსახმობად. ბავშვები იხსენებენ ზღაპარს).

მასწავლებელი თვალსაჩინოებისთვის აჩვენებს სალამურს. მოსწავლეები შეეცდებიან ააჟღერონ ცალკეულ ბგერები – ხმამაღლა, ჩუმად, ხანგრძლივად, მოკლედ.

საკუთარი დაკვირვების საფუძველზე ბავშვები დამოუკიდებლად ახასიათებენ საკრავის ჟღერადობას.

მასწავლებელი: ალბათ, გაინტერესებთ, როგორ შეიძლება შექმნილიყო ესა თუ ის მუსიკალური საკრავი?

აიღეთ ფოთოლი, ტუჩთან მიიღეთ და ჩაბერეთ. დარწმუნებული ვარ, ეს „ნრუპუნი“ არც ერთი ბავშვისთვის არ არის უცხო. თავდაპირველად, უხსოვარ დროში, ალბათ ყველაფერი ხმაურის გამომცემი საგნებიდან დაიწყო. ადამიანებმა შეამჩნიეს, რომ სხვადასხვა საგანი სხვადასხვანაირ ხმას გამოსცემდა, მაგალითად, ქვების ერთმანეთზე შეხება/კაკუნი, ხის ტოტების ხახუნი, გაჭიმული მშვილდის ძაფზე თითის გამოკვრის ხმა და ა. შ. თქვენც მოსინჯეთ, მიუკაკუნეთ ორი სხვადასხვა ნივთი ერთმანეთს და განსხვავებას ადვილად შეამჩნევთ. ასე შეამჩნიეს ხმების სხვადასხვაობა ძველ დროში მცხოვრებმა ადამიანებმაც. დრო გადიოდა, ადამიანებიც იცვლებოდნენ, იცვლებოდა მათი საცხოვრებელი პირობები, იცვლებოდა მათი გემოვნებაც. ადვილი შესაძლებელია, რაღაც ახლის შექმნაც მოესურვებინათ. აბა, თავისუფალ დროს რაღაცით ხომ უნდა გართობილიყვნენ, საცეკვაო მოძრაობებისთვის მუსიკაც ხომ უნდა აეყოლებინათ; მათ ყურთასმენას ხმაურის გამომცემი ბგერები უკვე აღარ მოსწონდა. ასე გაჩნდა უფრო „სერიოზული“ საკრავები. ერთი მაგალითი ახლა წარმოვიდგინოთ:

იყო ერთი მწყემსი ბიჭი, არა აქვს მნიშვნელობა, რომელ ქვეყანაში ცხოვრობდა და რას მწყემსავდა – ცხვარს თუ ძროხას. ერთხელაც თვალი მდინარის პირას ამოსული ლერ-

წმებისკენ (ლერწამი ტანმალალი მცენარეა, რომელიც უმეტესად მდინარეებისა და ტბების ნაპირებზე ხარობს) გაეცა; იფიქრა, ცოტას გავერთობიო, მოჭრა ლერწმის ღერო, გამოთალა, რამდენიმე ნახვრეტიც გაუკეთა და ჩაბერა. ჰოი, საოცრებავ, ისეთი ნაზი და ლამაზი, სტვენისმაგვარი ხმა გამოსცა ლერწამმა, რომ ბიჭი აღტაცებაში მოვიდა. საკრავს სტვირი დაარქვა. მას მერე ბიჭი სტვირს არ იშორებდა. გაიყვანდა სამწყემსოს მინდვრად, თვითონ კი გორაკზე ავიდოდა, თან თვალყურს ადევნებდა, თან სტვირზე უკრავდა. უკრავდა გატაცებით, საკრავის საამური ბგერები მთელ არემარეს სწვდებოდა და ახლომახლო სოფლებში ისმოდა ნაზი, ულამაზესი ხმა. ბიჭი უმღერდა სამშობლოს, მეგობრობას, სიყვარულს და ისე სწრაფად ილეოდა დღე, რომ ვერც გრძნობდა, როგორ ეფარებოდა მზე მთებს და ცას სიბნელე ეპარებოდა. არცაა გასაკვირი, ხომ მოისმინეთ, როგორი მელოდიური, ნაზი, მღერადი ხმა აქვს სალამურს?

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. ხალხმა ძალიან შეიყვარა ეს საკრავი, დროთა განმავლობაში სტვირმა ცვლილება განიცადა – ლერწმის გარდა, უკვე ხისგან გამოთლაც დაიწყეს, ნახვრეტიც დაუმატეს და მისი ხმა უფრო გამომსახველი და მრავალფეროვანი გახდა. მასზე სასიმღეროს გარდა, საცეკვაოსაც უკრავდნენ. ალბათ, ასეთი საამური ხმის გამოა, რომ საკრავს ჩვენში სალამური დაარქვეს, სხვა ქვეყნებში სულ სხვა სახელები ჰქვია.

აი, დაახლოებით ასეთი წარმომავლობის უნდა იყოს სალამური, რომელიც ძალიან, ძალიან დიდი ხნის წინ გამოთალა ჩვენმა შორეულმა წინაპარმა.

დღესაც კი მეცხვარეები ხშირად ერთმანეთს შორი მანძილიდან სალამურით ეხმიანებიან. სხვადასხვა მელოდიის/მოტივის დაკვრით ცხვარს აბინავებენ ან იალაღებზე შლიან.

სალამური მწყემსურ საკრავადაა მიჩნეული, თუმცა მასზე მხოლოდ მწყემსები არ უკრავენ. სალამური საქართველოს თითქმის ყველა კუთხეშია გავრცელებული. ძველად ხალხს სწამდა, რომ სალამური ადამიანებს ღმერთმა აჩუქა.

სალამური არსებობს ენიანი და უენო. თანამედროვე ენიან სალამურს 6 ან 7 ნახვრეტი ანუ „თვალი“ აქვს.

თქვენც სცადეთ და უფროსების დახმარებით გოგრის ღეროსაგან (ფოთლოვან-ღეროვანის ნაწილის) ან სულაც სტაფილოსგან დაამზადეთ სალამურის მსგავსი საკრავი. გაუკეთეთ რამდენიმე ნახვრეტი და საკუთარი შექმნილი სტვირი-სალამურიც მზადაა (შემოთავაზებული გვაქვს ვიდეომასალა (22), სადაც ბავშვები ნახავენ, როგორ შეიძლება სტაფილოსგან სალამურის გაკეთება).

მასწავლებელი კლასს აჩვენებს ილუსტრაციებს – სხვა ხალხთა უძველეს ჩასაბერ საკრავებს:



უძველესი რქის
ჩასაბერი საკრავი
(აფრიკა)



ავსტრალიური
სალამური



ძველეგვიპტური ბუკი



ინგლისური სამონადირეო/
სასიგნალო ბუკი

აქტივობა III

მუს.დანყ.(I).4.5. გონებრივი იერიში: მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ ეზოში ან პარკში რომელი თამაშის დროს უწევთ სირბილი (არბენ- ჩარბენა), ხტუნვა, სრიალი და ა.შ., შემდეგ მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდს იმის შესახებ, თუ მუსიკალური ენის რომელი ელემენტების (მათთვის ცნობილი) მეშვეობით არის შესაძლებელი ზემოაღნიშნული მოქმედებების ასახვა.

„მზე შინა“

სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).1,2,6.

მოსმენა: „მზე შინა და მზე გარეთა“ – ანსამბლ „მზეთამზის“ შესრულებით; სულხან ცინცაძე – კვარტეტი №2, II ნაწილის ფრაგმენტი „მზე შინას“ თემაზე.

ცნებები: რიტმი, გრძლიობა, „ძეობის სიმღერა“.

რესურსი: ფორტეპიანო, მოსასმენი აპარატურა, აუდიოჩანაწერი.

სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები:


- * როგორ შეუძლია ამა თუ იმ ხმას რაიმე ემოციის გამოწვევა?
- * როგორ აისახება გარესამყარო ამა თუ იმ ხალხურ სიმღერაში?
- * როგორ შეიძლება გადმოვცეთ ბგერის თვისებებითა და მოკლე მოტივებით სხვადასხვა საგნის თვისებები?

საკლასო აქტივობები

აქტიურობა I

სიმღერების გამეორება: „ღალე“;

რიტმული სავარჯიშო: კლასი იყოფა ორ ჯგუფად. მოცემული სავარჯიშოს მიხედვით თითოეულ ჯგუფს შევასწავლოთ რიტმი ზედა და ქვედა ხაზზე. შემდეგ შევაერთოთ:



აქტიულობა II

მასწავლებელი ასმენინებს ხალხურ სიმღერას „მზე შინა“ (თავად მღერის ან ასმენინებს აუდიოჩანაწერს ანსამბლ „მზეთამზის“ შესრულებით (98)).

მასწავლებელი: „მზე შინა“ ერთ-ერთი უძველესი სიმღერაა, რომელსაც ბავშვის დაბადებისას ასრულებდნენ. მას „ძეობის სიმღერასაც“ უწოდებენ. ადრე ახალშობილთან დაკავშირებულ სხვადასხვა რიტუალს ატარებდნენ. მაგალითად, აკვანში პირველი ჩანწენა, თმის პირველად მოჭრა, პირველად გაბანვა და სხვა. ყველა ამ რიტუალს „მზე შინას“ მსგავსი მუსიკალური თანხლება გააჩნდა.

ქსე-დან (გ. ჩხიკვაძე. ტ. 6, გვ. 658): „მზე შინა და მზე გარეთა“ – ძეობის, ბავშვის დაბადების რიტუალთან დაკავშირებული წარმართობისდროინდელი ქართული ხალხური ორხმიანი სიმღერა, აგრეთვე სანესო ფერხული („სამაიას“ ნაირსახეობა). მონაცვლეობით ასრულებდა ორი ქალი. ამას მოსდევდა ღამისთევა გართობა-თამაშით, რომელშიც მონაწილეობდნენ ქალებიცა და კაცებიც. მონაწილეთა რაოდენობა დამოკიდებული იყო ოჯახის შეძლებაზე (ზოგჯერ ასსაც აღწევდა). ხანდახან ისროდნენ თოფს, ავი სულების დასაფრთხობად. მესამე დღეს ბავშვის დედას ტახტრევანზე დააწვენდნენ. იწყებოდა მილოცვები სიმღერით. სიმღერითვე მიმართავდნენ მზეს: „მზე შინა და მზე გარეთა, მზევე, შინ შემოდიო...“ ამ სიმღერის ფონზე ცეკვავდნენ ფერხულს. ...ცეკვა ნარნარი ხასიათისა უნდა ყოფილიყო. ძეობის რიტუალი 2 კვირას გრძელდებოდა. საძეობო სიმღერის მრავალი

ვარიანტია ცნობილი. მათში მეტ-ნაკლებადაა დაცული ძველი სარიტუალო წესის ელემენტები (მაგ. ცხვრის მსხვერპლშენირვა)“.

რატომ იყო ვაჟის დაბადება განსაკუთრებულად სასიხარულო და სანატრელი? აი, რატომ:

საქართველო პატარა ქვეყანაა, მოსახლეობაც, შესაბამისად – ცოტა. მტერი კი ყოველთვის მრავლად გვყავდა – არაბები, სპარსელები, თურქები. ყველას ჩვენი მშვენიერი ქვეყნის დაპყრობა უნდოდა. ქართველი ვაჟკაცები გმირულად იბრძოდნენ მტრის წინააღმდეგ. მრავალი მამულიშვილი დაეცა ბრძოლის ველზე, მრავალმა დედამ ჩაიცვა შავი, მრავალი ბავშვი დაობლდა. ყოველი ვაჟი უკვე ერთით მეტი მეზობელი იყო ქართველთა ჯარისთვის, ერთით მეტი გმირი იყო ქვეყნისა. ამიტომაც განსაკუთრებით უხაროდათ ვაჟის დაბადება – „ძეობა“. დიდ წვეულებას მართავდნენ და ზეიმობდნენ. ამას მშობლები და ახლობლები მზის შინ შემოსვლას ადარებდნენ.

მასწავლებელი „მზე შინას“ ტექსტს კითხულობს, შემდეგ სიმღერის შესწავლას სთავაზობს ბავშვებს.

როგორც მოსმენისას შეამჩნიეთ, ეს სიმღერა მშვიდად სრულდება. აღწერეთ, რა ემოცია გამოიწვია მან თქვენში (სიხარული, სევდა, გაბრაზება, აღტაცება, სიმშვიდე თუ სხვა).

აქტივობა III
სიმღერის შესწავლა:

„მზე შინა და მზე გარეთა,
მზევ, შინ შემოდიო.
უყივლია მამალსაო,
მზევ, შინ შემოდიო,
ჩვენ ვაჟი დაგვბადებია,
მზევ, შინ შემოდიო.
მზე დანვა და მთვარე შობა,
მზევ, შინ შემოდიო.
ვაჟის მამა შინ არ არის,
მზევ, შინ შემოდიო.
შინ არ არის, ქალაქს არის,

მზევ, შინ შემოდიო.
აკენის სასყიდლად წასულა,
მზევ, შინ შემოდიო.
უყიდნია, წამოსულა,
მზევ, შინ შემოდიო.
შინაც მშვიდობით მოსულა,
მზევ, შინ შემოდიო.
გიხაროდეთ, ქალებოო,
მზევ, შინ შემოდიო.
გიხაროდეთ ძეობაო,
მზევ, შინ შემოდიო.

მზევ, შინ შემოდიო

ზომიერად

ხალხური

მზე ში-ნა და მზე გა-რე-თა, მზევ, შინ შე-მო - დი - ო,

უ - ყი - ვლი-ა მა - მა-ლსა-ო, მზევ, შინ შე - მო - დი - ო. დი - ო.

სიმღერის შესრულებისას მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, მოძრაობით აჰყვნენ მელოდიას. უხსნის, რომ ამ სიმღერას სირბილი და ხტუნვა არ უხდება. მოძრაობა ნარნარი, ტალღისებური უნდა იყოს. მთავარია, ამ მოძრაობით მივანიშნოთ მზეს, შინ გვეწვიოს.

მუს.დანყ.(I).1,2.

* როგორ შეიძლება გადმოვცეთ ბგერის თვისებებითა და მოკლე მოტივებით სხვადასხვა საგნის თვისებები?

სავარაუდო კითხვები: გაიხსენეთ, რომელი მუსიკალური საკრავები ისწავლეთ; თქვენი აზრით, რომლის ჟღერადობა მოუხდება ამ სიმღერას („მზე შინა“); დაასაბუთეთ რატომ. დაასახელეთ საგნები, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ სიმღერის შესრულებისას (მაგ.: რაიმე სათამაშო, აკვანი, ბალიში, საბანი, თოჯინა და სხვ.); როგორ გადმოსცემდით მუსიკით აკვნის რწევისას გამოცემულ ხმოვანებას? რომელ საკრავს გამოიყენებდით? (მოსწავლეები დაასახელებენ შესრულების რიტმს, ბგერების ხანგრძლივობას, ტემპს, ხასიათს, საკრავებს).

აქტივობა IV

ხალხური სიმღერებისა თუ ცეკვების მელოდიებს კომპოზიტორები ხშირად მიმართავენ თავიანთ ნაწარმოებებში. მოისმინეთ ნაწარმოები და ამოიცანით ხალხური სიმღერა.

მოსმენა: სულხან ცინცაძე – კვარტეტი №2-ის II ნაწილის მოკლე ფრაგმენტი „მზე შინა“ თემაზე (99).

საუბარი მოსმენილის ირგვლივ: მასწავლებელი მოსწავლეების ყურადღებას ამახვილებს ნაწარმოების შესრულების ტემპზე, რიტმის ცვალებადობაზე; სთხოვს ბავშვებს, ჟღერადობით ამოიცნონ მათთვის ნაცნობი საკრავი და დაახასიათონ ის (ვიოლინო – სიმებიანი, უკრავენ თითებითა და ხეშით, და ა. შ.).

სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).1,2,4,5,6.

მოსმენა: ქართული და შოტლანდიური გუდასტვირის ხმოვანება.

საკრავების გაცნობა – ქართული და შოტლანდიური გუდასტვირი.

ცნება – ჰანგი, მესტვირე.

რესურსი: ფორტეპიანო, მოსასმენი აპარატურა, აუდიო/ვიდეოჩანაწერი.


სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები:

* როგორ შეიძლება დავუკავშიროთ ბგერის თვისებები საგნის თვისებებს (რა ასო-ციაციური კავშირის გაბმა შეიძლება ბგერისა და საგნის თვისებებს შორის)?

საკლასო აქტივობები

აქტივობა I

ორ ჯგუფად დაყოფილი კლასი ასრულებს რიტმულ-ინტონაციურ სავარჯიშოს წინა გაკვეთილის I აქტივობიდან:



აქტივობა II

მასწავლებელი კლასს აჩვენებს გუდასტვირის ილუსტრაციას.

გუდასტვირი ქართული ხალხური ჩასაბერი საკრავია. შედგება ორი ნაწილისგან: თხის ან ცხვრის ტყავისაგან დამზადებული გუდისა და სტვირისაგან). როცა გუდა ჰაერით აივსება, მესტვირეს შეუძლია მასზე დაკვრა და სიმღერაც. სანამ გუდა ჰაერითაა გაბერილი, მაშინ შესაძლებელია დამკვრელმა ამავდროულად იმდეროს კიდეც. გუდასტვირის თანხლებით ცეკვები და სიმღერები სრულდება. ფოტოზე კარგად ჩანს, როგორ უჭირავს მუსიკოსს გუდასტვირი. მას მესტვირეს ეძახიან. ეს არის გუდისა და ქარახსით (რქით) დაბოლოებული ორი პარალელური ლერწმისაგან ან დიდგულასაგან გაკეთებული საკრავი. დაკვრის პროცესში მესტვირე დროგამოშვებით ჩაბერავს ჰაერს გუდაში, რომელიც ილლიაში აქვს ამოღებული და ბგერას მასზე მკლავის მოჭერით გამოსცემს. ლერწმებზე დატანებულია თვლები, რომელთა რაოდენობა განსხვავებულია. ეს დამოკიდებულია იმაზე, საქართველოს რომელ კუთხეშია დამზადებული ეს საკრავი. მაგალითად, რაჭულ გუდასტვირს ერთ ლერწამზე ექვსი, მეორეზე კი სამი თვალი აქვს, აჭარულს (ჭიბონს) – ხუთი და სამი.



გუდასტვირი გამოიყენება როგორც სათანხლებო, ასევე სოლო საკრავად. გუდასტვირის თანხლებით სახუმარო სიმღერებს ამღერებენ, ხოლო მეორე შემთხვევაში (ზოგჯერ

დოლთან ერთად) ცეკვის ან სახალხო სანახაობის (უპირატესად ბერიკაობის, „ალილოზე“ სიარულის) მონაწილეა.

საქართველოს ზოგიერთ კუთხეში ერთდროულად ორ ლულაზე დროდადრო გუდის გარეშეც უკრავენ. ამ შემთხვევაში ერთ-ერთზე ძირითადი ჰანგი იკვრება, მეორეზე – ბანის პარტია.

მასწავლებლისთვის: ქართული მუსიკის ენციკლოპედია – „ჰანგი – ვოკალური (ზოგჯერ საკრავიერი) მუსიკის შესასრულებლად განკუთვნილი მელოდიის აღმნიშვნელი სიტყვა. ამგვარი ორმაგი (უმთავრესად ასკილის ან ლერწმის) საკრავი ქართლში დღესაც გამოიყენება. იგი გუდასტვირის ერთ-ერთ წინამორბედად უნდა მივიჩნიოთ. აღსანიშნავია, რომ იშვიათად მესტირეები, თუ რაიმე მიზეზის გამო გუდა არა აქვთ, უგუდოდაც უკრავენ („ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედება“ – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი, 2005).

აქტივობა III

მასწავლებელი ფორტეპიანოზე უკრავს ი. ს. ბახის „გუდასტვირს“ (იხ. დანართი, გვ. (ან ასმენინებს მოსასმენი ფაილებიდან):

გუდასტვირი

ი. ს. ბახი



იოჰან სებასტიან ბახი 300 წელზე მეტი ხნის წინ დაიბადა. ბახი ათი წლისა დაობლდა. მისი აღზრდა უფროსმა ძმამ იოჰან კრისტოფმა ითავა. იოჰან სებასტიან ბახი ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი კომპოზიტორია.



გონებრივი იერიში: მასწავლებელი ასმენინებს შოტლანდიური (100) (ან აჩვენებს ვიდეოკადრებს (23)) და ქართული გუდასტვირის (101) ხმოვანებას.

კლასში იმართება დისკუსია ქართული და შოტლანდიური გუდასტვირის (bagpipe) მსგავსებისა და განსხვავების შესახებ (ვიზუალური და ინტონაციური). მოსწავლეები დაადგენენ, მოსმენილი ნაწარმოებების მაგალითზე, რომელი გუდასტვირის ინტონაციებს უფრო მეტად მიესადაგება ეს საფორტეპიანო ნაწარმოები (ბახის „გუდასტვირი“); ასაბუთებენ, რატომ ფიქრობენ ასე.

მესტირე – გუდასტვირზე დამკვრელი, მომღერალი, მელექსე, დღესასწაულებისა და სახალხო სანახაობათა ერთ-ერთი პოპულარული მონაწილე.

III.67.

„იმა მთაზედა“

სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).4,5,6.

მოსმენა: ხალხური სიმღერა „იმა მთაზედა“.

ვიდეორჩენება: სვანური საფერხულო „შაივოდი“.

სიმღერის შესწავლა – „იმა მთაზედა“.

ცნებები: ბგერის გრძლიობა, ხმაბაძვითი სიტყვები, მოტივი.

რესურსი: მოსასმენი აპარატურა, აუდიოჩანაწერი.

სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები:

* როგორ აისახება გარესამყარო ამა თუ იმ ხალხურ სიმღერაში?

საკლასო აქტივობები

აქტივობა I

გამის გამღერება; რიტმული სავარჯიშო (მოსწავლეები მიუთითებენ ძლიერ და სუსტ დროს):



ნასწავლი სიმღერების გამოვლენა (მასწავლებლის შეხედულებისამებრ).

აქტივობა II

მასწავლებელი: ოდესმე თუ დაფიქრებულხართ, რამდენაირ ბგერებს ისმენს ჩვენი ყური? დილით, შუადღით, საღამოს და ღამით, გვინდა თუ არა, ჩვენ ბგერების „მუსიკის“ გარემოში ვიმყოფებით. ვერც კი ვამჩნევთ, ეს ბგერები როგორ ცვლიან ჩვენს გუნება-განწყობას.

დაფიქრდით და დაასახელეთ ხმები/ბგერები, რომლებიც თქვენში იწვევენ ღიმილს, კმაყოფილებას, გაღიზიანებას, შიშს.

ათასგვარ ხმას გავიგონებთ ბუნებაში. წარმოიდგინეთ განთიადი გაზაფხულის დილით – ბრწყინვალე მზე მძიმედ ამოზრუნდება და თავისი სხივებით არემარეს ანათებს და ათბობს, აქა-იქ შემორჩენილი თოვლი დნობას იწყებს და პატარა ნაკადულებად მირაკრავებს, ყველა სულიერი იღვიძებს – ახლად გამოღვიძებული ჩიტები ჭიკჭიკს იწყებენ, ცხოველები ბუნაგებიდან გამოდიან მზის სხივებით გასათბობად და საკვების მოსაპოვებლად, ირმები ნორჩ ბალახს ეტანებიან, ხეებს კვირტები გამოაქვთ, გადამფრენი ფრინველები თბილი ქვეყნებიდან მოფრინავენ და მათი მხიარული ხმები გარემოს სასიამოვნო ბგერებით ავსებს, მიწიდან თავი ამოუყვიათ გაზაფხულის პირველ ყვავილებს... წარმოიდგინეთ ყველაფერი ეს, აღწერეთ თქვენი განწყობა და თქვენც მოიფიქრეთ, კიდევ რა ხმებს გაიგონებთ წელიწადის ამ დროს და გაახმოვანეთ ისინი (ხმაბაძვითი სიტყვები).

ძველად საქართველოში გაზაფხულის დადგომასთან ერთად მრავალი დღესასწაული იმართებოდა. ქართველები გაზაფხულს საფერხულო სიმღერებით ხვდებოდნენ (მასწავლებელს შეუძლია მოასმენინოს სვანური საფერხულო). მასწავლებელი ჯერ ასმენინებს სიმღერას „იმა მთაზედა“ (102). შემდეგ იწყება სიმღერის ტექსტისა და მელოდიის შესწავლა:

სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).1,2,3,4,5,6.

მოსმენა: ლ. იაშვილი – სიმღერა „კრიჭი-კრიჭი“.

რესურსი: ფორტეპიანო, მოსასმენი აპარატურა, აუდიოჩანაწერი.

სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები:

* რა მოძრაობებთან ასოცირდება მოტივი, ტემპი და რიტმი?

საკლასო აქტივობები

აქტივობა I

გამის გამლერება. რიტმული სავარჯიშო: „ჭრელო პეპელა“ ჩაწეროთ ასეთი სახით:



მასწავლებელი ეუბნება მოსწავლეებს, რომ ეს ძალიან ცნობილი სიმღერის ფრაგმენტის რიტმული ნახაზია. თუ ამოცნობა გაუჭირდათ, შეიძლება დასაწყისი ბგერებიც წავუმღეროთ/დავუკრაოთ ან რაიმე მოძრაობით, მიმიკით მივანიშნოთ.

რიტმის დამახსოვრების შემდეგ, მასწავლებელი კლასს ყოფს ორ ჯგუფად. პირველი ჯგუფი მღერის, მეორე ჯგუფი აღნიშნავს სიმღერის მეტრს – კაკუნი/ტაში ძლიერ დროზე. შემდეგ ჯგუფები ადგილებს შეცვლიან.

აქტივობა II

• მოსწავლემ უნდა წარუდგინოს მთელ კლასს საყვარელ ნივთი პატარა მუსიკალური ნაწყვეტის მეშვეობით: მოსწავლე უჩვენებს თანაკლასელებს რამდენიმე ნივთის სურათს, რომელთა შორის მისი საყვარელი ნივთიც არის. შემდეგ წაიძლერებს რომელიმე სიმღერის მელოდიას და თან შესაბამის მოძრაობებს გააკეთებს. თანაკლასელებმა უნდა ამოიცნონ, ამ სურათებიდან რომელია მათი მეგობრის საყვარელი ნივთი.

მოსწავლეებმა შეიძლება წაიძლერონ მოტივი ამ ნივთთან დაკავშირებული სიმღერიდან, მაგალითად, ინოლა გურგულიას „აჩუ-აჩუ“, მერი დავითაშვილის „პატარა მატარებელი“; გიორგი ცაბაძის „საათი“, ჩეხური სიმღერა – „ვიოლინომ ინკრიალოს სულ“, მერაბ მერაბიშვილის „დიმპიტაური“ ან სხვა მისთვის ნაცნობი სიმღერიდან (შესაძლებელია გაიხსენონ მოტივი საკრავიერი მუსიკიდანაც).

აქტივობა IV

მასწავლებელი: სასწავლო წლის მიწურულს კიდევ ერთ ლამაზ სიმღერას შემოგთავაზებთ, მოისმინეთ და გამოთქვით თქვენი აზრი, როგორ აღწერა ზაფხულის ცხელი დღეები კომპოზიტორმა ლილი იაშვილმა სიმღერაში „კრიჭი-კრიჭი“. აღწერეთ, როგორი ხასიათისაა, როგორი ტემპით სრულდება; რა მოხდებოდა, ძალიან ნელა, სევდიანად რომ შეგვესრულებინა? იქნებ რომელიმე თქვენგანმა იცის კიდევ ეს სიმღერა, სად მოგისმენიათ? ხომ არ შეგვისრულებდით?

მოსმენა: სიმღერა „კრიჭი-კრიჭი“ დათო გომართელისა და „ბასტი-ბუბუს“ შესრულებით (106). მასწავლებელი უკრავს ფორტეპიანოზე ან ამღერებს ბავშვებს საფორტეპიანო ფონოგრამის თანხლებით (იხ. ფონოგრამების ფაილში):

ჭრიჭი-ჭრიჭი

ზომიერად

მუსიკა ლილი იაშვილის
ტექსტი ნაზი კილასონიასი

mf

მაკ - რა - ტე - ლი ა - ღუ - ღუნ - და კრი - ჭი, კრი - ჭი, კრი - ჭი

The first system of the musical score consists of a vocal line and a piano accompaniment. The vocal line is written in a single staff with a treble clef and a key signature of one sharp (F#). The lyrics are 'მაკ - რა - ტე - ლი ა - ღუ - ღუნ - და კრი - ჭი, კრი - ჭი, კრი - ჭი'. The piano accompaniment is written in two staves (treble and bass clefs) with the same key signature. The right hand plays a series of chords, while the left hand plays a simple bass line.

და კო - ტო - რა და - გვი - ბრუნ - და თმა - ქო - ჩო - რა ბი - ჭი.

The second system of the musical score continues the vocal line and piano accompaniment. The lyrics are 'და კო - ტო - რა და - გვი - ბრუნ - და თმა - ქო - ჩო - რა ბი - ჭი.'. The musical notation follows the same pattern as the first system, with a vocal line and piano accompaniment in G major.

მაკ - რა - ტე - ლი ა - ღუ - ღუნ - და კრი - ჭი, კრი - ჭი, კრი - ჭი

The third system of the musical score repeats the vocal line and piano accompaniment from the first system. The lyrics are 'მაკ - რა - ტე - ლი ა - ღუ - ღუნ - და კრი - ჭი, კრი - ჭი, კრი - ჭი'.

და კო - ტო - რა და - გვი - ბრუნ - და თმა - ქო - ჩო - რა ბი - ჭი.

The fourth system of the musical score repeats the vocal line and piano accompaniment from the second system. The lyrics are 'და კო - ტო - რა და - გვი - ბრუნ - და თმა - ქო - ჩო - რა ბი - ჭი.'. The system concludes with a double bar line and repeat dots.

69-70. „გამეორება ცოდნის დედა“ შემაჯამებელი გაკვეთილები

მიზანი: მოსწავლის ცოდნის შემოწმება. მხატვრული სახის, განწყობილების, ემოციის გადმოცემისას მოსწავლე იყენებს და ეუფლება ხელოვნების სხვა დარგების გამომსახველობით საშუალებებს – ცეკვას, გაითამაშებს თეატრალურ ეტიუდებსა და სცენებს; ეუფლება და იყენებს მუსიკალური ენის ნასწავლ ელემენტებს – განარჩევს და სხვადასხვა ხერხით გამოხატავს ბგერას, მეტრს, ტემპს, რეგისტრს, დინამიკურ ნიუანსებს, იმეორებს და აბოლოებს თანაკლასელის ან მასწავლებლის მიერ წარმონეყბულ მელოდიას.

სტანდარტის შედეგები: მუს.დანყ.(I).1,2,4,5.


მოსმენა: ჟ. ფ. რამო „ქათამი“ – ფ-ნო; პოპური სალამურზე; ხორუმის რიტმები – დოლი; ვიტორიო მონტი „ჩარდაში“ ქსილოფონის სოლოთი, ნიკოლო პაგანინი – „კაპრისი“.

ვიდეორჩენება: გოჭი პეპა და მუსიკალური საკრავები

რესურსი: მოსასმენი და ვიდეოს საჩვენებელი აპარატურა. აუდიოჩანაწერი; ტომსიკა „ცოდნის ქისა“, ნახატები „სევდიანი“ და „მხიარული“ ღიმილებით; სათამაშო საკრავები ან თაბახის ფურცლებზე ამობეჭდილი საკრავებისა ილუსტრაციები.

აქტივობები:

რიტმული ნახაზი ტაპით:



სიმღერა „კრიჭი-კრიჭი“.

მასწავლებელი რამდენიმე გაკვეთილით ადრე სთხოვს მოსწავლეებს, წლის ბოლო შემაჯამებელი გაკვეთილისთვის ნებისმიერი მასალით მოამზადონ პროექტი „რატომ მიყვარს მუსიკა“. პროექტი ითვალისწინებს პრეზენტაციას მოსწავლეთა იმ ნახატების, ნაძერწის, აპლიკაციებისა და სხვა ნამუშევრების, რომლებიც რომელიმე მუსიკის გაკვეთილის ან მუსიკალური ნაწარმოების შთაბეჭდილების ქვეშ შეიქმნა. ავტორმა უნდა ისაუბროს – რა დახატა (ან გამოძერწა), რომელი თემის ან სიმღერის შთაბეჭდილებით შექმნა, რატომ აირჩია ის და ა. შ.

სასწავლო წლის დასასრულს, ბავშვების ცოდნის შესაჯამებლად გამოვიყენოთ სავარჯიშო-თამაშები (რამდენიმე ან ყველა (საგაკვეთილო დროის გათვალისწინებით), მაგალითად:

„ცოდნის ქისა“

მასწავლებელს წინასწარ მომზადებული აქვს ნაჭრის ტომსიკა, რომელზედაც მიკრული იქნება წარწერა „ცოდნის ქისა“. მასში მცირე ზომის იმდენი ფურცელი ყრია, რამდენი ბავშვიცაა კლასში. თითოეულ ფურცელზე დაწერილია საკრავის, სიმღერის ან ცეკვის დასახელება, მუსიკის გაკვეთილებზე შესწავლილი ტერმინი, აუდიოჩანაწერით მოსმენილი მელოდიის გამოცნობა და ა.შ. მასწავლებელი ჩამოივლის მერხებს შორის, ხელში „ქისით“

და რიგრიგობით ყოველი ბავშვი იღებს ერთ ფურცელს. ამის შემდეგ ბავშვები სათითაოდ გამოვლენ დაფასთან და შეასრულებენ იმ დავალებას, რაც ფურცელზე წერია (მღერის აღნიშნულ სიმღერას, ასრულებს საცეკვაო ილეთებს, გამოიცნობს მელოდიას, მოსმენილი მასალიდან ამოიცნობს საკრავს ჟღერადობის მიხედვით და ასრულებს ამ საკრავზე დაკვრის იმიტაციას (განმარტავს – დასარტყამი, ჩასაბერი, სიმებიანი, ხალხური, საორკესტრო), საუბრისას გამოიყენებს დინამიკურ ტერმინებს – ფორტე, პიანო).

- სავარაუდო კითხვები შეიძლება იყოს:
- დაასახელეთ ბგერის თვისებები
- რას ნიშნავს სოლო შესრულება?
- რას ნიშნავს გუნდური შესრულება?
- რა ჰქვია მუსიკოსთა დიდ ჯგუფს, რომლებიც ერთდროულად უკრავენ სხვადასხვა მუსიკალურ ინსტრუმენტზე?
- ვინ ხელმძღვანელობს ორკესტრს?
- რა ჰქვია ადამიანს, რომელიც წერს/თხზავს მუსიკას?
- რა არის აკომპანემენტი?
- რას გამოიწვევს მუსიკალური ნაწარმოების ტემპის შეცვლა?
- ვინ არის ანტონიო ვივალდი და მისი რა ნაწარმოებები მოვისმინეთ?
- რომელი ნაწარმოები დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად და რატომ? ისაუბრეთ მის შესახებ.
- ვინ ხელმძღვანელობს ორკესტრს?
- დაასახელეთ საორკესტრო საკრავები.
- როგორ ფიქრობთ, ჭირდება ორკესტრს დირიჟორი? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.
- რომელ საკრავზე ისურვებდით დაკვრის შესწავლას? აღწერეთ მისი ჟღერადობა.
- და ა. შ.
- ამის შემდეგ მასწავლებელი დაფაზე ხაზავს ცხრილს და მოსწავლეების პასუხებს ჩაწერს შესაბამის გრაფაში:

თვითშეფასების ცხრილი

რა ვიცოდი	რა ვისწავლე	რა მინდა ვიცოდე

თამაში „დაასრულე მელოდია“
მიზანი: ინტონაციურად სწორად სიმღერის, მეხსიერების, სმენითი უნარების გამოვლენა (მუს.დანყ.(I).4,5,6).
მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს შესწავლილი და ნაცნობი სიმღერების დასაწყის ფრაგმენტებს. ბავშვებმა უნდა გამოიცნონ სიმღერა, დაასახელონ ავტორი და დაასრულონ მელოდია. შემდეგ მოსწავლეები თავად განაგრძობენ თამაშს.
ერთ-ერთი მოსწავლე მხოლოდ მიმიკებით, მოძრაობებით მიაწვდის რომელიმე სიმღერის შინაარსს. თუ ბავშვებმა ვერ გამოიცნეს, მოსწავლე განმეორებით გააკეთებს იმავე მოძრაობებს და წაიმღერებს სიმღერის დასაწყის რამდენიმე ბგერას.

„განწყობა“

თამაში მუსიკის ხასიათის ამოსაცნობად.

I ვარიანტი: მასწავლებელი კლასს დაურიგებს მუყაოს ნაჭრებს (ამ თამაშისთვის წინასწარ დამზადებულს), თითოეულს ორ-ორს (განსხვავებული ხასიათის „სახეებიანს“).



აუდიოჩანაწერით ბავშვები ისმენენ სხვადასხვა ხასიათის მუსიკას გაკვეთილებზე განხილული ნაწარმოებებიდან (მხიარული ან სევდიანი). მოსმენილი ნაწარმოების ხასიათის მიხედვით პატარები ამოარჩევენ შესაბამის ნახატს და ხელის ზემოთ აწევით აჩვენებენ მასწავლებელს.

სიმღერის/ნაწარმოების ან ცეკვის ამოცნობისას, ასახელებენ ამ სიმღერას/ნაწარმოებს იხსენებენ, სად მოუსმენიათ (ფილმში, მულტფილმში, გაკვეთილზე, ვინმეს შესრულებით და ა. შ.).

II ვარიანტი: თითოეულ მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი მუყაო ერთი ხასიათის „სახით“. მუსიკალური ნაწარმოების მოსმენისას, ის მოსწავლე ასწევს მუყაოს, რომელზედაც, თავისი აზრით, მუსიკასთან შესაბამისი ხასიათის „სახეა“ დახატული.

„ამოვიცნოთ საკრავი“

მასწავლებელი კლასს ურიგებს მუსიკალური საკრავების ილუსტრაციების ბარათებს (წლის განმავლობაში შესწავლილი მასალის მიხედვით), აუდიოჩანაწერით ასმენინებს სხვადასხვა მუსიკალური საკრავის სოლო შესრულებას (მაგ., რამო „ქათამი“ – ფ-ნო; პოპური სალამურზე; ხორუმის რიტმები – დოლი; ვიტორიო მონტი „ჩარდაში“ ქსილოფონის სოლო-თი, ნიკოლო პაგანინი – „კაპრისი“ და სხვ. ბავშვებმა ჟღერადობით უნდა ამოცნონ საკრავი და ასწიონ შესაბამისი საკრავის გამოსახულებიანი ბარათი, ამასთანავე უნდა დაასახელონ – ხალხურია, საორკესტრო, სიმებიანი, დასარტყამი თუ ჩასაბერი.

ბუკში ჩატვირთული ილუსტრაციებიდან მასწავლებელი აჩვენებს რამდენიმეს და ეკითხება მოსწავლეებს:

რა საკრავზე უკრავს გოგონა? (ფლეიტაზე)

რა ჯგუფის საკრავია ფლეიტა? (ჩასაბერი)

რა საკრავზე უკრავს ბიჭუნა? (ფანდურზე)

როგორი საკრავია ფანდური? (სიმებიანი)

რომელი მათგანია ხალხური საკრავი და რომელი – საორკესტრო?

მოსწავლეები ასევე ათვალიერებენ სხვა საკრავებს და უპასუხებენ მასწავლებლის კითხვებს.

ვიდეოჩვენება: ანიმაცია „გოჭი პეპა და მუსიკალური საკრავები“ (16), სადაც ბავშვები ამოიცნობენ საკრავებს და მოისმენენ მათ ჟღერადობას.

გისურვებთ წარმატებებს, მომავალ შეხვედრამდე!

დანართი

დიძიჯაუჩი

ცოცხლად, მხიარულად

მუსიკა მერაბ მერაბიშვილის
ტექსტი მაყვალა მრეველიშვილის

ცე - კვა უ - ყვარს ბი - ჭუ - ნას,
ა - თა - მა - შებს გო - გო - ნას,
ბაღ - და - დუ - რიც ჩა - ბუქ - ნა,

თი - თის წვერ - ზე და - უვ - ლის,
და - ურ - ბი - ნა გარ - შე - მო,
კოტ - რი - ა - ლიც გა - უ - დის,
ა - ბა ლხი - ნი გი - ყვარ -
და სკუპ - სკუ - პით ხან - და -
ა - მის - თა - ნა ცეკ - ვა -

დეთ, და-ჰკრეს დიმი-ჰი-ტა-უ-რი
 ხან, გა-უხ-ტე-ბა გან-და-გან.
 ა ჩვე-ნი დიმი-ჰი-ტა-უ-რი.

ა - ბა ღზი-ნი გი - ვვარ - დეთ,
 და სკუპ-სკუ-პით ხან - და - ხან,
 ა - მის - თა - ნა ცმკ - ვა - ა,

და-პერეს დიმ-პი - ტა - უ -
 გა - უხ - ტე-ბა გან - და -
 ჩვე - ნი დიმ-პი - ტა - უ -

(ტაშის აყოღებით)

[illegible]

შემოდგომაზე გაგვახარა

მუსიკა მერაბ მერაბიშვილის
ტექსტი მარინა ბლიაძის

მხიარულად

შე- მოდ- გო- მამ გა- გვა- ნა- რა,
სავ- სე ა- რის საწ- ნა- ხე- ლი,

ჰა - რა - ლე, ა - თას-ნა - ირ ფე - რე - ბით
ჰა - რა - ლე, ქარ-ვის-ფე-რი მტვე - ნე - ბით,

ა - ივ-ნე-ბი მო-ი-ფი-ნა, ჰა - რა - ლე ხი-ლით და ჩურ-ჩხე - ლე -
შე-მოდ-გო-მას ვე-გე-ბე-ბით ჰა - რა - ლე ცეკ-ვით და სიმ-ლე - რე -

ბით ბით ა - ივ - ნე - ბი მო - ი - ფი - ნა, პა - რა - ლე,
შე - მოდ - გო - მას ვე - გე - ბე - ბით პა - რა - ლე.

ბაში simile
ხი - ლით და ჩურ - ჩხე - ლე - ბით პა - რა - ლე, პა - რა - ლე,
ცეკ - ვით და სიმ - ლე - რე - ბით

ხი - ლით და ჩურ - ჩხე - ლე - ბით პა - რა - ლე, პა - რა - ლე,

1. ხი - ლით და ჩურ - ჩხე - ლე - ბით ბით პე
2. ხი - ლით და ჩურ - ჩხე - ლე - ბით ბით პე

f

თოვლი მოდის, თოვს

მუსიკა თ. კოპალიანის
ტექსტი გ. ჭიჭინაძის

ცოცხლად

ცა ნაც - რის - ფრად გა - ცრე - ცი - ლა თოვ - ლი მო - დის თოვს
ა - ხა - ლი წლის დი - ღას შევ - ხედეთ თოვ - ლი მო - დის თოვს

ფან - ტე - ლე - ბი ცვი - ვა ცი - დან თოვ - ლი მო - დის თოვს
ბედ - ნი - ე - რი, მხი - ა - რუ - ლი თოვ - ლი მო - დის თოვს

ფან-ტელ ფან-ტელ ფთი-ლა ფთი - ლა თოვ-ლი მო-დის თოვს
 მუ - დამ ეს რომ დაგ-ვე - ბე - დოს ნუ დავ-კარ-გავთ დროს

1.
 ხე - ლის გულ-ზე ნა - ზად ცვი - ვა ე - ცე - მა და თოვს
 ჩვენც ვიმ - ღე-როთ, ჩვენც ვი - ცეკ - ვოთ თოვ-ლი მო - დის,

2.
 თოვს

ფან - ტელ ფან - ტელ ფთი - ლა ფთი - ლა

თოვ-ლი მო-დის თოვს ჩვენ ვიმ - ღ - როთ ჩვენც ვიცეკ - ვოთ

თოვ-ლი თოვ-ლი მო-დის მო-დის თოვს.

ფიფქები

მუსიკა და ტექსტი
გიული დარახველიძის

თოვლის ფანტელებო, თოვლის ფანტელებო, თეთრად რომ დაფარეთ მთები,
ყველგან თუ ჩერ-დე-ბით ჩემს ხე-ლის გუ-ლებ-ზე ა-სე მა-ლე რა-ტომ დნებოთ
ფიფ - ქე - ბო, ფიფ - ქე - ბო, ქათ - ქა - თა ფიფ - ქე - ბო,
ფიფქე - ბო, ფიფ - ქე - ბო, ქათ - ქა - თა ფიფ - ქე - ბო!

2. თქვენი მოსვლა მე რომ ასე მიხარია,
არ იცით, არ იცით, ალბათ,
მინდა მოგეფეროთ ქათქათა ფიფქებო,
ცოტა ხნით ნურსად ნუ წახვალთ.

მისამღერი: ფიფქებო, ფიფქებო, ქათქათა ფიფქებო... 2-ჯერ.

თოჯინები

მუსიკა მ. დავითაშვილის
ტექსტი მ. მრეწელიშვილის

ცოცხლად

mf

იპ, იპ, რა კარ - გე - ბი ვართ,

mp

სუფ - თე - ბი და კოხ - ტე - ბი. ნე - ტავ გა - გვა - გე - ბი - ნა

რო - მელ ბავ - შუთან მოვ - ხედე - ბით: ძა - ლით ხომ არ და - გვაშტვრევს,

ხომ არ და - გვა - ზი - ა - ნებს გვინ - და შვე - ხედეთ პა - ტა - რებს,

მხიარული გოჭები

ინსცენირება სკოლის დაწყებითი კლასებისათვის

მხიარული გოჭები 1. შესავალი

მუსიკა მერაბ მერაბიშვილის
ტექსტი მარინა ბლიაძის

ზომიერად

f secco

იხსნება ფარდა. მოჩანს ტყე.

წამყვანი: იყო და არა იყო რა, იყო სამი გოჭი. ერთმანეთის მსგავსნი, ფუნჩულები, მოკლე, ერთნაირად დაგრეხილი კუდებით. ერთს ერქვა კუდა-კუ-და, ჭყვიი! მეორეს – ცქნაფა-ცქნა-ფა, ჭყვიი! მესამეს – ფუმფულა – ფუმ-ფუ-ლა.

გოჭები იწყებენ სიმღერას: (№2 „ღრუტუნები“)

№2 ღრუჭუნები

ცოცხლად

f

ჩვენ ამ ტყე-ში გა-ვიზარდეთ, კუ-და ცქნა-ფა

f *mf*

ფუმ-ფუ-ლა, მუ-დამ წაბლს და რკოს მი-ვირთ-მევთ, სა-მი გო-ჭი ღრუ-ტუ-ნა

სა-მი გო-ჭი ლაშა-ზე-ბი, კუ-და, ცქნა-ფა, ფუმ-ფუ-ლა, ვთა - მა - შობთ და

ვმღერო-ვართ, სა-მი გო-ჭი ღრუ-ტუ - ნა ღრუტ, ღრუტ,

ღრუტ, ღრუტ, სა - მი ძმა ვართ ღრუ-ტუ - ნა, ღრუტ, ღრუტ,

ღრუტ, ღრუტ, სა-მი გო-ჭი ღრუ - ტუ - ნა 1. ნა, ღრუტ 2. ნა, ღრუტ

კუდა: ბავშვებო, ჩვენ ძალიან გვინდა გაგიცნოთ და დავმეგობრდეთ. თქვენც ხომ გინდათ ჩვენთან მეგობრობა?

ბავშვები: გვინდა, გვინდა.

ცქნაფა: ზაფხულის დღეები მწვანე მდელოზე ხტუნვასა და კოტრიალში გავატარეთ, წუმპესა და ტალახში ვნებივრობდით და მერე მზეს ვეფიცებოდით. ასეთ განცხრომასა და გართობაში გაიარა მთელმა ზაფხულმა.

№3 სახლის აშენება

ზომიერად



ბავშვებს რიგრიგობით გადასცახებენ: – მომანოდე, მომანოდე, ის აგური მომანოდეთ, აი, ყოჩაღ, ესეც ასე, ცოტაც და მოვრჩებით, რა მძიმეა, მგონი მოვრჩით. (წინა რიგში მსხდომი ბავშვები აწვდიან „აგურებს“ – კუბიკებს).

ცენაფა: რა კარგია! ბავშვებო, თქვენც ხომ მოგწონთ ჩვენი სახლი?

ფუმფულა: „ქარია თუ გრიგალია,
მზე არის თუ მზის თვალია,
ჩვენი სახლი მძლეთამძლეა,
ლამაზი და მაგარია“.

ბავშვებო, თქვენ ხომ გიყვართ სიმღერა?
(პასუხი დარბაზიდან).
ახლა მე და ჩემი ძმები გიმღერებთ მხიარულ სიმღერას.

სიმღერის დამთავრებისთანავე ისმის „შიშისმომგვრელი“ (დრამატული) მუსიკა.

გოჭები მიიმალებიან. ბუჩქებიდან თავს გამოყოფს მგელი.

მგელი: კბილები სულ მიკანკანებს და შიმშილით მძვრება სული. წავალ, დავიმალეები, იქნებ ვინმე სულიერი გამოჩნდეს, რომ პირი ჩავიტკბარუნო.

№4 პოქაპი

ცოცხლად

ნვენ ვე - რა - ვინ დაგვ-ძრა-ხავს,
თუ - კი მგე-ლი გა - მონ-და,

f

დაგვ-ძრა-ხავს, დაგვ-ძრა-ხავს, უ - კე - თეს სახლ სად ნა-ხავთ, სად ნა-ხავთ
გა - მონ-და, გა-მონ-და მას ჩვენ თვი - თონ გავ-ლახავთ, გავ-ლახავთ

ცეკვით

ლა... ლა... ლა...

ლა... ლა... ლა...

ritard.

№5 მბელი

მიპარვით



მგელი თვალს მიეფარა. მუსიკის ფონზე. გამოჩნდებიან გოჭები.

კუდა: უჰ, რამდენი ვითამაშეთ! როგორ დავიღალეთ!

ცენაფა: ბავშვებო, ბავშვებო, აქ ახლომახლო მგელი ხომ არსად შეგინიშნავთ?
(პასუხი დარბაზიდან – არა, არა!).

ფუმფულა: ბავშვებო, ვინიცობაა მგელი გამოჩნდეს, ყველამ ძაღლებივით დაიყუფეთ, რომ ველარასოდეს გაბედოს ჩვენი შეჭმა. იწყებენ სიმღერას (№6 „მგელს უმღერიან“):

№6 მბელს უმღერია
(„მხიარული ბოჭეში“)

მოფერებით

f

შე-ნი ჩვენ არ გვეშინია მგე-ლო, ღრუბ ღრუბ.

f *mp*

მსუ-ნა-გო და სულ მუ-დამ მში - ე - რო, ღრუბ ღრუბ, ვე - რა - სო - დეს

მო-გვერევი მგე - ლო ჩე - მო კარ-გო, ჩე-მო მშვე-ნი-ე - რო ღრუბ

სიმღერის ბოლო ნაწილზე მგელი თავს გამოყოფს ბუჩქებიდან და ფრთხილად გაემართება გოჭებისაკენ, თან ბუტბუტებს:

მგელი: მე თქვენ გამღერებთ ნოტებზე!

ნამყვანი: ბავშვებო, აბა, ყველამ ერთად შევაშინოთ მგელი.

(ჰამ, ჰამ, – ისმის დარბაზიდან).



მუსიკა აძლიერებს აურზაურს.

შეშინებული მგელი გარბის.

ფუმფულა: (ხმამალლა) სწორედ ამაზეა ნათქვამი: ძალა ერთობაშია! გმადლობთ, ჩემო კარგებო, ჩემო მეგობრებო.

იწყებენ სიმღერას (№8 მეგობრობის სიმღერა):

№8 მუბობრობის სიმღერა

მხიარულად *f*

მე - გობ - რო - ბას და სი - კე - თეს გა - ნა რა - მე შე - ედ -

f *mp*

რე - ბა, თუ კი ვინ - მეს გა - უ - ჭირ - და მა - შინ უნ - და ერთ - გუ -

ლე - ბა მაშ ჩა - გ - კი - დოთ ძმებ - მა ხელი და ერთ მა - ნეთს ვუ - ერთ -

გუ - ლოთ, მტრო - ბას კა - რი ჩა - უ - კებოთ,

ვი-ცემ-ვით და წა - ვიმ - ღე-როთ

ჩვე - ნი ძმო - ბა მყა - რი - ა, მყა-რი-ა, მყა-რი-ა, არ გა - უ - ვა წყა-ლი-ა

წყა - ლი - ა და-ვა-მარ-ცხეთ მგე-ლი ჩვენ, მგე-ლი ჩვენ, მგე-ლი ჩვენ,

ლბ... ლბ... ლბ... ლბ...

1. ლბ... 2. ლბ... ღრუტ, ღრუტ გზა - - -

rit. *sf*

სიმღერის დამთავრებისთანავე მღერიან (№4 გოჭები) საფინალო ტექსტით. ყველა მხიარულობს.

ფიფქები

მუსიკა და ტექსტი
გიული დარახველიძის

თოვლის ფანტელებო, თოვლის ფანტელებო, თეთრად რომ დაფარეთ მთები,

ყველგან თუ ჩერ-დე-ბით ჩემს ხელის გულებზე ა-ხე მა-ლე რატომ დნებით

ფიფ - ქე - ბო, ფიფ - ქე - ბო, ქათ - ქა - თა ფიფ - ქე - ბო,

ფიფქე - ბო, ფიფ - ქე - ბო, ქათ - ქა - თა ფიფ - ქე - ბო!

Moderato

The musical score is written for piano and bass. It begins with a tempo marking of **Moderato**. The key signature has one sharp (F#), and the time signature is 4/4. The score consists of five systems, each with a piano (p) and bass (b) staff. Dynamics include *p* (piano), *f* (forte), and *mf* (mezzo-forte). The piece includes various musical notations such as slurs, ties, and fingerings (e.g., 1, 2, 3, 4, 5). The final system ends with a *rit.* (ritardando) marking.

მუსიკალურ ტერმინთა ლექსიკონი

ფორტე – (იტ. forte) ძლიერ, ხმამაღლა.

პიანო – (იტ. piano) ჩუმად, სუსტად.

მელოდია – (ბერძ. melodikos – მელოდიური, მღერადი), მუსიკალური აზრი, რომლის მხატვრული შინაარსი ერთხმანობაშია მოცემული.

მოტივი – მუსიკალური ნაწარმოების ძირითადი ელემენტი, მელოდია; ჰანგი, კილო, მელოდიის მცირე მონაკვეთი.

ჰანგი – მომღერლის მიერ შესრულებული მელოდია. იხმარება ხალხური სიმღერების მელოდიების აღსანიშნავად. მომღერლის მიერ შესრულებული მელოდია.

რიტმი – (ბერძ. rhytmos – სიმწყობრე, თანაზომიერება), მუსიკალურ ნაწარმოებში თანაზომიერ ბგერათა მოწესრიგებული გამეორება. რიტმი ერთ-ერთი ძირითადი გამომსახველობითი საშუალებაა მუსიკაში.

მეტრი – (გერმ. metrique) (ფრანგ. metron) (ბერძ. metrik) – „გაზომვა“, მუსიკალური მეტრიკა – მოძღვრება ტაქტების შექმნისა, მათი აღნაგობისა და მახვილების განაწილების შესახებ.

კომპოზიტორი – ადამიანი ვინც ჰქმნის მუსიკას.

სოლო – (იტ. solo) – მარტო. ინსტრუმენტული ან ვოკალური მუსიკალური ნაწარმოები, შესასრულებელი ერთი ინსტრუმენტის ან ერთი მომღერლის მიერ სხვა ინსტრუმენტების (ან გუნდის) თანხლებით ან უთანხლებოდ.

სოლისტი – სოლო პარტიების შემსრულებელი (მსახიობი, მომღერალი, დამკვრელი) კონცერტში, ოპერაში, ორკესტრში, გუნდში და სხვ.

ორკესტრი – (იტ. orchester) (ბერძ. orchestra) – მრავალრიცხოვანი ინსტრუმენტული ანსამბლი, მუსიკოსთა კოლექტივი, რომლებიც სხვადასხვა ინსტრუმენტებზე უკრავენ და შეთანხმებულად ასრულებენ მუსიკალურ ნაწარმოებებს.

დირიჟორი – ორკესტრის, გუნდის, საოპერო, საბალეტო წარმოდგენის ხელმძღვანელი.

კონსერვატორია – უმაღლესი მუსიკალური სასწავლებელი, რომელიც ამზადებს მუსიკალური ხელოვნების სპეციალისტებს: შემსრულებლებს (ინსტრუმენტალისტებს), ვოკალისტებს, დირიჟორებს, მუსიკისმცოდნეებს.

პოლკა – ჩეხური ხალხური ცეკვა. „პოლკა“ ჩეხურად ნიშნავს „ნახევარს“; იგულისხმება 2/4 ტაქტის ზომა (4/4-ის ნახევარი).

მენუეტი – ძველებური ფრანგული ცეკვა, გრაციოზული, ზომიერი ტემპით, 3/4 ტაქტის ზომით.

საფერხულო სიმღერა – სიმღერა, რომელიც ცეკვასთან ერთად სრულდება.

წყარო: 1. თამარ დაფქვიაშვილი – „მუსიკალურ ტერმინთა ლექსიკონი, სახელგამი, თბილისი, 1955.

2. მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი – შემდგენლები ანზორ თამარაშვილი, გულბათ ტორაძე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცხეთის ფილიალის გამოცემა, ახალციხე, 2005.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ს. გოგლიჩიძე – „მოძრავი თამაშობანი საბავშვო სიმღერებით“. სახელგამი, თბილისი 1923 წ.
2. თამარ დაფქვიაშვილი – „მუსიკალურ ტერმინთა ლექსიკონი“. სახელგამი 1955.
3. Энциклопедический музыкальный словарь. изд. `Советская энциклопедия` Москва. 1966 г.
4. მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი – შემდგენელი ა. თამარაშვილი. თბ. სახ. უნი-ვერსიტეტის მესხეთის ფილიალის გამოცემა. ახალციხე 2005 წ.
5. გეგეჭკორი – ხალხური სიმღერის მოამბენი. გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“. თბ. 2007წ.
6. მ. ჯაფარიძე, რ. ქუთათელაძე – ქართული მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბ. 2015.
7. ლ. სულაქველიძე – „საუბრები მუსიკაზე“. გამომც. „გაზეთი საქართველოს მაცნე“, თბილისი, 2015.
8. შემდგენელ-რედაქტორი ნინო კალანდაძე-მახარაძე – ქართული მუსიკა (საკითხავი ყმანვილთათვის), წიგნი 27. გამომც. „ციცინათელა“, თბილისი, 2013.
9. გ. ჩხიკვაძე, ქსე, თბ., 1983
10. ჯ. მუჯირი – მუსიკის სახელმძღვანელო (მეორე გამოცემა). გამომც. „განათლება“, თბილისი 1966.
11. თამილა კარტოზია – სოლფეჯიოს სწავლების საფუძვლები, თბილისი 2014.
12. ლ. სულაქველიძე, მ. მერაბიშვილი – სცენარები სკოლის დაწყებითი კლასებისა და საბავშვო ბაღების ზეიმებისთვის. გამომც. „უსტარი“, თბ. 2013.
13. მ. მერაბიშვილი, ნ. ზარდიაშვილი, ლ. სულაქველიძე – მუსიკალურ-რიტმული აქტივობები. „საქართველოს აკადემიური გამომცემლობა“. თბ. 2016.
14. თამარ ბაქრაძე, ნინო ჯიჯავაძე, ანა ჯანელიძე – თამაშები და აქტივობები სკოლამ-დელი ასაკის ბავშვებისთვის. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2012.
15. თამარ დაფქვიაშვილი – „მუსიკალურ ტერმინთა ლექსიკონი, სახელგამი, თბი-ლისი, 1955.